

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ეკატერინე ქურდაძე

**არავერბალური კომუნიკაცია როგორც ნარატიული ფენომენი და
როგორც ლინგვოკულტუროლოგიური პრობლემა**

10.02.04 - გერმანიკული და რომანული ენათმეცნიერება

**ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური
ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი**

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,

პროფესორი გურამ ლეზანიძე

ქუთაისი
2012

შესავალი

§1. სადისერტაციო ნაშრომის მიზანი, თემა და პრობლემა

წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომის მიზანია თემატურად და პრობლემურად დავუკავშიროთ ერთმანეთს თანამედროვე ჰუმანიტარულ აზროვნებაში, პირველ რიგში კი, ლინგვისტურ აზროვნებაში სამი პარადიგმული ტენდენცია:

ა) ტენდენცია, რომლითაც ხასიათდება თანამედროვე სემიოტიკა და რომელიც მდგომარეობს ნიშნობრიობის არავერბალური ასპექტის მიერ განსაკუთრებული აქტუალურობის შექმნაში;

ბ) იმ ისეთ ინტერდისციპლინარულად კონსტიტუირებული დისციპლინის ფორმირებაში, როგორსაც წარმოადგენს თანამედროვე ნარატოლოგია;

გ) მხატვრული სიმბოლიკის მიერ ისეთი მნიშვნელობის შექმნაში, რომელიც შინაარსობრივად და ფუნქციურად მოითხოვს მხატვრული ტექსტის, ძირითადად კი ნარატიული ტექსტის ფარგლებში სიმბოლიკის ვერბალურ და არავერბალურ ასპექტთა სინთეზურ ხედვასა და კვლევას იმდენად, რამდენადაც ჩვენი კვლევის უშუალო ობიექტს წარმოადგენს ვერბალური მხატვრული სინამდვილე, იგი, რა თქმა უნდა, მიუხედავად თავისი მკაფიოდ გამოხატული ინტერდისციპლინარული ხასიათისა, უნდა იყოს ლინგვისტურად ცენტრირებული, თუმცა, ამავე დროს, მას უნდა ჰქონდეს გარკვეული ლიტერატურათმცოდნეობითი მნიშვნელობაც, რადგან ვერბალური სიმბოლიკის კვლევა, როგორც წესი, უკავშირდება მხატვრული ქვეტექსტის კვლევას. ეს უკანასკნელი კი, როგორც ცნობილია, განსაკუთრებულ როლს ასრულებს მოდერნისტულ მხატვრულ ნარატივში.

ამგვარად ფორმულირებული მიზანი განსაზღვრავს ჩვენი კვლევის თემატურ ასპექტს: მის ფარგლებში ერთდროულად ხდება ისეთ ფენომენტთა თემატიზაცია, როგორიცაა ვერბალური და არავერბალური ტექსტობრივი სიმბოლიკა, ნარატიული ქვეტექსტის ფენომენი და მხატვრული ნარატივის ის ტიპი, რომლის ფარგლებში განსაკუთრებულ აქტუალურობას იძენს ხსენებული ფენომენი. იქიდან გამომდინარე, რომ, როგორც უკვე ითქვა, კვლევა ატარებს ინტერდისციპლინარულ ხასიათს, გამართლებული იქნება ჩვენს შემთხვევაში ვილაპარაკოთ არა უბრალოდ კვლევის თემაზე ან თემატიკაზე, არამედ მის თემატურ სტრუქტურაზე და დავუკავშიროთ

ხსენებული სტრუქტურა როგორც კვლევის ზემოთ განსაზღვრულ მიზანს, ისე კვლევის იმ პრობლემას, რომელიც ქვემოთ უნდა იქნას განსაზღვრული.

ყოველივე ზემოთ ნათქვამიდან გამომდინარე, ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის პრობლემაც უნდა დახასიათდეს ორი შემდეგი ურთიერთდაკავშირებული ასპექტის მიხედვით: ა) იგი უნდა განისაზღვროს იმ შინაგანი შინაარსობრივი ერთიანობის თვალსაზრისით, რომლითაც ხასიათდება ნებისმიერი მკაფიოდ და ნათლად დანახული მეცნიერული პრობლემა; ბ) ამავე დროს, ხაზი უნდა გაესვას მის შინაგან მრავალასპექტიანობას. პირველი თვალსაზრისით, ჩვენი კვლევითი პრობლემა უნდა განისაზღვროს როგორც იმ შინაგანი ურთიერთდამოკიდებულების ადეკვატური დანახვა და კონცეპტუალიზაცია, რომელიც უნდა არსებობდეს ზემოთ დასახულ თემატურ სფეროებს შორის და სწორედ ამ ურთიერთდამოკიდებულების დანახვა უნდა იქნეს მიჩნეული პრობლემის საკუთრივ თეორიულ ასპექტად. რაც შეეხება პრობლემის შინაგან მრავალასპექტოვნებას, იგი, ჩვენი აზრით, ატარებს, პირველ რიგში, მეთოდოლოგიურ ხასიათს, ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, უკავშირდება პარადიგმული მეთოდოლოგიით ნაგულისხმევ შემდეგ პრობლემურ ასპექტებს: ა) პრობლემის დასმა და მისი გადაჭრის მცდელობა უნდა ხდებოდეს არა რომელიღაც ისტორიულად და შინაარსობრივად დაუკონკრეტებელ სივრცეში, არამედ იმ სააზროვნო პარადიგმის თანახმად, რომელიც მოცემულ ეტაპზე დომინირებს მოცემულ დისციპლინებში; ბ) თუ ხსენებულ პარადიგმულ მეთოდოლოგიას დავაკონკრეტებთ ზემოთ ფორმულირებული მიზნისა და თემის მიხედვით, მაშინ გამოიკვეთება უკვე თეორიულად დანახული პრობლემის როგორც საკუთრივ ლინგვისტური, ისე ინტერდისციპლინარული ასპექტები: პირველი, ანუ ლინგვისტური თვალსაზრისით, პრობლემის მეთოდოლოგიური ასპექტი გულისხმობს იმას, რომ კვლევა უნდა განხორციელდეს ისეთ პარადიგმათა ურთიერთზემოქმედების გათვალისწინებით, როგორცაა ლინგვოკულტუროლოგიური და ანთროპოცენტრისტულ-კომუნიკაციური პარადიგმები. მეორე თვალსაზრისი კი, ჩვენის აზრით, უნდა გულისხმობდეს იმ დისციპლინათა და მათთვის დამახასიათებელ იმ პარადიგმულ ტენდენციათა განსაზღვრას, რომელთა მონაცემების გათვალისწინება და სინთეზირება უნდა მოხდეს ზემოთ მითითებულ ლინგვისტურ პარადიგმებზე დაყრდნობით.

§ 2. პრობლემის აქტუალობა

პრობლემის აქტუალობა უშუალოდ გამომდინარეობს მისი იმ შინაარსობრივი განსაზღვრიდან, რომელიც ზემოთ იქნა ფორმულირებული: იგი აქტუალურია როგორც ზემოთ დასახელებულ დისციპლინათა შინაგანად დანახულ პარადიგმულ სიტუაციათა თვალსაზრისით, ისე ინტერდისციპლინარული თვალსაზრისითაც. შეიძლება გამოიყოს ხსენებული აქტუალობის შემდეგი ასპექტები:

- 1) როგორც უკვე იქნა აღნიშნული, თანამედროვე სემიოტიკა განიცდის მნიშვნელოვან შინაგან ტრანსფორმაციას იმ გაგებით, რომ მის ფარგლებში ინტენსიურად ვითარდება არავერბალური სემიოტიკა და ჩნდება იმის მოთხოვნილება, რომ მოხდეს სემიოტიკის ამ ორი განშტოების - ვერბალურ და არავერბალურ განშტოებათა – თეორიული სინთეზი;
- 2) ასევე აღსანიშნავია, რომ სემიოტიკაში მიმდინარე ეს ტრანსფორმაცია უშუალოდ აისახება კომუნიკაციის თეორიაში იმდენად, რამდენადაც განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს კომუნიკაციის ვერბალურ და არავერბალურ ასპექტთა კონცეპტუალური სინთეზის პრობლემა;
- 3) იგი აქტუალურია თანამედროვე ლინგვისტიკისთვის, რადგან შეაქვს პრობლემური სიახლე ლექსიკური სემანტიკის იმ განშტოებაში, რომელიც იკვლევს სიტყვათა კონტექსტუალური მნიშვნელობის ფორმირების პროცესს და ამ პროცესის კავშირს ტექსტის ინტეგრალურ სემანტიკასთან. როგორც ცნობილია, სიტყვის კონტექსტუალური მნიშვნელობის ფორმირება შეიძლება ნიშნავდეს მის მხატვრულ დეტალად გადაქცევას, ამ უკანასკნელმა კი შეიძლება შეიძინოს ვერბალური სიმბოლოს ფუნქცია, მაგრამ ისმის კითხვა: როგორ აისახება ტექსტის ინტეგრალურ სემანტიკაში ისეთი ფაქტი, როცა ვერბალური სემანტიკა ამავე დროს სიღრმისეულად შეიცავს არავერბალურ კომუნიკაციაზე მითითებას?
- 4) ასევე ცნობილია, რომ მხატვრულ ნარატიულ ტექსტში ვერბალური სიმბოლო, როგორც წესი, იძენს ქვეტექსტზე მითითების ფუნქციას, ანუ იქცევა ტექსტის ქვეტექსტური სემანტიკის განმაპირობებელ ფაქტორად. აქედან გამომდინარე, ვერბალურ და არავერბალურ სემიოტიკათა მონაცემების სინთეზი

აქტუალური ხდება მხატვრული ტექსტის ქვეტექსტური სემანტიკის გაღრმავებული კვლევისთვის;

5) როგორც ცნობილია, თანამედროვე ნარატოლოგია ეპიკური გვარის ლიტერატურათმცოდნეობითი თეორიისაგან განსხვავებით წარმოადგენს მხატვრული შემოქმედებისადმი კომუნიკაციური მიდგომის შედეგს და, ამავე დროს, ცნობილია ისიც, რომ მხატვრულ ნარატივში ნარატოლოგია გამოყოფს კომუნიკაციურ ინსტანციებს - ა) კომუნიკაცია ავტორსა და მკითხველს შორის და ბ) კომუნიკაცია პერსონაჟებს შორის. შესაბამისად, ისმის კითხვა: როგორი შეიძლება იყოს ტექსტში შემავალ ვერბალურ სიმბოლოთა არავერბალური განზომილების როლი ავტორსა და მკითხველს შორის მიმდინარე კომუნიკაციის თვალსაზრისით? შესაბამისად, არავერბალური სემიოტიკისა და არავერბალური კომუნიკაციის სინთეზური კვლევა აქტუალური ხდება თანამედროვე რეცეფციული ესთეტიკისთვის;

6) პრობლემის აქტუალობა ინტერდისციპლინარული თვალსაზრისით კი მდგომარეობს შემდეგში: მასში აისახება არა მხოლოდ ის პრობლემური ურთიერთმიმართება, რომელიც მუდამ არსებობდა ისეთ კვლევით სფეროებს შორის, როგორცაა, ერთის მხრივ, სემიოტიკა და კომუნიკაციის თეორია, მეორეს მხრივ კი, ლინგვისტიკა, არამედ ის ახლებურად, ანუ ნარატოლოგიურად გააზრებული მიმართებაც, რომელიც არსებობს ლინგვისტურ კვლევასა და ლიტერატურულ პროცესთა ისტორიულ კვლევას შორის. ისმის კითხვა: რა როლი შეიძლება შეასრულოს არავერბალური კომუნიკაციის ამგვარად, ანუ სინთეზურად წარმართულმა კვლევამ მოდერნისტული ლიტერატურის, კერძოდ კი, მოდერნისტული მხატვრული ნარატივის კვლევის თვალსაზრისით, თუ ამ კვლევის ერთ-ერთ ძირითად მიზნად მივიჩნევთ ნარატიული ქვეტექსტის რეცეფციული თვალსაზრისით წვდომას?

როგორც ვხედავთ, ჩვენი კვლევითი პრობლემის აქტუალობა ხასიათდება მრავალგანზომილებიანობით, რომელიც დამახასიათებელია თანამედროვე ჰუმანიტარული, კერძოდ კი, ლინგვისტურიდან ორიენტირებული კვლევისთვის. შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ეს მრავალგანზომილებიანობა

განაპირობებს ამ კვლევის ინტერდისციპლინარულ ხასიათს, რაც, ჩვენი აზრით, არ უნდა გამორიცხავდეს ლინგვისტური თვალსაზრისით დომინირებას მის ფარგლებში: ჩვენი კვლევის ცენტრალურ ობიექტად მივიჩნევთ სიტყვის როგორც ლექსიკური ერთეულის იმ სემანტიკური პოტენციის გამოვლენას, რომელიც განსაკუთრებულ როლს ასრულებს მხატვრული ნარატივის ქვეტექსტური სემანტიკის ფორმირების პროცესში.

§ 3. პრობლემასთან დაკავშირებულ ამოცანათა ერთობლიობა

პრობლემის ზემოთ განსაზღვრული აქტუალობა განაპირობებს შემდეგ კონკრეტულ ამოცანათა დასახვას:

- ა) როგორც ცნობილია, არავერბალური სემიოტიკის და არავერბალური კომუნიკაციის თანამედროვე თეორია არა მხოლოდ იკვლევს ხსენებულ ფენომენტა ფუნქციურ არსს, არამედ აგებს კიდევ მათ ტიპოლოგიას. შესაბამისად, ისმის კითხვა: როგორ უნდა აისახოს ეს ტიპოლოგია არავერბალური კომუნიკაციის იმ ენობრივ საშუალებათა კვლევაში, რომელთა გამოყენების შედეგადაც იქმნება მხატვრული ნარატივის ქვეტექსტური სემანტიკა? შესაბამისად, ჩვენს მიერ წარმართული კვლევის ერთ-ერთ ძირითად ამოცანად უნდა მივიჩნიოთ დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემა;
- ბ) როგორც ცნობილია, თანამედროვე ფილოლოგიური კვლევის ფარგლებში არსებობს მხატვრული ქვეტექსტის მეტი თუ ნაკლები სისრულით ჩამოყალიბებული კონცეფცია. ჩვენს ერთ-ერთ ამოცანად უნდა მივიჩნიოთ იმის დადგენა, თუ რა კონცეპტუალური სიახლე შეაქვს არავერბალური კომუნიკაციის კვლევას ხსენებულ კონცეფციაში;
- გ) როგორც უკვე იქნა აღნიშნული, თანამედროვე ნარატოლოგია გამოყოფს კომუნიკაციურ ინსტანციებს მხატვრული ნარატივის ფარგლებში. შესაბამისად, ჩვენს ერთ-ერთ ამოცანად უნდა მივიჩნიოთ იმის დადგენა, თუ რას იძლევა არავერბალური კომუნიკაციის ლინგვისტური კვლევა იმ სპეციფიკის დადგენის თვალსაზრისით, რომლითაც კომუნიკაცია ავტორსა და მკითხველს შორის უნდა გამოირჩეოდეს პერსონაჟთა შორის არსებული კომუნიკაციისგან.
- დ) თანამედროვე ფილოლოგიური კვლევა ხასიათდება განსაკუთრებული ინტერესით ისეთი ლიტერატურულ-კომპოზიციური ფორმის მიმართ, როგორცაა

მხატვრული ციკლი. ჩვენი ერთ-ერთი კვლევითი ამოცანა უნდა მდგომარეობდეს შემდეგში: როგორი შეიძლება იყოს არავერბალური კომუნიკაციის როლი რეცეფციული ესთეტიკის თვალსაზრისით იმ შემთხვევაში, როცა საქმე გვაქვს მოდერნისტულ ნარატიულ ციკლთან?

ე) მხატვრული ნარატიული ქვეტექსტის თანამედროვე კვლევის ფარგლებში ლაპარაკია ვერბალურ სიმბოლოთა იმ ველზე, რომელიც ახდენს ნარატივის ქვეტექსტური სემანტიკის ფორმირებას. შესაბამისად, ჩვენი ამოცანა უნდა მდგომარეობდეს იმის დადგენაშიც, თუ რა ტრანსფორმაციას განიცდის ამგვარი ველი არავერბალური კომუნიკაციის მიერ სიმბოლური ფუნქციის შექმნის შემთხვევაში.

§ 4. კვლევის მეთოდოლოგია და გამოყენებულ მეთოდთა სისტემა

ჩვენი კვლევის ზოგად მეთოდოლოგიად უნდა მივიჩნიოთ ზემოთ ფორმულირებული პრობლემისადმი ის მიდგომა, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ „პარადიგმული მეთოდოლოგია“, რაც გულისხმობს შემდეგს:

ა) მეცნიერული პარადიგმის თანამედროვე კონცეპტის მაქსიმალურად სრული შინაარსით გამოყენებას, ე.ი. იმის გათვალისწინებას, რომ ამ კონცეპტს აქვს ერთდროულად როგორც თეორიული, ისე მეთოდოლოგიური დანიშნულება – იგი გაგებულ უნდა იქნას, როგორც საკვლევი ობიექტის ხედვისა და კვლევის მოდელი. შესაბამისად, არავერბალური კომუნიკაცია დანახულია როგორც ვერბალურთან უშუალოდ და ორგანულად დაკავშირებული ფენომენი, რითაც თანმიმდევრულად უნდა იყოს განპირობებული მისი კვლევის მეთოდოლოგიაც;

ბ) პარადიგმული მეთოდოლოგიის განუყოფელ ასპექტად მივიჩნევთ იმ თავისებურებას, რომლითაც ხასიათდება პარადიგმის როგორც თეორიულ-მეთოდოლოგიური კონცეპტის ფუნქციონირება ჰუმანიტარულ აზროვნებაში: ყოველი ახალი პარადიგმა კი არ აუქმებს წინა პარადიგმის კვლევით მიღწევას, არამედ ცდილობს მოახდინოს მათი ახლებური ინტერპრეტაცია. შესაბამისად, არავერბალური კომუნიკაციის ჩვენეული, ანუ მოდერნისტული მხატვრული ნარატივის ანალიზზე დაფუძნებული კვლევა უნდა ხასიათდებოდეს ერთდროულად შემდეგი ორი მეთოდოლოგიური ნიშნით: ამ კვლევის შინაარსთან მიმართულებას უნდა განსაზღვრავდეს პირველ რიგში ის სააზროვნო პარადიგმა, რომელიც

დომინირებს თანამედროვე ლინგვისტიკაში, ანუ ლინგვოკულტუროლოგიური პარადიგმა, მაგრამ ამავე დროს ხსენებულ პარადიგმაზე დაყრდნობა უნდა ნიშნავდეს არა მხოლოდ მისი უშუალო შინაარსობრივი არსის გათვალისწინებას (სახელდობრ, ენასა და კულტურას შორის კავშირის გამოვლენას), არამედ იმასაც, რომ ახლებურად უნდა იქნას ინტერპრეტირებული ისეთ წინა პარადიგმათა საფუძველზე მიღებული შედეგები, როგორცაა ლინგვისტური აზროვნების სისტემურ-სემიოტიკური და ანტროპოცენტრისტულ-კომუნიკაციური პარადიგმები, თუმცა ამავე დროს იმის გათვალისწინებით, რომ უშუალოდ ლინგვოკულტუროლოგიურ პარადიგმას წინ უსწრებს კომუნიკაციური პარადიგმა. შესაბამისად, არავერბალური კომუნიკაციის კვლევისას უნდა იქნას მთლიანად გათვალისწინებული ვერბალური დისკურსის ინტერსუბიექტურობის პრინციპზე დაფუძნებული კვლევის შედეგები, მაგრამ, ამავე დროს, ამ კვლევის შედეგებს უნდა მიეცეს ახლებური, ანუ არავერბალურობაზე ორიენტირებული ინტერპრეტაცია;

გ) პარადიგმული მეთოდოლოგიის ორგანულ ასპექტად მიჩნეულ უნდა იქნას კვლევის ინტერდისციპლინარულობა, რომელიც გულისხმობს ერთდროულად ორ მეთოდოლოგიურ მომენტს: 1) მომენტს, რომელიც უშუალოდ გამომდინარეობს ლინგვისტიკაში ლინგვოკულტუროლოგიური პარადიგმის დომინირებიდან იმდენად, რამდენადაც ლინგვოკულტუროლოგია გულისხმობს ლინგვისტურ და კულტუროლოგიურ კვლევათა ურთიერთდაკავშირებას, ანუ ინტერდისციპლინარულობას; 2) ინტერდისციპლინარულობა დამახასიათებელია არა მხოლოდ თანამედროვე ლინგვისტიკისთვის, არამედ მთელი თანამედროვე ჰუმანიტარული აზროვნებისთვის. ბუნებრივია, რომ ნებისმიერი ინტერდისციპლინარული კვლევა უნდა ეყრდნობოდეს ერთდროულად ორივე ხსენებულ მომენტს.

ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის შემთხვევაში ინტერდისციპლინარულობა როგორც მის (ამ მეთოდოლოგიის) მრვალგანზომილებიანობა: აუცილებელს ხდის, ერთის მხრივ, ვერბალური და არავერბალური სემიოტიკის, მეორეს მხრივ კი, ლინგვისტიკისა და ლიტერატურათმცოდნეობის, სიმბოლოლოგიისა და ლინგვოსემიოტიკურად გაგებული სემანტიკის ისეთ ურთიერთდაკავშირებას,

რომელიც მეტნაკლებად სრულ გამოხატვას უნდა პოულობდეს ნარატოლოგიურ კონტექსტში.

§ 5. კვლევის სიახლე

კვლევის სიახლე, რა თქმა უნდა, გამომდინარეობს როგორც პრობლემის აქტუალობიდან, ისე იმ მეთოდოლოგიიდან, რომლის არსი და სტრუქტურა ზემოთ იქნა განსაზღვრული, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც აღვნიშნავთ კვლევის სიახლის შემდეგ პრინციპულ მომენტებს:

ა) ჩვენს სადისერტაციო ნაშრომში პირველად ხდება არა მხოლოდ მხატვრული ნარატივის ფარგლებში რეალიზებული არავერბალური კომუნიკაციის ინტერდისციპლინარული და ნარატოლოგიურად ორიენტირებული კვლევა, არამედ ეს კვლევა იძენს ნათლად გამოხატულ კულტუროლოგიურ განზომილებასაც - ვგულისხმობთ მოდერნისტული ნარატიული კულტურის მეოცსაუკუნოვან ისტორიას: ის ნარატიული ფენომენი, რომელსაც ვიკვლევთ მასში რეალიზებული არავერბალური კომუნიკაციის თვალსაზრისით მიეკუთვნება მოდერნისტული ნარატივის გვიანდელ ასპექტს, რაც იძლევა მოდერნისტული მხატვრული კულტურის ისტორიულ ასპექტში დანახვის გარკვეულ შესაძლებლობას;

ბ) სიახლედ უნდა მივიჩნიოთ ის ფაქტიც, რომ ჩვენს სადისერტაციო ნაშრომში ახლებურად ხდება მოდერნისტული ნარატივისთვის დამახასიათებელი ისეთი ფენომენის ხედვა და ინტერპრეტაცია, როგორცაა ქვეტექსტი: ქვეტექსტის ახლებური ხედვა უკავშირდება ისეთ ვერბალურ სიმბოლოთა ქვეტექსტური სემანტიკის გამოვლენას, რომელთა ნარატიული ფუნქცია განპირობებულია ვერბალურ სიმბოლოთა დონეებრივი სტრუქტურით. ყოველი მათგანი ერთდროულად შეიცავს როგორც ვერბალური სიმბოლოსთვის დამახასიათებელ და უშუალოდ მოცემულ ქვეტექსტურ სემანტიკას, ისე ამ ქვეტექსტური სემანტიკის ირიბად მინიშნებულ და პერსონაჟთა არაკომუნიკაბელურობით განპირობებულ განზომილებას;

გ) არავერბალური კომუნიკაციის ზემოთ დასახელებულ კვლევას ახალი შტრიხი შეაქვს სიმბოლური ველის იმ კვლევაში, რომელიც აქამდე ჩატარებული კვლევის ფარგლებში უკავშირდებოდა ერთის მხრივ სიმბოლური ნომინაციის,

მეორეს მხრივ კი, ქვეტექსტური სემანტიკის როგორც ნარატიულ ფენომენტთან ურთიერთდაკავშირებულ ანალიზს;

დ) ასევე უნდა მივიჩნიოთ გარკვეულ სიახლედ ის ფაქტი, რომ მოდერნისტული ავტორის მხატვრულ ნარატივში ჩვენ არა მხოლოდ ვავლენთ ციკლორობის, როგორც კომპოზიციური ფორმის არსებობას, არამედ ამ ციკლორობით ნაგულისხმევ ნარატიულ მეტათემას სიღრმისეულად ვუკავშირებთ არავერბალური სიმბოლიკით გამოხატულ ციკლურ ქვეტექსტსაც.

§ 6. კვლევის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა

კვლევის თეორიული მნიშვნელობაც უშუალოდ გამომდინარეობს ყოველივე ზემოთ ნათქვამიდან, მაგრამ შეიძლება გამოვყოთ მისი შემდეგი ძირითადი მომენტები:

ა) ვფიქრობთ, თეორიული მნიშვნელობის ცენტრალური ასპექტი უშუალოდ უკავშირდება კვლევის ზემოთ განსაზღვრულ მეთოდოლოგიას. ამ მეთოდოლოგიის ორივე ასპექტის გათვალისწინებით:1) ინტერდისციპლინარულობა უნდა იქნას განხილული არა მხოლოდ მეთოდოლოგიურად, არამედ თეორიულადაც. ჩვენს კვლევით კონტექსტში იგი ავლენს ლინგვოსემიოტიკის იმ ახალ ხედვას, რომლის ფარგლებში ერთი მეორეს ორგანულად უკავშირდება სემანტიკის სამი ერთმანეთისგან გასამიჯნი და ამავე დროს ორგანულად ურთიერთდაკავშირებული ასპექტი – ლექსიკური სემანტიკა, სიმბოლური სემანტიკა და არავერბალური სიმბოლური სემანტიკა. კვლევა გვიჩვენებს, რომ ამ სიფართოვითა და სიღრმით განხილული სემანტიკის ყოველი შემდგომი დონე წარმოადგენს წინა დონის დაკონკრეტებასა და ახლებურად ინტერპრეტაციას;

ბ) ჩვენს მიერ ასევე გამოყენებული პარადიგმული მეთოდოლოგია კი გულისხმობს – და ამაშიც მდგომარეობს ჩატარებული კვლევის თეორიული ღირებულება, რომ დღეისთვის დომინანტური ლინგვოკულტუროლოგიური პარადიგმა უნდა ახდენდეს ლინგვისტური აზროვნების წინა პარადიგმების ახლებურ ინტერპრეტაციას. სწორედ აქედან გამომდინარე უნდა მივიჩნიოთ, რომ არავერბალური კომუნიკაციის ლინგვისტური ხედვა შეუძლებელი იქნებოდა ლექსიკური სემანტიკის იმ ხედვის

გარეშე, რომელიც დამახასიათებელი იყო სისტემურ-სემიოტიკური და ანთროპოცენტრისტულ-კომუნიკაციური პარადიგმებისთვის;

გ) ჩვენი კვლევის ფარგლებში თეორიულ და მეთოდოლოგიურ სიახლედ უნდა მივიჩნიოთ ის ფაქტიც, რომ რეალიზებულია ქვეტექსტის როგორც ვერბალური ფენომენის ლინგვისტური კვლევის ახალი ინტერდისციპლინარულობით განპირობებული დონე: თუ აქამდე ქვეტექსტური სემანტიკის კვლევა, როგორც წესი, ეფუძნებოდა ვერბალურ სემიოტიკას და, შესაბამისად, ვერბალურ კომუნიკაციას, ჩვენს სადისერტაციო ნაშრომში გამოვლენილია და გარკვეული თვალსაზრისით შესწავლილიცაა ქვეტექსტური სემანტიკის სიღრმისეულად ახალი შრე, ანუ ის შრე, რომელიც მხატვრულ ნარატივში იქმნება არავერბალური კომუნიკაციის ხაზგასმით;

დ) ნარატიული ქვეტექსტის ახლებურ ანუ არავერბალურ კომუნიკაციაზე დაფუძნებულ ინტერპრეტაციას შინაგანად უკავშირდება ვერბალური სიმბოლიკის როგორც ტექსტობრივი ფენომენის ლინგვისტური ინტერპრეტაციის ის სრულიად ახალი მომენტი, რომელიც შეუძლებელი იქნებოდა ქვეტექსტის ინტერდისციპლინარული ხედვისა და კვლევის გარეშე. ამავე დროს ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტსაც, რომ ჩვენი კვლევის ფარგლებში ქვეტექსტური სემანტიკის უფრო გაღრმავებული აუცილებლობა - ამ აუცილებლობას კი, როგორც ითქვა, ქმნის არავერბალური კომუნიკაციის როგორც ტექსტობრივი ფენომენის ნარატიულ კონტექსტში წარმოჩენილ -განაპირობებს თვით ინტერდისციპლინარულობის როგორც კვლევითი მეთოდოლოგიის შიდა სტრუქტურის გაფართოვებას: თუ ქვეტექსტის ის კვლევა, რომელიც ეფუძნებოდა მხოლოდ ვერბალურ სიმბოლიკას ხაზგასმით მოითხოვდა ლინგვისტიკისა და ლიტერატურათმცოდნეობის თანამშრომლობას, არავერბალური კომუნიკაციის როგორც ქვეტექსტის შემქმნელი ფაქტორის წინა პლანზე წამოწევა უკვე ხაზგასმით მოითხოვს სემიოტიკის როგორც დისციპლინის უშუალო და ექსპლიციტური ფორმით მონაწილეობას ინტერდისციპლინარულ კვლევაში, რაც აიხსნება შემდეგი გარემოებით; არავერბალური სემიოტიკის სულ უფრო და უფრო ხაზგასმით თემატიზაციამ გარდატეხა შეიძინა თვით სემიოტიკაში იმ გაგებით, რომ გააფართოვა და ამავე დროს გააღრმავა ამ დისციპლინის მიერ კვლევის საკუთარი ობიექტის (ანუ ნიშნობრიობის როგორც ფენომენის) გაგება. ჩვენს სადისერტაციო ნაშრომში ვცდილობთ

გავითვალისწინოთ სემიოტიკის ამგვარი შინაარსობრივი ტრანსფორმაციის ხსენებული ფაქტი და მივიჩნიოთ იგი ინტერდისციპლინარულობის როგორც მეთოდოლოგიის განახლებული ხედვის ფაქტორად;

ა) სიახლის მომენტად უნდა მივიჩნიოთ ის ფაქტიც, რომ მხატვრული ნარატივის, კერძოდ კი, ნარატიული ქვეტექსტის კვლევისადმი ლინგვოკულტუროლოგიური მიდგომა, რომელიც თავისთავად და უშუალოდ უკავშირდება თვით ლინგვისტიკაში დღეისთვის არსებულ პარადიგმულ სიტუაციას, ე. ი. ლინგვოკულტუროლოგიური პარადიგმის დომინირებას, ამავე დროს ინტეგრირებულია ინტერდისციპლინარულობის იმ სტრუქტურაში, რომლის შესახებ ვმსჯელობდით წინა აბზაცში:

ბ) მაგრამ ასევე აღსანიშნავია ჩვენს მიერ ჩასატარებელი კვლევის შემდეგი სიახლეც: ნარატიულ ქვეტექსტისადმი ლინგვოკულტუროლოგიურ და ინტერდისციპლინარულ მიდგომათა ზემოთ ხსენებული სინთეზი განაპირობებს იმ ფაქტსაც, რომ ჩვენი კვლევა ერთდროულად იძენს მნიშვნელობას თანამედროვე მოდერნისტული კულტურის, როგორც ისტორიული ფენომენის კვლევისა და აღქმის თვალსაზრისით. ჩვენი კვლევის შედეგად სელინჯერისეული ნარატივი და პირველ რიგში ამ ნარატივის ქვეტექსტური განზომილება წარმოჩნდება როგორც ზოგადად მოდერნისტული მხატვრული კულტურის იმ ისტორიულ ფაზად, რომელიც ერთდროულად მიუთითებს ამ ფაზისთვის დამახასიათებელ ორ მომენტზე - 1) იმ ფაქტზე, რომ ხსენებული კულტურის ფარგლებში ადამიანთა შორის კომუნიკაცია იძენს განსაკუთრებულად კრიზისულ ხასიათს და 2) კულტუროლოგიური თვალსაზრისით განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს რეცეფციული ესთეტიკა; ხსენებული მოდერნისტული ფაზის მხატვრულ ტექსტთა ადექვატური აღქმა შეუძლებელი ხდება რეციპიენტის შემოქმედებითი აქტივობის გარეშე იმდენად, რამდენადაც მხოლოდ ამგვარი აქტივობის შედეგად ხდება შესაძლებელი ქვეტექსტური სემანტიკის იმ სიღრმისეულ დონეთა „გაშიფვრა“, რომელიც განპირობებულია ვერბალური და არავერბალური სიმბოლიკის ზემოთ ხაზგასმული შერწყმით.

§ 7. საკვლევი მასალის ზოგადი დახასიათება

ვფიქრობთ, „საკვლევი მასალა“ როგორც გამოთქმა-ტერმინი შეიძლება იქნას ინტერპრეტირებული ორნაირად: ა) „მასალად“ უნდა მივიჩნიოთ ერთდროულად არავერბალური სემიოტიკისა და კომუნიკაციის მთელი ის თეორიული კორპუსი, რომელიც დღეისთვის წარმოდგენილია ზოგად-სემიოტიკურ ლიტერატურაში და რომელზე დაყრდნობაც – როგორც თეორიული, ისე მეთოდოლოგიური თვალსაზრისით – შეუძლებელი იქნებოდა თვით ამ ლიტერატურისადმი კვლევითი მიდგომის გარეშე; ბ) კვლევის მასალად შერჩეული გვაქვს თანამედროვე მოდერნისტული პროზის ისეთი წარმომადგენლის მხატვრული ნარატივი, როგორიცაა ჯ.დ. სელინჯერი, მაგრამ ჩვენი კვლევა, როგორც უკვე იქნა ხაზგასმული, არ ატარებს საკუთრივ ლიტერატურათმცოდნეობით ხასიათს და ამიტომ ჩვენთვის აქტუალურ პრობლემას, ანუ არავერბალურ კომუნიკაციას როგორც ნარატიულ ფენომენს, ვიკვლევთ სელინჯერის შემოქმედების იმ მონაკვეთზე დაყრდნობით, რომელიც ცნობილია „ცხრა მოთხრობის“ როგორც ნარატიული ციკლის სახელწოდებით. მაგრამ სელინჯერისეული ნარატივის ამგვარი თვალსაზრისით კვლევა (ვგულისხმობთ იმ ფაქტს, რომ ხსენებული ნარატივი გვანტერესებს მისი ქვეტექსტური განზომილების თვალსაზრისით იმდენად, რამდენადაც ამ ქვეტექსტის შექმნაში მონაწილეობს არავერბალური კომუნიკაცია), ჩვენი აზრით, თავისთავად უნდა ნიშნავდეს ქვეტექსტურად აღქმული მოდერნისტული ნარატივის აღქმასაც მის ისტორიულ დინამიკაში - განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როცა მოდერნიზმის ხსენებული განზომილება ვლინდება ისეთი კომპოზიციური ფორმის ფარგლებში, როგორიცაა „short story“, თუმცა ემპირიული მასალის ამგვარი დაკონკრეტება გვამლევს მისი (ამ მასალის) კიდევ ერთი ასპექტის დასახელების საფუძველს: რაკი, როგორც უკვე ითქვა, ჩვენ ვიკვლევთ სელინჯერისეულ ნარატივს, მისი ციკლური სტრუქტურის გათვალისწინებით, ჩვენი ემპირიული მასალის შემადგენელ მომენტად უნდა ვიგულისხმოთ ასევე ქვეტექსტური სემქტიკის ციკლური სახით გამოვლინების ფაქტიც.

§ 8. საკვლევი მასალის სტრუქტურა

პირველ თავში, რომლის სათაურია „ვერბალური სიმბოლო და ქვეტექსტის ფენომენი თანამედროვე მოდერნისტულ ნარატივში“, ვმსჯელობთ ამ ორი ფენომენის ურთიერთკავშირზე. ჩვენი აზრით, მნიშვნელოვანია ამ კავშირის დინამიკაში დანახვა ისეთი გარდამტეხი მომენტის გათვალისწინებით, რომელიც მდგომარეობს ვერბალური სიმბოლიკის ფარგლებში ახალი და ამავე დროს დომინანტური განზომილების დამკვიდრებაში - ვგულისხმობთ არავერბალურ სემიოტიკაზე დაფუძნებულ არავერბალურ კომუნიკაციას. მოცემულ თავში ბევრად უფრო გაშლილი სახით წარმოდგენილია მოცემულ შესავალში ფორმულირებული პრობლემატიკა და შესაბამისი მეცნიერული ლიტერატურის ანალიზის საფუძველზე არგუმენტირებულად წარმოდგენილია ჩვენი კვლევის როგორც თეორიული, ოსე მეთოდოლოგიური საფუძვლები;

მეორე თავში, რომლის სათაურია „არავერბალური კომუნიკაცია და ქვეტექსტი როგორც ნარატიული ფენომენი“, ნაჩვენებია, რომ მიუხედავად ზემოთ ხსენებული ორი თეორიული კომპლექსის - ვგულისხმობთ, არავერბალური კომუნიკაციის თეორიასა და თანამედროვე ნარატოლოგიას - ინტენსიური განვითარებისა, თანამედროვე ლინგვოკულტუროლოგიურად ორიენტირებული ნარატოლოგიის ფარგლებში ჯერ კიდევ არ ხდება მათი შესაძლო შინაგანი ურთიერთკავშირის გამოვლენა და ხაზგასმა, თუმცა, ჩვენი აზრით, სწორედ ამგვარი მიზნის ექსპლიციტური სახით ასახვას უნდა გულისხმობდეს თანმიმდევრულად გააზრებული თანამედროვე ინტერდისციპლინარული მეთოდოლოგია. მოცემულ თავში ანალიტიკურად განხილულია არავერბალური კომუნიკაციის მთელი არსებული თეორიული სპექტრი და დასმულია კითხვა იმის თაობაზე, თუ როგორ აისახება არავერბალური კომუნიკაციის ამ სპექტრის ფარგლებში გამოვლენილი ტიპოლოგია მხატვრულ ნარატიულ ქვეტექსტში;

მესამე თავში, რომლის სათაურია „არავერბალური კომუნიკაცია და ქვეტექსტური სიუჟეტი დ.ჯ.სელინჯერის ნარატიულ ციკლში“, როგორც სათაური გვიჩვენებს, ხდება სელინჯერისეული პროზით წარმოდგენილი თანამედროვე მოდერნისტული ნარატივის როგორც საკვლევი ემპირიული სინამდვილის ისეთი გაანალიზება, რომლის ძირითად და გადამწყვეტ თეორიულ საყრდენს, წინა თავებისგან

განსხვავებით, წარმოადგენს უკვე თანამედროვე ნარატოლოგია, კერძოდ კი, მისი როგორც სიუჟეტური, ისე კომუნიკაციური სტრუქტურა: სწორედ პერსონაჟთა შორის არავერბალურად მინიშნებული კომუნიკაციური პრობლემა, ანუ ის პრობლემა, რომელიც მოდერნიზმის კულტუროლოგიურ თეორიაში „არაკომუნიკაბელურობის“ ფენომენად იწოდება, ინტერპრეტირებულია ნარატივის კომუნიკაციურ ინსტანციათა გამიჯვნისა და ურთიერთკავშირების საფუძველზე.

თავი 1.

არავერბალური სიმბოლო და ქვეტექსტის ფენომენი თანამედროვე მოდერნისტულ ნარატივში

§1. არავერბალური კომუნიკაცია როგორც ფენომენი და პრობლემა. მისი მიმართება მხატვრული ნარატივის კვლევის პრობლემატიკასთან

როგორც ნაშრომის შესავალმა გვიჩვენა, ჩვენი კვლევის საგანი წარმოადგენს ისეთ მრავალგანზომილებიან ფენომენს, როგორცაა არავერბალური კომუნიკაცია და მასთან დაკავშირებული ნარატიული ქვეტექსტი, მაგრამ გამოვლინდა ამ მრავალგანზომილებიანობის ის პრობლემური შინაგანი სტრუქტურა, რომელიც მოიცავს შემდეგ ასპექტებს:

- ა) არავერბალური კომუნიკაცია, როგორც კვლევის საგანი აუცილებლად გულისხმობს ენობრივ-კულტურული სინამდვილის ისეთ განზომილებას, როგორცაა არავერბალური სემიოტიკა: ეს უკანასკნელი კი გარდუვალად უნდა წარმოადგენდეს სემიოტიკის როგორც შინაგანად ერთიანი ფენომენის ასპექტს. შესაბამისად, ჩვენი კვლევის ერთ-ერთ ფუძემდებელ მომენტს უნდა წარმოადგენდეს ერთის მხრივ, სემიოტიკის ვერბალურ და არავერბალურ ასპექტებს შორის იმ განსხვავებების და ზოგადად ურთიერთმიმართების განსაზღვრა, რომელიც „ არა მხოლოდ არ არის ჯერ აღწერილი სისტემატურად, არამედ წარმოადგენენ იმ სფეროს, რომელიც ჯერ კიდევ არ ქცეულა კვლევის საგნად.” (კრეიდლინი 2002: 6) მაგრამ მიგვაჩნია, რომ არ არის საკმარისი მიუყვითითოთ იმ არსებით თავისებურებაზე, რომლითაც ხასიათდება არავერბალური სემიოტიკა ვერბალურისგან განსხვავებით: როგორც შესაბამისი მეცნიერული ლიტერატურის თუნდაც ელემენტარული მიმოხილვით ვრწმუნდებით, მის ფარგლებში სისტემატური და თანმიმდევრული ურთიერთდაკავშირების გარეშე ფიგურირებს ორი განსხვავებული ნომინირებული თემა - „ არავერბალური სემიოტიკა” (სწორედ ასეთ სათაურებს ატარებს კრეიდლინის უკვე ციტირებული ნაშრომი) და „არავერბალური კომუნიკაცია” (ვგულისხმობთ მაურო კოცოლინოს შესაბამის მონოგრაფიას).

როგორც გამოყენებული ტერმინები გვიჩვენებენ, პირველ შემთხვევაში, ე. ი. როცა ლაპარაკია არავერბალურ სემიოტიკაზე იგულისხმება ნიშნობრიობის, როგორც ზოგადი ფენომენის გარკვეული ქვესისტემა, მეორე შემთხვევაში კი - ამ სისტემის ფუნქციონირება კომუნიკაციურ პროცესში. მაგრამ ისმის კითხვა: როგორ ხდება ამ შემთხვევაში სემიოტიკური სისტემის აქტუალიზაცია, ანუ მისი ტრანსპონირება შესაბამის, არავერბალურ დისკურსად და ტექსტად? ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, კითხვა ისმის მაქსიმალურად ზოგადი სახით, მაგრამ მიგვაჩნია, რომ ლოგიკურად პრობლემის ზოგად პლანში ხაზგასმა წინ უნდა უსწრებდეს კვლევას ნებისმიერ კონკრეტულ სფეროში და მით უმეტეს ისეთ სფეროში, როგორცაა მოდერნისტული ნარატივი;

ბ) ზემოთ დასმული კითხვა, ანუ კითხვა იმის თაობაზე თუ როგორ (რა სახით) ხდება არავერბალური სემიოტიკური სისტემის აქტუალიზაცია კომუნიკაციურ პროცესში, განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს იმ შემთხვევაში, როცა აქტუალიზაციის სფეროდ მიჩნეული მხატვრული ტექსტი, კერძოდ კი, მხატვრული ნარატივი. განსაკუთრებულ აქტუალობას დასმულ კითხვას ანიჭებს ის გარემოება, რომ ამ თვალსაზრისით, ანუ მხატვრულ-ვერბალურ ტექსტში არავერბალური კომუნიკაციის, როგორც მისი პოეტიკის განსაზღვრული ფაქტორის, მონაწილეობის თვალსაზრისით ხსენებული ფენომენი, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, საერთოდ არ არის გამოკვლეული და ეს არც უნდა იყოს გასაკვირი, თუ მივიღებთ მხედველობაში კრეიდლინის მონიგრაფიიდან უკვე მოყვანილ ციტატას. ამ ციტატის მიხედვით, არავერბალური სემიოტიკა ჯერ კიდევ არ არის სისტემატიზირებული და, თუ მივიღებთ მხედველობაში იმ საყოველთაოდ აღიარებულ ფაქტს, რომ მხატვრული ნარატივი წარმოადგენს კულტურის განუყოფელ ნაწილს, ხოლო, მეორეს მხრივ, იმ ფაქტსაც, რომ „ქესტები (როგორც არავერბალური სემიოტიკის სტრუქტურული ალემენტები - ე.ე) იცვლიან თავიანთ მნიშვნელობას როგორც გეოგრაფიულ და კულტურული სივრცის, ისე დროის მიხედვით” (კოცოლინო 2009: 28), ცხადი გახდება ჩვენი საკვლევი პრობლემის მნიშვნელობა ნარატოლოგიური თვალსაზრისით. როგორც ვნახავთ, სწორედ არავერბალური კომუნიკაცია (და, შესაბამისად, ამგვარი კომუნიკაციისთვის ფუძემდებელი არავერბალური სემიოტიკა) იძენს

მოდერნისტული მხატვრული ნარატივის პოეტიკის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორის ფუნქციას გარკვეულ ისტორიულ ეტაპზე;

გ) მაგრამ ჩვენი საკვლევი პრობლემის მრავალგანზომილებიანობა კიდევ უფრო ცხადი გახდება თუ მივიღებთ მხედველობაში ზოგადად მხატვრული ნარატივის და განსაკუთრებით მოდერნისტული მხატვრული ნარატივის ფარგლებში ისეთ ენობრივ ფენომენტა შინაგან ურთიერთკავშირს, როგორცაა ვერბალური სიმბოლო და ქვეტექსტი. სიმბოლოს, უფრო ზუსტად კი, სიმბოლურ ნომინაციას, როგორც მხატვრული ტექსტის არსებით ასპექტს, ისე ქვეტექსტს, როგორც ამგვარი ტექსტის პოეტიკის არანაკლებად არსებით ასპექტს, როგორც ცნობილია, სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მოდერნისტული ნარატივის კვლევისას. მაგრამ რა ტრანსფორმაციას უნდა განიცდიდეს ამ ორი ენობრივ-ტექსტობრივი ფენომენტის ურთიერთმიმართება იმ შემთხვევაში, როცა ვერბალური ნომინაციის პარალელურად და, რა თქმა უნდა, მასთან ორგანულ კავშირში ნარატიულ ტექსტში ფუნქციონირებს არავერბალური ნომინაცია? ბუნებრივია მივიჩნიოთ, რომ თვით გამოთქმა „არავერბალური ნომინაცია“ შეიცავს პარადოქსულობის გარკვეულ ელემენტს, მაგრამ, მეორეს მხრივ, სწორედ ამგვარი პარადოქსულობა უნდა მივიჩნიოთ იმ ახალ პრობლემად, რომელსაც ერთნაირი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს როგორც მხატვრული ნარატივის პოეტიკის კვლევისთვის, ისე ზოგადად არავერბალური სემიოტიკისთვის.

§2. ვერბალური და არავერბალური კომუნიკაცია, მათი ურთიერთმიმართების პრობლემა თანამედროვე ჰუმანიტარულ აზროვნებაში

წინა პარაგრაფში უკვე იყო ნათქვამი იმის შესახებ, რომ ზოგადი სემიოტიკისა და კომუნიკაციის ზოგადი თეორიის ფარგლებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს კომუნიკაციის ორი ტიპის - ვერბალური და არავერბალური ტიპების ურთიერთმიმართება. ითქვა ისიც, რომ მხატვრულ-ესთეტიკური ფენომენი, პირველ რიგში კი, იმ ფენომენტის ნარატიული ასპექტი, უნდა განვიხილოთ ხსენებული პრობლემის კვლევის ერთ-ერთ (და იქნებ განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე) სფეროდ. ჩვენს ძირითად პრობლემას, რა თქმა უნდა, წარმოადგენს სწორედ

არავერბალური კომუნიკაციის ფუნქცია და როლი მხატვრული ნარატივის ქვეტექსტური განზომილების სტრუქტურის ფარგლებში, ნარატივის ისეთი ისტორიული ტიპის ფარგლებში, როგორცაა მოდერნისტული ნარატივი თავისი განვითარების იმ ეტაპზე, რომელიც წარმოდგენილია ჯ. დ. სელინჯერის მიერ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩვენს კვლევით კონტექსტში არავერბალური კომუნიკაციის კვლევა, როგორც უკვე იქნა აღნიშნული, უნდა ატარებდეს ინტერდისციპლინარულ ხასიათს და ხორციელდებოდეს სამი დისციპლინის - ლინგვისტიკის, ლიტერატურათმცოდნეობის და კულტურის თეორიის მიჯნაზე. მაგრამ, ჩვენი აზრით, სწორედ კვლევის ამგვარი ინტერდისციპლინარულობა მოითხოვს, რომ არავერბალური კომუნიკაცია როგორც ენობრივ-კულტურული ხედვა ხდებოდეს იგივე ფენომენის ისეთი ხედვის ფონზე, როგორცაა მისი ხედვა ზოგადი სემიოტიკისა და კომუნიკაციის ზოგადი თეორიის ფარგლებში.

წინა პარაგრაფში გვქონდა ლაპარაკი არავერბალური კომუნიკაციის საკუთრივ სემიოტიკურ ასპექტზე და იქნა აღნიშნული, რომ არავერბალური კომუნიკაცია, ისევე როგორც კომუნიკაციის ნებისმიერი სხვა ვარიანტი, უნდა განიხილებოდეს როგორც პარადიგმატული სახით არსებული შესაბამისი სემიოტიკური სისტემის სინტაგმატიკური აქტუალიზაცია. დავუბრუნდებით, რა თქმა უნდა, პრობლემის იმ ასპექტს მაშინ, როცა კონცენტრირებული ვიქნებით იმის გამოვლენის მცდელობაზე, თუ რა მიმართებაა არავერბალური კომუნიკაციის ზოგად სემიოტიკასა და მხატვრულ ნარატიულ ტიპილოგიას შორის. მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ არავერბალური კომუნიკაციის კვლევა ჩვენს ნაშრომში უნდა ხორციელდებოდეს ნარატოლოგიური თვალსაზრისით, ნარატოლოგიის როგორც დისციპლინის თეორიულ საფუძველს კი წარმოადგენს მხატვრული სინამდვილის კომუნიკაციური ხედვა. საჭიროდ მიგვაჩნია, პირველ რიგში, იმის აღნიშვნა და გააზრება, თუ როგორ არის დანახული კომუნიკაციის თანამედროვე თეორიის ფარგლებში არავერბალური კომუნიკაცია ვერბალურ კომუნიკაციასთან მიმართების თვალსაზრისით. მიგვაჩნია, რომ არავერბალური კომუნიკაციის ნარატოლოგიური კვლევა უნდა ხასიათდებოდეს ხსენებული ფენომენის ზოგად-თეორიულ კვლევასთან ორმაგ და ურეთიერთშემავსებელ მიმართებაში - ერთის მხრივ, ნარატოლოგიურმა კვლევამ უნდა მოახდინოს არავერბალური კომუნიკაციის ზოგადთეორიული მოდელის

საკუთარ კვლევის სფეროში ტრანსპოზიცია და, შესაბამისად, დააფუძნოს კიდეც ამ მოდელის საკუთარი კვლევა, მეორეს მხრივ კი, მოახდინოს თვით ამ ფუძემდებელი მოდელის შინაგანი ტრანსფორმაცია შემდეგი თეზისის გათვალისწინებით: ნარატოლოგიური კვლევა შეუძლებელია კომუნიკაციის როგორც ერთიანი და შინაგანად განუყოფელი ფენომენის კულტურული განზომილების გარეშე. ეს კი სწორედ ის განზომილებაა, რომელიც საბოლოო ანგარიშში საფუძვლად უდევს კომუნიკაციის ნებისმიერ ტიპსა თუ სახეობას ადამიანურ სინამდვილეში.

ნათქვამიდან გამომდინარე, კვლევის ამ ეტაპზე მთავარია იმის აღნიშვნა, თუ როგორ ისმის კომუნიკაციის ზოგადი თეორიის ფარგლებში ვერბალურ და არავერბალურ კომუნიკაციათა ურეთიერთმიმართების პრობლემა, თუმცა ამჯერად ამ პრობლემის ხაზგასმულად პოზიტიურად გადაჭრის თვალსაზრისით - რადგან, როგორც ზემოთ ითქვა, სწორედ ამ პოზიტიურ პერსპექტივას უნდა დაეფუძნოს პრობლემისადმი ჩვენი ნარატოლოგიური მიდგომა.

სწორედ ამგვარ პრობლემურ კონტექსტში გვსურს დავეყრდნოთ მაურო კოცოლინოს უკვე ციტირებულ მონოგრაფიას, რადგან შემდგომ, ანუ კვლევის საკუთრივ ნარატოლოგიური ასპექტის განხორციელებისას, გამოვიყენებთ _ რა თქმა უნდა, მისი კრიტიკულ-ანალიტიკური განხილვის ფონზე _ არავერბალური კომუნიკაციის მის მიერ შემუშავებულ ტიპოლოგიურ სქემას. გამოვიყოფთ არავერბალური კომუნიკაციის როგორც პრობლემის პოზიტიური გადაჭრის მისეული მცდელობის შემდეგ სამ პოსტულატს (მართალია, თავად ავტორი არ იყენებს ტერმინ „პოსტულატს“, მაგრამ ჩვენ იგი აუცილებლად მიგვაჩნია მისი ნააზრევის პრობლემური თვალსაზრისით სისტემატიზაციისათვის):

ა) პირველი პოსტულატი ატარებს, ერთის მხრივ, ელემენტარულ, მაგრამ, ამავე დროს, ფუძემდებელ ხასიათს. ავტორი მიიჩნევს, რომ „საკმაოდ რთულია არავერბალური კომუნიკაციის კომპონენტთა მეცნიერული სისტემატიზაცია“ (კოცოლინო 2009: 8), ანუ, სხვანაირად რომ ვთქვათ, არავერბალური კომუნიკაცია უნდა მივიჩნიოთ იმ ფენომენად, რომლის ტიპოლოგიზაცია წარმოადგენს საკმაოდ რთულ კვლევით ამოცანს. მაგრამ, ჩვენი აზრით, ჩვენთვის მნიშვნელოვანი უნდა იყოს პირველ რიგში არა ამ სირთულეზე მითითება, რადგან სწორედ ეს მითითება შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ რაღაც ელემენტარული ფაქტის ხაზგასმად, არამედ იმის აღნიშვნა, რომ

ხსენებული სირთულე განპირობებულია არა მხოლოდ ობიექტურად, ანუ არავერბალური კომუნიკაციის ფორმათა და ამ ფორმებს შორის არსებულ მიმართებათა მრავალფეროვნებით, არამედ სუბიექტურადაც, ანუ ფენომენის ხედვის ცალმხრივობითაც: ავტორის აზრით „არავერბალურ კომუნიკაციას კვლავინდებურად განიხილავენ როგორც ვერბალური კომუნიკაციის დანამატს“, ვერბალური კომუნიკაცია კი მიჩნეულია „უფრო მნიშვნელოვანად“ (კოცოლინო 2009: 8);

ბ) მეორე პოსტულატი კი მდგომარეობს კვლევის იმ მიმართულების პოზიტიურ აღიარებაში, რომელიც გამიზნულია კომუნიკაციის შინაგანად ერთიან მთლიანურ ხედვაზე. მისი აზრით, სწორედ „ კვლევის „ეკოლოგიურ“ განზომილებასთან დაბრუნება განაპირობა კვლევაში მნიშვნელოვანი თეორიული და მეთოდოლოგიური პროგრესის მიღწევა“. (კოცოლინო 2009: 9) მაგრამ, ჩვენი აზრით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, თუ როგორ აკონკრეტებს ავტორი კომუნიკაციისადმი „ეკოლოგიური“ მიდგომის არსს. მას მიაჩნია, რომ კვლევის „ეკოლოგიურ“, ანუ კომუნიკაციის ფენომენის მთლიანურ ხედვაზე ორიენტირებული მოდელი უპირისპირდება იგივე ფენომენის ხედვის „ლინეალურ მოდელებს“. ამასთან დაკავშირებით იგი წერს: „ ვგულისხმობთ კომუნიკაციური პროცესის ფარგლებში მომხდარის ისეთ გაგებას, რომელმაც თანდათანობით განდევნა კომუნიკაციის ის „ლინეალური“ მოდელები, რომლებისთვისაც დამახასიათებელი იყო კომუნიკაციის კონტექსტისგან განყენებული ხედვა“ (კოცოლინო 2009: 9-10) მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ ავტორი შემდეგნაირად ასაბუთებს „ეკოლოგიური“ მოდელის უპირატესობას: „, იგი (ეს მოდელი) უფრო სრულად ითვალისწინებს როგორც პიროვნებათა შორის ურთიერთზემოქმედების სირთულეს, ისე კომუნიკაციის განსხვავებულ ფორმათა სირთულესაც.“ (კოცოლინო 2009: 9-10) ავტორი შემდეგნაირად სრულებს კომუნიკაციის „ეკოლოგიური“, ანუ არალინეალური გაგების სასარგებლოდ გამოთქმულ აზრს: „, სწორედ ამგვარი მიდგომის საფუძველზე გაჩნდა კომუნიკაციის პროცესის უფრო მთლიანური და კომპლექსური განხილვის აუცილებლობა.“ (კოცოლინო 2009: 9-10);

გ) მესამე პოსტულატად უნდა მივიჩნიოთ არავერბალური კომუნიკაციის როგორც პრობლემური ფენომენის ის მიმართება, რომელიც ავტორის აზრით უნდა

არსებობდეს ამ კვლევასა და ლიტერატურადმცოდნეობის კვლევას შორის, თუმცა მიგვაჩნია, რომ ავტორი ბოლომდე კონკრეტულად არ იყენებს ამ პოსტულატთან დაკავშირებულ ტერმინოლოგიას. როგორც უკვე ვიცით, არავერბალური კომუნიკაციის კვლევას ჩვენც ვაპირებთ ამ ფენომენისადმი ნარატოლოგიური მიდგომის საფუძველზე და ამიტომ აუცილებლად მიგვაჩნია კრიტიკულად მივუდგეთ ავტორის მიერ გამოთქმულ ფორმულირებებს. იგი წერს: „ამგვარი მეთოდოლოგიური მიდგომის (იგულისხმება „ლინეალური“ მიდგომა) გადალახვა შესაძლებელი გახდა ლიტერატურული მიდგომის საფუძველზე. მეცნიერული ანალიზის იმ მოდელებისგან განსხვავებით, რომლებიც განიხილავენ საკვლევ ობიექტს კონტექსტისგან დამოუკიდებლად, ნარატივი, როგორც სინამდვილის სიმბოლური ანალიზი, ყოველ მოქმედებას განიხილავს, როგორც სიტუაციურს.” (კოცოლინო 2009: 10) ვფიქრობთ, გაცილებით უფრო სწორი იქნებოდა ავტორს ელაპარაკა, ერთის მხრივ, არა ლიტერატურულ, არამედ ნარატოლოგიურ მიდგომაზე, მეორეს მხრივ კი, ეთქვა, რომ სინამდვილის სიტუაციურ ანალიზს ახდენს არა ნარატივი, არამედ ნარატოლოგია. ავტორის ნათქვამში ამგვარი კორექტივის შეტანის საფუძველს გვიქმნის, ჩვენი აზრით, ორი შემდეგი არგუმენტი: ა) თუ ვიყენებთ ტერმინ „ნარატივს“ ისეთი ტერმინის ნაცვლად, როგორიცაა „ეპიკური ლიტერატურული ნაწარმოები“, მაშინ ამ ტერმინოლოგიურ ინოვაციას უნდა ჰქონდეს თეორიული გამართლებაც. როგორც უკვე ვიცით, „ნარატივი“, როგორც ტერმინი ეკუთვნის ნარატოლოგიას, ხოლო ნარატოლოგია ეფუძნება მხატვრული შემოქმედების კომუნიკაციურ ხედვას; მეორეს მხრივ კი, უფრო სწორად უნდა მივიჩნიოთ იმის ხაზგასმა, რომ მართალია, ნარატივი, ავტორის სიტყვით, „სიმბოლურად ასახავს სინამდვილეს”,(კოცოლინო 2009: 10), მაგრამ, აუცილებლად მიგვაჩნია იმის ხაზგასმა, რომ სინამდვილის სიმბოლურ ანალიზს ახდენს უკვე ნარატოლოგია. მიუხედავად ჩვენს მიერ ამგვარად განხორციელებული კორექტივებისა, ჩვენი კვლევითი მიზნებისთვის მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ის ფაქტი, რომ ციტირებული ავტორი ხაზს უსვამს ნარატივში სიმბოლურად ასახული სინამდვილის მკითხველისეული რეცეფციის შესაძლებლობას: „მომხდარი ამბისა და პერსონაჟის ლიტერატურული ძალა მდგომარეობს იმაში, რომ მკითხველს შეუძლია მოახდინოს მათი ..რეკონსტრუქცია” საკუთარი ფსიქოლოგიური სამყაროს

ფარგლებში.” (კოცოლინო 2009: 10-11) ავტორი შემდეგი სიტყვებით ახდენს იმის რეზიუმირებას, რასაც ჩვენ არავერბალური კომუნიკაციის „ნარატოლოგიური ხედვა“ უნდა ვუწოდოთ: „უსასრულო ლიტერატურული სახელოსნო“ უამრავი მაგალითის საშუალებით გვიჩვენებს, რომ კომუნიკაცია შეიძლება იყოს განუყოფლად ვერბალურ-არავერბალური.”(კოცოლინო 2009: 11)

ვფიქრობთ, აუცილებელი იყო მ. კოცოლინოს, როგორც იმ ავტორის პოსტულატთა როგორც განხილვა და ისე კრიტიკული გაანალიზებაც, რომელმაც პირველმა მოახდინა არავერბალურ კომუნიკაციასთან დაკავშირებულ ფაქტთა სისტემატიზაცია. ჩვენი აზრით, განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს არავერბალური კომუნიკაციის კვლევის მის მიერ ფორმულირებული მეთოდოლოგიის შემდეგ ორ მომენტს:

ა) არავერბალური კომუნიკაცია უნდა აღვიქვათ და ვიკვლიოთ არა ცალმხრივად, ანუ მხოლოდ ლინეალურად, არამედ ვერბალურ კომუნიკაციასთან ორგანულ კავშირში (როგორც ვნახეთ, ავტორი ამ შემთხვევაში ლაპარაკობს არა ლინეალურ, არამედ „ეკოლოგიურ“ მეთოდოლოგიაზე);

ბ) ავტორი მიიჩნევს, რომ არავერბალური კომუნიკაციის ამგვარი, ანუ არალინეალურ-ეკოლოგიური კვლევის უპირატეს სფეროდ უნდა მივიჩნიოთ ნარატივი. სხვანაირად – და, ალბათ, უფრო ადეკვატურადაც – თუ ვიტყვით, ავტორის მიერ შემოთავაზებული „ეკოლოგიური“ კვლევის მოდელი გამოყენებულ უნდა იქნას, პირველ რიგში, ნარატოლოგიური ანალიზის დროს.

შეიძლება ითქვას, რომ მოცემული პარაგრაფის ფარგლებში, სახელდობრ, მ. კოცოლინოს ნააზრევის რეფერირებისა და ანალიზის დროს მოხდა ჩვენს მიერ ნაშრომის შესავალში ხაზგასმულ პრობლემათა ერთ კონტექსტში „შეხვედრა-გაერთიანება“, ანუ მოხდა ის, რისი აქცენტირებაც აუცილებლად უნდა მივიჩნიოთ შემდეგი გარემოების გამო: მოდერნისტული ნარატივის, სახელდობრ, სელინჯერისეული ნარატივის ანალიზის პროცესში დავეყრდნობით სწორედ არავერბალური კომუნიკაციის მ. კოცოლინოს მიერ შემოთავაზებულ ტიპოლოგიას. მაგრამ, ამავე დროს აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ხსენებული „შეხვედრა-გაერთიანება“ ატარებდა იმპლიციტურ ხასიათს და, შესაბამისად, საჭიროებს სათანადო ექსპლიციტურობას. ვფიქრობთ, სწორედ წინა პარაგრაფში იმპლიციტურად

მოცემული პრობლემატიკის თანმიმდევრული ექსპლიკაცია უნდა იქცეს ნაშრომის პირველ თავში განსახორციელებელი იმ მსჯელობის საფუძველად, რომლის მიზანია ჩვენი კვლევის თეორიულ და მეთოდოლოგიურ საფუძველთა დაკონკრეტება და გაღრმავება. რაც შეეხება ხსენებული ექსპლიკაციის სტრუქტურას იგი უნდა მოიცავდეს შემდეგ ასპექტებს:

ა) როგორც ვნახეთ, ციტირებული ავტორისთვის მხატვრული ნარატივი წარმოადგენს სინამდვილის სიმბოლურ ხატს, მაგრამ, როგორც გვახსოვს, უკვე შესავალში ხაზგასმული იყო ჩვენი კვლევითი მიზნის შემდეგი ასპექტი – არავერბალურ კომუნიკაციას ვიკვლევთ როგორც ნარატიული ქვეტექსტის შექმნის სიმბოლურ საშუალებას. აქედან გამომდინარე აუცილებელი უნდა იყოს იმის ხაზგასმა, რომ არავერბალური კომუნიკაციის ამგვარი როლის გაგება და მისი ამ გაგებაზე დაფუძნებული ანალიზი უნდა ეყრდნობოდეს ზოგადი სიმბოლოლოგიის ძირითად პრინციპებს: როგორც არ უნდა იყოს ამა თუ იმ ტიპის ნარატივის ფარგლებში არავერბალური კომუნიკაციის სიმბოლური ფუნქცია, ამ ფუნქციის ჩვენეული ხედვა უნდა ეფუძნებოდეს სიმბოლოს როგორც ზოგადესთეტიკური ფენომენის ფუძემდებელ ხედვას;

ბ) როგორც შესავალში ითქვა და, ამავე დროს, დაკონკრეტდა ციტირებული ავტორის განხილვისას არავერბალური კომუნიკაციის ფუნქციური არსის ანალიზს ვახდენთ ნარატივის ფარგლებში და სწორედ მისი ასეთი ანალიზი უნდა იქცეს კომუნიკაციის ვერბალურ და არავერბალურ ასპექტთა სინთეზური („ეკოლოგიური“) განხილვის საფუძველად, მაგრამ, ამავე დროს, ვფიქრობთ, აუცილებელია მთელი ჩვენი ნარატოლოგიური დისკურსით იმპლიცირებული იმ მომენტის ხაზგასმა, რომ ჩვენი კვლევითი კონტექსტის ფარგლებში საქმე გვაქვს ნარატივის განსაკუთრებულ ტიპთან, სახელდობრ, ვერბალურ ნარატივთან. ერთი შეხედვით, შეიძლება შეიქმნას შთაბეჭდილება, რომ არ იყო აუცილებელი ჩვენს მიერ გასაანალიზებელი ნარატივის ვერბალური ხასიათის ხაზგასმა, რადგან ჩვენთვის ჩვეული ინერციის გამო ნარატივის ცნებით ადვილად შეგვიძლია ვიგულისხმოთ მხატვრული სინამდვილის ის სფერო, რომელიც თავისი მოცულობითა და სტრუქტურით ემთხვევა ტრადიციული ლიტერატურათმცოდნეობის ისეთ ტერმინს, როგორცაა „ეპიკური გვარი“, მაგრამ საქმე ისაა, რომ თანამედროვე ნარატოლოგია (რომელიც, როგორც უკვე ვიცით,

წარმოადგენს ზოგადად მხატვრული შემოქმედების კომუნიკაციური ხედვის შედეგს) თავის განხილვისა და კვლევის სფეროდ მიიჩნევს „ყველა იმ ნაწარმოებს (და არა მხოლოდ ვერბალურ ნაწარმოებს), რომლებიც თავისი შინაარსით გადმოსცემენ ამა თუ იმ მდგომარეობის ცვლილებას... ნარატივებს განეკუთვნება არა მხოლოდ რომანი და მოთხრობა, არამედ პიესა, კინოფილმი, ბალეტი და ა.შ. ანუ ყოველი ის ნაწარმოები, რომელთა გამოხატვის ობიექტი ხასიათდება ტემპორალური სტრუქტურით და, შესაბამისად, იგულისხმება სიტუაციის ესა თუ ის ცვლილება” (შმიდი 2008: 14-15) აქედან გამომდინარე, არ უნდა მივიჩნიოთ, რომ დაკონკრეტების ზემოთ ხაზგასმული მომენტი, სახელდობრ, ის, რომ კვლევის პროცესში საქმე გვექნება ვერბალურ ნარატივთან, შეიძლება ატარებდეს შემთხვევით და არა არსებით ხასიათს: ჩვენი კვლევითი მიზნების მიხედვით საქმე უნდა გვექონდეს არა ზოგადად სიმბოლოსთან, არამედ ვერბალურ სიმბოლოსთან (უფრო სწორედ კი ამგვარ სიმბოლოთა სემანტიკურად სპეციფიკურ კომპლექსთან), ანუ სიტყვიერ სიმბოლოსთან. სიმბოლოს ამგვარი ტიპი კი გარდუვალად უნდა უკავშირდებოდეს სიტყვის იმ ზოგად ფუნქციას, რომელსაც ლინგვისტურად „ნომინაციის ფუნქცია” ეწოდება. შესაბამისად, ყველა იმ შემთხვევაში, როცა სიტყვა ვერბალური ტექსტის ფარგლებში იძენს სიმბოლურ ფუნქციას საქმე უნდა გვექონდეს „სიმბოლურ ნომინაციასთან”; ეს კი იმას ნიშნავს, რომ არავერბალური კომუნიკაციის ნარატოლოგიური ანალიზი გარდუვალად უნდა ეფუძნებოდეს სიმბოლური ნომინაციის დღეისთვის არსებულ კონცეფციას, თუმცა, რა თქმა უნდა, ამავე დროს უნდა წარმოადგენდეს ამ კონცეფციის შემდგომი გაღრმავების ეტაპს. რა კონკრეტული შინაარსით უნდა ხასიათდებოდეს სიმბოლური ნომინაციის ფენომენი ისეთი ნარატივის ფარგლებში, რომლის ქვეტექსტი იქმნება სწორედ ამგვარი ნომინაციის შედეგად?

ქვემოთ, რა თქმა უნდა, შევეცდებით გავცეთ პასუხი ამ კითხვაზე, მაგრამ სანამ შევუდგებით მასზე თანმიმდევრულად პასუხის გაცემას, ხაზი გავუსვათ თვით მოცემული კითხვის ტერმინოლოგიურ-კონცეპტუალურ სტრუქტურას: ეს სტრუქტურა ფაქტობრივად იმეორებს ყველა იმ პარაგრაფის ერთობლივ სტრუქტურას, რომლებიც ნაშრომის შესავლის ჩათვლით წინ უსწრებდნენ მოცემულ პარაგრაფს. როგორც გვახსოვს, მთელი ეს „სივრცე” დავახასიათეთ როგორც ჩვენს

კვლევით მიზნებთან დაკავშირებულ ტერმინ-კონცეპტთა „შეხვედრის“ სივრცე, მაგრამ, ამავე დროს ითქვა ისიც, რომ აღნიშნული „შეხვედრა“ ატარებდა იმპლიციტურ ხასიათს - იმპლიციტურს იმდენად, რამდენადაც ჯერ არ ყოპილა მთელი სიცხადით გამოკვეთილი იმ სივრცის საშუალებით ჩვენი კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიური ვექტორი. აქედან გამომდინარე, რომ მოცემული თავის ფარგლებში ჩვენი მთავარი მიზანი უნდა მდგომარეობდეს სწორედ ამ ვექტორის განსაზღვრაში, შეგვიძლია აღვიქვათ ზემოთ დასმული კითხვა როგორც იმპლიციტურობის ისეთი ლაკონური სახით გამოხატვა, რომელზე პასუხიც უნდა წარმოადგენდეს ხსენებული იმპლიციტურობის ექსპლიკაცია. მაგრამ, როგორც ზემოთ უკვე იქნა მინიშნებული, ამგვარ ექსპლიკაციას უნდა ჰქონდეს თავისი სტრუქტურა და ეს სტრუქტურა უნდა იქნეს წარმოდგენილი ურთიერთდაკავშირებული ეტაპების სახით. სხვანაირად რომ ვთქვათ, მოცემულ ეტაპზე უნდა განვახორციელოთ იმ ჩვენი კვლევითი მიზნის უკვე სხვა, ანუ კონცეპტუალურად უფრო გააზრებულ დონეზე ფორმულირება, რომელიც შესავალში სხვა ფორმითა და შინაარსით უკვე იყო წარმოდგენილი.

§ 3. ძირითადი საყრდენი კონცეპტუალური სფეროები: კვლევითი ვექტორის ეტაპობრივი სტრუქტურა

თუ თანმიმდევრულად გავითვალისწინებთ ყოველივე ზემოთ ნათქვამს, აქამდე იმპლიციტურად წარმოდგენილი კვლევითი ჩანაფიქრის ექსპლიკაციას უნდა ჰქონდეს ეტაპობრივი სტრუქტურა. გამოვყოთ ჩვენი კვლევითი მიზნით განპირობებული ექსპლიკაციის შემდეგი სამი ძირითადი ეტაპი – შეიძლება ითქვას მაკრო ეტაპი (ვიყენებთ ისეთ ტერმინს, როგორც „მაკრო ეტაპი“ იქედან გამომდინარე, რომ ყოველი გამოსაყოფი ძირითადი ეტაპიც, თავის მხრივ, შეიძლება შეიცავდეს ცალკეულ შინაარსობრივად სპეციფიკურ „მიკრო ეტაპს“.) როცა ვლაპარაკობთ „მაკრო ეტაპზე“, ამით გვსურს გამოკვეთოთ სწორედ იმ თეორიულ-მეთოდოლოგიური ვექტორის შინაარსი, რომლის შესახებ ზემოთ გვქონდა მსჯელობა.

გამოყოფთ ჩვენი კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიური ვექტორის შემდეგ სამ კონცეპტუალურ სფეროს: ა)ზოგადი სიმბოლოლოგია; ბ)ნარატოლოგია; გ)ქვეტექსტის თეორია.

ზემოთ ხსენებული ექსპლიკაციის პირველ და აუცილებელ ეტაპად უნდა მივიჩნიოთ, ალბათ, იმის აღნიშვნა, თუ რას გვეუბნება ზოგადად სიმბოლოს შესახებ ზოგადი სიმბოლოლოგია. ზოგად სიმბოლოლოგიას მივმართავთ არავერბალური კომუნიკაციის, როგორც პრობლემის მთელი იმ სირთულის გათვალისწინებით, რომლის შესახებ ლაპარაკობს თანამედროვე სემიოტიკა და რომელიც კონკრეტული სახით გამოვლინდა უკვე ციტირებული ავტორის მ. კოცოლინოს სამი „პოსტულატის“ განხილვისას. მიგვაჩნია, რომ იმ შემთხვევაში, როცა ერთმანეთს ვუკავშირებთ ისეთ კონცეპტებს, როგორცაა, ერთის მხრივ, ვერბალური სიმბოლო, მეორეს მხრივ კი - ნარატიული ქვეტექსტი ამგვარ დასახელებას თეორიული საფუძველი უნდა ჰქონდეს ხსენებულ კონცეპტთა თეორიაში. ამავე დროს, დროა უკვე მივუთითოთ მხატვრული ვერბალური ნარატივის იმ ტიპზე, რომლის სტრუქტურაში, ჩვენი აზრით, განსაკუთრებული რელიეფურობით იკვეთება ჩვენი კვლევის თემა და პრობლემა - არავერბალური კომუნიკაციის ის ფუნქცია, რომელიც მდგომარეობს ამ ნარატივის ქვეტექსტურ სემანტიკაზე მინიშნებაში. თუ დავაკონკრეტებთ ნარატივის ხსენებულ ტიპს ეს არის დ.ჯ.სელინჯერის „მცირე პროზა“, რომლის ადეკვატური რეცეფცია მოითხოვს ესთეტიკურ-კულტუროლოგიურ და საკუთრივ ნარატოლოგიურ მიდგომათა სინთეზს. სწორედ ჩვენი კვლევის ფარგლებში საქმე გვაქვს როგორც კვლევითი პარადიგმის, ისე საკვლევი ობიექტის განსაკუთრებულ სირთულესთან. საჭიროდ მიგვაჩნია ზოგადი და სქემატური სახით მაინც შევჩერდეთ იმ ტერმინ-კონცეპტზე, რომელიც ერთნაირად ფუძემდებელია როგორც ზემოთ ხსენებული კვლევითი პარადიგმისთვის, ისე კვლევის ობიექტისთვის - გვიანდელი მოდერნისტული ნარატივის შემქმნელისთვის. ეს ტერმინი-კონცეპტია სწორედ სიმბოლო იმ თავისი ზოგადი მნიშვნელობით, რომლის დაკონკრეტებასაც გარდუვალად უნდა წარმოადგენდეს ნებისმიერი ვერბალური სიმბოლო - სულ ერთია რჩება მისი სემანტიკა ვერბალურ დონეზე თუ თავის სემანტიკურ სიღრმეში შეიძენს

არავერბალურ კომუნიკაციაზე თუ, პირიქით, არაკომუნიკაბელურობაზე მინიშნების ფუნქციას.

როგორც ს. ავერინცევი ამბობს: „სიმბოლო წარმოადგენს ისეთ უნივერსალურ ესთეტიკურ კატეგორიას, რომლის არსი ყველაზე უკეთესად იქნება გამოკვეთილი, თუ მას შვეუპირისპირებთ ისეთ მოსაზღვრე კატეგორიებს, როგორცაა, ერთის მხრივ, ხატი, მეორეს მხრივ კი - ნიშანი...” (შმიდი 2008: 126) რაც შეეხება სიმბოლოს, როგორც ხატისა და ნიშნის ფუნქციათა მატარებელ ფენომენს, მის სპეციფიკას ავტორი აკონკრეტებს შემდეგნაირად: „სიმბოლოს სტრუქტურაში საგნობრივი ხატი და სიღრმისეული მნიშვნელობა გვევლინება როგორც ერთი მეორისგან განუყოფელი ორი პოლუსი.” (შმიდი 2008: 126) მაგრამ ჩვენი კვლევითი კონტექსტისათვის მნიშვნელოვანი, ჩვენის აზრით, არა მხოლოდ იმის თქმა, თუ რას წარმოადგენს სიმბოლო და როგორია მისი სიღრმისეული სტრუქტურა, არამედ ისიც, თუ როგორ უნდა ხდებოდეს სიმბოლოს ადეკვატური აღქმა. ავტორის სიტყვით „სიმბოლოს სტრუქტურა ხასიათდება მასში მრავალი შრის არსებობით და ამიტომ აღმქმელისგან მოითხოვს აქტიურ შინაგან ძალისხმევას.” (შმიდი 2008: 127) სწორედ სიმბოლოს, როგორც ფენომენის რეცეფციის პრობლემის სპეციფიკაზე მიანიშნებს ავტორის შემდეგი დასკვნითი გამონათქვამი: „სიმბოლოს ინტერპრეტაცია არის ცოდნის არსებითად დიალოგიური ფორმა.” (შმიდი 2008: 127) თუ გვსურს არა მხოლოდ მივუთითოთ იმ არსზე და სტრუქტურაზე, რომლის შესახებ გველაპარაკება ზოგადი სომბოლოლოგია, არანედ თავიდანვე გავუსვათ ხაზი ზემოთ ნათქვამის მნიშვნელობას ჩვენი კვლევისთვის საკმარისია გავამახვილოთ ჩვენი ყურადღება სიმბოლოს რეცეფციასთან დაკავშირებულ ბოლო თეზისზე, სახელდობრ, იმაზე, რომ სიმბოლოს ინტერპრეტაცია უნდა ატარებდეს დიალოგის ხასიათს. მაგრამ როგორ უნდა იქნეს გაგებული ეს დიალოგი იმ შემთხვევაში თუ საქმე გვაქვს ვერბალურ სიმბოლოსთან ნარატივის, როგორც განსხვავებული დონის კომუნიკაციურ ინსტანციათა მქონე ფენომენთან და, რაც მთავარია, იმ შემთხვევაში თუ ნარატივის ადეკვატური რეცეფციისთვის გვიხდება სწორედ ქვეტექსტთან დაკავშირებულ სიმბოლოთა ინტერპრეტაცია? როგორც ცნობილია, ნებისმიერი დიალოგი გულისხმობს ორ მხარეს - დიალოგის ორ მონაწილეს რომელია ნარატივის ის კომუნიკაციური ინსტანციები, რომელთა შორის დიალოგი უნა წარმოადგენდეს ამ

სიმბოლოთა ინტერპრეტაციას? და თუ ჩვენი კვლევითი ინტერესის კონცენტრირებას მოვახდენთ სიმბოლოს (ამ შემთხვევაში ვერბალურ სიმბოლოს) ვერბალურ ანუ ენობრივ ასპექტზე, მაშინ, ბუნებრივია, ბოლომდე გამოიკვეთება ჩვენი კვლევის ლინგვისტური ასპექტის მთელ მნიშვნელობაც.

რა თქმა უნდა, სიმბოლოს როგორც ფენომენის იმ ზოგადი, ანუ სიმბოლოლოგიურად განმარტებული არსის მთელი მნიშვნელობა ჩვენი კვლევისთვის ბოლომდე გასაგები გახდება მხოლოდ მაშინ, როცა ანალიზის უშუალო ობიექტად ვაქცევთ ზემოთ ხსენებულ მოდერნისტულ ნარატივს. მაგრამ, იმისთვის, რომ გასაგები გახდეს ჩვენი კვლევის ყველა ეტაპი (ანუ წინა პარაგრაფებით ნაგულისხმევი შინაარსის ექსპლიკაციის სტრუქტურა), აუცილებლად მიგვაჩნია უკვე ამ ეტაპზე გამოვთქვათ **კვლევითი ჰიპოთეზა** იმ სიმბოლოლოგიურ თეზისთან დაკავშირებით, რომელიც გულისხმობს სიმბოლოს დიალოგური წვდომის აუცილებლობას. რას შეიძლება ნიშნავდეს ეს თეზისი ზოგადად ნარატივთან, კერძოდ კი ისეთ ნარატივთან მიმართებაში, რომლის ფარგლებში სწორედ ქვეტექსტი ასრულებს ძირითად როლს? ეს ის კითხვაა, რომელზეც, ჩვენი აზრით, პასუხი უნდა გაეცეს თანამედროვე ნარატოლოგიის იმ პრინციპზე დაყრდნობით, რომლის მიხედვით მხატვრული სინამდვილე ზოგადად, კერძოდ კი მხატვრული ნარატივი ინტერპრეტირებული უნა იქნას **კომუნიკაციურ პარადიგმაზე** დაყრდნობით. სწორედ ამ თვალსაზრისით ხაზი უნდა გაესვას ნარატოლოგიის შემდეგ ძირითად დებულებებს: „1) ლიტერატურის ბუნება უნდა გაგებულ იქნას, როგორც კომუნიკაციური ფენომენი; 2) მხატვრული კომუნიკაციის აქტი უნდა წარმოვიდგინოთ როგორც პროცესი, რომელიც ხდება ერთდროულად რამდენიმე თხრობით დონეზე.” (ილინი 2001: 609) ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ გამოიყოფა ძირითადად ორი კომუნიკაციური ინსტანცია – ავტორი-მკითხველი (უფრო ზუსტად კი მთხრობელი-მკითხველი) და პერსონაჟი-პერსონაჟი. შესაბამისად, უკვე კვლევის ამ ეტაპზე, ე.ი. სანამ გავანალიზებთ ვერბალური და არავერბალური სიმბოლიკის როლს მოდერნისტული ნარატივის სტრუქტურაში, შეგვიძლია დავსვათ კითხვა: როგორ უნდა იქნას მსგავს შემთხვევებში, ე.ი. მოდერნისტული ნარატივის ქვეტექსტური სემანტიკის კვლევის შემთხვევაში, ზოგად-სიმბოლოლოგიური თეზისი სიმბოლოს დიალოგური გააზრების თაობაზე? რომელია ის კომუნიკაციური

ინსტანციები, რომელთა შორის უნდა ვიგულისხმოთ დიალოგი მსგავს შემთხვევებში? შეიძლება, ალბათ, ითქვას აპრიორი სამ თეორიულ შესაძლებლობაზე: 1) ქვეტექსტური სემანტიკის ინტერპრეტაცია გულისხმობს დიალოგს მთხრობელსა და მკითხველს შორის; 2) ინტერპრეტაციის იგივე აქტი გულისხმობს დიალოგს პერსონაჟთა შორის და 3) დიალოგი ამ შემთხვევაში უნდა წარმოადგენდეს ორივე წინა ვარიანტის სინთეზს, ე.ი. ამ შემთხვევაში საქმე უნდა გვექონდეს შინაგანად მრავალსუბიექტურ და მრავალვექტორულ დიალოგთან, მაგრამ როგორ უნდა წარმოვიდგინოთ კონკრეტულად ხსენებული სინთეზი და როგორ უნდა დავუკავშიროთ ერთმანეთს მაინტერპრეტირებელი დიალოგის ფარგლებში განსხვავებული კომუნიკაციური ინსტანციები? რა თქმა უნდა, ამგვარად დასმული კითხვა წარმოადგენს ჩვენს მიერ ზემოთ გამოთქმული ჰიპოთეზის ასპექტს და მასზე ადეკვატური პასუხის გაცემა შესაძლებელი იქნება მაშინ, როცა მოხდება აპრიორულად გამოთქმული ჰიპოთეზის ანალიტიკური ვერიფიკაცია, მაგრამ მიგვაჩნია, რომ ჩვენს მიერ გამოთქმული ჰიპოთეზის კვლევითი მნიშვნელობა სცილდება თვით ნარატოლოგიის ფარგლებსაც და გულისხმობს პრობლემურ კავშირს თანამედროვე აზროვნების ისეთ ფენომენტთან, როგორცაა რეცეფციული ესთეტიკა. იქიდან გამომდინარე, რომ ჩვენი კვლევის ძირითად ობიექტს, ანუ არავერბალურ კომუნიკაციას ვუკავშირებთ მხატვრული დისკურსის ისეთ ტიპს, როგორცაა ნარატოლოგიური დისკურსი, საჭიროდ მიგვაჩნია არა მხოლოდ ვახსენოთ ამგვარად გაგებული არავერბალური კომუნიკაციის კავშირი რეცეფციულ ესთეტიკასთან, არამედ გავიაზროთ კიდევ ეს კავშირი უფრო ფართოდ, სახელდობრ კი, ჰუმანიტარული აზროვნების არსზე დაყრდნობით. სწორედ ამასთან დაკავშირებით გვსურს მოვიყვანოთ ზემოთ ციტირებული ავტორის აზრი. იგი საშუალებას მოგვცემს გავიგოთ რეცეფციული ესთეტიკა ისეთი სიღრმით, რომელიც, ჩვენი აზრით, აუცილებელია თანამედროვე მოდერნისტული ნარატივის ადეკვატური აღქმისთვის: თუ ზუსტი მეცნიერება შეიძლება დახასიათდეს, როგორც ცოდნის მონოლოგიური ფორმა (ინტელექტი აღიქვამს საგანს და გამოთქვამს აზრს მის შეახებ), სიმბოლოს აღქმა და განმარტება, პირიქით, წარმოადგენს ცოდნის დიალოგიურ ფორმას: სიმბოლოს საზრისი რეალურად არსებობს მხოლოდ ადამიანური ურთიერთობისთვის, ანუ დიალოგის სიტუაციაში, ხოლო ამ სიტუაციის გარეშე

შეიძლება ვილაპარაკოთ მხოლოდ სიმბოლოს ცარიელ ფორმაზე. როცა ვიკვლევთ სიმბოლოს ჩვენ არა მხოლოდ ვახორციელებთ მის ანალიზს, ადვიტყვამთ მას როგორც ობიექტს, არამედ ვაძლევთ მის შემქმნელს (ჩვენს შემთხვევაში ნარატივის ავტორს) მას იმის საშუალებას, რომ ამავდროულად ახდენდეს ჩვენსკენ აპელირებას და იყოს ჩვენი აზროვნების პარტნიორი. რატომ იყო აუცილებელი რეცეფციული ესთეტიკის არა მხოლოდ ხსენება, არამედ მისი ამგვარად გაღრმავებულ გაგება? როცა უფრო საფუძვლიანად შევეხებით არავერბალური კომუნიკაციის თანამედროვე თეორიას, პირველ რიგში კი, ამ თეორიის ისეთი წარმომადგენლის ნააზრევს, როგორცაა მ. კოცოლინო, დავინახავთ, რომ არავერბალური კომუნიკაციის ფუნქციური არსის პრობლემა არსებითად უკავშირდება ნარატოლოგიის თანამედროვე ამოცანებს. მაგრამ, ამავე დროს, ცხადი ხდება ისიც, რომ ჯერ-ჯერობით სახეზეა ამ ორ სფეროს_ არავერბალური კომუნიკაციისა და ნარატოლოგიის - შორის არსებული კავშირის მხოლოდ მინიშნება. ჩვენი მიზანი კი მდგომარეობს იმაში, რომ რეალურად დავუკავშიროთ არავერბალური კომუნიკაცია როგორც თანამედროვე ნარატივის არსებითი კომპონენტი დიალოგურად გააზრებულ რეცეფციულ ესთეტიკას.

ზემოთ გამოთქმული ჰიპოთეზის ფონზე უფრო გასაგები უნდა იყოს ის შინაგანი კავშირი, რომელიც უნდა ვიგულისხმოთ ვერბალურ მხატვრულ ნარატივთან დაკავშირებულ ისეთ ფენომენებს შორის, როგორცაა ერთის მხრივ ვერბალური სიმბოლო, მეორეს მხრივ კი ნარატიული ქვეტექსტი. იმისთვის, რომ ხსენებული შინაგანი კავშირი ბოლომდე გასაგები იყოს, შევაჩეროთ ჯერ ჩვენი ყურადღება ისეთ ფენომენზე, როგორცაა ზოგადად ვერბალური სიმბოლო. ამ ფენომენის, ანუ ზოგადი გაგებით ვერბალური სიმბოლოს მნიშვნელობა ჩვენი კვლევითი კონტექსტისთვის მნიშვნელოვანია შემდეგი ორი მოსაზრების გამო: ა) როგორც ცნობილია, უკვე ამ დონეზე აღინიშნება შინაანარსობრივი კავშირი ვერბალურ სიმბოლოსა და ნარატიულ ქვეტექსტს შორის და თუ გვსურს მივაღწიოთ ამ კავშირის უფრო ღრმა გაგებას არავერბალური კომუნიკაციის განხილვის გზით, აუცილებელია მთლიანად იქნას გათვალისწინებული „ჩვეულებრივი“, ანუ ვერბალურ და არავერბალურ კომუნიკაციასთან დაკავშირებული ქვეტექსტი;

ბ) რაკი არავერბალური კომუნიკაციის ფენომენს ვიკვლევთ ვერბალური ნარატივის ფარგლებში, ხოლო არავერბალური კომუნიკაცია - იმდენად, რამდენადაც იგი

არსებობს ნარატივის ფარგლებში - უნდა გამოიხატებოდეს ვერბალური ფორმით, უნდა არსებობდეს(და, ალბათ, არსებობს კიდეც) სტრუქტურულ-ფუნქციური მემკვიდრეობითობა ამ ორ ხსენებულ ფენომენს შორის.

ზემოთ ნათქვამი კი აუცილებლად გულისხმობს შემდეგს: სანამ უფრო საფუძვლიანად შევხებით არავერბალურ კომუნიკაციას და, შესაბამისად, არავერბალურ სემიოტიკასაც, აუცილებელია შევხებით იმ სიმბოლურ ფენომენს, რომელთანაც ნარატივის ფარგლებში დაკავშირებულია სამი თვალსაზრისით - გენეტიკურად, ფუნქციურად და სტრუქტურულად. ეს ის ფენომენია, რომელიც იწოდება „ვერბალურ სიმბოლოდ” და რომელიც, თავის მხრივ, გენეტიკურად, ფუნქციურად და სტრუქტურულად უკავშირდება მხატვრულ დეტალს. აქედან გამომდინარე, იმისთვის, რომ წარმოვიდგინოთ არავერბალური კომუნიკაცია მთელი მისი სტრუქტურული და ფუნქციური „ნარატიული დატვირთვით”, აუცილებლად მიგვაჩნია მოვახდინოთ იმ გენეტიკური (მემკვიდრეობითი) კავშირის თანმიმდევრული ექსპლიკაცია, რომელიც ზემოთ განვითარებული მსჯელობიდან გამომდინარე უნდა არსებობდეს, ერთის მხრივ, მხატვრულ დეტალსა და, მეორეს მხრივ, არავერბალურ სიმბოლოს შორის. ვერბალური მხატვრული დეტალის და, შესაბამისად, ვერბალური სიმბოლოს ურთიერთმიმართების განხილვისას დავეყრდნობით ნინო მატარაძის სადისერტაციო ნაშრომს, თუმცა, ამავე დროს, აღნიშნავს იმასაც, რომ, როგორც დეტალის, ისე სიმბოლოს განხილვისას იგი თავის მხრივ ეყრდნობა ვ. კუხარენკოს კონცეფციას, ფორმულირებულს მის მონოგრაფიაში „ტექსტის ინტერპრეტაცია.” როგორც ხსენებულ ნაშრომზე, ისე ზოგადად ლიტერატურათმცოდნეობაზე დაყრდნობით ნ. მატარაძე გამოყოფს „მხატვრული დეტაილს ორ კონცეფციას, რომელთაგან ერთს სტატიკურ-პლურალისტურს, ხოლო მეორეს დინამიკურ-სინგულარისტულს უწოდებს.”(მატარაძე 2005: 6-7) ავტორი შემდეგნაირად აკონკრეტებს განსხვავებას დეტალის ზემოთ მინიშნებულ ორ სახეობას შორის: „სინგულარისტულ-დინამიკური კონცეფციის თანახმად ტექსტთან მიმართებაში არა დეტალთა სიმრავლე, არამედ ერთი დეტალი, რომელიც სათავეს სიტყვისგან იღებს და ტექსტში გამეორების შედეგად ჯერ დეტალად, ხოლო შემდეგ სიმბოლოდ გარდაიქმნება. (მატარაძე 2005: 7) სწორედ სიტყვის, როგორც ამოსავალი ერთეულის ამგვარ გარდაქმნათა განხილვის საფუძველზე ავტორი გვთავაზობს

მთელი ხსენებული პროცესის გარეზიუმირებულ მოდელს: „სიტყვა - დეტალი - სიმბოლო.“ (მატარაძე 2005: 7) ვფიქრობთ, მთელი ჩვენი შემდგომი კვლევისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ხსენებულ მოდელზე დაფუძნებულ შემდეგ მსჯელობას: „აღსანიშნავია, რომ მოდელის ყოველი შემდგომი წევრი ინარჩუნებს, და, ამასთან, გარდაქმნის წინა ერთეულის ნიშან-თვისებას.“ (მატარაძე 2005: 7) რატომ უნდა მივანიჭოთ ავტორის ამ მსჯელობას განსაკუთრებული მნიშვნელობა? იმიტომ, რომ იგი (მსჯელობა) შინაარსობრივად მთლიანად შეესაბამება ზემოთ ფორმულირებულ თეზისს, რომლის თანახმად ჩვენი მიზანია მოვახდინოთ იმ გენეტიკური კავშირის თანმიმდევრული ექსპლკაცია, რომელიც უნდა არსებობდეს მხატვრულ დეტალსა და არავერბალურ სიმბოლს შორის. როგორც ავტორი ამბობს, მის მიერ სტრუქტურირებული მოდელისთვის მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ის ფაქტი, რომ მასში შემავალი ყოველი წევრი გენეტიკურად და შინაარსობრივად უკავშირდება წინა წევრს, არამედ ისიც, რომ ხსენებულ მოდელს მთელი მისი სტრუქტურული მთლიანობით იძენს ნიშნობრივ ფუნქციას, ე.ი. განხილულ იქნას, როგორც ყველა ნიშნის გარკვეული და კონტექსტუალურად განპირობებული სახეობა. ამასთან დაკავშირებით იგი წერს: „ხსენებული მთლიანი უნდა აღვიქვათ ნიშნად, რომელსაც, როგორც ყველა ნიშანს, აქვს გამოხატულებისა და შინაარსის პლანები და მიუთითებს რეფერენტულ სიტუაციაზე, ანუ აქვს სიგნიფიკატი, რომელიც ჩვენს შემთხვევაში ქვეტექსტს ემთხვევა.“ (მატარაძე 2005: 7)

იმასთან დაკავშირებით, რომ, როგორც ზემოთ ითქვა, ნარატიული ქვეტექსტი ისევე წარმოადგენს რეფერენტულ სიტუაციას, როგორც „ჩვეულებრივი“ ანუ ლინეალური ტექსტით მინიშნებული სინამდვილე, აუცილებლად მიგვაჩნია შევჩერდეთ თვით რეფერენტული სიტუაციის, როგორც ნიშნობრივი ფენომენის კონცეპტზე, რადგან ამ შემთხვევაშიც უნდა გავუსვათ ხაზი იმას, რაც უკვე ითქვა ზემოთ, როცა განვიხილავდით მიმართებას ვერბალურ და არავერბალურ სიმბოლოთა ფუნქციურ დატვირთვებს შორის: ქვეტექსტის სახით წარმოადგენილი რეფერენტული სიტუაცია სემიოტიკური გაგებით უნდა ინარჩუნებდეს ყოველივე იმას, რითაც ხასიათდება რეფერენტული სიტუაცია ზოგადად, ანუ ნებისმიერ შემთხვევაში, როცა საქმე გვაქვს ამა თუ იმ დისკურსის კომუნიკანტთან, მაგრამ, რა თქმა უნდა, ამავე დროს გაღრმავებულად წარმოადგენს ამ კომუნიკანტს; თუმცა, ამავე

დროს, უნდა ითქვას შემდეგი: თანამედროვე ლინგვისტიკაში რეფერენტული სიტუაცია როგორც ვერბალურ კომუნიკაციასთან დაკავშირებული ფენომენი დაყოფილია ორ ტიპად – „ლინგვისტური სიტუაცია”, ანუ, სხვანაირად რომ ვთქვათ, საკუთრივ ენობრივი კონტექსტით წარმოდგენილი სიტუაცია და „ექსტრალინგვისტური სიტუაცია”, ანუ სიტუაცია, რომელიც არსებობს ვერბალური დისკურსის მიღმა, მაგრამ, ამავე დროს, „განაგებს” მას. თვით „ექსტრალინგვისტური სიტუაცია” კი წარმოდგენილია ორი ქვეტიპით – რეფერენტული და კომუნიკაციური სიტუაციით. დავახასიათოთ „ექსტრალინგვისტური სიტუაციის” ეს ტიპები:

„ა) რეფერენტული სიტუაციაა, ანუ სინამდვილის ის სეგმენტი, ის მონაკვეთი, რომელიც უშუალოდ ასახულია გამონათქვამში, გამონათქვამის რეფერენტი. ვინაიდან იმას, რაც ასახულია გამონათქვამში, მუდამ სიტუაციის სახე აქვს, ამიტომ გამონათქვამის რეფერენტს წარმოადგენს სიტუაცია. ტექსტის შემთხვევაში შეიძლება ვილაპარაკოთ რეფერენტულ სივრცეზე: რეფერენტული სივრცე შედგება რეფერენტული სიტუაციებისაგან. იმისთვის, რომ ექსპლიციტური მნიშვნელობიდან იმპლიციტურზე გადავიდეთ, უნდა დავეყრდნოთ რეფერენტულ სიტუაციას. მაგრამ, თუ გვსურს გავითვალისწინოთ უფრო ღრმა მნიშვნელობა, უნდა დავეყრდნოთ რეფერენტულ სივრცეს;

ბ) კომუნიკაციური სიტუაცია – ეს ის სიტუაციაა, რომლის გარეშეც შეუძლებელია გავიგოთ და გავიაზროთ გამონათქვამის აქტუალური მნიშვნელობა. იგი განისაზღვრება პირველ რიგში კომუნიკაციის აქტის მონაწილეებით. როგორც მინიმუმი, კომუნიკაციური სიტუაცია შეიცავს ორ კომუნიკანტს: ადრესანტსა და ადრესატს.” (ლებანიძე 2004: 232)

ვფიქრობთ, ყოველივე იმის შემდეგ, რაც ზემოთ უკვე ითქვა მხატვრული სიმბოლოს ქვეტექსტურ ფუნქციაზე და იმის შესახებ, თუ როგორ უნდა დაუკავშირდეს არავერბალური კომუნიკაციით მინიშნებული ეგზისტენციალური ქვეტექსტი რეცეფციულ ესთეტიკას, გასაგები უნდა იყოს ის შინაგანი კავშირიც, რომელიც ნარატიული ქვეტექსტის ინტერპრეტაციის მცდელობისას უნდა ვიგულისხმოთ რეფერენტული სიტუაციისა და კომუნიკაციური სიტუაციის კონცეპტებს შორის.

როგორც ვხედავთ, ზემოთ მოცემული მოდელისათვის ნიშნობრივი ფუნქციის მინიჭება ეფუძნება შემდეგ, ასევე კონტექსტუალურად განპირობებულ ფაქტს: მოდელით ნაგულისხმევი დინამიკური სამეული (სიტყვა - მხატვრული დეტალი - სიმბოლო) იძენს ფუნქციას, რომლის შესრულება ძალუმს მხოლოდ მას, სახელდობრ, ნარატიული ქვეტექსტის მინიშნების ფუნქციას, მაგრამ ხსენებული ფუნქციის შესრულება ხდება არა მოდელში შემავალი რომელიმე ერთი წევრის, არამედ ერთობლივად სამეულის მიერ, მაგრამ ამავე დროს ამ დინამიკურად გაგებულ ერთობლიობას აქვს გარკვეული შინაგანი ვექტორი: ქვეტექსტის მინიშნება იწყება უკვე სიტყვის (მისი კონტექსტუალური მნიშვნელობის ფარგლებში), მაგრამ სისრულეს აღწევს მესამე წევრში, ანუ სიმბოლოში.

როგორც უკვე ითქვა, ჩვენი საკვლევი თეზისი გულისხმობს იმ შინაარსობრივი მემკვიდრეობითობის გათვალისწინებას და გამოვლენას, რომელიც უნდა არსებობდეს მხატვრულ დეტალსა და არავერბალური კომუნიკაციის სიმბოლურ მნიშვნელობებს შორის, მაგრამ იქედან გამომდინარე, რომ კომპლექსურ ნიშნად გაგებული სამნიშნა მოდელის რეფერენტად მიჩნეულია ქვეტექსტი, არავერბალური კომუნიკაციის ანალიზის შემთხვევაში საქმე უნდა გვექონდეს, როგორც ჩანს, თვით ქვეტექსტის მოდიფიცირებულ, სავარაუდოდ გაღრმავებულ კონცეფციასთან.

მაგრამ, ამავე დროს მიგვაჩნია, რომ მხატვრული სიმბოლოს ის გაგება, რომელსაც ავითარებს ნ.მატარაძე, თავიდანვე და არსებითად უნდა დაუკავშირდეს ზოგადი სიმბოლოლოგიის იმ თეორიას, რომელიც უკვე გვექონდა ზემოთ განხილული და, რომელიც ორგანულად უკავშირებს ერთმანეთს ორ ფენომენს - სიმბოლოსა და დიალოგს, თუმცა, ამავე დროს, ასევე აუცილებელია გათვალისწინებულ იქნას ჩვენი კვლევის მეორე და ჩვენთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ასპექტიც - სახელდობრ კი, ამ კვლევის კავშირი მოდერნისტული ნარატივის ინტერპრეტაციის პრობლემასთან. აქედან გამომდინარე კი აუცილებლად მიგვაჩნია არა მხოლოდ მივუთითოთ მხატვრული სიმბოლოს კავშირზე ქვეტექსტის ფენომენტთან, არამედ გავუსვათ კიდეც ხაზი მხატვრული ვერბალური სიმბოლოს იმ თავისებურებებს, რომელთა წყალობით იგი იძენს ქვეტექსტის დენოტაციის საშუალებას და, თუ კიდეც ერთხელ გავიხსენებთ იმ ფაქტს, რომ, როგორც ზემოთ ციტირებული ავტორი აღნიშნავს, მხატვრული სიმბოლო მიაწინებს არა უბრალოდ ქვეტექსტზე, არამედ

ეგზისტენციალურ ქვეტექსტზე, მაშინ ცხადი გახდება იმის აუცილებლობა, რომ უფრო არსებითად განვიხილოთ მხატვრული სიმბოლოს უკვე ხსენებული კონცეფცია.

როგორც ნ. მატარაძე აღნიშნავს, მხატვრული ვერბალური სიმბოლო როგორც ნიშნის ტიპი ხასიათდება მის პლანთა მრავალგანზომილებიანობით, რომელიც შემდეგში მდგომარეობს: „1) გამოხატულების პლანი ხასიათდება ორი განზომილებით: კომპლექსურობით და დინამიკურობით; 2) შინაარსის პლანი კი წარმოდგენილია ისეთი განზომილებით, როგორცაა ექსკლუზიური ანთროპოცენტრისტულობა, შინაარსობრივი „მისწრაფულობა“ და შინაგანი დაუსრულებლობა.” (მატარაძე 2005: 9) და რაც შეეხება მხატვრული სიმბოლოს ზემოთ ხსენებულ პლანებს - როგორც გამოხატულების, ისე შინაარსის პლანებს - კონკრეტულად მათი შინაარსობრივი თავისებურება მდგომარეობს შემდეგში: გამოხატულების პლანისთვის დამახასიათებელია ორი ისეთი ნიშან-თვისება, როგორცაა კომპლექსურობა და დინამიკურობა. ამ ნიშან-თვისებათა დახასიათება კი ციტირებულ ნაშრომში წარმოდგენილია შემდეგნაირად:

„ა) კომპლექსურობა: როგორც აღვნიშნეთ, ჩვენს მიერ წარმოდგენილ მოდელს „სიტყვა - დეტალი - სიმბოლო“ განვიხილავთ კომპლექსურ ნიშნად. მართალია, იგი სამი წევრისგან შედგება, რომელთაგან თითოეული წინა ელემენტის ტრანსფორმაციის შედეგად მიიღება, მაგრამ საბოლოო ჯამში ერთიანი ნიშნის ფუნქციას ასრულებს. შესაბამისად, მას, როგორც ერთიან ნიშანს, აქვს თავისი ასევე ერთიანი, თუმცა დინამიკურად სტრუქტურირებული, სიგნიფიკატი/დენოტატი. (მატარაძე 2005: 7)

მაგრამ, რა თქმა უნდა, მხატვრული სიმბოლოს სტრუქტურაში - ისევე როგორც ნებისმიერი ნიშნის სტრუქტურაში - გამოხატულების პლანი რელევანტურია მხოლოდ იმდენად, რამდენადაც იგი ექვემდებარება შინაარსის პლანს. ხოლო რაც შეეხება მხატვრული სიმბოლოს მოცემულ პლანს, იგი ციტირებულ ნაშრომში წარმოდგენილია შემდეგნაირად:

„ა) ანთროპოცენტრისტულობა: იმის გათვალისწინებით, თუ კომპლექსს „სიტყვა - დეტალი - სიმბოლო“ ნიშნობრივი თვალსაზრისით განვიხილავთ, აუცილებელია განვსაზღვროთ მის მიერ მითითებული სემანტიკური რეალობა, ანუ მისი

სიგნიფიკატი/დენოტატი. ჩვენს შემთხვევაში სამწევრა კომპლექსი მიუთითებს ქვეტექსტზე, რომელიც, თავის მხრივ, ადამიანის (პერსონაჟის) შინაგან სამყაროს, მის ფსიქიკურ ანუ შინაგან, უფრო მეტიც – ეგზისტენციალურ განზომილებას ასახავს. ამდენად, მას განვიხილავთ ანთროპოცენტრისტულობის „აქტუალიზატორად“ ტექსტში. ამასთან აღსანიშნავია შემდეგი: ის, რომ კომპლექსური სამწევრა ნიშანი ანთროპოცენტრისტულია თავისი სემანტიკით, სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ რომელიმე სხვა, ტრადიციულად ცნობილი ნიშნის ტიპი არ შეიძლება იყოს ანთროპოცენტრისტული: სემანტიკის ანთროპოცენტრისტულობა შესაძლებელია ნიშნის იერარქიის ყველა დონეზე – მაგრამ მხოლოდ შესაძლებელია და არა სავალდებულო. ეს იმას ნიშნავს, რომ ნიშანთა ნებისმიერი ტიპისათვის სემანტიკურ ანთროპოცენტრისტულობას არ აქვს კატეგორიალური მნიშვნელობა. ამის საპირისპიროდ კი ქვეტექსტური სემანტიკის მქონე სამწევრა კომპლექსური ნიშნისათვის ანთროპოცენტრისტულობას აქვს კატეგორიული მნიშვნელობა – ამგვარად სემანტიკა მისთვის პრინციპულად, შეიძლება ითქვას – განსაზღვრის მიხედვით - „სავალდებულოა“.

ბ) შინაარსობრივი „მისწრაფულობა“: თუ სამწევრა მოდელს „სიტყვა - დეტალი - სიმბოლო“ განვიხილავთ როგორც ნიშნობრივ, ანუ დესიგნაციის ფუნქციის მატარებელ დინამიკურ-ხდომილებრივ ფაქტს, ასევე დინამიკურად უნდა მივიჩნიოთ მის მიერ დესიგნირებული სინამდვილე, ანუ მისი სიგნიფიკატი/დენოტატი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სიმბოლოს მიერ მითითებული სიგნიფიკატი-დენოტატი უკვე აღარ დაემთხვევა დეტალის მიერ მითითებულ სიგნიფიკატ-დენოტატს, თუმცა, როგორც ითქვა, უეჭველია ქვეტექსტური სემანტიკის ამ ორ სეგმენტს შორის არსებული „გენეტიკური“ კავშირი. ამიტომ, ბუნებრივია, ჩავთვალოთ, რომ ტრანსფორმაციის მიმართულება უნდა გულისხმობდეს *სიღრმეში* გადასვლას. ამდენად, ქვეტექსტური სემანტიკა შეიძლება განვიხილოთ როგორც ანთროპოცენტრისტულად დანახული დინამიკური და სიღრმისაკენ „მისწრაფული“ ეგზისტენციალური რეალობა.

გ) შინაგანი დაუსრულებლობა: ქვეტექსტი, რომელიც შინაარსობრივი „მისწრაფულობით“ ხასიათდება, შინაგანი ტრანსფორმაციის შედეგად ასახავს ადამიანის ეგზისტენციალურ რეალობას, რომელიც თავისი არსით უსასრულოა.

ეგზისტენცია უნდა გავიგოთ როგორც „ადამიანის სიღრმისეული ბირთვი“, მაგრამ ადამიანის შინაგანი ზღვრული სინამდვილე ვერც ერთ გარკვეულ შინაარსობრივ გამონათქვამში ვერ თავსდება, ანუ ეგზისტენცია არის ის, რაც პრინციპულად გულისხმობს ახალ სიღრმეში გადასვლას და, შესაბამისად, პოტენციურად უსასრულო ღრმა სინამდვილეს.” (მატარაძე 2005: 10)

რატომ გახდა აუცილებელი მხატვრული ვერბალური სიმბოლოს იმ კონცეფციის ამგვარი სისრულით წარმოდგენა, რომელიც განვითარებულია ნ.მატარაძის ნაშრომში? გარდა იმ მოსაზრებისა, რომელიც უკვე იყო მოყვანილი მოცემულ პარაგრაფში (ვგულისხმობთ არავერბალური კომუნიკაციის სიღრმისეულ კავშირს თანამედროვე ნარატივის ეგზისტენციალურ ქვეტექსტთან), აუცილებელია უკვე ამ ეტაპზე ხაზგასმით მიეთითოს იმ შინაგან კავშირზეც, რომელიც უნდა ვიგულისხმოთ მხატვრული სიმბოლოს ორ ტიპს (სახელდობრ, ვერბალური და არავერბალური ტიპების) შორის იმ შემთხვევაში, როცა ვიკვლევთ მათ ქვეტექსტურ ფუნქციას. ხსენებული კავშირი კი, ჩვენი აზრით, უნდა მდგომარეობდეს შემდეგში: არავერბალურ, მაგრამ ამავე დროს ვერბალურ, ანუ ნარატიულ კონტექსტში წარმოდგენილი სიმბოლო ფუნქციური თვალსაზრისით კი არ უნდა უარყოფდეს ყოველივე იმას, რითაც ხასიათდება ვერბალური სიმბოლო, არამედ უნდა მთლიანად ინარჩუნებდეს და ერთდროულად აღრმავებდეს მას. როგორი იქნება გაღრმავების ეს ვექტორი? ჩვენ უკვე მივუთითეთ ამ ვექტორის იმ ასპექტზე, რომელიც წარმოდგენილი ინდა იყოს რეცეფციული ესთეტიკით. და ამავე დროს მივუთითეთ იმაზეც, რომ ამგვარად გაგებული რეცეფციული ესთეტიკა უნდა დაუკავშირდეს დიალოგურობის ფენომენს. ჩვენი კვლევის იმ ეტაპზე, როცა თეორიულ მსჯელობას გადავიყვანთ კონკრეტული ემპირიული მასალის ანალიზში, შესაძლებელი გახდება კვლევის ხსენებული ვექტორის უფრო გაღრმავებულად წარმოდგენა.

§4. ქვეტექსტი როგორც ფენომენი, კონცეპტი და პრობლემა: მისი მიმართება არავერბალურ კომუნიკაციასთან როგორც ნარატიულ ფენომენტთან

წინა პარაგრაფში შევეცადეთ ჩვენი კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიური ვექტორის განსაზღვრას და დავასახელებთ ის სამი კონცეპტუალური სფერო,

რომელთა პრობლემურ ურთიერთდაკავშირებას გულისხმობს ეს ვექტორი – ზოგადი სიმბოლოლოგია, ნარატოლოგია და ქვეტექსტის თეორია. ამით, შეიძლება ითქვას, განსაზღვრა ჩვენი კვლევის ის ეტაპობრივი სტრუქტურაც, რომელმაც უნდა მიგვიყვანოს სელინჯერისეული ნარატივის ადეკვატურ, ანუ სიმბოლურ ქვეტექსტურ ინტერპრეტაციამდე.

მაგრამ მიგვაჩნია, რომ ნებისმიერი სააზროვნო ვექტორის განსაზღვრისას მნიშვნელოვანია მიეთითოს არა მხოლოდ იმ კონცეპტუალურ სფეროზე, რომლებზეც ამ ვექტორმა უნდა „გაიაროს“, არამედ თვითონ ვექტორის შინაგან ტრაექტორიაზეც. სხვანაირად რომ ვთქვათ, აუცილებელია იმის განსაზღვრა, თუ როგორი იქნება ამ ვექტორის მიმართება სამ შემდეგ შესაძლო ტრაექტორიასთან: ლინეალური, წრიული თუ სინთეზური, ანუ ლინეალურ-წრიული. თუ გავითვალისწინებთ ტრაექტორიათა ამ ტიპოლოგიას, მაშინ უნდა გაეცეს პასუხი კითხვას იმის თაობაზე, თუ რომელი უნდა იყოს ის კონცეპტუალური სფერო, რომელიც უნდა განვიხილოთ იმის შემდეგ, როცა სქემატურად მანიც უკვე შევვებით ზოგად სიმბოლოლოგიას და მის მიმართებას ქვეტექსტურ სემანტიკასთან. ვფიქრობთ, რომ ჩვენი კვლევის ეტაპობრივი სტრუქტურის განსაზღვრისას მართებული იქნება ჩვენი კვლევის ვექტორის იმ მოდელზე დაყრდნობა, რომელსაც სინთეზური ანუ ლინეალურ-სინთეზური ვუწოდეთ. თვით ეს სინთეზურობა კი, ჩვენის აზრით, დაკონკრეტდება შემდეგნაირად: იქიდან გამომდინარე, რომ ჩვენი კვლევითი ჰიპოთეზის ადეკვატურობის ვერიფიცირება უნდა მოხდეს სელინჯერისეულ ნარატივზე დაყრდნობით, ბუნებრივი იქნებოდა - ერთი შეხედვით - რომ ზოგადი სიმბოლოლოგიიდან გადავსულიყავით უშუალოდ ნარატოლოგიურ პრობლემატიკაზე და ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, საქმე გვექნებოდა ჩვენი ვექტორის ლინეალურ ტრაექტორიასთან. მაგრამ თუ ამავე დროს გავითვალისწინებთ იმასაც, თუ როგორ ხდება ჩვენს კვლევით კონტექსტში, ერთის მხრივ, სიმბოლოლოგიის, მეორეს მხრივ კი ნარატოლოგიის ანალიტიკური დაკონკრეტება, მაშინ, ალბათ, ცხადი გახდება ხსენებული სინთეზური ტრაექტორიის გარდუვალობა. საქმე ისაა, რომ, როგორც უკვე ვიცით, ჩვენს კვლევაში სიმბოლოს ზოგადი ცნება განიცდის ორ ეტაპობრივ კონკრეტიზაციას - ჯერ ხდება სიმბოლურობის დაკონკრეტება ვერბალურობის ნიშნით, შემდეგ კი თვით

ვერბალური სიმბოლოებია დანახული არავერბალურობასთან პარადოქსულ, მაგრამ ამავე დროს ორგანულ კავშირში. მაგრამ, როგორც აგრეთვე უკვე ვიცით, სიმბოლოების ხსენებული დაკონკრეტების ნარატოლოგიურ „ეფექტს“ ჩვენ ვიკვლევთ ისტორიულ პლანში, სახელდობრ კი, მოდერნისტული ნარატივის სელინჯერისეული ეტაპისა და ტიპის ფარგლებში. ეს კი ნიშნავს შემდეგს: ერთის მხრივ, უნდა შენარჩუნებულ იქნეს ის უშუალო და გადამწყვეტი პრობლემური მიმართება, რომელიც ვიგულისხმეთ სიმბოლოლოგიასა და ნარატოლოგიას შორის, ანუ შენარჩუნებულ უნდა იქნეს ამ მიმართების პრინციპული ლინეარულობა, მაგრამ ასევე ცხადია, რომ ჩვენს კვლევით კონტექსტში კავშირი ამ ორ კონცეპტუალურ სფეროს შორის უნდა დამყარდეს ისეთ ფენომენზე და კონცეპტზე დაყრდნობით, როგორცაა ქვეტექსტი. ვექტორის ზემოთ ხსენებული ტრაექტორია კი განიმარტება შემდეგნაირად: მისი (ტრაექტორიის) ლინეარულობა შენარჩუნებულია იმით, რომ, როგორც პირველდაწყებითად, ისე საბოლოო ანგარიშში ჩვენ გვანტერესებს სიმბოლოლოგიისა და ნარატოლოგიის ურთიერთმიმართება, მაგრამ დაკონკრეტების ზემოთ განსაზღვრული ორივე მოდუსი ქმნის იმის აუცილებლობას, რომ ამგვარად გაგებულ ლინეარუობას დავუბრუნდეთ ქვეტექსტის ფენომენის პრობლემური გააზრების შემდეგ. ქვეტექსტი სწორედ ის ფენომენია, რომელზე დაყრდნობითაც ხდება ჰუმანიტარული აზროვნებისათვის ისეთი მნიშვნელობის მქონე ორი ფენომენის ურთიერთდაკავშირება, როგორცაა სიმბოლოლოგია და ნარატოლოგია.

ვფიქრობთ, ზემოთ ხსენებული მოდერნისტული ქვეტექსტის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებული და სინთეზურად აღქმული ტრაექტორია უნდა დაკონკრეტდეს როგორც, ერთის მხრივ, თეორიულად, ისე ანალიტიკურად, ანუ თვით ნარატიული სინამდვილის გაანალიზების პროცესში. და თუ დაკონკრეტების მთელ ამ ამოცანას ერთობლივად განვიხილავთ, მაშინ იგი, ჩვენი აზრით, დაიყვანება შემდეგი სამი მომენტის გათვალისწინებამდე. ეს მომენტებია:

ა) პირველ რიგში გათვალისწინებულ უნდა იქნას თავად ის, თუ რას ნიშნავს ზოგადად სინთეზი როგორც თეორიულ-ლოგიკური ცნება. თუ დავეყრდნობით დ.ჟიულიას „ფილოსოფიურ ლექსიკონს“, „სინთეზი წარმოადგენს მთლიანის განსხვავებულ ელემენტთა გაერთიანებას. და მსგავსი გაერთიანება კი ... მოითხოვს ისეთ ინტელექტუალურ აქტივობას, რომლის პროცესშიც ხდება უკვე არსებულ

იდეათა ისეთი შედარება, გაერთიანება და ერთი ახალი იდეის ფარგლებში შერწყმა, რომელიც უნდა გამოიყურებოდეს როგორც უფრო მარტივი და უფრო ნათელი.”(ჟულია 2000: 401)

რატომ იყო ჩვენთვის აუცილებელი სინთეზის ამ განსაზღვრაზე დაყრდნობა და რას უნდა ნიშნავდეს ჩვენი კვლევითი კონტექსტის გათვალისწინებით „უკვე არსებულ იდეათა ერთი უფრო მარტივი და უფრო ნათელი იდეის“ ფარგლებში შერწყმა? ამ კითხვაზე პასუხს გავცემთ იმ შემთხვევაში, თუ გავითვალისწინებთ, ერთის მხრივ, არავერბალური სემიოტიკის მიმართებას სემიოტიკასთან როგორც შინაგანად ერთიან დისციპლინასთან, მეორეს მხრივ კი, იმ შინაგან კავშირსაც, რომელიც უნდა ვიგულისხმოთ თვით სემიოტიკასა და თანამედროვე კულტურას შორის. გათვალისწინების ეს აქტი კი უნდა მოიცავდეს შემდეგ ორ ასპექტს: 1) რაც არ უნდა მნიშვნელოვანი იყოს ვერბალური სემიოტიკა (და, შესაბამისად, ვერბალური კომუნიკაციაც), არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ნიშნობრიობის ფენომენი ისევე გულისხმობს არავერბალურობას, როგორც ვერბალურობას; შესაბამისად კი, უნდა მივიჩნიოთ, რომ სემიოტიკის როგორც დისციპლინის არსი და სტრუქტურა მართლაც იქნება „უფრო მარტივი და უფრო ნათელი“, თუ მას წარმოვიდგენთ სინთეზურად, ე.ი. ვერბალურობის და არავერბალურობის ფუნქციური შერწყმის გზით; 2) მაგრამ ამავე დროს ჩვენთვის ასევე მნიშვნელოვანი უნდა იყოს იმის გათვალისწინება, რომ თანამედროვე ნარატოლოგია ასევე წარმოადგენს თანამედროვე კულტურას (ტერმინ „კულტურის“ ფართო გაგებით), რა თქმა უნდა, როგორც სინთეზურად გააზრებული სემიოტიკა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მიუხედავად ნარატიული ქვეტექსტის იმ ტიპის განსაკუთრებული მნიშვნელობისა, რომელთანაც ჩვენ გვექნება საქმე და, რომელიც, რა თქმა უნდა, შინაგანად უკავშირდება პირველ რიგში არავერბალურ სემიოტიკასა და კომუნიკაციას, საბოლოო ანგარიშში მაინც აუცილებელი იქნება - თუნდაც სქემატური სახით - იმის სინთეზურად გათვალისწინებაც, თუ რა კავშირშია ერთმანეთთან გასაანალიზებელი ნარატივის „ტექსტური“ და „ქვეტექსტური“ ასპექტები;

ბ) წინა პუნქტში ჩვენი კვლევითი ტრაექტორიის სინთეზური სტრუქტურის განსაზღვრისას შევეცადეთ დავყრდნობოდით სინთეზის ლოგიკურ-თეორიულ ცნებას, თუმცა, ამავე დროს, შევეხეთ ამ ტრაექტორიის იმ ასპექტსაც, რომელიც

უკავშირდება მოდერნისტული ქვეტექსტის ანალიზის პროცესში „ტექსტური“ და „ქვეტექსტური“ მომენტების აზრობრივი გაერთიანების პრობლემას. მაგრამ ჩვენი კვლევითი მიზნების გათვალისწინებით მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ არავერბალური კომუნიკაციის თანამედროვე თეორია რამდენადმე მაინც - ბუნებრივია, ჯერ კიდევ ლოგიკურ-თეორიულ დონეზე - უკვე ახორციელებს ვერბალურობის და არავერბალურობის სინთეზურად აღქმის მცდელობას. ნათქვამის დასადასტურებლად შეგვიძლია დავყვრდნოთ ჩვენს მიერ უკვე ციტირებული ავტორის, სახელდობრ, გ.კრეიდლინის მონოგრაფიას და, ამავე დროს, გავითვალისწინოთ ის ფაქტიც, რომ მიუხედავად არავერბალურ ნიშანთა არსებული მრავალფეროვნებისა, ამ მრავალფეროვნების ფონზე მაინც გამოიყოფა ჟესტი, როგორც დომინანტური არავერბალური ნიშანი. ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია იმის აღნიშვნაც, თუ როგორაა გაგებული ხსენებული თეორიის ფარგლებში კომუნიკაციის ვერბალურ და არავერბალურ ასპექტთა ურთიერთმიმართება (რადგან, ბუნებრივია, რომ სწორედ ამ ურთიერთმიმართების გათვალისწინებას უნდა ეყრდნობოდეს სინთეზის ზემოთ ხსენებული იდეა). ეხება რა ვერბალურობისა და არავერბალურობის ურთიერთმიმართების პრობლემას, ავტორი გამოყოფს ჟესტთა - რა თქმა უნდა, ამ ურთიერთმიმართების თვალსაზრისით მნიშვნელოვან - შემდეგ ფუნქციებს:

- 1) „ ჟესტებს შეუძლიათ გაიმეორონ აქტუალური სამეტყველო ინფორმაცია, ანუ მოახდინონ მისი დუბლირება. ამ ფუნქციას ასრულებენ, მაგალითად, ისეთი ჟესტები, როგორიცაა თითით, თვალებით ან თავითაც კი რაიმეზე მითითება. ეს ჟესტები ხშირად, ზოგჯერ კი აუცილებლად, კომინიკაციის პროცესში თან ახლავს ისეთ დეიქტიკურ ნაცვალსახელებსა და ზმნიზედებს, როგორიცაა *ეს, აი ეს, აი, იქით, აქეთ*, ა.შ.;
- 2) ჟესტები და კინეტიკური ქცევა მთლიანობაში შეიძლება უპირისპირდებოდნენ ვერბალურ გამონათქვამს (და ამ გაგებით იქნებ წარმოადგენენ კიდევ ადრესატის შეცდომაში შეყვანის მცდელობას)“ (კრეიდლინი 2002: 61-62)

ჟესტთა ამგვარი ფუნქციის შესრულების მაგალითად ავტორს მოყავს ღიმილი: „ღიმილი შეიძლება თან ახლდეს სინამდვილეში არამეგობრულ გამონათქვამს“ (კრეიდლინი 2002: 62)

3) „ქესტებს შეუძლიათ შეცვალონ ვერბალური გამონათქვამი. ამგვარი შეცვლის სიტუაციის მაგალითს იძლევა თავის დაქნევა როგორც ქესტი, რომელიც ხშირად გამოიყენება როგორც დადებითი პასუხის ექვივალენტი...“ (კრეიდლინი 2002: 63)

4) „ქესტს შეუძლია ხაზი გაუსვას ვერბალური გამონათქვამის ამა თუ იმ კომპონენტს, ან გააძლიეროს კიდევ მათი მნიშვნელობა ...“ (კრეიდლინი 2002: 63)

ქესტთა ამგვარი ფუნქციის ერთ-ერთ მაგალითად ავტორს მოყავს კინემა „აი ისეთი დიდი“, როც ამა თუ იმ საგნის დასახელებისას ასე ხდება მისი ზომის ხაზგასმა.

5) „ქესტებს შეუძლიათ შეავსონ ვერბალური გამონათქვამი აზრობრივი თვალსაზრისით.“ (კრეიდლინი 2002:64)

ქესტის ამგვარი ფუნქციის სადემონსტრაციოდ ავტორი ასახელებს ისეთ კინემებს, როგორცაა თითოთ ან მუჭით დამუქრება.“ (კრეიდლინი 2002: 63)

გ) მაგრამ, რა თქმა უნდა, სინთეზის ზემოთ ხსენებული ორივე ასპექტი - როგორც ლოგიკურ-თეორიული, ისე სემიოტიკური - მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძენს რეალურად ნარატოლოგიურ ფუნქციას, თუ მოხდება მათი პრაქტიკული გამოყენება ნარატიული ქვეტექსტის ანალიზის პროცესში. სწორედ ამ თვალსაზრისით გვსურს კიდევ ერთხელ გავიხსენოთ ჩვენს მიერ უკვე ციტირებული მეორე სემიოტიკოსის მ. კოცოლინოს გამონათქვამი იმის თაობაზე, თუ რა გადამწყვეტი მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს ნარატოლოგიურ ანალიზს არავერბალური კომუნიკაციის თეორიული გააზრებისას. ვფიქრობთ, სელინჯერისეული ნარატივის, კონკრეტულად კი ამ ნარატივისთვის დამახასიათებელი ქვეტექსტის ჩვენეულ ანალიზს ექნება ამგვარი თეორიული მნიშვნელობაც.

იმის შემდეგ, რაც ხაზი გაესვა ქვეტექსტის როგორც კონცეპტის მნიშვნელობას ჩვენი კვლევის არა მხოლოდ ზოგადი ვექტორის, არამედ ამ ვექტორის ტრაექტორიის განსაზღვრის თვალსაზრისითაც, შევეცადოთ განვსაზღვროთ ქვეტექსტი როგორც ფენომენი ზოგადად, ანუ სიმბოლოლოგიასთან და ნარატოლოგიასთან მისი

დაკავშირების გარეშე, შემდეგ კი განვიხილოთ ხსენებული დაკავშირების პრობლემატიკა.

იმისთვის, რომ გვქონდეს ქვეტექსტის არა მხოლოდ ზოგადი, არამედ ასევე საყოველთაოდ მიღებული დეფინიცია, მოვახდინოთ ამ დეფინიციის ციტირება ორი ერთმანეთისგან განსხვავებული წყაროს მიხედვით - პირველი იქნება ინტერნეტული წყარო (სახელდობრ კი Google), მეორე კი პოეტიკის უახლესი ენციკლოპედიური ლექსიკონი. პირველი წყაროს მიხედვით „ქვეტექსტი არის წიგნის, პიესის, ფილმის ან სატელევიზიო დადგმების ისეთი შინაარსი, რომელიც არ არის ექსპლიციტურად გამოხატული თუ გამოთქმული პერსონაჟების ან ავტორის მიერ, მაგრამ იგულისხმება ან გაიგება მკითხველის ან მაყურებლის მიერ როგორც თვით ნაწარმოების და ტექსტით ნაგულისხმევი. ქვეტექსტი შეიძლება უკავშირდებოდეს პერსონაჟთა ისეთ აზრებს და მოტივებს, რომლებიც გამოხატულია მათი „გვერდითი რეპლიკით.“ როგორც ვხედავთ, ამ ციტატის მიხედვით ქვეტექსტის ფენომენს ენიჭება ზოგადესთეტიკური მნიშვნელობა, რადგან იგი შეიძლება თან ახლდეს მხატვრული სინამდვილის ნებისმიერ - და არა მხოლოდ ნარატიული - სეგმენტს. და რაკი ჩვენ უკვე გავუსვით ხაზი ქვეტექსტის როგორც ფენომენის და კონცეპტის მნიშვნელობას ჩვენი კვლევისათვის, ბუნებრივია, დავსვათ კითხვა: რატომ უნდა იყოს მნიშვნელოვანი ჩვენი კვლევისთვის ქვეტექსტის ამ ზოგადესთეტიკური ხასიათის მნიშვნელობის ხაზგასმა? ვფიქრობთ, ამ კითხვაზე უნდა გაეცეს ორი სიღრმისეულად ურთიერთდაკავშირებული პასუხი: ა) წინა პარაგრაფში ჩვენ შევეხეთ სიმბოლოს ცნებას ზოგადად და ხაზი გავუსვით ზოგადი სიმბოლოლოგიის იმ დებულებას, რომელიც გულისხმობს სიმბოლოს (ნებისმიერი და არა მხოლოდ ნარატიულის) დიალოგურ ბუნებას. და რაკი ჩვენი კვლევის როგორც თეორიულად, ისე მეთოდოლოგიურად საყრდენ პრინციპს წარმოადგენს სწორედ სიმბოლოსა და ქვეტექსტის პრობლემური დაკავშირება, აქედან გამომდინარე, გადამწყვეტ მნიშვნელობას უნდა იძენდეს ქვეტექსტურობის როგორც ზოგადესთეტიკური ფენომენის დიალოგური არსი იმ შემთხვევაშიც, რა თქმა უნდა, თუ ეს ორი ესთეტიკური მოვლენა - დიალოგურობა და ქვეტექსტურობა - მართლაც უკავშირდება ერთმანეთს. მაგრამ სწორედ იმისთვის, რომ კითხვაზე გაეცეს პასუხი, საჭირო ხდება ამ, ანუ საწყის ეტაპზე ქვეტექსტის ზოგადესთეტიკური ხედვა; ბ)

მაგრამ არსებობს, ჩვენი აზრით, მეორე და არა ნაკლებ მნიშვნელოვანი არგუმენტი იმის სასარგებლოდ, რომ კვლევის ამ ეტაპზე მოხდეს ქვეტექსტის ფენომენის ზოგადესთეტიკური გააზრება: როგორც უკვე იქნა ჩვენს მიერ აღნიშნული, ჩვენი კვლევა ატარებს როგორც ლინგვოკულტუროლოგიურ, ისე ისტორიულ-კულტუროლოგიურ ხასიათს, რადგან კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიური პრინციპები კონკრეტდება მოდერნისტული ნარატივის სელინჯერისეული ტიპის ანალიზის საფუძველზე. მაგრამ თუ ეს ასეა, მაშინ არსებითი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს იმ ფაქტსაც, რომ მოდერნისტული მხატვრული პრაქტიკის პარალელურად განსაკუთრებით რელევანტური ხდება რეცეფციული ეცთეტიკაც - ის ესთეტიკური პარადიგმა, რომელიც კლასიკური პარადიგმისგან განსხვავებით მნიშვნელოვნად მიიჩნევს და იკვლევს მხატვრულ შემოქმედებას არა მხოლოდ ავტორის (კრეატორის), არამედ ასევე რეციპიენტის (მკითხველი თუ მაყურებლის) შემოქმედებითი აქტივობის გათვალისწინებით, უფრო მეტიც - თამამად შეიძლება ითქვას თანამედროვე ესთეტიკისთვის სწორედ რეციპიენტისეული შემოქმედებითი აქტივობა იძენს არსებით მნიშვნელობას. როგორც უკვე ითქვა, ქვეტექსტის ფენომენის დეფინიციის მეორე წყაროდ მივიჩნევთ პოეტიკის ენციკლოპედიურ ლექსიკონს. ამ წყაროზე დაყრდნობით ქვეტექსტის ფენომენს განვმარტავთ ორ დონეზე - ჯერ ამ ფენომენის ზოგადი დეფინიციის დონეზე, შემდეგ კი მისთვის (ამ ფენომენისთვის) მნიშვნელოვანი ასპექტების დონეზე. ნათქვამის შესაბამისად ქვეტექსტი არის ის ესთეტიკური ინფორმაცია, რომელიც არ არის გამოხატული ენობრივ ერთეულთა მნიშვნელობების ერთობლიობით, ე.ი. არ არის გამოხატული მხატვრული ტექსტის უშუალო შინაარსით. ქვეტექსტის ფორმირებას საფუძვლად უდევს დიალოგური მიმართებები სტრუქტურის სხვადასხვა დონეებზე. როგორც ვხედავთ, ქვეტექსტის ეს ზოგადი დეფინიცია მთლიანად ეხმიანება „სუბიექტის“ იმ განმარტებას, რომელსაც იძლევა Google, თუმცა სახეზეა ერთი მნიშვნელოვანი განსხვავება: თუ ენციკლოპედიისეული დეფინიცია ეფუძნება, ერთის მხრივ, ესთეტიკის, მეორეს მხრივ კი ლიტერატურული ტექსტის ცნებებს, Google-ისეული განმარტება მაქსიმალურად აფართოვებს ამ სიტყვა-კონცეპტის („ქვეტექსტის“ და „სუბტექსტის“) დენოტატიურ მნიშვნელობას (დავრწმუნდებით იმაში, რომ ქვეტექსტის დენოტატიური არეალის ამგავრი გაფართოვება ატარებს არა უბრალოდ ესთეტიკურს, არამედ ისტორიულ-

ესთეტიკურ ხასიათს და, შესაბამისად, იგი იმყოფება შინაგან კავშირში მე-20 საუკუნის ესთეტიკურ ისტორიასთან).

ქვეტექსტი როგორც მხატვრული ლიტერატურისთვის დამახასიათებელი ფენომენი, რა თქმა უნდა, დიდი ხანია არსებობს როგორც კვლევის საგანი, მაგრამ, ჩვენის აზრით, ხსენებული ცნება სრულიად განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს იმ შემთხვევაში, როცა: ა) იგი შინაგანად, ე.ი. სტრუქტურადაც და ფუნქციურადაც უკავშირდება თანამედროვე სემიოტიკის ისეთ ორ კონცეპტს, როგორცაა, ერთის მხრივ, სიმბოლური ნომინაცია, მეორეს მხრივ კი არავერბალური სემიოტიკა და ბ)როცა ხსენებულ კონცეპტთა ურთიერთდაკავშირება ხდება ნარატიოლოგიურ კონტექსტში.

რაში მდგომარეობს ნარატიული ქვეტექსტის ამგვარი, ანუ სიმბოლურად გაგებული არავერბალურ სემიოტიკაზე დაფუძნებული კვლევის სიახლე და აქტუალურობა? იმისათვის, რომ ამ კითხვაზე გაეცეს ადექვატური პასუხი საჭიროდ მიგვაჩნია შევჩერდეთ პირველ რიგში იმ კონცეპტის პრობლემურობაზე, რომელსაც, ჩვენის აზრით, ცენტრალური ადგილი უკავია სტატიის სათაურად მინიშნებულ კონცეპტუალურ სისტემაში, ანუ არავერბალური სემიოტიკის კონცეპტზე, თუმცა ამავე დროს, ალბათ უკვე ცხადი გახდა ხსენებული პრობლემურობის ის რაკურსიც, რომელიც გადამწყვეტი უნდა იყოს ჩვენი კვლევისთვის – ეს არის, რა თქმა უნდა, არავერბალური სემიოტიკის შესაძლო შინაგანი კავშირი მხატვრულ ნარატივთან, პირველ რიგში კი მის ქვეტექსტთან.

არავერბალური სემიოტიკის(და, შესაბამისად, არავერბალური კომუნიკაციის) როგორც კვლევითი ობიექტის კონცეპტუალური შინაარსი იმდენად მასშტაბურია, რომ მისი სქემატური მიმოხილვაც კი, ბუნებრივია, ვერ იქნება მოცემული სტატიის მიზანი; ამიტომ შევჩერდებით იმ სამ მომენტზე, რომელთა შინაგან პრობლემურ კავშირსაც უნდა დაეფუძნოს მთელი ჩვენი კვლევითი კონტექსტი.

ეს მომენტებია:

ა) როგორც ცნობილია, არავერბალური სემიოტიკისა და, შესაბამისად, არავერბალური კომუნიკაციის ცნება უკავშირდება იმას, რასაც ზოგადად შეიძლება ეწოდოს „სხეულის ენა“; და შეიძლება ითქვას, რომ სწორედ სხეულის ამ „ენას“ უკავშირდება მისი ის ზოგადსემიოტიკური (და ზოგადკომუნიკაციური)

დახასიათება, რომელიც, ჩვენის აზრით, ორმაგი თვალსაზრისით უკავშირებს მას ნარატიულ ქვეტექსტთან. პირველი თვალსაზრისი ატარებს მკვეთრად გამონათულ კომუნიკაციურ ხასიათს. როგორც მ. კოცოლინო წერს: „სხეულის ენა შეიძლება იყოს ცხადი და ხელმისაწვდომი სხვა ადამიანთა აღქმისა და გაგებისათვის, მაგრამ ამავე დროს იგი შეიცავს ფარულ, შეიძლება ითქვას, იდუმალ განზომილებებსაც კი“. (კოცოლინო 2009: 24) ავტორი შემდეგნაირად აკონკრეტებს ნათქვამს: „ერთის მხრივ, სხეულის ენა უაღრესად თვალში საცემია როგორც კომუნიკაციის ინტენციონალური ფორმა, მეორეს მხრივ კი იგი შეუმჩნეველი რჩება იმის გამო, რომ მას ვერ აცნობიერებს ის, ვინც მას იყენებს და აღიქვამს“. (კოცოლინო 2009: 23) თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ნებისმიერი ნარატივი აუცილებლად გულისხმობს მასში განვითარებული სიუჟეტის მონაწილეებს, ანუ პერსონაჟებს, არ იქნება ძნელი იმის თქმა და ჩვენება, რომ სწორედ არავერბალური კომუნიკაციის ზემოდხაზგასმულმა ნიშანთვისებამ შეიძლება შექმნას პერსონაჟთა შორის ურთიერთგაგების, ანუ კომუნიკაბელურობის პრობლემა, მაგრამ ამავე დროს, ბუნებრივია დაისვას კითხვა: ვინ უნდა იყოს ამგვარი, ანუ სხეულის ენით ნაგულისხმევი სემანტიკის და ამგვარი სემანტიკით შექმნილი ქვეტექსტის ადრესატი? ვფიქრობთ თანამედროვე ნარატოლოგიას შეუძლია გასცეს პასუხი ამ კითხვაზე, მაგრამ მხოლოდ ერთი პირობით – თუ იგი ორგანულად და თანმიმდევრულად დაუკავშირებს ერთმანეთს სამივე ზემოდხსენებულ კონცეპტს;

ბ) მაგრამ ასევე აღსანიშნავია ის ზოგადი პრობლემურობაც, რომლითაც ხასიათდება სემიოტიკის ორი განშტოების – ვერბალურისა და არავერბალურის – ურთიერთმიმართება კომუნიკაციის ზოგადი თეორიის თვალსაზრისით. სწორედ ამ პრობლემურობაზე მეტყველებს არავერბალური სემიოტიკის ცნობილი მკვლევარის გ. კრეიდლინის შემდეგი გამონათქვამი: „რაც შეეხება ადამიანთა ქცევის არავერბალურ ასპექტებს კომუნიკაციური ურთიერთზემოქმედების სიტუაციაში და იმას, თუ როგორია არავერბალურ ენობრივ კოდთა მიმართება ბუნებრივ ენასთან,..., შეიძლება ითქვას, რომ ეს მიმართებები არამც თუ არ არის სისტემატურად აღწერილი, არამედ ბევრ შემთხვევაში იგნორირებულიცაა“ (კოცოლინო 2009: 6)

თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ნარატიული მხატვრული ტექსტი არსებობს ძირითადად ვერბალური, ანუ „ბუნებრივი ენით“ ნაგულისხმევი ფორმით, ცხადი გახდება, რომ კრედიტის მიერ ხაზგასმული ზოგადსემიოტიკური პრობლემა უშუალოდ უკავშირდება ნარატიული ტექსტის ქვეტექსტს იმდენად, რამდენადაც თვით ეს ქვეტექსტი უკავშირდება არავერბალურ სემიოტიკას;

გ) მაგრამ, რაკი, როგორც ითქვა, მხატვრული ნარატივის ფარგლებში არავერბალური კომუნიკაცია გარდუვალად უნდა იქნეს გამოხატული ვერბალური საშუალებებით, აუცილებლად უნდა დაისვას კითხვა იმის თაობაზე, თუ რას უნდა წარმოადგენდეს ამ შემთხვევაში არავერბალური სემანტიკის, ანუ ქვეტექსტური სემანტიკის გამომხატველ ვერბალურ ენობრივ საშუალებათა ნომინაციური ფუნქცია. ცხადია, რა თქმა უნდა, ამგვარი ნომინაციური ფუნქციის შინაგანი პარადოქსულობა იმ გაგებით, რომ საქმე გვაქვს „შინაგანად დუბლირებულ“ ნომინაციურ ფუნქციასთან. მაგრამ როგორია ამგვარი ნომინაციური „დუბლირების“ ფუნქცია ზოგადნარატოლოგიური თვალსაზრისით და როგორ უნდა დაკონკრეტდეს ეს ზოგადი თვალსაზრისი ქვეტექსტის სიმბოლურ ხასიათთან დაკავშირებით?

როგორც ცნობილია, თანამედროვე ნარატოლოგია როგორც თხრობის თეორია ეფუძნება ზოგადად მხატვრული შემოქმედებისადმი, კერძოდ კი ვერბალური მხატვრული შემოქმედების კომუნიკაციურ მიდგომას, ანუ უფრო ზუსტად თუ ვიტყვით ამ შემოქმედების ხედვის და კვლევის სემიოტიკურ-კომუნიკაციურ პარადიგმას. თანამედროვე ნარატოლოგია, რა თქმა უნდა, წარმოადგენს ფართო და განვითარებული კონცეპტუალური სისტემის მქონე კვლევით სფეროს, მაგრამ ჩვენი ზემოდფორმულირებული მიზანდასახულობიდან გამომდინარე უნდა გამოვყოთ ნარატოლოგიის ის ფუძემდებელი დებულება, რომლის მიხედვით, „ვერბალური მხატვრული კომუნიკაცია ხორციელდება ერთდროულად რამდენიმე კომუნიკაციურ ინსტანციაზე“ (შმიდი 2008: 609) როცა ლაპარაკია კომუნიკაციურ ინსტანციაზე, პირველ რიგში, იგულისხმება, რა თქმა უნდა, ორი ინსტანცია - ა) კომუნიკაცია ავტორსა და მკითხველს შორის, ბ) კომუნიკაცია თვით ნარატივის პერსონაჟებს შორის.

როგორც ითქვა, არავერბალურ კომუნიკაციას როგორც ზოგადჰუმანიტარულ ფენომენს უკავშირდება ორი ძირითადი და ჯერ კიდევ გადაუჭრელი პრობლემა:

პირველი, როგორც მ.კოცოლინო ამბობს, მდგომარეობს არავერბალური კომუნიკაციის „ფარულ და იდუმალ“ ხასიათში, მეორე კი, როგორც მ.კრეიდლინი ამბობს, მდგომარეობს იმ შინაგან და ჯერ კიდევ ბევრი თვალსაზრისით შეუცნობელ კავშირში, რომელიც უნდა არსებობდეს კომუნიკაციის ვერბალურ და არავერბალურ ასპექტებს შორის. ჩვენის აზრით, ორივე ამ პრობლემის ფარგლებში დასმულ კითხვებს შეიძლება გაეცეს პასუხი ნარატოლოგიურ კონტექსტში იმ შემთხვევაში თუ არავერბალურ კომუნიკაციას როგორც ნარატიულ ფენომენს ექსპლიციტურად და თანმიმდევრულად დავუკავშირებთ მეორე ნარატიულ ფენომენს, სახელდობრ, ნარატიულ ქვეტექსტს.

იქიდან გამომდინარე, რომ ნარატიულ მხატვრულ ვერბალურ ტექსტში არავერბალური კომუნიკაცია შეიძლება უკავშირდებოდეს მხოლოდ პერსონაჟის როგორც სიუჟეტის მონაწილის ისეთ ქცევას, რომელიც ვლინდება სხვა პერსონაჟებთან ურთიერთობის დროს, მაგრამ თვით ამგვარი ქცევა როგორც ნარატიული ფაქტი მკითხველისთვის ცნობილი ხდება მხოლოდ ავტორისეული მეტყველების აღქმის წყალობით, შესაძლებელია და აუცილებელიცაა მოვახდინოთ შემდეგი თეზისის ფორმულირება: არავერბალური კომუნიკაცია წარმოადგენს იმ ნარატიულ ფენომენს, რომლის ფარგლებში ხდება ორი ზემოდხსენებული კომუნიკაციური ინსტანციის სინთეზი. ვფიქრობთ, ამ თეზისის საშუალებით ვპასუხობთ მ. კრეიდლინის მიერ ფორმულირებულ პრობლემას, რა თქმა უნდა, თანამედროვე ნარატოლოგიის პრინციპებზე დაყრდნობით.

ზემოთ ფორმულირებული თეზისით ნაგულისხმევი სინთეზი, რა თქმა უნდა, შესაძლებელია ნებისმიერი ნარატივის ფარგლებში, მაგრამ ასევე შეიძლება ითქვას, რომ იგი (ეს სინთეზი) იძენს სრულიად განსაკუთრებულ, ანუ კატეგორიულ მნიშვნელობას მოდერნისტულ მხატვრულ ნარატივში, ანუ იმ ნარატივში, რომლის ფარგლებში მთელი პრობლემური სიმბაფრით დასმულია ადამიანთა შორის ჭეშმარიტი, ანუ სიღრმისეული კომუნიკაციის პრობლემა. ხსენებული სინთეზი უნდა გაგებულ იქნას როგორც მოდერნისტული პოეტიკის ის განზომილება, რომელიც პრობლემურად ავლენს ურთიერთკომუნიკაბელურობის ზოგად ანთროპოლოგიურ პრობლემას;

წინა ორი პისტულატიდან გამომდინარეობს ჩვენი მესამე თეზისიც: ხსენებული სინთეზით ხდება არა მხოლოდ კომუნიკაბელურობის ზემოდხსენებული პრობლემის გამოხატვა, არამედ მისი ტრანსპონირება ტექსტის ზედაპირიდან მის სიღრმეში, ანუ ქვეტექსტში.

იქიდან გამომდინარე, რომ ჩვენი კვლევითი მიზნების შესაბამისად ქვეტექსტის ფენომენს მიენიჭა საკვანძო მნიშვნელობა, ჩვენთვის საინტერესო უნდა იყოს ისიც, თუ როგორ ხდება ქვეტექსტის ზემოთ მოცემული ზოგადი დეფინიციის ასპექტუალური დაკონკრეტება:

ა) სტატიის ავტორის აზრით, „ სიტყვის დონეზე ქვეტექსტს ქმნის სიტყვის შინაგანი დიალოგურობა და, აგრეთვე „დიალოგი“ ნორმას და მის დარღვევას შორის: ნორმის ფონზე დარღვევები იძენენ ესთეტიკურ მნიშვნელობებს;

ბ) სტრუქტურულ მიმართებათა დონეზე ქვეტექსტი იბადება როგორც პერსონაჟთა დიალოგებში თვალსაზრისთა შეჯახებით, ისე იმ მიმართებით, რომელიც შეიძლება ჰქონდეს ავტორისეულ და პერსონაჟისეულ სიტყვებს შორის... ;

გ) ვიზუალურ დონეზე ქვეტექსტი შეიძლება შექმნას სიტყვის გრაფიკულმა ფორმამ...

დ) ტექსტგარეშე დონეზე ქვეტექსტი შეიძლება შეიქმნას ტექსტთა (ავტორისეულ გამონათქვამთა) შორის ისეთმა დიალოგმა, რომელიც მკითხველის მიერ აღიქმება როგორც ისტორიულად, ისე ერთდროულობის ფარგლებში.” (შმიდი 2008: 609)

მნიშვნელოვანია, ჩვენის აზრით, ისიც თუ როგორ ხდება ავტორის მიერ ყოველივე იმის სუმირება, რაც ზემოთ ითქვა ქვეტექსტის შესახებ: „, იმისგან დამოუკიდებლად, თუ რომელ დონეზე ხდება ქვეტექსტის ფორმირება იგი რჩება გარდამავალ რგოლად შეტყობინების, შინაარსსა და საზრისებს შორის: შინაარსი ბადებს ქვეტექსტებს, ხოლო გარკვეული სახით გაგებული და შესაფასებული ქვეტექსტები გარდაიქმნებიან საზრისებად.” (შმიდი 2008: 609)

რა თქმა უნდა, ჩვენ დავუბრუნდებით ქვეტექსტის პრობლემას იმ მიზნით, რომ თანმიდრვრულად დავუკავშიროთ ეს ფენომენი (და მისი შესაბამისი კონცეპტი), როგორც სიმბოლოლოგიას, ისე ნარატოლოგიას და მოდერნისტულ ესთეტიკას, მაგრამ ამ ეტაპზე გვსურს ხაზი გავუსვათ არა მხოლოდ ქვეტექსტის, როგორც სიტყვა-

კონცეპტის მნიშვნელობის დენოტატიურ გაფართოვებას, არამედ შემდეგ ორ ურთიერთდაკავშირებულ ფაქტსაც:

ა) რა ტექსტობრივ დონეზე და რა ფორმითაც არ უნდა ხდებოდეს ქვეტექსტის წარმოშობა, იგი მუდამ ატარებს დიალოგურ ხასიათს და, შესაბამისად, ქვეტექსტის, როგორც ფენომენის ნებისმიერი კონკრეტული გამოვლინება ვერ იქნება ინტერპრეტირებული დიალოგის კონცეპტზე დაყრდნობის გარეშე. როგორც გვახსოვს, დიალოგის ფენომენსა და კონცეპტს ასეთივე საკვანძო მნიშვნელობა ენიჭება სიმბოლოსთან დაკავშირებით. რას უნდა ნიშნავდეს ასეთი დამთხვევა? იქიდან გამომდინარე, რომ საბოლოო ანგარიშში ორივე ეს ფენომენი – როგორც სიმბოლო, ისე ქვეტექსტი – წარმოადგენენ ზოგადად გაგებულ ტექსტობრიობის ატრიბუტებს, ცხადი უნდა გახდეს შინაგანი კავშირი მათ შორის. როგორ უნდა გავიგოთ ეს კავშირი ნარატოლოგიური, ისტორიულ-ესთეტიკური და კულტუროლოგიური (თუ ლინგვოკულტუროლოგიური) თვალსაზრისით? ამ კითხვაზე პასუხი, რა თქმა უნდა, უნდა გასცეს კონკრეტულმა კვლევამ;

ბ) მაგრამ, ჩვენის აზრით, არანაკლებ მნიშვნელოვანია ქვეტექსტის, როგორც „გარდამავალი რგოლის“ ის განსაზღვრაც, რომელსაც ხაზი გაესვა ენციკლოპედიური სტატიის ავტორის მიერ: ქვეტექსტის წყალობითა და საშუალებით შინაარსი გადადის საზრისში, ანუ, სხვანაირად რომ ვთქვათ, ხდება შინაარსის საზრისად ტრანსფორმირება. როგორც ვხედავთ, ქვეტექსტის დიალოგურობა და მისი საზრისეულობა ნახსენებია ერთიან კონტექსტში, რაც ბუნებრივია ამ ორი ფენომენის (ქვეტექსტისა და საზრისის) არსებით შინაგან კავშირზე უნდა მეტყველებდეს, მაგრამ არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენი მსჯელობის ფარგლებში უკვე მოხდა ისეთი ორი ფენომენის ასეთივე არსებითი დაკავშირება, როგორიცაა სიმბოლო და ქვეტექსტი. შესაბამისად, ვიღებთ კონცეპტუალურ ტრიადას: სიმბოლო - ქვეტექსტი - საზრისი, რომლის საფუძველზე და რომლის ფარგლებში უნდა მიმდინარეობდეს მთელი ჩვენი შემდგომი კვლევა. თუმცა, ვფიქრობთ, რომ უკვე ამ ეტაპზე შეგვიძლია დავსვათ შემდეგი, ასევე ჩვენი შემდგომი კვლევისთვის მნიშვნელოვანი კითხვები:

1. როგორ უნდა იქნეს გაგებულ დიალოგი იმ შემთხვევაში, როცა საქმე გვაქვს სელინჯერისეულ ნარატივთან?

2. რა შინაგანი კავშირი არსებობს ხსენებული ნარატივის პოეტიკასა და ქვეტექსტს შორის, თუ ქვეტექსტი გაგებულ უნდა იქნას დიალოგურად?
3. რა კავშირი უნდა არსებობდეს სელინჯერისეული ნარატივის ისეთ ასპექტებს შორის, როგორცაა მისი სიმბოლურობა, ქვეტექსტურობა და მისი საზრისისეული განზომილება? და ბოლოს: როგორ უნდა დაუკავშირდეს ზემოთ დასმულ კითხვათა (და ბუნებრივია ამ კითხვაზე პასუხთა) ერთობლიობა არავერბალური კომუნიკაციის, როგორც ჩვენი საკვლევი თემის ფენომენს?

იმისათვის, რომ გაეცეს პასუხი კითხვათა ამ ერთობლიობას, აუცილებლად მიგვაჩნია გავითვალისწინოთ იმ კვლევათა შედეგები, რომლებიც ერთდროულად მიმართული იყო ქვეტექსტისა და სიმბოლური ნომინაციის ფუნქციური არსისა და იმ როლის გამოვლენაზე, რომელსაც ეს ფენომენები ასრულებენ ნარატიულ კონტექსტში, მაგრამ ამ კონკრეტულ ამოცანასთან დაკავშირებით ჩვენთვის, რა თქმა უნდა, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს შემდეგი კითხვაც: ხდება თუ არა ქვეტექსტის და სიმბოლოს კონცეპტებზე დაყრდნობით მოდერნისტული ნარატივის იმ ტიპის კვლევა, რომელიც წარმოადგენს ჩვენი კვლევის ობიექტსაც, ანუ სელინჯერისეული ნარატივის კვლევა? იმის შემდეგ, როცა შესრულებული იქნება ამ სამი ასპექტის მომცველი ამოცანა შევძლებთ პასუხი გავცეთ ზემოთ დასმულ კითხვათა ერთობლიობასაც.

ყოველივე ზემოთ ნათქვამის საფუძველზე შეიძლება ითქვას შემდეგი: ნარატიული ქვეტექსტის ფუნქციური დაკავშირება არავერბალურ კომუნიკაციასთან უნდა გულისხმობდეს, ერთის მხრივ, იმ სინთეზური ხედვის განხორციელებას როგორც ლოგიკურ-თეორიულ, ისე საკუთრივ სემიოტიკურ დონეზე და ჩვენ მოცემულ პარაგრაფში შევჩერდით სინთეზის ამ ორი დონის თანმიმდევრული დაკავშირების პრობლემაზეც. მაგრამ ასევე მნიშვნელოვანია, ჩვენი აზრით, იმის დანახვა და ხაზგასმაც, რომ, როგორც წინა პარაგრაფში ითქვა, ნარატიული ქვეტექსტის სემანტიკური ფორმირება ხდება, საბოლოო ანგარიშში, იმ ტექსტიბრივი ელემენტის აუცილებელი მონაწილეობით, რომელსაც ჩვენს საყრდენ ფორმულაში (სიტყვა - დეტალი - სიმბოლო) შუალედური პოზიცია უკავია, ანუ დეტალის მონაწილეობით. ამიტომ მოცემული პარაგრაფის დასასრულს უნდა დაისვას ჩვენი

ნარატოლოგიური ანალიზისთვის მნიშვნელოვანი შემდეგი კითხვა: თუ მივიჩნევთ, რომ ხსენებულმა ფორმულამ უნდა შეინარჩუნოს მთელი თავისი ფუნქციური მნიშვნელობა ქვეტექსტზე ორიენტირებულ ნებისმიერ კვლევაში და, შესაბამისად, უნდა შეიძინოს ინვარიანტული ფუნქციური საყრდენის როლი, მაშინ რაში უნდა მდგომარეობდეს ის შინაგანი ტრანსფორმაცია, რომელიც უნდა განიცადოს დეტაილს კონცეპტმა ხსენებული ფორმულის სტრუქტურის ფარგლებში? სხვანაირად რომ ვთქვათ, როგორ უნდა გამოიყურებოდეს „დეტალი“ იმ შემთხვევაში, როცა ქვეტექსტის შექმნის ფუძემდებელ ფაქტორად გვევლინება უკვე არა ვერბალური, არამედ არავერბალური კომუნიკაცია? ბუნებრივია მივიჩნიოთ, რომ ამ კითხვის დასმით სრულებითაც არ კნინდება სინთეზური ხედვა იმ ლოგიკურ-თეორიულ და სემიოტიკურ დონეთა მნიშვნელობა, რომელთა შესახებ ზემოთ გვქონდა მსჯელობა, მაგრამ, სამაგიეროდ, ხდება იმ ფაქტორის აქცენტირება, რომლის უშუალო წიაღშიც უნდა ფუნქციონირებდეს ზემოთ ხსენებული და ჩვენს მიერ ინვარიანტულად წოდებული ფორმულა – ანუ ხდება ტექსტის როგორც ფაქტორის აქცენტირება. შეიძლება ითქვას, ტექსტი როგორც ფაქტორი ისევე ინარჩუნებს თავის ინვარიანტულ ფუძემდებლურ ფუნქციას, როგორც ხსენებული ფორმულა და ეს ინვარიანტულობა ეფუძნება შემდეგ პოსტულატს: როგორც არ უნდა იყოს ქვეტექსტის როლი და მნიშვნელობა ნარატიულ სფეროში იგი, ანუ ქვეტექსტი, შესაძლებელია მხოლოდ ტექსტის ფარგლებში და ტექსტის უშუალო მოცემულობის საფუძველზე. ჩვენ უკვე არა ერთხელ გავუსვით ხაზი იმ ფაქტს, რომ თავად არავერბალური კომინაკაციის თეორიის ფარგლებში ლაპარაკია იმის თაობაზე, თუ რა მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს ნარატოლოგიას ამ ფენომენის კვლევისთვის, მაგრამ, ამავე დროს, ცხადია ისიც, რომ ნარატოლოგიის კვლევის პირდაპირ და უშუალო ობიექტს წარმოქმდნენ ნარატიული ტექსტი, უფრო კონკრეტულად და ზუსტად კი – ისეთი ვერბალური ნარატიული ტექსტი, რომლის ფარგლებში და თვით ვერბალური ელემენტების უშუალო მონაწილეობით იქმნება არავერბალური კომუნიკაციით დაფუძნებული ქვეტექსტი.

ზემოთ ჩვენ უკვე გვქონდა ზოგადი მსჯელობა იმის თაობაზე, თუ როგორ განიხილავს თანამედროვე სემიოტიკა იმ მიმართებათა სპექტრს, რომლებიც შეიძლება არსებობდნენ, ერთის მხრივ, ვერბალურ გამონათქვამსა და, მეორეს მხრივ,

ისეთ დომინანტურ არავერბალურ ნიშანს შორის, როგორცაა ჟესტი. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს მსჯელობა მთლიანად ინარჩუნებს თავის მნიშვნელობას, მაგრამ უკვე იმ ფაქტორის გათვალისწინების პირობით, რომელიც ზემოთ იყო ნახსენები, ანუ დეტალისა და ტექსტის ურთიერთმიმართების, როგორც ფაქტორის გათვალისწინების პირობით. ამიტომ აუცილებლად მიგვაჩნია კიდევ ერთხელ დავუბრუნდეთ ქვეტექსტური სემანტიკის იმ ანალიზს, რომელიც მოცემულია ნ. მატარაძის ნაშრომში და შევჩერდეთ ამ ანალიზის საკუთრივ ტექსტობრივ ასპექტზე. რა უნდა იყოს ჩვენი კონკრეტული მიზანი ამგვარი „შეჩერების“ შემთხვევაში? რა თქმა უნდა, ჩვენს მიერ ფორმულირებული ჰიპოთეზა უნდა გულისხმობდეს იმ განსხვავების გააზრებას, რომელიც უნდა არსებობდეს დეტალისა და ტექსტის ურთიერთზემოქმედების თვალსაზრისით ორ შემთხვევაში – იმ შემთხვევაში, როცა დეტალის ფორმირება უკავშირდება ვერბალურ კომუნიკაციას და იმ შემთხვევაშიც, როცა მისი ფორმირება უკავშირდება არავერბალურ კომუნიკაციას.

სწორედ იმ მიზნით, რომ შესაძლებელი გახდეს ხსენებული ჰიპოთეზის ფორმულირება, ნ.მატარაძის ნაშრომიდან მოვიყვანთ შესაბამისი ფუნქციური დატვირთვის ორ ციტატას: ა) ციტატას, რომელიც იძლევა ზოგად წარმოდგენას იმის შესახებ, თუ როგორ ხდება დეტალისა და ტექსტის ურთიერთზემოქმედება იმ შემთხვევაში, როცა სიტყვა ტრანსფორმირდება დეტალად, დეტალი კი - სიმბოლოდ, ხოლო ეს უკანასნელი კი იქცევა ქვეტექსტის მაკონსტიტუირებელ ფაქტორად და ბ) ციტატას, რომელიც იძლევა წარმოდგენას იმის თაობაზე, თუ როგორ ხდება ტექსტობრივი შინაარსის სიმბოლიზაციის შემთხვევაში მხატვრული ტექსტის ისეთ განზომილებათა სემანტიკური ტრანსფორმაცია, როგორცაა მხატვრული დრო და მხატვრული სივრცე – თუ, რა თქმა უნდა, ამ განზომილებათა ტრანსფორმაციას მივიჩნევთ თვით ნარატიული სემანტიკის ტრანსფორმაციად. მოვიყვანოთ ზემოთ მითითებული ციტატები შემდეგი თანმიმდევრობით და პარაგრაფის დასასრულს შევეცადოთ ზემოთ ხსენებულ კვლევითი ჰიპოთეზის ფორმულირების განხორციელებას:

- *ნარატიული ტექსტის სიმბოლიზაცია და მისი მიმართება ამგვარად კონსტიტუირებული ქვეტექსტის რეცეფციულ-ესთეტიკურ სტატუსთან.*

ამ ქვესათაურით ნაგულისხმევი ვითარება ხსენებულ ნაშრომში წარმოდგენილია შემდეგნაირად: „მხატვრული დეტალის სიმბოლოდ ტრანსფორმირებას განვიხილავთ როგორც ეტაპობრივ ხდომილებას, რომლის ადეკვატური აღქმა მოითხოვს მხატვრული ტექსტის ადრესატის (მკითხველის) „აქტიურ პოზიციას“ (კითხვის პროსპექტულ და რეტროსპექტულ ეტაპთა განხორციელების პროცესში). ამგვარი აქტიური რეცეფციის შედეგად გამოიყოფა სიმბოლიზაციის დინამიკური ვექტორი, რომელიც საწყის, ანუ სიტყვის დეტალად გარდაქმნის ეტაპზე, მიმართულია ტექსტიდან ქვეტექსტისაკენ, დეტალის სიმბოლოდ ტრანსფორმირების ეტაპზე კი განიცდის ინვერსიას – იგი კვლავ ტექსტისაკენ „მიმართება“ და იმგვარად ზემოქმედებს მასზე, რომ იწვევს მის ჯერ ქრონოტოპულ, ხოლო შემდეგ სრულ, ინტეგრალურ სემანტიკურ ტრანსფორმაციას. შედეგად, მთელი ტექსტი იქცევა გარკვეული თვალსაზრისით აღქმული სინამდვილის სიმბოლოდ. ამ ეტაპს „ინვერტირებული“ ან „გლობალური“ სიმბოლიზაცია ვუწოდეთ. ორივე აღნიშნული ეტაპი გულისხმობს არა მხოლოდ მკითხველისა და ტექსტის შეხვედრას, რომელზეც საუბარია თანამედროვე რეცეფციულ ესთეტიკაში, არამედ რეცეფციას როგორც პროცესსა და გზასაც. სხვანაირად რომ ვთქვათ, მხატვრული ტექსტის აღქმა მუდამ წარმოადგენს პროსპექტულ და რეტროსპექტულ რეცეფციათა ეტაპობრივად განხორციელებულ სინთეზს, რომლითაც უნდა ხდებოდეს მკითხველის (აქტიური პოზიციით) ნაგულისხმევი შინაარსის კონცეპტუალური ექსპლიკაცია. უნდა ვიგულისხმოთ, რომ სწორედ მკითხველისა და ტექსტის ხსენებული „შეხვედრა“ იძენს გზისა და პროცესის ხასიათს.“ (მატარაძე 2005: 14)

- *ნარატიული ტექსტის სიმბოლიზაცია იმ რეფერენტული სივრცის სემანტიკური ტრანსფორმაციის თვალსაზრისით, რომელიც წარმოადგენს ნარატიული ტექსტის დენოტატს*

როგორც უკვე ითქვა, ამ შემთხვევაში უკვე ლაპარაკია ნარატიულ ტექსტის სივრცითი და დროითი განზომილებების ტრანსფორმაციაზე. ხსენებული თვალსაზრისით ნ. მატარაძის მიერ გაკეთებული დასკვნა შეიძლება გაიყოს ორ ნაწილად: პირველ ნაწილში ლაპარაკია უშუალოდ დრო-სივრცით ტრანსფორმაციაზე, მეორე შემთხვევაში კი ხდება ამ ეტაპზე ნათქვამის განზოგადოება. შესაბამისად ციტირებასაც მოვახდენთ იგივე თანმიმდევრობით:

ა) თავად ტექსტის ქრონოტოპის (მხატვრული დრო-სივრცის) ტრანსფორმაცია, რომელიც გლობალური სიმბოლიზაციის შედეგად ხდება და რომელსაც, როგორც აღვნიშნეთ, მთელი ტექსტობრივი შინაარსის სიმბოლიზაცია მოჰყვება, იძლევა მისი ტიპოლოგიზაციის შესაძლებლობას. შესაძლებელია ამგვარი ტრანსფორმაციის სამი შემდეგი ვარიანტი:

1. ტრანსფორმაცია აქცენტით ქრონოტოპის დროით ასპექტზე;
2. ტრანსფორმაცია აქცენტით ქრონოტოპის სივრცით ასპექტზე;
3. ტრანსფორმაცია აქცენტით მთლიან ქრონოტოპზე.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ აქცენტი ერთ კომპონენტზე არ ნიშნავს მის აფსოლუტიზაციას. ტექსტის გლობალური სიმბოლიზაციის პროცესში და მის შედეგად საბოლოო ანგარიშში საქმე გვაქვს ერთიანად ტრანსფორმირებულ ქრონოტოპთან.” (მატარაძე 2005: 15)

ბ) როგორც ზემოთ ითქვა, შესაბამისი ნარატიული ტექსტის დროითი და სივრცითი სიმბოლური ტრანსფორმაციის შედეგად ვიღებთ უკვე მთლიანი ტექსტის ისეთ ტრანსფორმაციას, როცა სწორედ ტექსტი იძენს სიმბოლური ქვეტექსტის ფუნქციას. განზოგადოებული სახით ხსენებული პროცესი გამოიყურება შემდეგნაირად:

„1. კონტექსტი, რომლის ფარგლებშიც ვითარდება მოქმედება, ანუ ის ზოგადი რეფერენტული სივრცე, რომელიც ასახულია ტექსტში;

2. მეტყველების ნაწილი, რომელიც საფუძვლად უდევს მაიმპლიციურებელ მხატვრულ დეტალ-სიმბოლოს;

3. სიტყვის დეტალად და დეტალის სიმბოლოდ ტრანსფორმაციის ხასიათი;

4. გლობალური სიმბოლიზაციის ტიპი: ა) ქრონოტოპის ტრანსფორმაცია აქცენტით დროზე ; ბ) ქრონოტოპის ტრანსფორმაცია აქცენტით სივრცეზე; გ) ქრონოტოპის

ტრანსფორმაცია, რომელშიც ერთდროულად არის აქცენტირებული დროისა და სივრცის ასპექტები.” (მატარაძე 2005: 15)

მაგრამ, როგორც უკვე ითქვა, ჩვენთვის მთავარი უნდა იყოს არა იმის აღნიშვნა, თუ როგორ ხდება (ბუნებრივია აქ ციტირებული ავტორის მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით) მთლიანი ნარატიული ტექსტის სიმბოლური ტრანსფორმირება იმ შემთხვევაში, როცა სიმბოლოს როლში გამოდის ვერბალური ნიშანი ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით: ჩვენი მიზანი უნდა იყოს გამოვთქვათ ჰიპოთეზა იმის თაობაზე თუ რა სახეს და რა მიმართულებას უნდა იღებდეს ტექსტის ამგვარი (ანუ კვლავაც სიმბოლური) ტრანსფორმაცია იმ შემთხვევაში, როცა ტრანსფორმაციის წყაროდ იქცევა ვერბალური საშუალებებით გადმოცემული არავერბალური ნიშანი. ვფიქრობთ, ხსენებულ პრობლემასთან ჩვენს მიერ დაკავშირებული ჰიპოთეზა უნდა ჟღერდეს შემდეგნაირად: ტექსტის სიმბოლური ტრანსფორმაციის ახალი მოდუსი უნდა ეფუძნებოდეს, ერთის მხრივ, სიმბოლური ნიშნის იმ ატრიბუტიკას, რომელიც ციტირებულ ნაშრომში მოიცავს ანთროპოცენტრისტულობას, მისწრაფულობას და დაუსრულებლობას, მეორეს მხრივ კი, იმ ფენომენს, რომლის არსში უნდა ხდებოდეს სამივე ხსენებული ატრიბუტის კონცენტრირებული შერწყმა, ანუ ეგზისტენციალური სიღრმისკენ სწრაფვას. რა თქმა უნდა, ეს ფენომენი (ანუ ეგზისტენციალური სიღრმისკენ სწრაფვა) საბოლოო ანგარიშში ამა თუ იმ დონით თან ახლავს ნებისმიერ ქვეტექსტს, მაგრამ რა ცვლილებას უნდა განიცდიდეს თვით ქვეტექსტი იმ შემთხვევაში, როცა იგი ფუძნდება ვერბალური ტექსტის ფარგლებში რეალიზებული არავერბალური კომუნიკაციით? ეს არის კითხვა, რომელიც, ამავე დროს, უნდა მივიჩნიოთ ჩვენს მიერ გამოთქმულ ჰიპოთეზად (ანუ კითხვის სახით ფორმულირებულ ჰიპოთეზად).

§5. ქვეტექსტი და სიმბოლური ნომინაცია თანამედროვე ნარატოლოგიურ კვლევაში: ამ კვლევით მიღებულ შედეგთა მიმართება არავერბალურ კომუნიკაციასთან როგორც ნარატიულ ფენომენტთან

წინა პარაგრაფში შევეცადეთ იმის განხილვას, თუ როგორ არის დანახული ქვეტექსტის ფენომენი, ერთის მხრივ ,ზოგადესთეტიკური, მეორეს მხრივ კი, საკუთრივ ლიტერატურათმცოდნეობითი თვალსაზრისით და დავრწუნდით შემდეგში: ეს ფენომენი შინაგანად და არსებითად უკავშირდება დიალოგის ფენომენს, შესაბამისად, გამოვთქვით მასაზრებაც, რომ სწორედ დიალოგურობა უნდა მივიჩნიოთ ამ ორი ფენომენის, ანუ სიმბოლოსა და ქვეტექსტის შინაგანად დამაკავშირებელ მოვლენად, მაგრამ, როგორც უკვე ითქვა, ქვეტექსტურობისა და სიმბოლურობის ეს ურთერთდაკავშირება მოხდა ზოგადესთეტიკურ და ზოგადლიტერატურულ დონეზე _ ამ ფენომენტთა საკუთრივ ნარატიული ფუნქციის გათვალისწინების გარეშე. ამიტომ ბუნებრივია მივიჩნიოთ: თუ გვსურს, რომ ზემოთ ხსენებული კონცეპტუალური ტრიადა (სიმბოლო - ქვეტექსტი - საზრისი) იქცეს ჩვენს საყრდენად სელინჯერისეული მოდერნისტული ნარატივის და, შესაბამისად, არავერბალური კომუნიკაციის როგორც ნარატიული ფენომენის კვლევის პროცესში, უნდა მოხდეს წინა პარაგრაფში მიღწეულ შედეგთა დაკონკრეტება სწორედ მათი ნარატოლოგიური მნიშვნელობის გამოვლენის მიზნით. სწორედ ამ ამოცანის შესრულების მიზნით მოცემულ პარაგრაფში ჩასატარებელი კვლევის ვექტორი შეიძენს შემდეგ ეტაპობრივ სტრუქტურას:

- ა) უნდა მოხდეს იმის განხილვა, თუ როგორ ხდება ქვეტექსტის, როგორც ესთეტიკურ-ლიტერატურული ფენომენის ფუნქციის დაკონკრეტება საკუთრივ ნარატოლოგიურ კონტექსტში. ამ კითხვაზე პასუხის გაცემას შევეცდებით ქვეტექსტის (ქვეტექსტური სემანტიკის) იმ კვლევაზე დაყრდნობით, რომელიც განხორციელებულია ქართულ ნარატოლოგიურ პრაქტიკაში, სახელდობრ, ერნესტ ჰემინგუეის „მცირე პროზის“ კვლევის საფუძველზე;

ბ) მაგრამ, ამავე დროს, აუცილებლად მიგვაჩნია დავუკავშიროთ ნარატიული ქვეტექსტის კვლევა იმ ფენომენსაც, რომლის გარეშე შეუძლებელია არსებობდეს ვერბალური სიმბოლიკა, ანუ დავუკავშიროთ სიმბოლურ ნომინაციას როგორც ენობრივ-კულტურულ ფენომენს. ამ მიზნითაც მივმართავთ ქართულ ნარატოლოგიურ პრაქტიკაში განხორციელებულ კვლევებს;

გ) მაგრამ კვლავ უნდა გავუსვათ ხაზი იმ გარემოებას, რომ ზემოთ აღნიშნული ორი კვლევითი მომენტი, ანუ ის მომენტები, რომლებიც უკავშირდებიან ქვეტექსტისა და სიმბოლური ნომინაციის ნარატიულ კონტექსტში განხილვას, ჩვენთვის წარმოადგენენ მხოლოდ იმ კვლევითი მიმართულების ეტაპებს, რომლებმაც საბოლოო ანგარიშში უნდა მიგვიყვანოს ჩვენს ცენტრალურ ამოცანამდე - იმ ფუნქციის გამოვლენამდე, რომელსაც არავერბალური კომუნიკაცია ასრულებს ნარატიული ქვეტექსტის (ქვეტექსტური სემანტიკის) შექმნის პროცესში. სწორედ ამ მიზნით მივმართავთ იმ კვლევასაც, რომელიც უკვე განხორციელებულია ქართულ პრაქტიკაში და რომელიც მიმართული იყო სელინჯერისეული ნარატივის ქვეტექსტის ფუნქციურ-სტრუქტურულ განსაზღვრაზე.

მაგრამ, რა თქმა უნდა, ამასთან ერთად ჩვენი მიზანი იქნება ზემოთ ხსენებულ ნარატოლოგიურ კვლევათა არა უბრალოდ დასახელება და რეფერირება, არამედ მათ ფარგლებში მიღწეულ შედეგთა ნარატოლოგიური არსის შემდგომი დაკონკრეტება და გაღრმავება. ვიმეორებთ, ეს დაკონკრეტება და გაღრმავება უნდა ნიშნავდეს იმას, რომ ვცდილობთ მივაღწიოთ ჩვენს მთავარ მიზანს, ანუ არავერბალური კომუნიკაციის ქვეტექსტური ფუნქციის ნარატოლოგიური არსის გამოვლენას წინა პარაგრაფში დასახელებული კონცეპტუალური ტრიადის საფუძველზე (სიმბოლო - ქვეტექსტი - საზრისი).

5.1. ქვეტექსტური სემანტიკა როგორც ენობრივ-ფუნქციური ფენომენი

მეოცესაუკუნოვან ნარატივში


როგორც უკვე ითქვა, ნარატიული ქვეტექსტის კვლევა ამ შემთხვევაში მიმდინარეობდა ე. ჰემინგუეის „მცირე პროზის“ ანალიზის საფუძველზე. კვლევის

ავტორი, სახელდობრ, ნ. მატარაძე საკვლევ მასალასთან დაკავშირებით წერს: „საკვლევ მასალად გამოყენებულია ე. ჰემინგუეის „მცირე პროზა“, სახელდობრ, ნიკ ადამსის პერსონაჟთან დაკავშირებით მოთხრობათა ციკლი “The Northern Words” („ჩრდილოეთის სიტყვები“). ცნობილია, რომ ე. ჰემინგუეის ტექსტები ხასიათდება ე.წ. „აისბერგის პრინციპით“, რაც ნათლად მიუთითებს მათთვის ქვეტექსტის ცენტრალურ მნიშვნელობაზე.” (მატარაძე 2005: 5) როგორც ვხედავთ, ხსენებულ ავტორთან კვლევა მიმართულია სწორედ ნარატიული ქვეტექსტის ანალიზზე, ხოლო თვით ქვეტექსტის ფენომენი დანახულია „აისბერგის პრინციპზე“ დაყრდნობით. ბუნებრივია, ხსენებული პრინციპი უნდა უნდა მივიჩნიოთ იმ ზოგად პრინციპად, რომლის გარეშე ვერ იარსებებდა ვერავითარი ქვეტექსტი, მაგრამ ასევე ცნობილი და გასათვალისწინებელია ის გზაც, რომელიც უნდა გაეგლო ხსენებულ პრინციპს მოდერნისტული ნარატივის ისტორიული დინამიკის ფარგლებში. თუ ამ დინამიკას პირობოთად და, რა თქმა უნდა, ჩვენი კვლევითი მიზნების გათვალისწინებით განვსაზღვრავთ ფორმულით „ჰემინგუეიდან სელინჯერამდე“, მაშინ გასაგები იქნება ის მნიშვნელობაც, რომელსაც ჩვენთვის იძენს ხსენებული ავტორის მიერ ჩატარებული კვლევა.

ხსენებული ავტორი ჰემინგუეის იმ ნარატიულ ტექსტთან ქვეტექსტურ სემანტიკას, რომელიც თემატურად უკავშირდება მის „მცირე პროზას“, იკვლევს ისეთ ორ ფენომენზე დაყრდნობით, როგორცაა „მხატვრული დეტალის ორი კონცეფცია, რომელთაგან ერთს „სტატიკურ-პლურალისტულს“, ხოლო მეორეს კი „დინამიკურ-სინგულარისტულს“ უწოდებს. გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ტერმინით „სტატიკურ-პლურალისტული“ ავტორი გულისხმობს მხატვრული დეტალის ტრადიციულ ლიტერატურათმცოდნეობით კონცეფციას, ანუ იმ კონცეფციას, რომლის თანახმად „დეტალი უნდა ნიშნავდეს ნაწარმოებში წარმოდგენილი მხატვრული სინამდვილის ამა თუ იმ შემადგენელ სეგმენტს, რაც შეეხება „დინამიკურ-სინგულარისტულ“ დეტალს, იგი სწორედ მას უკავშირებს ჩვენთვის საინტერესო ფენომენს, ანუ ქვეტექსტს (ქვეტექსტურ სემანტიკას). იგი წერს: „ტექსტთან მიმართებაშია არა დეტალთა სიმრავლე, არამედ ერთი დეტალი, რომელიც სათავეს სიტყვისგან იღებს და ტექსტში გამეორების შედეგად ჯერ დეტალად, ხოლო შემდეგ სიმბოლოდ გარდაიქმნება.”(მატარაძე 2005: 7)

იქიდან გამომდინარე, რომ არავერბალური კომუნიკაციის ნარატოლოგიურ ფუნქციაზე მსჯელობისას უნდა დავეყრდნოთ ქვეტექსტის აქ წარმოდგენილ კონცეფციას, საჭიროდ მიგვაჩნია მეტი სისრულით გადმოვცეთ მხატვრული დეტაილს მატარამისეული გაგება. იგი წერს: „ ჩვენთვის ამოსავალ წერტილად იქცა სწორედ ამ სახის ტექსტობრივი სიტუაცია, როცა ტექსტთან სიღრმისეულ შინაარსობრივ მიმართებაშია და ამ მიმართების საფუძველზე ქვეტექსტურ სემანტიკას ქმნის ერთი დეტალი. აღნიშნულ ტრანსფორმაციათა თანმიმდევრობა შესაძლებელია წარმოვიდგინოთ შემდეგი მოდელის სახით: სიტყვა – დეტალი – სიმბოლო. აღსანიშნავია, რომ მოდელის ყოველი შემდგომი წევრი ინარჩუნებს და, ამასთან, გარდაქმნის წინა ერთეულის ნიშან-თვისებებს. ხსენებული მთლიანი უნდა აღვიქვათ ნიშნად, რომელსაც, როგორც ყველა ნიშანს, აქვს გამოხატულების და შინაარსის პლანები და მიუთითებს რეფერენტულ სიტუაციაზე, ანუ აქვს სიგნიფიკატი, რომელიც ჩვენს შემთხვევაში, ქვეტექსტს ემთხვევა. ამავე დროს აუცილებელია „სიტყვა – დეტალი – სიმბოლო“ განვიხილოთ სწორედ როგორ კომპლექსური და, ამავე დროს, დინამიკური ნიშანი, რომელიც ქმნის ქვეტექსტს და მიუთითებს მასზე.” (მატარაძე 2005: 7)

როგორც ვხედავთ, ციტირებული ავტორისთვის ქვეტექსტის ფენომენის განხილვისას ამოსავალია არა მხოლოდ ის ფაქტი, რომ ვერბალური სიმბოლო წარმოადგენს მხატვრული დეტალის, როგორც ვერბალური ნიშნის ტრანსფორმაციის შედეგს, არამედ ის ფაქტიც, რომ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ერთი დეტალის სიმბოლოდ გარდაქმნასთან. შწორედ ამ გარდაქმნის გრაფიკულ გამოსახულებას წარმოადგენს ავტორის მიერ შემოთავაზებული ფორმულა:



როგორც ითქვა, ჩვენთვის მისაღებია ქვეტექსტური ფუნქციის მატარებელი ვერბალური სიმბოლოს ეს კონცეფცია, მაგრამ, ამავე დროს, ვსვამთ ჩვენთვის მნიშვნელოვან შემდეგ კითხვას: თუ გავითვალისწინებთ, ერთის მხრივ, იმ კონცეპტუალურ ტრიადას, რომელიც წარმოგვიდგა წინა პარაგრაფის შინაარსობრივ

ცენტრად (სიმბოლო – ქვეტექსტი – საზრისი), მეორეს მხრივ კი, ჩვენი კვლევის იმ ასპექტს, რომელიც უკავშირდება მეოცესაუკუნოვანი მოდერნისტული ნარატივის მიერ განვლილ გზას (ჰემინგუეიდან სელინჯერამდე), ხომ არ უნდა ვიგულისხმოთ, რომ სულაც არ არის აუცილებელი სელინჯერთანაც შენარჩუნებული იყოს დეტალსა და სიმბოლოს მხოლოდობით რიცხვში მოცემულობა. მაგრამ იმისთვის, რომ აქ დასმულმა კითხვამ შეიძინოს ჭეშმარიტი მნიშვნელობა, ანუ მართლაც იყოს ორიენტირებული მოდერნისტული ნარატივის სელინჯერისეული ეტაპის ქვეტექსტის გამოვლენაზე, საჭიროდ მიგვაჩნია ზემოთ ხსენებული ნაშრომის იმ ფრაგმენტის ციტირებაც, რომელშიც მეტი ხაზგასმითაა გამოხატული მხატვრული სიმბოლოსა და ნარატიულ ქვეტექსტს შორის შინაგანი კავშირი: „ექვს არ იწვევს ის რომ, როგორც დეტალის, ისე სიმბოლოს მიერ მითითებული სემანტიკა ანთროპოცენტრისტულია, რადგან ორივე მათგანი პერსონაჟის შინაგან სამყაროს ასახავს, შესაბამისად, განსხვავება ორ ხსენებულ ქვეტექსტურ სემანტიკას შორის უნდა დავინახოთ თავად პერსონაჟის შიდა განზომილებაში. კვლევის ამ მიმართულების წარმართვამ დაგვანახა, რომ მხატვრულ ტექსტში დეტალის სიმბოლოდ ტრასფორმირებას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება ჰქონდეს საზრისი და გამართლება, თუ მის შედეგად მივიღებთ უფრო ღრმა ქვეტექსტურ სემანტიკას: სიმბოლო ინარჩუნებს დეტალის მიურ შექმნილ ქვეტექსტურ სემანტიკას, მაგრამ ამასთან, თვისობრივად გარდაქმნის მას მისთვის სრულიად ახლებური სიღრმის მინიჭების ფზით.” (მატარაძე 2005: 7) ბუნებრივი იქნება, თუ კიდევ ერთხელ გავიხსენებთ მთელი ჩვენი კვლევის თეორიულად წარმართველ ტრიადას (სიმბოლო – ქვეტექსტი – საზრისი) იმის აქცენტირებაც, თუ რას გულისხმობს ციტირებული ავტორი გამოთქმით „უფრო ღრმა ქვეტექსტური სემანტიკა.” სწორედ ამგვარი „სიღრმის” გამოხატვის მიზნით იგი მიმართავს ეგზისტენციის ცნებას და, შესაბამისად, ამბობს: „მხატვრული დეტალისგან განსხვავებით, მხატვრული სიმბოლო მიუთითებს არა უბრალოდ შინაგან (თუ ფსიქიკურ), არამედ ეგზისტენციალურ ქვეტექსტზე.” (მატარაძე 2005: 7)

საჭიროდ მიგვაჩნია იმის ხსენებაც, რომ ზემოთ ციტირებული დინამიკური ფორმულით (სიტყვა - დეტალი - სიმბოლო) ავტორი ცდილობს აღიქვას ვერბალური სიმბოლოს კონტექსტუალური გენეზისის პროცესი სემიოტიკურად, ანუ როგორც

შინაგანად ერთიანი პროცესუალურ-დინამიკური ნიშანი. შესაბამისად, იგი ლაპარაკობს ამგვარი ნიშნის ორ პლანზე - გამოხატულების და შინაარსის პლანებზე და ამბობს: „1.გამოხატულების პლანი ხასიათდება ორი განზომილებით: კომპლექსურობით და დინამიკურობით; 2. შინაარსის პლანი კი წარმოდგენილია ისეთი განზომილებით, როგორცაა ექსკლუზიური ანთროპოცენტრისტულობა, შინაარსობრივი „მისწრაფულობა” და შინაგანი დაუსრულებლობა.” (მატარაძე 2005: 9)

იმის გათვალისწინებით, რომ სწორედ ნარატივის ქვეტექსტი მიიჩნევა ხსენებული პროცესუალურ-დინამიკური ნიშნის შინაარსის პლანად, საჭიროდ მიგვაჩნია იმის ხაზგასმაც, თუ როგორ აქვს ავტორს ინტერპრეტირებული ამ პლანის ისეთი განზომილებები, როგორცაა “ანთროპოცენტრისტულობა”, “მისწრაფულობა” და “შინაგანი დაუსრულებლობა”. ვიმეორებთ, ჩვენ არა მხოლოდ ვეყრდნობით ქვეტექსტის მატარაძისეულ კონცეფციას, არამედ აუცილებლად მიგვაჩნია ამ კონცეფციის ერთდროულად რადიკალური ტრანსფორმაციაც. სწორედ ამიტომაც, ჩვენი აზრით, ზემოთ მითითებულ განზომილებათა ავტორისეული ხედვის დაკონკრეტება.

ა) ავტორი შემდეგნაირად განმარტავს ხსენებულ განზომილებებს: “სამწევრა კომპლექსი მიუთითებს...ქვეტექსტზე, რომელიც თავის მხრივ, ადამიანის (პესონაჟის) შინაგან სამყაროს, მის ფსიქიკურ ანუ შინაგან, უფრო მეტიც – ეგზისტენციალურ განზომილებას ასახავს.”(მატარაძე 2005: 10) როგორც ზემოთ ნათქვამიდან გამომდინარეობს, ჩვენთვის მნიშვნელოვანი იქნება იმის გამოვლენა, თუ როგორ გამოიყურება პერსონაჟთა ქვეტექსტით მინიშნებული ეგზისტენციალური სიღრმე სელინჯერისეულ ციკლში;

ბ) შინაარსობრივი “მისწრაფულობა”. ავტორი შემდეგნაირად განმარტავს ამ განზომილებას: “თუ სამწევრა მოდელს „სიტყვა - დეტალი - სიმბოლო” განვიხილავთ როგორც ნიშნობრივ, ანუ დესიგნაციის ფუნქციის მატარებელ დინამიკურ-ხდომილებრივ ფაქტს, ასევე დინამიკურად უნდა მივიჩნიოთ მის მიერ დესიგნირებული სინამდვილე, ანუ მისი სიგნიფიკატი/დენოტატი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სიმბოლოს მიერ მითითებული სიგნიფიკატი-დენოტატი უკვე აღარ დაემთხვევა დეტალის მიერ მითითებულ სიგნიფიკატ-დენოტატს, თუმცა, როგორც ითქვა, უეჭველია ქვეტექსტური სემანტიკის ამ ორ „სემენტს” შორის არსებული

„გენეტიკური კავშირი. ამიტომ ბუნებრივია ჩავთვალოთ, რომ ტრანსფორმაციის მიმართულება უნდა გულისხმობდეს *სიღრმეში* გადასვლას. ამდენად, ქვეტექსტური სემანტიკა შეიძლება განვიხილოთ როგორც ანთროპოცენტრისტულად დანახული დინამიკური და სიღრმისაკენ „მისწრაფული“ ეგზისტენციალური რეალობა”(მატარაძე 2005: 10-11) ბუნებრივია, ჩვენ მოგვიხვდება დავსვათ კითხვა: როგორ ტრანსფორმირდება ვერბალური სიმბოლოს (ან ვერბალურ სიმბოლოთა) ამგვარად გაგებული „მისწრაფებულობა” იმ შემთხვევაში, თუ ერთის მხრივ, საქმე გვაქვს სიმბოლოთა სიმრავლესთან (და არა სინგულარისტობასთან), მეორეს მხრივ კი, ამ სიმბოლოებით მინიშნებულ არავერბალურ კომუნიკაციასთან?

გ) შინაგანი დაუსრულებლობა: “ქვეტექსტი, რომელიც შინაარსობრივი „მისწრაფულობით” ხასიათდება, შინაგანი ტრანსფორმაციის შედეგად ასახავს ადამიანის ეგზისტენციალურ რეალობას, რომელიც თავისი არსით უსასრულოა. (მატარაძე 2005: 11)) ეყრდნობა რა გერმანელ მკვლევარს - ო.ფ. ბოლნოვს, ავტორი შემდეგნაირად განმარტავს ეგზისტენციის ცნებას: „ეგზისტენცია უნდა გავიგოთ როგორც „ადამიანის სიღრმისეული ბირთვი”.(მატარაძე 2005: 12) მაგრამ ამავე დროს იმავე მკვლევარზე დაყრდნობით ნ. მატარაძე ამბობს: „იგივე მკვლევარი წერს, რომ ადამიანის შინაგანი ზღვრული სინამდვილე ვერც ერთ გარკვეულ შინაარსობრივ გამონათქვამში ვერ თავსდება. ანუ ეგზისტენცია არის ის, რაც პრინციპულად გულისხმობს ახალ სიღრმეში გადასვლას და, შესაბამისად, პოტენციურად უსასრულო ღრმა სინამდვილეს”. (მატარაძე 2005: 12)

ჩვენ დავუბრუნდებით ვერბალურ სიმბოლოს მატარაძისეულ კონცეფციას ჩვენი კვლევის იმ ეტაპზე, როცა აუცილებელი გახდება იმის გამოვლენა, თუ რითი განსხვავდება ჰემინგუისეული ქვეტექსტის ეგზისტენციალური შინაარსი იმ შინაარსისგან, რომელიც ამ ქვეტექსტს აქვს სელინჯერთან: როგორც ზემოთ ითქვა, ჩვენი ინტერდისციპლინარული კვლევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი მდგომარეობს იმაშიც, რომ არავერბალური კომუნიკაციის ფენომენზე დაყრდნობით გამოვავლინოთ მოდერნისტული ნარატივის მიერ განვლილი გზის ის განზომილება, რომელიც უკავშირდება ქვეტექსტურ სემანტიკას და ამ შემთხვევაში ვნახავთ, რომ მოგვიხდება განვახორციელოთ ჰემინგუისეულ და სელინჯერისეულ ქვეტექსტთა შეპირისპირებითი ანალიზი. მაგრამ სწორედ იმისთვის, რომ კონცეპტუალურად

„მზად ვიყო“ ამგვარი ანალიზისათვის, საჭიროდ მიგვაჩნია მატარამისეული კონცეფციის იმ ასპექტზე მითითებაც, რომლის გარეშე ამგვარი შეპირისპირებითი ანალიზი ვერ განხორციელდება სრული სახით. ვგულისხმობთ მოდერნისტული ნარატიულობის იმ ნიშან-თვისებას, რომელიც, ერთის მხრივ, აერთიანებს ჰემინგუისეულ და სელინჯერისეულ ნარატივებს (ვგულისხმობთ, ერთის მხრივ, ჰემინგუის „მცირე პროზას“, მეორეს მხრივ კი, სელინჯერის „ცხრა მოთხრობას“), და ასევე მიუთითებს მათ შორის არსებულ პრინციპულ განსხვავებასაც - სწორედ იმ განსხვავებას, რომელიც, ჩვენი აზრით, უკავშირდება მოდერნიზმის მიერ განვლილ გზას და ამავე დროს იმ განსხვავებასაც, რომლითაც ხასიათდება ქვეტექსტური სემანტიკა ამ ორ შემოქმედთან. ეს ის ნიშან-თვისებაა, რომელიც შეიძლება გამოხატულ იქნას ორი ისეთი ურთიერთდაკავშირებული ტერმინით, როგორცაა „ციკლი“ და „ციკლიზაცია“. მთელი ჩვენი კვლევისთვის მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ სელინჯერისეული ქვეტექსტი, რომელიც შეუძლებელი იქნებოდა არავერბალური კომუნიკაციის ფენომენის გარეშე, უკავშირდება აგრეთვე ციკლურობის ფენომენსაც. შესაბამისად, ჩვენც მოგვიხდება ამ ორ ფენომენის - არავერბალური კომუნიკაციით მინიშნებულ ქვეტექსტისა და ნარატიული ციკლის - არსებითი სახით ერთმანეთთან დაკავშირება. როგორც ნ. მატარამე აღნიშნავს „როგორც ციკლიზაცია, ისე ქვეტექსტური სემანტიკა განსაკუთრებულ (შეიძლება ითქვას, კატეგორიალურ) მნიშვნელობას იძენს მეოცე საუკუნის მხატვრულ დისკურსში“. „გარდა ამისა, - აგრძელებს ავტორი,- ეს ფენომენები (ციკლისა და ქვეტექსტური სემანტიკა) ინტეგრირებულნი არიან ერთ რომელიმე ინდივიდუალურ შემოქმედებით პროცესში. ფენომენთა ამგვარი თანხვედრით ხასიათდება სწორედ ე. ჰემინგუის შემოქმედება, კერძოდ კი, მისი მოკლე მოთხრობების ციკლი“. მაგრამ ჩვენთვის ბუნებრივია ის ფაქტი, რომ სწორედ ამგვარ „თანხვედრასთან“ გვაქვს საქმე სწორედ ისეთ შემოქმედთანაც, როგორცაა ჯ.დ. სელინჯერი, თუმცა შემდეგი არსებითი განსხვავებით: როგორც ამა თუ იმ ცალკეული ნარატივის, ისე მთელი ციკლის ფარგლებში, ქვეტექსტური სემანტიკა კონსტიტუირდება ძირითადად არავერბალური კომუნიკაციის საშუალებებით.

მაგრამ რა მნიშვნელობაც არ უნდა ჰქონდეს ჩვენთვის მოდერნისტულ ნარატივთა შეპირისპირებულ ანალიზს, არ უნდა დავივიწყოთ ჩვენი კვლევითი მეთოდოლოგიის

ცენტრალური პრინციპი: კვლევის ინტერდისციპლინარულობა ცენტრირებული უნდა იყოს ლინგვისტურად და სწორედ მხატვრული ვერბალური ტექსტის ენობრივ სუბსტრატში უნდა იქნეს დანახული ამგვარი ტექსტის პოეტიკის მთელი თავისებურება. ხსენებული პრინციპი, ანუ ინტერდისციპლინარულობის ლინგვისტურად ცენტრირებულობა, ამ შემთხვევაში უნდა გულისხმობდეს იმის თანმიმდევრულად გათვალისწინებას, თუ რა არის მიჩნეული თანამედროვე ლინგვისტიკაში ტექსტის (ბუნებრივია, იგულისხმება ვერბალური ტექსტი) ძირითად ნიშან-თვისებად. სწორედ ამას გულისხმობს ზემოთ ციტირებული ავტორი, როცა ამბობს, „რომ ნებისმიერი კომპოზიციური ფორმის მქონე ტექსტის ძირითადი კატეგორიალური ნიშნებია *თემატურობა* და *კოჰეზიურობა*, რომლებიც ციკლის შემთხვევაში გარდაიქმნებიან შინაგან მეტათემად და, შესაბამისად, მეტაკოჰეზიად, ანუ ისეთი დონის თემატურ და კოჰეზიურ მთლიანობად, რომლის ეტაპობრივ განხორციელებად უნდა ჩაითვალოს ციკლში შემავალი ყოველი ცალკეული ტექსტის თემატურ-კოჰეზიური კომპლექსი” (მატარაძე 2005: 17) და ასევე მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ის ფაქტიც, რომ ავტორი ხაზს უსვამს ისეთ ორ კატეგორიას შორის შინაგანი კავშირის მნიშვნელობას, როგორცაა, ერთის მხრივ, ციკლი, მეორეს მხრივ კი - გზა. ციკლურობის კატეგორიას უშუალოდ უკავშირდება გზის კატეგორია, რამდენადაც მას შეუძლია გამოხატოს ის შინაგანი დინამიზმი, რომლითაც ხასიათდება ციკლის დასაწყისში ინიცირებული და მის ფარგლებში განვითარებული *შინაგანი მეტათემა*.” ცხადია, რომ ჩვენს შემთხვევაში, ანუ სელინჯერისეული ქვეტექსტის კვლევის შემთხვევაში, საქმე გვექნება იმ შინაგან დინამიზმთან, რომლითაც არავერბალური კომუნიკაცია ეტაპობრივად ქმნის ამგვარ ქვეტექსტს.

იქიდან გამომდინარე, რომ ჩვენს მიერ გასაანალიზებელი სელინჯერისეული ნარატივიც ხასიათდება ციკლური სტრუქტურით, მოგვიხდება დავუბრუნდეთ მატარაძისეული კვლევის ამ ასპექტსაც და გამოვავლინოთ განსხვავება მოდერნისტული ციკლურობის ამ ორ ტიპსა და ეტაპს შორის. წინასწარ კი შეიძლება ითქვას, რომ ისეთი ნარატივის (და ნარატიული ციკლის) ფარგლებში, როგორცაა სელინჯერისეული ნარატივი, კვლევის ძირითად პრობლემად იქცევა სიუჟეტის პრობლემა. როგორც ცნობილია, ნარატიულობა როგორც ფენომენი შეუძლებელია

სიუჟეტის გარეშე, მაგრამ ვნახავთ, რომ სწორედ სიუჟეტის გამოვლენა წარმოადგენს, საბოლოო ანგარიშში, ცენტრალურ პრობლემას ამგვარი ნარატივის კვლევისას.

ჩვენი კვლევის იმ მიზნიდან გამომდინარე, რომელიც საკმარისად ნათლად იყო ფორმულირებული როგორც მოცემულ, ისე წინა პარაგრაფებში, გვსურს დავასრულოთ მოცემული თავი ისე, რომ ერთდროულად გავდოთ კიდეც ხიდი კვლევის შემდეგ ეტაპთან, ანუ მეორე თავთან. პირველი თავი, როგორც ვნახეთ, მიემდვნა ისეთ პრობლემურ კონცეპტს, როგორცაა ნარატიული ქვეტექსტი, ხოლო ეს კონცეპტი აღქმული და გააზრებული იქნა ინტერდისციპლინარულად, თუმცა იმ მომენტის ხაზგასმითაც, რომელიც გულისხმობს ხსენებული ინტერდისციპლინარული მეთოდოლოგიის ლინგვისტურ ცენტრირებულობას.

ვფიქრობთ, საკმარისი ითქვა იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს ჩვენი კვლევის ინტერდისციპლინარული განზომილება: მისი შინაგანი ვექტორი გულისხმობს, რომ უნდა გავიაროთ გზა სიმბოლოლოგიიდან რეცეფციულ ესთეტიკამდე. რა თქმა უნდა, ითქვა ისიც, რომ თვით ამ „გზას“ უნდა ჰქონდეს ვერბალური გამოხატულება, ანუ გამოხატულება სელინჯერისეული ნარატივის ენობრივ სუბსტრატში. მაგრამ როგორ უნდა იქნას გაგებული ამ ენობრივი სუბსტრატის ის ასპექტი, რომელიც, თუ შეიძლება ასე ითქვას, „თავის თავზე აიღებდა“ ხსენებულ ლინგვისტურ ცენტრირებულობას? და თქმა უნდა, სრული პასუხი ამ კითხვაზე გვექნება მაშინ, როცა ბოლომდე მივიყვანთ ჩვენს კვლევას და ავაგებთ იმის ტიპოლოგიას, რასაც შეიძლება ეწოდოს სელინჯერისეული ნარატივის არავერბალურად კონსტიტუირებული ქვეტექსტი. მაგრამ იმისთვის, რომ კვლევის შემდეგ ეტაპზე გადასვლა რეალურად მოხდეს ლინგვისტურად ცენტრირებულად, გვსურს დავასახელოთ ჩვენი კვლევითი მეთოდოლოგიის ის ასპექტი, რომელმაც უნდა მოახდინოს ინტერდისციპლინარულობისა და ლინგვისტური ცენტრირებულობის სინთეზი. ჩვენი აზრით, ამგვარი სინთეზის რეალობად ქცევა შეუძლია ნარატივის ენობრივ სუბსტრატთან შინაგანად დაკავშირებული ისეთი ფენომენის გამოყოფასა და კვლევის ობიექტად ქცევას, როგორცაა სიმბოლური ნომინაცია. ჩვენ უკვე ვიცით, თუ როგორ ხდება სიტყვის ვერბალურ სიმბოლოდ გარდაქმნა, მაგრამ ვერბალური სიმბოლიზაციის ეს კონცეფცია ვერ შეიძენს დასრულებულ სახეს, თუ არ მოხდება მისი შემდგომი გააზრება და, შესაბამისად,

კონცეპტუალური დასრულება ნომინაციის ლინგვისტურ თეორიაზე დაყრდნობით. წინსწრებით შეიძლება ითქვას, რომ ნომინაციის თეორიაზე დაყრდნობა ამ შემთხვევაში უნდა გულისხმობდეს ერთდროულად ველის ლინგვისტურ თეორიაზე დაყრდნობასაც, რადგან, როგორც ცნობილია, თანამედროვე ლინგვისტიკის თანახმად ვერბალური ნომინაცია ატარებს ველის ხასიათს. სხვანაირად რომ ვთქვათ: ჩვენი ინტერდისციპლინარული კვლევა იქნება ლინგვისტურად ცენტრირებული იმ შემთხვევაში, თუ დავინახავთ ნარატივის ენობრივ სუბსტრატში ლექსიკური ნომინაციის სიმბოლურ ნომინაციად ტრანსპონირებად და ამ ტრანსფორმირების შედეგად ქვეტექსტის დამფუძნებელი ნომინაციის სიმბოლური ველის წარმოშობას. სწორედ ამ თვალსაზრისით, ანუ სიმბოლური ნომინაციის ველის ცნებაზე დაფუძნებული კვლევის თვალსაზრისით, ყურადსაღებად მიგვაჩნია ე. ჩიგოგიძის სადისერტაციო ნაშრომი „სიმბოლური ნომინაცია, როგორც ენობრივ-კულტურული ფენომენი და სიმბოლურ-სემანტიკური ველი მხატვრულ ნარატიულ ტექსტში“. რადგან სწორედ მის ფარგლებში ხდება, ერთის მხრივ, იმ საკუთრივ ლინგვისტური მეთოდოლოგიური გზის საბოლოო ლოგიკურ შედეგამდე მიყვანა, რომელიც, ამავე დროს, ლინგვისტური აზროვნების ინტერდისციპლინარულ კონტექსტში გადასვლასაც ნიშნავს, მეორეს მხრივ კი, იმ ახალი სააზროვნო ჰორიზონტის გამოვლენას, რომლისკენაც ეს „გადასვლა“ უნდა ნიშნავდეს. როცა ვლაპარაკობთ ლინგვისტური აზროვნების, კერძოდ კი, ლექსიკოლოგიური აზროვნების ინტერდისციპლინარულ კონტექსტში გადასვლაზე, ვგულისხმობთ ლექსიკური აზროვნების იმ თეორიულ შერწყმას სიმბოლოლოგიასთან, რომლის შედეგიც, ჩვენი აზრით, კონცენტრირებული სახით გამოიხატა „სიმბოლურ ნომინაციაში“ როგორც ტერმინში, მაგრამ, როგორც ითქვა, სწორედ ეს ტერმინი შეიცავს კვლევის იმ ახალ ჰორიზონტზე მითითებას, რომელსაც „ლინგვოკულტუროლოგიური ჰორიზონტი“ უნდა ეწოდოს. აქედან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ სწორედ ჩვენი ნაშრომის მეორე თავში უნდა მოხდეს შემდეგი სამი ამოცანის ჯერ დაკავშირება და ამ ურთიერთდაკავშირების გზით კვლევის იმ დამასრულებელ ეტაპამდე მისვლა, რომელიც, როგორც უკვე ითქვა, უნდა ნიშნავდეს სელინჯერიული ქვეტექსტის ტიპოლოგიზაციას. ეს სამი ამოცანაა:

1) უნდა მოხდეს სელინჯერისეული ნარატივის სიუჟეტის განსაზღვრა, ამ სიუჟეტის ისეთ ფენომენტთან თანმიმდევრული დაკავშირების გზით, როგორცაა *ქვეტექსტი* და *ციკლორობა*. ერთდროულად გადამწყვეტი მნიშვნელობა მიეცემა იმ ფაქტსაც, რომ სამივე ხსენებული ფენომენი მოექცევა ისეთი თეორიულ-მეთოდოლოგიური ხედვის ფარგლებში, რომლის ერთი პოლუსი დაეფუძნება ნარატიულ-ლინგვოკულტუროლოგიურ, ანუ პრინციპულად ინტერდისციპლინარულ მეთოდოლოგიას, მეორე კი მის აუცილებლობას, რომ ფენომენტა ხსენებული ერთობლიობა წარმოდგენილი უნდა იქნას შინაგანად ერთიანი ველის სახით.

2) უნდა დავადგინოთ და განვსაზღვროთ არავერბალური კომუნიკაციის თანამედროვე თეორიის ძირითადი კონცეპტუალური კონტურები და შევასრულოთ ეს ამოცანა მ. კოცოლინოს კონცეფციაზე დაყრდნობით - რადგან სწორედ ამ კონცეფციის ავტორი უსვამს ხაზს ნარატოლოგიური კვლევის მნიშვნელობას არავერბალური კომუნიკაციის როგორც ფენომენის შემდგომი და სიღრმისეული გააზრებისთვის;

3) უნდა იქნას დანახული და ნაჩვენები ის, თუ როგორ გამოხატულებას უნდა პოულობდეს ზემოთ ხსენებული ორი ამოცანის ურთიერთდაკავშირება სელინჯერისეული ქვეტექსტის იმ ტიპოლოგიაში, რომელიც, თავის მხრივ, დაეფუძნება სელინჯერისეული სიმბოლური ნომინაციის ველს.

სწორედ ამ თვალსაზრისით, ანუ სიმბოლური ნომინაციის ველის ცნებაზე დაფუძნებული კვლევის თვალსაზრისით, ყურადსაღებად მიგვაჩნია ე. ჩიგოგიძის ზემო ხსენებული სადისერტაციო ნაშრომი, რადგან სწორედ მის ფარგლებში ხდება, ერთის მხრივ, იმ საკუთრივ ლინგვისტური მეთოდოლოგიური გზის საბოლოო ლოგიკურ შედეგამდე მიყვანა, რომელიც, ამავე დროს, ლინგვისტური აზროვნების ინტერდისციპლინარულ კონტექსტში გადასვლასაც ნიშნავს, მეორეს მხრივ კი, იმ ახალი სააზროვნო ჰორიზონტის გამოვლენას, რომლისკენაც ეს „გადასვლა“ უნდა ნიშნავდეს. როცა ვლაპარაკობთ ლინგვისტური აზროვნების, კერძოდ კი ლექსიკოლოგიური აზროვნების ინტერდისციპლინარულ კონტექსტში გადასვლაზე, ვგულისხმობთ ლექსიკოლოგიური აზროვნების იმ თეორიულ შერწყმას სომბოლოლოგიასთან, რომლის შედეგიც, ჩვენი აზრით, კონცენტრირებული სახით გამოიხატა „სიმბოლურ ნომინაციაში“ როგორც ტერმინში. მაგრამ, როგორც ითქვა,

სწორედ ეს ტერმინი შეიცავს იმ ახალ ჰორიზონტზე მითითებას, რომელსაც „ლინგვოკულტუროლოგიური ჰორიზონტი“ უნდა ეწოდოს. იქედან გამომდინარე, რომ სელინჯერისეული ქვეტექსტის კვლევისას უნდა დავეყრდნოთ მთელ ამ დინამიურად აღსაქმელ კვლევით კონტექსტს, საჭიროდ მიგვაჩნია მოვიყვანოთ ის ამონარიდი ე. ჩიგოგიძის ნაშრომიდან, რომელშიც ასახულია ხსენებული დინამიკა. ახსენებს რა ჩვენს მიერ უკვე სამწევრა ნიშნობრვ კომპლექს, ავტორი შემდეგნაირად გამოხატავს ამ კომპლექსით ნაგულისხმევი კვლევითი გზის გაგრძელებისა და გაღრმავების აუცილებლობას: „არ არის საკმარისი მხოლოდ იმის აღნიშვნა, რომ ტექსტში სიტყვის სიმბოლოდ გადაქცევა არის სამწევრა და არა ორწევრა ნიშნობრივი კომპლექსის ფუნქციონირების შედეგი. თუ გვსურს ბოლომდე მივიყვანოთ განსახილველი ფენომენის ლინგვოსემიოტიკური ინტერპრეტაცია, აუცილებელია დავუკავშიროთ იგი ნომინაციის თეორიასაც: ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ხსენებული პროცესი ნიშნავს ამავე დროს ლექსიკური ნომინაციის სიმბოლურ ნომინაციად ტრანსპონირებას. ლინგვისტური აზროვნების თანამედროვე ეტაპზე ენობრივ (და, მითუმეტეს, ტექსტობრივ) ფენომენებს უნდა მივცეთ არა უბრალოდ ლინგვოსემიოტიკური, არამედ უკვე ლინგვოკულტუროლოგიური ინტერპრეტაცია. ეს კი, ჩვენი აზრით, ნიშნავს შემდეგს: მხატვრული სიმბოლოს ტექსტში ფორმირების ის პროცესი, რომლის გააზრებასაც ცდილობენ ვ. კუხარენკო და ნ. მატარაძე, არ არის მხოლოდ ენობრივ-ტექსტობრივი ფაქტი; არანაკლები საფუძველი გვაქვს ჩავთვალოთ, რომ იგი წარმოადგენს, ამავე დროს, კულტურულ ფაქტსაც: სიტყვის დეტალად, ხოლო დეტალის სიმბოლოდ ქცევა ხდება გარკვეულ კულტურულ სივრცეში და ამ სივრცეს კი, თავის მხრივ, ქმნის მხატვრული კულტურის კონკრეტული პარადიგმა. ჩვენ უკვე არა ერთხელ ხაზგასმით გვქონდა ნათქვამი იმის შესახებ, რომ არავერბალური კომუნიკაციის ჩვენეული კვლევა გვსურს დავუკავშიროთ მოდერნისტული მხატვრული ნარატივის მიერ განვლილ გზას, ხოლო თვით ამ „გზის“ შინაარსობრივ დაკონკრეტებას ვახდენთ ქვეტექსტის ფენომენზე დაყრდნობით. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამ თვალსაზრისით ჩვენი კვლევა წარმოადგენს იმ ლინგვოკულტუროლოგიური მიმართულების შემდგომი გაღრმავების მცდელობას, რომელიც გარკვეული სახით უკვე რეალიზებულია ნ. მატარაძისა და ე. ჩიგოგიძის ნაშრომებში.

მაგრამ ე. ჩიგოგიძის ხსენებული ნაშრომი ჩვენთვის მნიშვნელოვანია არა მხოლოდ იმიტომ, რომ მასში ხდება სიმბოლური ნომინაციის როგორც ფენომენის ლინგვოკულტუროლოგიური ინტერპრეტაცია - ასევე მნიშვნელოვნად გვესახება ის ფაქტიც, რომ ამ ინტერპრეტაციას თან ახლავს შემდეგი ფაქტიც: სიმბოლური ნომინაციის ნარატოლოგიური კვლევა ხორციელდება ველის ლინგვისტურ კონცეპტზე დაყრდნობით, რაც ნიშნავს იმას, რომ ხსენებული ნომინაცია ატარებს კონტექსტუალურ ხასიათს. ნათქვამთან დაკავშირებით მოვიყვანთ ორ ისეთ ამონარიდს ხსენებული ნაშრომიდან, რომელთაგან პირველი ხაზს უსვამს ველის კონცეპტის გამოყენებას სიმბოლური ნომინაციის ფარგლებში, მეორე კი - ამგვარად წარმოქმნილი სიმბოლური ველის კონტექსტუალურ ხასიათს. პირველი მომენტი, რომელიც ასევე მნიშვნელოვანი იქნება სელინჯერისეული ნარატივის განხილვისას, რადგან ამ შემთხვევაშიც საქმე გვექნება ქვეტექსტის შექმნასთან არა რომელიმე ერთი ვერბალური სიმბოლოს, არამედ სიმბოლოთა ერთობლიობის მეშვეობით: „სიმბოლური ნომინაცია, როგორც წესი, რეალიზებულია არა ერთი რომელიმე იზოლირებული სიმბოლოთი, არამედ სიმბოლოთა ჯგუფის მეშვეობით, რაც იმას ნიშნავს, რომ ხსენებული ნომინაცია მუდამ ატარებს ველის სახეს. ცხადია ისიც, რომ ნებისმიერ ვერბალურ სიმბოლოს დერივაციული თვალსაზრისით საფუძვლად უდევს სიტყვა როგორც ლექსიკური ფენომენი. სიმბოლურ ნომინაციის კი, შესაბამისად, საფუძვლად უდევს ლექსიკური ნომინაცია. აქედან გამომდინარე და ზემოთ ნათქვამის გათვალისწინებით ნებისმიერი სიმბოლური ველი გაგებულ უნდა იქნას როგორც ლექსიკურ-სემანტიკური ველის ტრანსფორმი. შეიძლება ითქვას, რომ ყოველი სიმბოლური ველი უნდა მოიცავდეს ორ აუცილებელ სტრუქტურულ-ფუნქციურ მომენტს: იგი, ერთის მხრივ, უნდა იმეორებდეს მისთვის ფუძემდებელი ლექსიკურ-სემანტიკური ველის სტრუქტურას, მეორე მხრივ კი, უნდა წარმოადგენდეს ამ სტრუქტურის თვისობრივი გარდაქმნის შედეგს.” (ჩიგოგიძე 2005: 8) მხედველობაშია მისაღები, რა თქმა უნდა, ის ფაქტიც, რომ ე. ჩიგოგიძესთან სიმბოლური ველი განხილულია არა მხოლოდ ფუნქციურ-სტრუქტურული, არამედ დერივაციულ-გენეტიკური თვალსაზრისითაც: ნაჩვენებია, თუ როგორ ხდება ნარატივის ფარგლებში ლექსიკური ველის სიმბოლურ ველად ტრანსფორმირება. და სწორედ ამ თვალსაზრისით გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ სიმბოლური

ველის, როგორც პრობლემის განხილვისას, ე. ჩიგოგიძე ეყრდნობა ლექსიკურ-სემანტიკური ველის იმ კონცეფციას, რომლითაც ოპერირებს თანამედროვე ლინგვისტიკა - რა თქმა უნდა იმის გათვალისწინებით, რომ ამგვარი ველის მთელი ატრიბუტიკა უნდა ტრანსფორმირდეს სიმბოლური ველის ატრიბუტიკად. სწორედ აქედან გამომდინარე კი ხსენებული ავტორი ეყრდნობა ველის იმ სინთეზურად წარმოდგენილ კონცეფციას, რომელიც მოცემულია ჰ. გეკელერის მონოგრაფიაში. თუ ჩვენც დავეყრდნობით ხსენებულ კონცეფციას, მაშინ მოგვიხდება მისი წარმოდგენა იმ სახით, როგორითაც იგი წარმოდგენილია ე. ჩიგოგიძის ნაშრომში. როგორც ე. ჩიგოგიძე წერს: „ლექსიკურ-სემანტიკური ველის ძირითად მახასიათებლებზე მსჯელობისას ჰ. გეკელერი აყალიბებს ექვს პრინციპს, რომლებიც, მისი აზრით, საფუძვლად უნდა ედოს ნებისმიერ ლექსიკურ სემანტიკურ ველს. ეს არის ის „არსებითი ნიშნები“, რომლებიც იძლევიან ველზე როგორც სტრუქტურაზე საუბრის საშუალებას. ეს პრინციპებია:

1. მთლიანურობის (ინტეგრალურობის) პრინციპი;
2. სისტემურობის პრინციპი;
3. ურთიერთგანსაზღვრის პრინციპი;
4. სისრულის პრინციპი;
5. ურთიერთგამიჯნულობის პრინციპი;
6. სიცარიელეთა არარსებობის პრინციპი.“ (ჩიგოგიძე 2005: 17)

და ასევე მნიშვნელოვანია ჩვენთვის ის დასკვნაც, რომელსაც აკეთებს ხსენებული ავტორი ველის ამ კონცეფციის განხილვის შემდეგ: „ამ ექვსი პრინციპიდან, ჩვენის აზრით, გარკვეული დომინანტური სტატუსი როგორც ლექსიკური, ასე სიმბოლური ველის შემთხვევაში უნდა მიენიჭოს მთლიანურობის პრინციპს. ვფიქრობთ, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ყველა დანარჩენი პრინციპი გამომდინარეობს მისგან და ექვემდებარება მას. ველი, როგორც გარკვეული სახის სისტემა ვერ იქნება შინაგანად მოწესრიგებული, მასში შემავალი ლექსემები ვერ შეძლებენ ურთიერთგამიჯვნას და ა. შ. , თუ ველი არ წარმოადგენს იმას, რასაც გულისხმობს მთლიანურობის პრინციპი, ანუ ისეთ შინაგანად სტრუქტურირებულ სემანტიკურ მთლიანს, რომელიც ენობრივ საშუალებებზე დაყრდნობით უნდა გამოხატავდეს სამყაროს ამა თუ იმ შინაარსობრივ სეგმენტს. როგორც ვხედავთ, ველის ზოგადი ცნების გათვალისწინებით ე. ჩიგოგიძე

ლაპარაკობს იმ შესაბამისობაზე, რომელიც უნდა არსებობდეს ველის სტრუქტურასა და სამყაროს სტრუქტურას შორის. ბუნებრივია, ველის ცნებაზე დაყრდნობისას ჩვენი კვლევითი ინტერესი შეიძენს სხვა მიმართულებას, ანუ იმ მიმართულებას, რომელიც გამოიხატება შემდეგი კითხვის დასმით: თუ ჩვენს მიერ განსახილველ ნარატიულ ტექსტში სიმბოლური ტრანსფორმაცია ნიშნავს ეგზისტენციალური სიღრმის მიმნიშნებელი ქვეტექსტის შექმნას, მაშინ როგორ უნდა გამოიყურებოდეს ვერბალურობასთან შერწყმული ის არავერბალური ნიშნობრივი ველი, რომლის ფარგლებში უნდა ხდებოდეს განსხვავებულ ენობრივ საშუალებათა იერარქიული ურთიერთდაპირისპირება? ვფიქრობთ, მოცემულ კითხვაზე ჩვენი პასუხი დაეფუძნება იმ მოსაზრებას, რომელსაც გამოვთქვამთ ჩვენი კვლევის შემდეგ ეტაპზე, კონკრეტულად კი იმ ეტაპზე, როცა შევხებით ვერბალურ ელემენტთა ფუნქციურ დატვირთვას ჩვენთვის საინტერესო სემანტიკური ქვეტექსტის ფორმირების პროცესში.

მაგრამ ჩვენ არ ვაპირებთ ავტორის მიერ რეალიზებული კვლევის ამ ასპექტის დეტალურად გადმოცემას, რადგან, როგორც უკვე იქნა აღნიშნული – ჩვენთვის მნიშვნელოვანია მისი შედეგობრივი მხარე და რაც შეეხება იმ მეორე ამონარიდს, რომელშიც სიმბოლური ნომინაციის ველი უკავშირდება ნარატიულ კონტექსტს, იგი გამოიყურება შემდეგნაირად: „აუცილებლად გვესახება იმის ხაზგასმა, რომ ვერბალური სიმბოლოს იდენტიფიკაციის თვალსაზრისით კონტექსტი ორმაგ დატვირთვას იძენს: 1) შესაბამისი კონტექსტუალური გარემოს გარეშე შეუძლებელი იქნება (ვერბალური) სიმბოლოს როგორც ასეთის აღქმა ფორმალური თვალსაზრისით (კონტექსტს მიღმა „მთა“ სხვა არაფერია თუ არა მთა, „მდინარე“ – მდინარე და ა.შ.). სხვანაირად რომ ვთქვათ, სიმბოლოს სიმბოლოდ იდენტიფიკაცია მხოლოდ გარკვეული კონტექსტის ფარგლებშია შესაძლებელი; 2) გამომდინარე იქიდან, რომ, როგორც უკვე არაერთხელ აღვნიშნეთ, ნებისმიერ სიმბოლოს აქვს არა ერთი, ხშირ შემთხვევაში წინააღმდეგობრივი მნიშვნელობა, ამათგან რელევანტურის შერჩევა შესაძლებელია მხოლოდ კონტექსტში მოცემული ყველა ვერბალური სიმბოლოს ნიშან-თვისებათა კომპლექსური ანალიზის საფუძველზე. ეს კი იმას ნიშნავს, რომ შინაარსობრივის პარალელურად თავს იჩენს ფორმალური იდენტიფიკაციის

პრობლემატიკაც, რომელიც პირველის წინაპირობას წარმოადგენს და, თავის მხრივ, შესაძლებელია მხოლოდ კონკრეტული ვიწრო კონტექსტის ფარგლებში.

პირველი თავის დასკვნები

შეიძლება ითქვას, რომ პირველ თავში განხორციელებულმა მსჯელობამ შეასრულა ერთდროულად ორი ურთიერთდაკავშირებული ამოცანა – ა) გაშლილი სახით წარმოადგინა როგორც ჩვენს შესავალში ფორმულირებული პრობლემა, ისე ამ პრობლემასთან დაკავშირებულ ამოცანათა კონტურები, რომელთა ფორმულირებასა და გადაჭრას უნდა მიეძღვნას მეორე თავი. ნათქვამის შესაბამისად შეიძლება გაკეთდეს შემდეგი დასკვნები:

- 1) შესავალში ფორმულირებული კვლევითი მიზნის თანახმად განვახორციელოთ იმ კვლევათა მიმოხილვა და კრიტიკული ანალიზი, რომელთა გათვალისწინება აუცილებლად მივიჩნიეთ ჩვენი ცენტრალური პრობლემის გადაჭრისათვის: გვსურს განვსაზღვროთ არავერბალური კომუნიკაციის როლი და ფუნქცია ისეთი მოდერნისტული ნარატივის ფარგლებში, როგორიცაა სელინჯერისეული „მცირე პროზა“. მაგრამ ამავე დროს ჩატარებულმა კვლევამ მიგვიყვანა იმის აუცილებლობამდე, რომ უნდა მოხდეს ამ მიმოხილვისა და ანალიზის შედეგის შემჭიდროვებული სახით წარმოდგენა. სწორედ ამგვარ კვლევით მიზანს ემსახურება კვლევითი ფორმულა „სიმბოლო - ქვეტექსტი - საზრისი“. ეს ის კონცეპტუალური „ფორმულაა“, რომელიც არა მხოლოდ მოიცავს თავის თავში უკვე ჩატარებული ანალიტიკური მსჯელობის შედეგს, არამედ მიუთითებს კიდევ იმ ამოცანათა ერთობლიობაზეც, რომელთა ფორმულირებას და შესრულებასაც უნდა მიეძღვნას, როგორც უკვე ითქვა, შემდეგი თავი;
- 2) უნდა „გაიდოს ხიდი“ ერთის მხრივ, ზოგად სიმბოლოლოგიასა და სიმბოლოლოგიის იმ სახეობას შორის, რომელიც ნარატიული ტექსტის ფარგლებში შეიძლება წარმოდგენილ იქნას არავერბალური კომუნიკაციის

სახით; ამავე დროს კი, ხაზი უნდა გაესვას იმ ორ კვლევით მომენტს, რომელთა შენარჩუნება და აქტუალიზაცია აუცილებელია ხსენებული ამოცანის გადაჭრისათვის: ა) მთლიანად უნდა იქნას გათვალისწინებული ვერბალური სიმბოლიკის გენეზისის, სტრუქტურისა და ფუნქციის ის კონცეფცია, რომელიც გაანალიზებულ იქნა ნაშრომის პირველ თავში. შესაბამისად, კვლევის საბოლოო მიზანი - იმ ნარატიული ქვეტექსტის კონცეპტუალური წარმოჩენა, რომელიც იქმნება არავერბალური კომუნიკაციით, უნდა წარმოადგენდეს ქვეტექსტური სემანტიკის დღეისათვის არსებული ინტერდისციპლინარული კონცეფციის გაგრძელებას და გაღრმავებას; ბ) ზოგად სიმბოლოლოგიასთან შინაგანი კავშირის შენარჩუნება და აქტუალიზაცია კი უნდა გულისხმობდეს ქვეტექსტთან ჩვენეული კვლევის იმ მეთოდოლოგიასთან დაკავშირებას, რომელსაც გულისხმობს დიალოგის ცნება: ნებისმიერი სიმბოლოს წვდომა უნდა გულისხმობდეს მასთან დიალოგს. შესაბამისად, არავერბალური კომუნიკაციით შექმნილი ქვეტექსტის კვლევაც მეთოდოლოგიური თვალსაზრისით უნდა გულისხმობდეს შემდეგი კითხვის დასმას: რას უნდა ნიშნავდეს და როგორ უნდა იქნას კონცეპტუალურად გამოხატული დიალოგი მოცემულ შემთხვევაში? როგორც პირველ თავში განხორციელებულმა მსჯელობამ მიგვანიშნა, ამ კითხვაზე პასუხი უნდა გაეცეს თანამედროვე რეცეფციულ ესთეტიკაზე დაყრდნობით;

- 3) ასევე დავრწმუნდით იმაში, რომ ნარატიული ქვეტექსტის სემანტიკა პრინციპულად გადალახავს იმ სემანტიკის საზღვრებს, რომლის რეალიზაციაც ხდება ქვეტექსტის გარეშე და მიუთითებს ნარატიული პერსონაჟის როგორც პიროვნების იმ სიღრმისეულ განზომილებაზე, რომელიც თანამედროვე აზროვნებაში გამოიხატება ეგზისტენციის ტერმინითა და კონცეპტით. შესაბამისად, აუცილებელი ხდება იმის განსაზღვრა, თუ რითი განსხვავდება არავერბალური კომუნიკაციის ქვეტექსტური ფუნქციით ნაგულისხმევი ეგზისტენციალური სემანტიკა იმ სამანტიკისგან, რომელსაც გულისხმობს ვერბალური სიმბოლიკის შესაბამისი ფუნქცია?
- 4) ზემოთ ფორმულირებული დასკვნები წარმოადგენენ იმ კვლევით ამოცანათა კონცეპტუალურ კონსტანტაციას, რომელიც იგულისხმება „ფორმულის“

„სიმბოლო - ქვეტექსტი - საზრისი” პირველი ორი წევრით (თუმცა, თუ გავითვალისწინებთ ამ ფორმულით ნაგულისხმევი კვლევითი ამოცანის დინამიურ ხასიათს, „წევრების” მაგივრად შეგვეძლო გვეთქვა „ეტაპები”), შესაბამისად, ფორმულის ბოლო „წევრმა-ეტაპმა” უნდა იგულისხმოს ხსენებული კვლევითი ამოცანის ისეთი შესრულება, რომელიც აუცილებლად გულისხმობს ინტერდისციპლინარულ კონტექსტზე დაყრდნობას. ვფიქრობთ, სიტყვა „საზრისი” ამ ფორმულის ფარგლებში ასრულებს სწორედ ამ ფუნქციას - გამოხატოს როგორც ჩატარებული, ისე ჩასატარებელი კვლევის ინტერდისციპლინარული შინაარსი.

თავი II

არავერბალური კომუნიკაცია და ქვეტექსტი როგორც ნარატიული ფენომენი

§1 არავერბალური სემიოტიკა და არავერბალური კომუნიკაცია – მათი მიმართება ქვეტექსტურ სემანტიკასთან როგორც ნარატიულ ფენომენტთან

როგორც პირველ თავში ჩატარებული კვლევის შედეგებიდან გამომდინარეობს ჩვენი მიზანი უნდა მდგომარეობდეს, ერთის მხრივ, მთელი იმ არსებული კვლევითი კონტექსტის გათვალისწინებაში, რომელიც უკავშირდება ნარატიული ქვეტექსტის კვლევას, მეორეს მხრივ კი, ამ კვლევის ისეთ გაღრმავებაში, რომელმაც უნდა მიგვიყვანოს ქვეტექსტის ფენომენის სრულიად ახალ გაგებამდე. ამავე დროს აუცილებლად მიგვაჩნია კიდევ ერთხელ გავუსვათ ხაზი ნარატიული ქვეტექსტის კვლევის იმ ვექტორს, რომელიც უკავშირდება სიმბოლოს ცნებას და რომელიც გულისხმობს სიმბოლოსა და ქვეტექსტის ფენომენტს ისეთ სიღრმისეულ კავშირს, რომელიც მოითხოვს განხილვას და გააზრებას როგორც თანამედროვე სემიოტიკის, ისე თანამედროვე მოდერნისტული ნარატივის ისტორიული დინამიკის გათვალისწინებით და მასზე დაყრდნობით. ამ დინამიკის გათვალისწინებში კი მოითხოვს ისეთ ინტერდისციპლინარულ კვლევას, რომლის ფარგლებში ერთმანეთს არსებითად, ანუ როგორც ფუნქციურად, ისე სტრუქტურულად უნდა დაუკავშირდეს ერთმანეთს ერთის მხრივ თანამედროვე სემიოტიკური აზროვნების, მეორეს მხრივ კი, თანამედროვე მოდერნისტული ნარატივის ისტორია. როგორც უკვე განხორციელებულმა მსჯელობამ გვიჩვენა, პირველ შემთხვევაში, ანუ თანამედროვე სემიოტიკის შინაგანი დინამიკის გათვალისწინებით, უნდა ვიგულისხმოთ განვითარების ის ფაზა, რომელიც ნიშნავს ვერბალური სემიოტიკის ჩამოყალიბებისა

და განვითარების შემდეგ არავერბალური სემიოტიკის იმტენსიურ კვლევაზე გადასვლას. რაც შეეხება მოდერნისტულ ნარატივს და მისი ქვეტექსტის კვლევას: თუ ვერბალურ სემიოტიკაზე დაყრდნობით შესაძლებელი გახდა ნარატიული ქვეტექსტის ისეთი კონცეპტუალიზაცია, რომელმაც წარმოაჩინა პერსონაჟის ეგზისტენციალური განზომილება, ქვეტექსტის არავერბალურ სემიოტიკაზე დაყრდნობილმა კვლევამ არა მხოლოდ უნდა გააღრმავოს ხსენებული შედეგი, არამედ მიუთითოს კიდევ თვით ინტერდისციპლინარული კვლევის დიაპაზონის გაფართოვების აუცილებლობაზე: ისეთი ნარატიული ქვეტექსტის კვლევა, რომელიც იქმნება ტექსტის არავერბალური სიმბოლიკით შეუძლებელი ხდება რეცეფციული ესთეტიკის გათვალისწინების გარეშე.

ზემოთ ნათქვამის შესაბამისად აუცილებელი ხდება ჩვენი ნაშრომის მეორე თავი მიეძღვნას შემდეგი კვლევითი ამოცანების დასახვასა და შესრულებას:

- 1) უნდა წარმოვაჩინოთ თანამედროვე არავერბალური სემიოტიკის ის თეორიულ-მეთოდოლოგიური ასპექტები, რომლებზე დაყრდნობის გარეშე, ჩვენი აზრით, შეუძლებელი უნდა იყოს მოდერნისტული ნარატიული ქვეტექსტის იმ ტიპისა თუ ეტაპის კონცეპტუალიზაცია, რომელიც რეალიზებულია ჯ.დ. სელინჯერის „მცირე პროზაში“. ამასთან კი უნდა ვიგულისხმოთ, რომ სელინჯერისეული ნარატივის კვლევა შინაგანად უკავშირდება ზოგადად მოდერნისტული მხატვრული კულტურის კვლევას, ამით კი ხაზი უნდა გაესვას მთლიანად ჩვენი კვლევის ლინგვო-კულტუროლოგიურ ვექტორს.
- 2) წინა თავის დასაწყისში უკვე აღინიშნა ის ფაქტი, რომ თანამედროვე ჰუმანიტარული აზროვნების ფარგლებში პარალელურად და ურთიერთკავშირის ექსპლიციტურად წარმოჩენის გარეშე ბითარდება ორი თეორიული კომპლექსი - კომპლექსი, რომელიც იწოდება „არავერბალურ სემიოტიკად“ და კომპლექსი, რომელიც იწოდება „არავერბალურ კომუნიკაციად“. აღინიშნა ისიც, რომ, რა თქმა უნდა, ეჭვს არ უნდა იწვევდეს ამ ორი თეორიული კომპლექსის შინაგანი კავშირი, თუმცა ასევე უეჭველად მიგვაჩნია იმის თეორიული აუცილებლობაც, რომ უნდა მოხდეს ხსენებული შინაგანი კავშირის კონცეპტუალური ექსპლიკაცია. მაგრამ იქიდან

გამომდინარე, რომ არავერბალურობის თეორიული გააზრების ამ ორ მიმართულებას შორის კავშირსა და განსხვავებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ჩვენი კვლევისთვის, გვსურს როგორც ეს კავშირი, ისე განსხვავებაც დავაკონკრეტოთ ისეთ ასპექტებში, როგორცაა, ერთის მხრივ, ზოგადკულტუროლოგიური, შემდეგ კი ნარატოლოგიური ასპექტი. ვფიქრობთ, ამგვარი ექსპლიკაცია აუცილებელია არა მხოლოდ იმიტომ, რომ ისეთი ტერმინები, როგორცაა „სემიოტიკა“ და „კომუნიკაცია“ შინაარსობრივად არ არიან იდენტურნი, ე.ი. არ ფარავენ ერთმანეთს, არამედ იმიტომაც, რომ უკვე კვლევის მოცემულ ეტაპზე ცხადი ხდება ამ ორი განსხვავებული თეორიული კომპლექსის განსხვავებული ორიენტაცია: ა) თუ „არავერბალურ სემიოტიკად“ წოდებულ კომპლექსში უკვე გამოკვეთილია ზოგადკულტუროლოგიური ორიენტაცია, „არავერბალურ კომუნიკაციად“ წოდებული კომპლექსი, პირიქით, ამჟღავნებს ნარატოლოგიასთან დაკავშირების შინაგან მოთხოვნილებას - თუმცა შემდგომი კონცეპტუალური ექსპლიკაციის გარეშე; ბ) იქედან გამომდინარე, რომ ჩვენი მიზანია ნარატიული ქვეტექსტის არავერბალურ ტექსტობრივ სიმბოლიკაზე დაფუძნებული კვლევა, აუცილებლად მიგვაჩნია ზოგად დონეზე მაინც მოვახდინოთ ორივე ხსენებული კომპლექსის შეპირისპირებით-კრიტიკული ანალიზი, რათა ცხადი გახდეს ის მეთოდოლოგიური პოტენციალი, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას ქვეტექსტური სემანტიკის კვლევისას. ვფიქრობთ, ხსენებულ ამოცანასთან დაკავშირებით უნდა დაისვას კითხვა: როგორ უნდა განხორციელდეს არავერბალური კომუნიკაციის თეორიისა და ნარატოლოგიის კვლევით პრინციპთა ისეთი ურთიერთდაკავშირება, რომელიც მიგვიყვანდა მოდერნისტული ქვეტექსტის მაქსიმალურად სრულ კონცეპტუალურ ინტერპრეტაციამდე?

- 3) როგორც უკვე ხაზგასმულ იქნა პირველი თავის დასკვნებში, მოდერნისტული ქვეტექსტის კვლევა აუცილებელს ხდის რეცეფციულ ესთეტიკაზე დაყრდნობას და, რაც მთავარია, იმ მეთოდოლოგიის გამოიმუშავებას, რომელმაც შესაძლებელი უნდა გახადოს ქვეტექსტის ლინგვოსემიოტიკურად კვლევის შედეგების დაკავშირება რეცეფციული ესთეტიკის პრინციპებთან;

4) და მიუხედავად იმისა, რომ ზემოთ ფორმულირებული ყველა ამოცანა ატარებს პრინციპულად ინტერდისციპლინარულ ხასიათს, ჩვენთვის არსებით მნიშვნელობას უნდა ინარჩუნებდეს ამ ინტერდისციპლინარულობის ლინგვისტურად ცენტრირებულობის აუცილებლობა, რაც გულისხმობს შემდეგს: მეორე თავში განხორციელებულმა კვლევამ შესაძლებელი უნდა გახადოს არა მხოლოდ ზემოთ ფორმულირებული ამოცანებით ნაგულისხმევი ინტერდისციპლინარული კვლევა, არამედ ამ კვლევის შედეგთა საკუთრივ ლინგვისტური, ანუ ლინგვოკულტუროლოგიური სინთეზი და ამით შესაძლებელი გახადოს იმ მიზნის განხორციელება, რომელიც უნდა მიღწეულ იქნას ჩვენი კვლევის მესამე, დამასრულებელ თავში – ვგულისხმობთ სელინჯერისეული ქვეტექსტის სრული კონცეპტუალური წარმოჩენის ამოცანას.

მართალია, ზემოთ ჩვენს მიერ წარმოდგენილი იქნა მოცემულ, ანუ ჩვენი ნაშრომის მეორე თავთან შინაგანად დაკავშირებულ კვლევით ამოცანათა მთელი სპექტრი, მაგრამ ამავე დროს აუცილებელია აღინიშნოს ისიც, რომ თუ არა ცენტრალურ, ყოველ შემთხვევაში, პირველ დაწყებით ამოცანად მაინც ამ სპექტრიდან უნდა მივიჩნიოთ იმ ურთიერთმიმართების კონცეპტუალური ექსპლიკაცია, რომელიც უნდა ვიგულისხმოთ, როგორც უკვე იქნა აღნიშნული, თანამედროვე სემიოტიკის ისეთ ორ მიმართულებას შორის, როგორცაა „არავერბალური სემიოტიკა“ და „არავერბალური კომუნიკაცია“. რა თქმა უნდა, ამ ურთიერთმიმართების ბოლომდე ადეკვატური ექსპლიკაცია უნდა ხდებოდეს ხსენებულ „სპექტრში“ დასახელებულ სხვა ამოცანათა გათვალისწინების ფონზე: მაგრამ, როგორც უკვე ითქვა, საწყის ეტაპზე მიზანშეწონილად მიგვაჩნია სწორედ არავერბალურობასთან დაკავშირებული ამ ორი მიმართულების ურთიერთკავშირზე შეჩერება.

ვფიქრობთ, ჩვენი კვლევითი კონტექსტის გათვალისწინებით ხსენებული ამოცანა უნდა შესრულდეს ორ ეტაპად:

1) მოვახდინოთ ამ ორი მიმართულების კონცეპტუალური შეპირისპირება იმ ზოგადი სტატუსის გათვალისწინებით, რომელსაც ისინი იკავებენ ზოგადჰუმანიტარული აზროვნების ერთიან კონტექსტში და ამგვარი

შეპირისპირების საფუძველზე გამოვყოთ მათი დამაკავშირებელი შინაარსობრივი სეგმენტი;

2) მეორე ეტაპზე კი უნდა დაისვას კითხვა, რომელსაც, შეიძლება ითქვას, გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს მთელი ჩვენი შემდგომი კვლევისთვის: როგორ უნდა დაუკავშირდეს არავერბალური სემიოტიკისა თუ კომუნიკაციის ჩვენს მიერ გამოსაყოფი სეგმენტი საკუთრივ ნარატოლოგიურ კვლევას, პირველ რიგში კი - მოდერნისტული ნარატივის ქვეტექსტის კვლევას? შესაძლებელია თუ არა - და რამდენად არის შესაძლებელი, რომ ხსენებულ მიმართულებათა კონცეპტუალური მონაპოვარი პირდაპირ და უშუალოდ გამოყენებულ იქნას ნარატიული ქვეტექსტის კვლევისას? როგორი კონცეპტუალური ფორმით უნდა „გაიდოს ხიდი“ არავერბალური კომუნიკაციის ან სემიოტიკის ზოგად თეორიასა და კონკრეტულ ნარატოლოგიურ კვლევას შორის, თუ, ბუნებრივია, ვიგულისხმეთ, რომ ნარატოლოგიური კვლევა არსებითად საჭიროებს ამგვარ თეორიაზე დაყრდნობას?

1.2. ორი სემიოტიკური მიმართულების _ „არავერბალური სემიოტიკისა“ და

„არავერბალური კომუნიკაციის“ ურთიერთმიმართება ზოგადთეორიულ დონეზე

როგორც უკვე ითქვა, ამ ორი მიმართულების ნომინაციური ასპექტი მიუთითებს იმ განსხვავებაზე, რომელიც არსებობს მათ შორის წმინდა თეორიული გაგებით: ტერმინი „სემიოტიკა“ უშუალოდ გულისხმობს არავერბალურ ნიშნობრივ სასუალებათა არსებობისა და ფუნქციონირების სისტემურ დონეს, ხოლო ტერმინი „კომუნიკაცია“ უკვე თავისი სემანტიკით უნდა გულისხმობდეს ამ სისტემური დონის აქტუალიზაციას, დისკურსში მის გადასვლას. სწორედ ამიტომ, რომ პირველი მიმართულების ფარგლებში არა მხოლოდ ხდება ის, რასაც ადგილი აქვს მეორე მიმართულებაში, ანუ არავერბალურ ნიშნობრივ სასუალებათა სისტემატიზაცია, არამედ ისმის კიდევ კითხვა იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა მოხდეს სემიოტიკის ორი განშტოების, ანუ ვერბალური და არავერბალური სემიოტიკის _ ერთ კონცეპტუალურ სისტემაში გაერთიანება. გ. კრეიდლინი, რომელსაც ეკუთვნის არავერბალური სემიოტიკის ერთიან სისტემად ჩამოყალიბების დამსახურება,

ხსენებული ამოცანის ფორმულირებას ორ დონეზე ახდენს - საკუთრივ სისტემურ დონეზე და მეტაენის დონეზე. იქედან გამომდინარე, რომ შემდგომ, ანუ ჩვენი კვლევის საკუთრივ ანალიტიკურ ეტაპზე, ჩვენც საქმე გვექნება - და უკვე კონკრეტიზირებული სახით - მსგავს პრობლემასთან, საჭიროდ მიგვაჩნია შესაბამის ციტატათა მოყვანაც. გ. კრეიდლინის მიერ წარმოდგენილ მიმართულებაში ხაზგასმულია, როგორც ითქვა, არავერბალური სემიოტიკის ზოგადთეორიული და, ჩვენი აზრით, ზოგადკულტუროლოგიური მნიშვნელობა, რაც გამოიხატება იმით, რომ უპირველეს ამოცანად ავტორს მიაჩნია სემიოტიკის ორივე სფეროსთვის - როგორც ვერბალური, ისე არავერბალური სფეროსთვის - „ერთიანი სემანტიკური ენის (მეტაენის) შექმნა“. ხსენებული პოზიცია კრეიდლინთან ექსპლიციტურია შემდეგნაირად: „განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ გამოყენებული სემანტიკური ენა უნდა იყოს ერთი და იგივე, როგორც ვერბალური, ისე არავერბალური ერთეულებისათვის. მიმაჩნია, რომ მხოლოდ ამგვარ ერთიან და მყარ სემანტიკურ ფუნდამენტზე დაყრდნობით შეიძლება მიღწეულ იქნას როგორც არავერბალური სემიოტიკის შინაგანი მთლიანობა, ისე არავერბალური სემიოტიკისა და ლინგვისტიკის ინტეგრაცია კომუნიკაციის ერთიანი თეორიის ფარგლებში“. (კრეიდლინი 2002: 13) როგორც ვხედავთ, ავტორი ხაზს უსვამს არა მხოლოდ ვერბალური და არავერბალური სემიოტიკური სფეროებისთვის ერთიანი მეტაენის შექმნის აუცილებლობას, არამედ ამ ერთიან თეორიაში ლინგვისტიკის გაერთიანებასაც.

რატომ დაგვჭირდა არავერბალური სემიოტიკის ისეთი წარმომადგენლის თვალსაზრისის გათვალისწინება, რომელიც ატარებს ხაზგასმით თეორიულ ხასიათს, თუ - და ერთი შეხედვით მაინც - ჩვენი კვლევითი კონტექსტი უშუალოდ უკავშირდება თანამედროვე მხატვრული კულტურის ისეთ კონკრეტულ ასპექტებს, როგორცაა, ერთის მხრივ, ნარატიული ქვეტექსტი, მეორეს მხრივ კი ამგვარი ქვეტექსტის სემიოტიკური არსი და სტრუქტურა მოდერნისტული ნარატივის ფარგლებში? ამ კითხვაზე, ჩვენი აზრით, უნდა გაიცეს შემდეგი პასუხი: მიუხედავად ჩვენს მიერ დასახული მიზნის კონკრეტული ხასიათისა, კვლევის ანალიტიკურ ეტაპზე მოგვიხდება დავუკავშიროთ ერთმანეთს არა მხოლოდ მხატვრული ნარატივის თანხმლები ვერბალური და არავერბალური კომუნიკაციური ასპექტები,

არამედ მოგვიხდება იმ შინაგანი კავშირის გამოვლენაც, რომელიც უნდა არსებობდეს დასახული ამოცანის სემიოტიკურ და საკუთრივ ლინგვისტურ ასპექტებს შორის. იქიდან გამომდინარე, რომ ქვეტექსტის შექმნაში არავერბალური კომუნიკაციის ფაქტორს ვიკვლევთ ვერბალურ ნარატივზე დაყრდნობით, შეგვიძლია შემდეგნაირად გამოვხატოთ შინაგანი კავშირი ჩვენს კვლევით კონტექსტსა და იმ ზოგადთეორიულ ამოცანას შორის, რომელიც გულისხმობს მთელი სემიოტიკური სფეროსთვის (ლინგვისტიკის ჩათვლით) ერთიანი მეტაენის აგების აუცილებლობას. ბუნებრივია, ჩვენ არ ვილაპარაკებთ ამგვარ მეტაენაზე, მაგრამ, როგორც იქნა აღნიშნული, მოგვიხდება ფაქტობრივად, თუმცა კონკრეტულ ანალიტიკურ დონეზე, იმ პრობლემათა გადაჭრა, რომელთა გათვალისწინების მიზნით უნდა შექმნილი იქნას ამგვარი მეტაენა. გვსურს კიდევ ერთხელ გავუსვათ ხაზი ზემოთ ნათქვამს: მართალია, კრეიდლინისეული პოზიცია ატარებს მკაფიოდ გამოხატულ ზოგადთეორიულ (და შესაბამისად ზოგადკულტურულ) ხასიათს, მაგრამ ეს არ გამორიცხავს სიღრმისეულ და, ამავე დროს, პრინციპულ კავშირს ჩვენს კონკრეტულ კვლევით კონტექსტთან.

მაგრამ, ამავე დროს, როგორც გვახსოვს, წინა თავში ვახსენეთ ჩვენს კვლევით თემასთან დაკავშირებული მეორე თეორეტიკოსიც, სახელდობრ, მ. კოცოლინო, რომელიც ასევე ხაზს უსვამს ვერბალური და არავერბალური კომუნიკაციის ერთობლივად გააზრების ამოცანას (და სწორედ ამ გაგებით ლაპარაკობს კომუნიკაციის „ეკოლოგიურ“ განზომილებაზე), მაგრამ, ამავე დროს, კრეიდლინისაგან განსხვავებით ხაზს უსვამს „ლიტერატურული მიდგომის“ მნიშვნელობას „ეკოლოგიური მიდგომის“ კონკრეტული განხორციელებისთვის - უფრო კონკრეტულად კი ხაზს უსვამს ამ თვალსაზრისით ნარატოლოგიური კვლევის მნიშვნელობას.

ვფიქრობთ, ორივე ამ მიმართულების ხსენებითა და უერთიერთდაკავშირებით გამოიკვეთა კიდევ ჩვენი კვლევის საკუთრივ თეორიული განზომილება. იმის შემდეგ, რაც ვიმსჯელებთ „არავერბალურ სემიოტიკაზე“ და „არავერბალურ კომუნიკაციაზე“ და აღვიქვით ეს ორი მიმდინარეობა როგორც ერთი და იგივე თეორიული დისციპლინის ისეთი ორი განშტოება, რომელთა ფარგლებში ვლინდება კვლევის ამ ახალი სფეროს, ერთის მხრივ, ზოგადკულტურული, მეორეს მხრივ კი,

ნარატოლოგიური მნიშვნელობა, საჭიროდ მიგვაჩნია განვახორციელოთ - თუნდაც სქემატური სახით - მათი შედარება ერთი თვალსაზრისით: დავსვათ კითხვა იმის თაობაზე, თუ როგორ ხდება ხსენებულ ავტორებთან კომუნიკაციის არავერბალურ საშუალებათა კლასიფიკაცია. ამ ამოცანის შესრულება აუცილებელია იმდენად, რამდენადაც ის, რაზედაც ამჟამად ვმსჯელობთ, წარმოადგენს ჩვენი კვლევის ერთ-ერთ თეორიულ საფუძველს. მაგრამ, ამავე დროს, შეუძლებლად მიგვაჩნია მოცემული პარაგრაფის ფარგლებში არივე ავტორის მიერ შემოთავაზებულ საკლასიფიკაციო სისტემების დეტალურად გადმოცემა. აქედან გამომდინარე ზემოთ დასმულ ამოცანას შევასრულებთ ორ ეტაპად:

- 1) მოცემულ პარაგრაფში შედარებას ექნება ზოგადი ხასიათი;
- 2) რაც შეეხება კლასიფიკაციურ კონკრეტიკას, ანუ, საკითხს იმის თაობაზე, თუ რა და რა ტიპის (თუ კლასის) არავერბალური კომუნიკაციის საშუალებები გამოიყოფა, შევხებით უფრო ქვემოთ, როცა ხსენებულ თეორიაზე დაყრდნობით დავიწყებთ სელინჯერისეული ქვეტექსტის ანალიზს.

რა შეიძლება ითქვას - თუნდაც სქემატური სახით - იმაზე, თუ რითი განსხვავდება ხსენებული ორი სისტემა კლასიფიკაციური თვალსაზრისით? ვფიქრობთ, ეს განსხვავება მთლიანად უკავშირდება იმ განსხვავებას, რომლის შესახებ უკვე გვექონდა მსჯელობა: კრეიდლინისეული კლასიფიკაცია უკვე ტერმინოლოგიურ დონეზე ატარებს უფრო კონცეპტუალურ ხასიათს, რაც სავსებით შეესაბამება ამ სისტემის ჩვენს მიერ უკვე აღნიშნულ ზოგადთეორიულ ხასიათს, კოცოლინისეული სისტემა კი ნაკლებად არის კონცეპტუალიზირებული, მაგრამ, სამაგიეროდ, უფრო არის გამიზნული „ცხოვრებისეულ კონკრეტიკაზე“, რაც აგრეთვე შეესაბამება ამ ავტორის მიერ გამოთქმულ აზრს იმის თაობაზე, რომ არავერბალური კომუნიკაცია თეორიულად და ანალიტიკურადაც უნდა დაუკავშირდეს ნარატოლოგიას. სწორედ აღნიშნულ განსხვავებაზე მეტყველებს შემდეგი ფაქტი: კრეიდლინთან არავერბალურ სემიოტიკურ საშუალებათა ერთობლიობა მოქცეულია თეორიულად დაფუძნებულ ისეთ ქვესისტემებში, როგორცაა „პარალინგვისტიკა“, „კინესიკა“, „ოკულესიკა“, „ჰაფტიკა“, „პროქსემიკა“ და ა.შ.; კოცოლინოსთან კი გამოყოფილია არავერბალური კომუნიკაციის ისეთი ტიპები თუ ქვესისტემები, როგორცაა „მიმიკა“, „მზერათა ენა“, „ჟესტების ენა“ და ა.შ. შეიძლება ითქვას, რომ კოცოლინო თავის კლასიფიკაციაში

თითქმის არ იყენებს კონცეპტუალურ ტერმინოლოგიას, მაგრამ ამ ავტორთან მეტი ადგილი ეთმობა არავერბალური კომუნიკაციის გამოყენების პრაქტიკულ კონტექსტებს. შეიძლება დაისვას კითხვა: რისთვის დაგვჭირდა ამ ორი ავტორის ნააზრევთა შეპირისპირება, თუნდაც ასეთ სქემატურ დონეზე? დაგვჭირდა იმისთვის, რომ ამ შეპირისპირებაზე დაყრდნობით მოვახდინოთ ჩვენს მიერ ჩასატარებელი კონკრეტული ანალიზის განხსვავებულ ასპექტთა შემდეგნაირი აქცენტირება: უშუალოდ ანალიზის პროცესში დავეყრდნობით პირველ რიგში კოცოლინოს ნააზრევს, მაგრამ ამ ანალიზის შედეგთა განზოგადოებისას მეტად დავეფუძნებით კრეიდლინის ნააზრევს.

§2. არავერბალური კომუნიკაციის ინტერდისციპლინარული კვლევა და კითხვა:

როგორ უნდა განისაზღვროს ამგვარი კვლევის ლინგვისტური ასპექტი?

როგორც ნაშრომის შესავალში, ისე წინა თავში უკვე გამოიკვეთა ჩვენი კვლევის ორი ურთიერთდაკავშირებული ასპექტი: ეს კვლევა უნდა იყოს ერთის მხრივ ინტერდისციპლინარული, მეორეს მხრივ კი, ლინგვისტურად ცენტრირებული. რაკი, ამავე დროს, ცხადი გახდა ის, თუ რამდენად მრავალასპექტოვანია კვლევის ინტერდისციპლინარული ხასიათი - იგი გულისხმობს სემიოტიკურ, ნარატოლოგიურ, სემიო-ესთეტიკურ, საკუთრივ ესთეტიკურ და ლინგვოკულტუროლოგიურ ასპექტებს - აუცილებელი ხდება სწორედ ამ მრავალასპექტოვანობის ფონზე იმის ხაზგასმა, თუ რას უნდა ნიშნავდეს კონკრეტულად კვლევის ლინგვისტურად ცენტრირებულობა და როგორ უნდა იქნეს იგი გამოხატული. ვფიქრობთ, ამ კითხვაზე შეიძლება გაიცეს შემდეგი ორი ურთიერთდაკავშირებული პასუხი:

- 1) როგორც ზოფადთეორიული, ისე მეთოდოლოგიური თვალსაზრისით ინტერდისციპლინარული მეთოდოლოგიის ლინგვისტურად ცენტრირებულობა უნდა ნიშნავდეს შემდეგს: რა დიდი მნიშვნელობის მატარებელიც არ უნდა იყოს ჩვენი კვლევის ფარგლებში ინტერდისციპლინარულობით ნაგულისხმევი ყველა ზემოთ დასახელებული ასპექტი, საბოლოო ანგარიშში, ყოველმა მათგანმა როგორც ცალკეულად, ისე ერთობლივად უნდა ჰპოვოს ლინგვისტური გამოხატულება. სხვანაირად რომ

ვთქვათ, უნდა მოხდეს ინტერდისციპლინარულობის ლინგვისტური სინთეზი და სწორედ ამ სინთეზმა უნდა დაგვანახოს, საბოლოო ანგარიშში, კვლევის შედეგთა ადეკვატურობის ხარისხი და დონე;

- 2) მაგრამ ამავე დროს ლინგვისტურად ცენტრირებული კვლევა უნდა გულისხმობდეს ცენტრირებულობას არა მხოლოდ ლინგვისტიკაზე როგორც მეცნიერულ დისციპლინაზე, არამედ იმაზეც, რაც წარმოადგენს ამ დისციპლინის საკვლევ ობიექტს, ანუ თვით ენაზე. ეს კი უნდა ნიშნავდეს შემდეგ კითხვებზე პასუხის გაცემას: რომელია ის ენობრივი საშუალებები, რომელზე დაყრდნობითაც იქმნება ნარატიული ქვეტექსტი? და თუ ეს კითხვა შეიძენს ლინგვოკულტუროლოგიურ შინაარსს, მაშინ მან უნდა მიიღოს შემდეგი ფორმა: ხომ არ ახდენს გავლენას მხატვრული კულტურის დინამიკა ვერბალური სიმბოლიკის სწორედ იმ ასპექტზე, რომელიც აქცენტირებულია პირველ კითხვაში? სხვანაირად რომ ვთქვათ: ხომ არ ხდება ამ შემთხვევაში სიმბოლური მნიშვნელობის (და ამავე დროს ქვეტექსტის წარმომქმნელი ფუნქციის) ცვალებადი განაწილება (და გადანაწილება) განსხვავებულ ენობრივ ერთეულებს შორის? რას უნდა გულისხმობდეს ზემოთ ნათქვამი კონკრეტულად, თუ მხედველობაში მივიღებთ ერთდროულად როგორც ენის ლინგვისტურად დანახულ სტრუქტურას, მეორეს მხრივ კი ნარატიული ქვეტექსტის კვლევის იმ ისტორიას, რომლის ფარგლებში ხდებოდა ზემოთ დასახელებული ორი ფენომენის - ენის სტრუქტურისა და კულტურული დინამიკის - ერთმანეთთან დაკავშირება? როცა ვლაპარაკობთ ენის სტრუქტურაზე და ამ სტრუქტურას ვუკავშირებთ ნარატიულ ქვეტექსტს, ბუნებრივია ვიფიქროთ: ერთის მხრივ, ნარატიული ქვეტექსტი მთელი თავისი შესაძლო სამანტიკით შეუძლებელია არ იყოს ურთიერთკავშირში ნარატიულ ტექსტთან, ეს კი თავისთავად იმას გულისხმობს, რომ შეუძლებელია აპრიორი თავიდან გამოირიცხოს რომელიმე ენობრივი ელემენტისა თუ ერთეულის მნიშვნელობა ქვეტექსტური კვლევისთვის, რადგან, როგორც ცნობილია, ტექსტი როგორც უმაღლესი დონის ენობრივი ერთეული თავის თავში ხდენს ყველა სხვა ენობრივი ერთეულის ინტეგრირებას; მეორეს მხრივ კი, აუცილებელი უნდა იყოს არ გავწყვიტოთ კონცეპტუალური „დაფი“

ნარატიული ქვეტექსტის იმ კვლევას შორის, რომელიც ქვეტექსტური სემანტიკის შექმნას უშუალოდ უკავშირებდა ვერბალურ სიმბოლიკას, თვით ამ სიმბოლიკის კონცეპტუალურ წარმოშობის პროცესს კი გამოხატავდა ფორმულით „სიტყვა - დეტალი - სიმბოლო“. შესაბამისად, ისმის კითხვა: რას გვეუბნება ეს ფორმულა იმ კითხვასთან დაკავშირებით, რომელიც ზემოთ იქნა დასმული? როგორც ითქვა, ქვეტექსტის კონსტიტუირებაში მონაწილეობას უნდა იღებდეს - რა თქმა უნდა, ნარატივთან დაკავშირებული კულტურული პარადიგმის პარალელურად - მთელი ნარატიული ტექსტი და თვით ამ ფორმულის დინამიური სტრუქტურაც გულისხმობს ხსენებულ ფაქტორს: ვერ შედგებოდა ვერბალური სიმბოლო სიტყვის მნიშვნელობის იმ კონტექსტუალურ ტრანსფორმაციათა გარეშე, რომლითაც იგულისხმებოდა ტექსტის როგორც მთლიანის მონაწილეობა. მაგრამ, ამავე დროს, იგივე ფორმულის გათვალისწინებით იკვეთება, ჩვენი აზრით, მომენტი, რომელიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ქვეტექსტური სემანტიკის კვლევის იმ ეტაპზე, რომელსაც უკავშირდება ჩვენი სადისერტაციო ნაშრომი. ეს მომენტი სქემატურად, მაგრამ ამავე დროს, ალბათ, ადეკვატურად, შეიძლება განისაზღვროს შემდეგნაირად - ეს არის ის ეტაპი, როცა ჩვენი კვლევითი ჰიპოთეზის თანახმად, ნარატიული ქვეტექსტი თავისი წარმოშობის პროცესითა და საბოლოო სემანტიკური სტრუქტურით უშუალოდ და გარდუვალად უკავშირდება არავერბალური კომუნიკაციის (და, შესაბამისად, არავერბალური სემიოტიკის) ფენომენს. თუმცა, რა თქმა უნდა, იგივე ჩვენი ჰიპოთეზით თავიდანვე იყო ნაგულისხმევი ორი ისეთი ფენომენის სიღრმისეული კავშირი, როგორცაა არავერბალური კომუნიკაცია როგორც მხატვრული ნარატივის სტრუქტურული ელემენტი და მოდერნისტული კულტურის ეპოქალური დინამიკის მოცემული ეტაპი - ის ეტაპი, რომელიც განსაკუთრებული ინტენსიურობით იქნა წარმოდგენილი სელინჯერისეულ ნარატივში.

ზემოთ განხორციელებული პრობლემური მსჯელობის შემდეგ დავუბრუნდეთ კითხვას, რომელმაც აუცილებელი გახადა თვით ეს მსჯელობა: როგორი უნდა იყოს ჩვენი წარმოდგენა იმ შიდაენობრივ და იმ შიდატექსტობრივ პროცესზე, რომელიც გულისხმობს არავერბალური კომუნიკაციის რელევენტურობას ქვეტექსტური

სემანტიკის კონსტიტუირებაში? როგორც ვიცით, ამგვარი სემანტიკის კვლევის შედეგად ცხადად გამოიკვეთა არსებითი სახელის შემდეგი როლი: როგორი პროცესუალური სირთულის არ უნდა ყოფილიყო სიმბოლიზაციისა და ქვეტექსტის კონსტიტუირების შექმნის პრცესი, ამ პროცესის საბოლოო და სინთეზური შედეგის გამოხატვას თავის თავზე იღებდა, როგორც უკვე ითქვა, არსებითი სახელი. ამიტომ უნდა ვიგულისხმოდ: ნარატიული ქვეტექსტის კონსტიტუირების თვალსაზრისით გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს იმის განსაზღვრას, თუ როგორ მიმართებაში იქნება ერთმანეთთან ენის მეტყველების ნაწილთა სისტემის ორი პოლუსი - სახელი და ზმნა. რა თქმა უნდა, პრობლემის ამგვარი ხედვა ჩვენი მხრიდან გულისხმობს გარკვეულ ჰიპოთეტურობას, ეს ჰიპოთეტურობა კი, თავის მხრივ, ეყრდნობა შემდეგ მოსაზრებას:

ა) უნდა იყოს არსებითი განსხვავება ქვეტექსტური სემანტიკის კონსტიტუირების ისეთ ორ ტიპს შორის, როგორიცაა, ერთის მხრივ, ვერბალურ სემიოტიკაზე, მეორეს მხრივ კი, არავერბალურ სემიოტიკაზე დაფუძნებული ქვეტექსტი, და თუ ეს განსხვავება მართლაც არსებითია, იგი უნდა გულისხმობდეს იმის ხედვას, თუ რა მიმართება მყარდება ხსენებული პროცესის ფარგლებში სახელსა და ზმნას შორის;

ბ) როგორიც არ უნდა იყოს კონცეპტუალურად დანახული კავშირი სემიოტიკის ვერბალურ და არავერბალურ სფეროებს შორის, ერთი მაინც ცხადია: არავერბალური სემიოტიკა (და, შესაბამისად, არავერბალური კომუნიკაცია) თავის თეორიულ ასპექტში გამოყოფს ერთეულებს, რომლებიც, როგორც წესი, ხასიათდებიან ხაზგასმული დინამიკით - საკმარისია დავასახელოთ ისეთ ერთეულები, როგორიცაა ქესტი, პოზა, ა.შ., მაგრამ თუ ეს ასეა, შეუძლებელია არავერბალურ ენობრივ საშუალებათა მონაწილეობა ქვეტექსტის შექმნაში არ უკავშირდებოდეს მეტყველების ნაწილთა სისტემის ისეთ ელემენტს, როგორიცაა ზმნა და, რომლის, როგორც ცნობილია, კატეგორიალური მნიშვნელობა უკავშირდება ხდომილებრიობის კატეგორიას;

გ) და, ბოლოს, ხაზი უნდა გაესვას ჩვენი კვლევითი ჰიპოთეზის კულტუროლოგიურ ასპექტს. მაგრამ, როცა ვხეებით კვლევის კულტუროლოგიურ ასპექტს, აუცილებელია, ჩვენის აზრით, გათვალისწინებულ იქნას პირველ რიგში ამ ასპექტის პარადიგმული განზომილება და, რაც მთავარია, კულტურის როგორც

ფენომენის მნიშვნელობის ხედვა მოხდეს ერთდროულად ორი თვალსაზრისით - ა) ზოგადჰუმანიტარული თვალსაზრისით, რაც უნდა გულისხმობდეს კულტუროცენტრიზმის დამკვიდრებას მთელი ჰუმანიტარული აზროვნების მასშტაბით და, შესაბამისად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ კულტუროცენტრიზმი დღეისთვის წარმოადგენს ზოგადჰუმანიტარულ მეთოდოლოგიურ პარადიგმას; ბ) მაგრამ ჩვენთვის ასევე მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ თავად ლინგვისტიკაში, ანუ იმ ჰუმანიტარულ დისციპლინაში, რომლითაც ცენტრირებული უნდა იყოს მთელი ჩვენი კვლევა, ასევე მკვიდრდება თეორიულ-მეთოდოლოგიური კულტუროცენტრიზმი ლინგვოკულტუროლოგიური პარადიგმის დომინირების წყალობით, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჭეშმარიტად თანამედროვე ლინგვისტური აზროვნება ცდილობს დაუკავშიროს კულტურას ნებისმიერი ენობრივი ფენომენი როგორც სისტემურ, ისე დისკუსურ დონეზე. აქედან გამომდინარე ისმის კითხვა, რომელზე პასუხის გაცემის გარეშე ჩვენი კვლევითი მეთოდოლოგია ვერ შეიძენს ჭეშმარიტად ინტერდისციპლინარულ ხასიათს: როგორ უნდა იქნას ჩვენი კვლევის ფარგლებში რეალიზებული ზემოთ ხსენებული კულტუროცენტრიზმი? ვფიქრობთ, მთელი ჩვენი კვლევითი ვექტორის გათვალისწინებით ამ კითხვაზე უნდა გაეცეს შემდეგი „ორ დონეობრივი“ პასუხი: უნდა მივმართოთ, პირველ რიგში, კულტურის იმ კონცეპტს, რომელიც დღეისთვის შემუშავებული აქვს თანამედროვე ჰუმანიტარულ აზროვნებას, შემდეგ კი მოვახდინოთ კულტურის ზოგადჰუმანიტარული კონცეპტის აქტუალიზაცია საკუთრივ ლინგვისტურ დონეზე, კერძოდ კი ნარატიული მხატვრული ტექსტის საკუთრივ ენობრივი ასპექტის ანალიტიკური გათვალისწინების პროცესში.

ვფიქრობთ, კულტურის ფენომენის ლინგვოკულტუროლოგიური თვალსაზრისის გათვალისწინებისას მოცემულ პარაგრაფში საკმარისი იქნება ზოგადად მაინც ითქვას დასავლური კულტურის იმ ისტორიული ტიპის თაობაზე, რომელსაც უყოყმანოთ შეიძლება მივაკუთვნოთ სელინჯერისეული ნარატივი, ხოლო რაც შეეხება კულტურის ამ ტიპის მნიშვნელობას ქვეტექსტური სემანტიკის კვლევისთვის, ამაზე მსჯელობა გადავიტანოთ მესამე თავის იმ მონაკვეთზე, რომელიც დაეთმობა კონკრეტულ ანალიტიკურ კვლევას. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საჭიროა უკვე ამ ეტაზე გვეჩვენდეს კულტურის ის ზოგადჰუმანიტარული კონცეპტი,

რომელსაც უნდა ეფუძნებოდეს კულტუროცენტრიზმი ამ ტერმინის ზოგადჰუმანიტარული მნიშვნელობით. ამ მიზნით კი დავეყრდნობით კემბრიჯელ ავტორთა ცნობილ კოლექტიურ მონოგრაფიას „კროსკულტურული ფსიქოლოგია“, რომლის ფარგლებში ავტორები გვთავაზობენ კულტურის ზოგად კონცეფციასაც. ხსენებული კონცეფცია კი ვითარდება შემდეგ ორ დონეზე: ავტორები ჯერ განიხილავენ კულტურის განსხვავებულ კონცეფციებს, მათ შორის დესკრიფციულ, ისტორიულ, ნორმატიულ, ფსიქოლოგიურ, სტრუქტურულ და გენეტიკურ კონცეფციებს, შემდეგ კი ამ განხილვათა საფუძველზე იძლევიან კულტურის როგორც ფენომენის განსაზღვრის საკუთარ გაგებას. ამ გაგების ფარგლებში გამოვყოფთ ორ შემდეგ ძირითად მომენტს: ა) ავტორთა მიხედვით „კულტურა როგორც ფენომენი შედგება არა მხოლოდ ადამიანთა ისეთი ქმედებებისა და არტეფაქტებისაგან, რომლებიც ექვემდებარებიან უშუალო დაკვირვებას, არამედ იმ სიმბოლოების ღირებულებისგანაც და მნიშვნელობებისგანაც, რომლებიც საფუძვლად უდევს ამ ქმედებებსა და არტეფაქტებს.“ (ბერი 2002: 252) და სწორედ მტკიცების საფუძველზე ავტორები აკეთებენ დასკვნას, რომელსაც, როგორც ვნახავთ, გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება ჩვენი ნარატოლოგიური ანალიზისთვის: „კულტურა უნდა ვეძიოთ როგორც ინდივიდთა შიგნით, ისე მათ შორის.“ (ბერი 2002: 252) და, რაც საბოლოო ანგარიშში იგივეს ნიშნავს, კულტურა უნდა ვეძიოთ ადამიანთა ცნობიერებაში, იმ მნიშვნელობათა პატერნში, რომლებიც განსახიერებულნი არიან გარკვეული სიმბოლოებით. ავტორის აზრით, „კულტურისადმი ამ ახალმა მიდგომამ მიგვიყვანა ანთროპოლოგიის სფეროში კოგნიტიური ასპექტების აქცენტირებასთან და იმის აღიარებასთან, რომ კულტურის ლოკუსი უნდა ვეძიოთ კულტურის წარმომადგენელთა ცნობიერებაში.“ (ბერი 2002: 252)

როგორც უკვე აღვნიშნეთ წინა აბზაცში, სელინჯერისეული ქვეტექსტის ანალიტიკური კვლევის პროცესში დავეყრდნობით კულტურის ზემოთ ფორმულირებულ კონცეფციას, რადგან აუცილებელი იქნება სელინჯერისეულ პერსონაჟთა ქმედებაში სწორედ იმ მომენტთა გათვალისწინება, რომლებიც ახასიათებთ მათ, როგორც მოდერნისტული კულტურის წარმომადგენლებს. როგორც ცნობილია, მოდერნისტული კულტურისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და დამახასიათებელია ადამიანთა შორის მიმართებაში იმ პრობლემურობის ხაზგასმა,

რასაც ზოგადად კომუნიკაცია, უფრო კონკრეტულად კი, „ეგზისტენციალური კომუნიკაცია“ ეწოდება. და, ასევე ცნობილია, რომ სელინჯერის შემოქმედება წარმოადგენს მოდერნიზმის კულტურული დინამიკის სწორედ ამგვარი ხედვის განსაკუთრებულად ინტენსიურ მომენტს.

რა თქმა უნდა, სელინჯერისეული ქვეტექსტის კვლევა ვერ დაეფიქნება მხოლოდ კვლევის ლინგვისტურ ასპექტს და უნდა ვიფიქროთ, რომ ასევე მნიშვნელოვანია ამ კვლევის ნარატოლოგიურ-კულტუროლოგიური ასპექტიც. მაგრამ იმდენად, რამდენადაც ჩვენი კვლევის ინტერდისციპლინარული მეთოდოლოგია გულისხმობს ასპექტს, რომელსაც ჩვენ „ლინგვისტურად ცენტრირებული“ ვუწოდეთ, საჭირო იქნება ამ ასპექტზე ყურადღების შეჩერება.

შეიძლება ითქვას, რომ მოცემულ პარაგრაფში განხორციელებულმა მსჯელობამ გვიჩვენა: პრობლემა, რომელიც დასმულია ჩვენი სადისერტაციო ნაშრომის ფარგლებში უკავშირდება ნარატიული ქვეტექსტის კვლევის სრულიად ახალ და ჯერ კიდევ ბევრი კითხვის ნიშნის შემცველ ასპექტებს. დავასახელოთ კიდევ ერთხელ ეს ასპექტები, შემდეგ კი მათზე დაყრდნობით გავაკეთოთ დასკვნა, რომელიც განმსაზღვრელი იქნება ჩვენი კვლევის საკუთრივ ლინგვისტური ასპექტისთვის. ეს კითხვებია:

ა) იქიდან გამომდინარე, რომ ნარატიული ქვეტექსტის (უფრო ზისტად კი – ნარატივის ქვეტექსტური სემანტიკის) კვლევა, როგორც წესი, უკავშირდება ვერბალურ სემიოტიკას და ლინგვოსემიოტიკური თვალსაზრისით ხსენებული ფაქტი განპირობებული უნდა ყოფილიყო არავერბალური სემიოტიკის როგორც თეორიული დისციპლინის ჯერ კიდევ არარსებობით (ან მხოლოდ არასისტემატიზირებული სახით არსებობით), ისმის კითხვა: უნდა შეიძინოს თუ არა ქვეტექსტის ლინგვოსემიოტიკურმა კვლევამ პრინციპულად ახალი სახე მოცემულ ეტაპზე, როცა საქმე გვაქვს არავერბალური სემიოტიკის (და არავერბალური კომუნიკაციის) უკვე ჩამოყალიბებულ თეორიასთან?

ბ) თუ ქვეტექსტური სემანტიკის კვლევა ეყრდნობა ვერბალური სიმბოლიკის ჩვენს მიერ უკვე არაერთხელ ნახსენებ ფორმულას(სიტყვა – დეტალი – სიმბოლო), როგორც თავის ერთ-ერთ მეთოდოლოგიურ საფუძველს, აუცილებელი ხდება დაისვას კითხვა: როგორ უნდა იქნას აღქმული ეს ფორმულა ახალ კვლევით პირობებში, ანუ ისეთ

პირობებში, როცა საქმე გვაქვს სემიოტიკის განვითარების სრულიად ახალ ეტაპთან? რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში კიდევ ერთხელ ხაზი უნდა გაესვას იმ თეორიულ თეზისს, რომელიც საფუძვლად უდევს ლინგვისტური აზროვნების მთელ თანამედროვე პარადიგმას: ენა წარმოადგენს ნიშნობრივ ფენომენს როგორც სისტემურ, ისე დისკუსურ დონეზე, ლინგვისტიკა კი, შესაბამისად, არის ლინგვოსემიოტიკური დისციპლინა. მაგრამ, თუ ეს ასეა, შეუძლებელია სემიოტიკური აზროვნების ახალი ეტაპის ფორმირებამ არსებითი გავლენა არ მოახდინოს ვერბალური ნარატივის კვლევის ლინგვისტურ ასპექტზე. როგორ უნდა აისახოს ეს სრულიად ახალი თეორიული მომენტი ვერბალური სიმბოლიკის გამომხატველ იმ დინამიურ ფორმულაზე, რომელიც ზემოთ იქნა ნახსენები?

გ) მაგრამ ჩვენი კვლევის წინა ეტაპზე, როცა გვიხდებოდა ამ კვლევის თეორიულ საფუძველთა ფორმულირება, ჩვენ ხაზი გავუსვით ზემოთ ხსენებული ფორმულის იმ ასპექტსაც, რომელიც უნდა მივიჩნიოთ მის „თეორიულ ქვეტექსტად“, ანუ სიმბოლოლოგიას - სიმბოლიკის ზოგად თეორიას. და თუ ამ შემთხვევაში წინა პლანზე გამოვა ჩვენი ინტერდისციპლინარული მეთოდოლოგიის ასპექტი, მაშინ ასევე წინა პლანზე უნდა გამოვიდეს სიმბოლიკის ის არსებითი ნიშანი, როგორიცაა დიალოგურობა. როგორც უკვე ვიცით, ჩვენს მიერ საკვლევი პრობლემა (არავერბალური სემიოტიკა და ქვეტექსტი) უკავშირდება ერთდროულად თანამედროვე კულტურის – უფრო ზუსტად კი ამ კულტურის ეპოქალური დინამიკის – ორ ფაქტს – ერთის მხრივ, არავერბალური სემიოტიკის თეორიულ გააზრებას, მეორეს მხრივ კი, მოდერნისრული ნარატივის შინაგანი დინამიკის ისეთი ეტაპის დამკვიდრებას, რომელსაც მიეკუთვნება სელინჯერისეული ნარატივი. მაგრამ, როგორც უკვე არაერთხელ ითქვა, ნებისმიერი ქვეტექსტი იქმნება სიმბოლოკის გავლენით, უფრო კონკრეტულად კი – იმ სიმბოლოთი (ან სიმბოლოთა ერთობლიობით), რომელსაც ბადებს მხტვრული კონტექსტი და ეს ის პრინციპია, რომელიც ურყევი უნდა იყოს ნებისმიერ შემთხვევაში – გვექნება საქმე ვერბალურ თუ არავერბალურ სიმბოლიკასთან. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ასევე ურყევად უნდა მივიჩნიოთ პრინციპი, რომელიც თან ახლავს სიმბოლიკის ნებისმიერ ტიპს თუ ვარიანტს. ამ შემთხვევაში კი ისმის კითხვა: რა სახის ტრანსფორმაციას უნდა განიცდიდეს დიალოგურობის პრინციპი იმ შემთხვევაში, როცა სიმბოლოურობა – და,

შესაბამისად, ქვეტექსტი – თავისი გენეზისითა და ფუნქციური არსით უკავშირდება არავერბალურ სემიოტიკას (არავერბალურ კომუნიკაციას)?

დ) შემდეგი კითხვა კი არსებითად უკავშირდება წინა პუნქტში დასმულ კითხვას და იღებს შემდეგ სახეს: თუ დიალოგურობის პრინციპმა გარდუვალად უნდა განიცადოს შინაგანი ტრანსფორმაცია, როგორი უნდა იყოს ამ ტრანსფორმაციის თეორიული გამოხატულება? ამ კითხვის დასმისას კვლავ უნდა გავიხსენოთ ჩვენი კვლევითი მეთოდოლოგიის არსებითი ნიშანი, ანუ ის ფაქტი, რომ ეს მეთოდოლოგია ერთდროულად ინტერდისციპლინარულიცაა და ლინგვისტურად ცენტრირებულიც. მოცემულ პარაგრაფში განხორციელებული მსჯელობის შემდეგ უკვე ცხადი უნდა იყოს ის, რომ ნარატიულ სიმბოლიკაში მომხდარმა ტრანსფორმაციამ ლინგვისტური თვალსაზრისით გამოხატულება უნდა ჰპოვოს ზემოთ ხსენებულ ფორმულაში, უფრო სწორად ამ ფორმულის გარკვეულ ტრანსფორმაციაში; და რაც შეეხება საკუთრივ ინტერდისციპლინარულ ასპექტს, იგი უნდა ნიშნავდეს ისეთ დისციპლინათა ურთიერთზემოქმედებას, როგორცაა ლინგვისტიკა, სიმბოლოლოგია, ესთეტიკა, ნარატოლოგია და კულტუროლოგია.

§3. არავერბალური კომუნიკაციის კოცოლინოსეული კონცეფცია და მისი მნიშვნელობა ნარატიული ქვეტექსტის კვლევისთვის

წინა პარაგრაფში ზოგადად და, ალბათ, სქემატურადაც განსაზღვრული იყო ნარატიული ქვეტექსტის ინტერდისციპლინარული კვლევის ჩვენეული მეთოდოლოგიის შინაგანი სტრუქტურა. ითქვა, თუ როგორ უნდა გამოიყურებოდეს – უკვე რამდენადმე დაკონკრეტებული სახით – ამ მეთოდოლოგიის საკუთრივ ლინგვისტური ასპექტი და, შესაბამისად, გამოითქვა შემდეგი ჰიპოთეტური მოსაზრება:

ა)თუ ნარატიული ქვეტექსტის კონსტიტუირების ცენტრალურ ფაქტორს წარმოადგენს არავერბალური კომუნიკაცია, მაშინ უნდა დაისვას კითხვა იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა ხდებოდეს ქვეტექსტის გენერირების თვალსაზრისით როლთა გადანაწილება ისეთ ენობრივ ერთეულებს შორის, როგორცაა სახელი და ზმნა;

ბ) და, თუ გადავწყვეტთ, რომ მართლაც უნდა ჰქონდეს ადგილი ამგვარ გადანაწილებას, რა ტრანსფორმაცია უნდა განიცადოს შესაბამისად იმ ენობრივ-ტექსტობრივმა ფორმულამ, რომელსაც განვიხილავთ ქვეტექსტის კონსტიტუირების ლინგვისტურად რელევანტურ ფაქტორად: სიტყვა – დეტალი – სიმბოლო? და, რაც შეეხება მეთოდოლოგიის საკუთრივ ინტერდისციპლინარულ ასპექტს: დასახელდა დისციპლინათა ის ერთობლიობა, რომელიც უნდა მონაწილეობდეს ნარატიული ქვეტექსტის ჩვენეულ კვლევაში. მაგრამ, თუ შევადარებთ ერთმანეთს ჩვენი მეთოდოლოგიის ამ ორ ასპექტს – საკუთრივ ლინგვისტურსა და „ექსტრალინგვისტურს“ – დავინახავთ მათ შორის არა მხოლოდ წმინდა დისციპლინარულ განსხვავებას. ჩვენი კვლევის შემდგომი ეტაპის რეალიზაციისთვის მნიშვნელოვანი განსხვავება მდგომარეობს შემდეგში: ლინგვისტურ ასპექტთან მიმართებაში გამოითქვა ისეთი ჰიპოთეზა, რომელიც, ერთის მხრივ, ატარებს ხასგასმით ლინგვისტურ ხასიათს, მეორეს მხრივ კი, შინაარსობრივად უკავშირდება ენობრივ რეალობას, ამ რეალობის როგორც სისტემურ, ისე ტექსტობრივ დონეზე. პირველი თვალსაზრისით, ანუ სისტემურ დონეზე, ჩვენი ჰიპოთეზა დაუკავშირდა სახელისა და ზმნის ურთიერთმიმართებას ქვეტექსტის გენერირების პროცესში, მეორე თვალსაზრისით კი, გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ფორმულა „სიტყვა – დეტალი – სიმბოლო“ ატარებს ტექსტო-ცენტრისტულ ხასიათს, ანუ ფუნქციონირებს მხოლოდ ტექსტობრივ დონეზე. რა თქმა უნდა, აუცილებელი იქნება ჩვენი ლინგვისტური ჰიპოთეზის ამ ორი ასპექტის ისეთი ურთიერთდაკავშირება, რომელმაც უნდა შეიძინოს „შიდალინგვისტური სინთეზის“ სახე. მაგრამ, სწორედ ამ თვალსაზრისით ისმის კითხვა, რომელიც ლოგიკურად გამომდინარეობს მთელი ჩვენი მეთოდოლოგიური ვექტორიდან: ხომ არ უნდა შეესაბამებოდეს კვლევის ლინგვისტური ასპექტის იმ დაკონკრეტებას, რომლის ფორმა და შინაარსი განსაზღვრული იქნა წინა აბზაცში და, რომელიც ატარებდა ჰიპოთეტურ, მაგრამ ამავე დროს სწორედ ლინგვისტურად რელევანტურ ხასიათს, ასეთივე, ანუ ინტერდისციპლინარულად რელევანტური შინაარსის მქონე ჰიპოთეზა? ზემოთ ხსენებული მეთოდოლოგიური ვექტორი გულისხმობს არა მხოლოდ იმას, რომ ინტერდისციპლინარულობა უნდა იყოს ლინგვისტურად ცენტრირებული, არამედ – და ეს, ალბათ, გადამწყვეტია – ისეთ ყოვლისმომცველ სინთეზსაც, რომელსაც

მინტეგრირებელი მნიშვნელობა ექნება მთელი მეთოდოლოგიისთვის. მაგრამ როგორ უნდა იქნეს გაგებული ეს „მინტეგრირებელი მნიშვნელობა“? უკვე გვექონდა მსჯელობა იმის თაობაზე, თუ რას უნდა ნიშნავდეს ჩვენს კვლევით კონტექსტში „შიდალინგვისტური სინთეზი“: უნდა ორგანულად დაუკავშირდეს ერთმანეთს ქვეტექსტის მაკონსტიტუირებელ ენობრივ ფაქტორთა ორი დონე – სისტემური და ტექსტობრივი, მაგრამ ჩვენი ინტერდისციპლინარული მეთოდოლოგიის მთელი სპეციფიკა მდგომარეობს სწორედ იმაში, რომ ხსენებული „შიდალინგვისტური სინთეზი“ შეუძლებლად უნდა მივიჩნიოთ იმ მეორე დონის სინთეზის გარეშე, რომელიც ერთდროულად უნდა ხდებოდეს მეთოდოლოგიის ექსტრალინგვისტურ დონეზე. ამ თვალსაზრისით კიდევ ერთხელ გვსურს გავუსვათ ხაზი იმ განსხვავებას, რომელიც უნდა არსებობდეს ისეთ ტერმინთა მნიშვნელობებს შორის, როგორცაა „მულტიდისციპლინარული“ და „ინტერდისციპლინარული“ და ვიგულისხმობთ, რომ პრეფიქსი „ინტერ-“ პრეფიქს „მულტი-“სგან განსხვავებით შინაგანად ორიენტირებულია სწორედ სინთეზზე.

წინა პარაგრაფებში, როცა ვმსჯელობდით ზოგადად არავერბალურ სემიოტიკაზე და, შესაბამისად, არავერბალურ კომუნიკაციაზეც, მოგვიხდა დასახელებული სააზროვნო სფეროს ორი ისეთი წარმომადგენლის კონცეფციათა შედარება, როგორცაა გ. კრეიდლინი და მ.კოცოლინო. ამავე დროს ითქვა ისიც, რომ კოცოლინოს კონცეფცია მიზანმიმართულად, ე.ი. თავისი შინაგანი ინტენციით, უკავშირდება ნარატოლოგიურ კვლევას და, უფრო მეტიც, ამ კონცეფციის ავტორს მიაჩნია, რომ კომუნიკაციის „ეკოლოგიური“, ანუ ინტეგრირებული თეორია შეიძლება გაგებულ იქნას კომუნიკაციის ვერბალურ და არავერბალურ ასპექტთა სინთეზით, ასეთი სინთეზის საშუალებას კი იძლევა სწორედ მხატვრული ნარატივი.

აუცილებელია ითქვას შემდეგი: კოცოლინოს ხსენებული კონცეფციის ფარგლებში მხატვრული ნარატივის მნიშვნელობა არავერბალური კომუნიკაციის სტრუქტურის და მნიშვნელობის ბოლომდე გააზრების თვალსაზრისით რჩება ზოგადთეორიული ინტენციისა და ზოგადთეორიული ჰიპოთეზის დონეზე. ამგვარი პოზიციისგან განსხვავებით ჩვენ ვცდილობთ შევიმუშავოთ სწორედ ისეთი ინტერდუსციპლინარული მეთოდოლოგია, რომლის საშუალებით შეიძლებოდა შემდეგი სამი მიზნის ერთდროულად მიღწევა:

1) ქვეტექსტის, როგორც ენობრივ-ტექსტობრივი ფენომენის კვლევის გაღრმავება სემიოტიკური თეორიისა და კომუნიკაციის თეორიის იმ ეტაპზე დაყრდნობით, რომელიც წარმოდგენილია სწორედ არავერბალური კომუნიკაციის კოცოლინოსეული კონცეფციით;

2) ნარატიული ქვეტექსტის კვლევის იმ დონეზე აყვანა, რომელიც არა მხოლოდ დაეფუძნება არავერბალური სემიოტიკისა და არავერბალური კომუნიკაციის ზემოთ აღნიშნულ კონცეფციებს, არამედ ასევე დაეფუძნება თვით ნარატიული ქვეტექსტის ისტორიულ დინამიკას, რაც თავის მხრივ უნდა გულისხმობდეს შემდეგი კვლევითი იდეის ხაზგასმას: მოდერნისტული ნარატივის ისტორიული დინამიკა გულისხმობს, როგორც ჩანს, უკვე ისეთი ქვეტექსტის კონსტიტუირებას, რომლის თეორიული გააზრებისთვის აღარ კმარა უკვე ტრადიციულად ქცეული ვერბალური კომუნიკაციის თეორია;

3) მაგრამ, ასევე ლოგიკურია მივიჩნიოთ, რომ ამგვარად წარმოდგენილი კვლევითი მეთოდოლოგია აუცილებლად უნდა გულისხმობდეს არა მხოლოდ კვლევის შიდალინგვისტურ და მეტალინგვისტურ ასპექტთა სინთეზს, არამედ თვით ამ სინთეზის შედეგთა ახლებურად გააზრებას (ან, იქნებ, გადააზრებას) სიმბოლოლოგიურ და ესთეტიკურ დონეებზე: როგორც გვახსოვს, ქვეტექსტური სემანტიკის ინტერპრეტაცია და, შესაბამისად, გაგება ორგანულად უკავშირდება სიმბოლოლოგიას და ზუსტად ასევე თანამედროვე ნარატოლოგიის მიხედვით თვით ნარატივის კონცეპტი გულიუსხმობს კომუნიკაციურ ინსტანციათა გამიჯვნას. შესაბამისად, ისმის კითხვა: რომელია ესთეტიკური აზრის ის პოლუსი, რომელსაც უნდა დავეფუძნოთ ნარატიული ქვეტექსტის ინტერპრეტაციის პროცესში – კრეაციული თუ რეცეფციული პოლუსი? ჩვენი უკვე ჩატარებული კვლევის თანახმად, შეიძლება აღმოჩნდეს, რომ სწორედ რეცეფციულმა ესთეტიკამ უნდა შექმნას საფუძველი იმისთვის, რომ ქვეტექსტის ჩვენეულმა კვლევამ ბოლომდე გაითვალისწინოს სომბოლოს, როგორც დიალოგური ფენომენის სიმბოლოლოგიური კონცეფცია.

ნათქვამიდან გამომდინარე შეგვიძლია შემდეგნაირად განვსაზღვროთ ჩვენი დამოკიდებულება არავერბალური კომუნიკაციის კოცოლინოს მიერ წარმოდგენილი

კონცეფციის მიმართ. ვფიქრობთ, ხსენებული დამოკიდებულება უნდა შეიცავდეს შემდეგ მომენტებს:

- 1) უნდა მთლიანად იქნას გამოყენებული ის კონცეპტუალური რესურსი, რომელსაც შეიცავს ეს კონცეფცია ქვეტექსტური სემანტიკის კვლევის თვალსაზრისით;
- 2) ამავე დროს უნდა დაისვას კითხვა: რამდენად პასუხობს არავერბალური კომუნიკაციის კოცოლინოსეული კონცეფციის შინაგანი სტრუქტურა მხატვრული ნარატივის სინაგან სტრუქტურას, ანუ, სხვანაირად რომ ვთქვათ: რამდენად არის შესაძლებელი ვილაპარაკოთ ამ ორი სტრუქტურის იზო – ან ჰომომორფულობაზე? ამგვარი კითხვის მიზანშეწონილობა გამომდინარეობს, ერთის მხრივ, იქიდან, რომ თავად ავტორი ნარატივს მიიჩნევს არავერბალური კომუნიკაციის კვლევისთვის შესაფერის კონტექსტად, მეორეს მხრივ კი, ჩვენ გვსურს დავეყრდნოთ არავერბალური კომუნიკაციის ხსენებულ კონცეფციას.

იმისთვის, რომ პასუხი გაეცეს ზემოთ გამოთქმული მასაზრებებით ნაგულისხმევ კითხვებს, გამოვყოფთ კოცოლინოსეული კონცეფციის ორ ისეთ მომენტს, რომლებიც ჩვენი აზრით, შეფასებითი თვალსაზრისით პოლარულად განსხვავდებიან ერთმანეთისგან, თუმცა ერთნაირად მნიშვნელოვანნი არიან ნარატიული ქვეტექსტის კვლევისთვის. ეს მომენტებია:

- 1) როგორც უკვე იქნა ჩვენს მიერ აღნიშნული, არავერბალური კომუნიკაციის კოცოლინოს მიერ მოდელირებული კონცეპტუალური სივრცე ატარებს მკვეთრად გამოხატულ დინამიურ ხასიათს. საკმარისია დავასახელოთ არავერბალური სემიოტიკის ის ტიპოლოგიური ვარიანტები, რომელთა საშუალებით კოცოლინოს მიხედვით ხორციელდება არავერბალური კომუნიკაცია, რომ დავრწმუნდეთ მათ შინაგან დინამიურობაში: მიმიკა, მზერათა ენა, სხეულის ენა, ჟესტების ენა და ა.შ. როგორც ვხედავთ, არავერბალური კომუნიკაცია იყენებს არა უბრალოდ ნიშანთა სისტემას, როგორც კომუნიკაციის ნებისმიერი სახეობა, არამედ სწორედ ისეთ ნიშანთა ქვესისტემას, რომელთა ერთობლივ მახასიათებელს წარმოადგენს სწორედ გარკვეული ტიპის მოძრაობა. რა თქმა უნდა, არავერბალურ ნიშანთა ზემოთ აღნიშნული მახასიათებელი – მათი დინამიურობა – უკვე იძლევა იმის საშუალებას, რომ ისინი მათი შესაძლო სემანტიკის გათვალისწინებით გამოყენებულ იქნა ქვეტექსტური სემანტიკის ინტერპრეტაციისას, თუნდაც

იმიტომ, რომ შეუძლებელია ნარატივის პერსონაჟთა ურთიერთმიმართებას არ ჰქონდეს გარკვეულად გაგებული დინამიური ხასიათი;

- 2) მაგრამ, იქედან გამომდინარე, რომ ჩვენთვის არავერბალური კომუნიკაციის თეორია მნიშვნელოვანი და საჭიროა ნარატოლოგიური თვალსაზრისით, აუცილებლად მიგვაჩნია მივუთითოთ კოცოლინოსეული კონცეფციის შემდეგ და ამ თვალსაზრისით ნეგატიურ ასპექტზეც. არავერბალური კომუნიკაციის ზემოთ ხსენებულ ნიშნებს ავტორი უკავშირებს ადამიანური (სოციალური) სინამდვილის მხოლოდ ერთ, სახელდობრ, სივრცით განზომილებას, რაც გამოიხატება შემდეგით: მის მონოგრაფიაში ცალკეა გამოყოფილი პარაგრაფი „სხეული და პიროვნებათაშორისი სივრცე“. რა თქმა უნდა, შეუძლებელია გვქონდეს რაიმე არავერბალური კომუნიკაციის სივრცითი ხედვის წინააღმდეგ, მაგრამ, თუ გვსურს დავინახოთ არავერბალური კომუნიკაცია ნარატოლოგიურ პერსპექტივაში, აუცილებელია იმის თქმაც, რომ ნებისმიერ მხატვრულ ნარატივს აქვს არა მხოლოდ სივრცითი, არამედ დროითი განზომილებაც, ანუ ნებისმიერი მხატვრული ნარატივი ხასიათდება არა მხოლოდ მხატვრული სივრცით, არამედ მხატვრული დროით. და თუ გავითვალისწინებთ, რომ არავერბალურ კომუნიკაციას ადგილი უნდა ჰქონდეს ნარატივის პერსონაჟთა შორის, პერსონაჟები კი მონაწილეობენ სიუჟეტის დროით დინამიკაში, აუცილებელი ხდება გამოითქვას შემდეგი აზრი: თუ გვსურს ნარატიული ქვეტექსტის კვლევისას დავეფუძნოთ არავერბალური კომუნიკაციის თეორიას, აუცილებელია ეს თეორია დავუკავშიროთ დინამიური სინამდვილის და, შესაბამისად, ნარატიული სინამდვილის დროით განზომილებასაც.

§4. სიმბოლური ნომინაცია როგორც ენობრივ-კულტურული ფენომენი და ნარატიული ქვეტექსტის არავერბალურ კომუნიკაციაზე დაფუძნებული კვლევის პრობლემა

წინა პარაგრაფში ხაზი გავუსვით იმ კონცეპტუალური და ანალიტიკური მემკვიდრეობითობის შენარჩუნების აუცილებლობას, რომელიც უნდა გულისხმობდეს ორ ისეთ კვლევით მეთოდოლოგიას შორის შინაგან კავშირს,

როგორცაა, ერთის მხრივ, ქვეტექსტის სიმბოლურ ნომინაციაზე, მეორეს მხრივ კი ქვეტექსტის არავერბალურ კომუნიკაციაზე დაფუძნებულ კვლევას. ამ ორი მეთოდოლოგიის ამგვარად გამიჯვნა აუცილებელი იყო იმიტომ, რომ ნათლად დაგვენახა მათ შორის არსებული განსხვავება. ეს განსხვავება კი გულისხმობს შემდეგს: ქვეტექსტის კვლევის უკვე განვლილ ეტაპზე მხედველობაში იყო მიღებული ის ფაქტი, რომ ნარატიული ქვეტექსტი იქმნება სიმბოლური ნომინაციით, მაგრამ თავად სიმბოლური ნომინაციის აღქმა ხასითდებოდა შემდეგი ორი ნიშნით:

- 1) სიმბოლური ნომინაციის განხილვისას არ ხდებოდა სემიოტიკის ისეთი ორი ასპექტის გამიჯვნა, როგორცაა ვერბალური და არავერბალური სემიოტიკა (თუმცა უნდა ითქვას ისიც, რომ სემიოტიკის ამგვარი მკაფიო და სისტემატიზირებული გამიჯვნა ჯერ არ არსებობდა თეორიული სახით);
- 2) და რაც შეეხება ქვეტექსტის ამგვარი კვლევის საკუთრივ ლინგვისტურ ასპექტს: როცა ლაპარაკი იყო სიმბოლურ ნომინაციაზე, ამგვარი ნომინაციის ლექსიკური აგენტის როლში განიხილებოდა, როგორც წესი, მხოლოდ არსებითი სახელი. ვფიქრობთ, წინა პარაგრაფში ჩვენს მიერ განხორციელებული თეორიულ-მეთოდოლოგიური მსჯელობის შემდეგ გასაგები უნდა იყოს ის შინაგანი კავშირიც, რომელიც უნდა არსებობდეს კვლევის ხსენებული ეტაპის ამ ორ ნიშან-თვისებას შორის: ის, რომ ნარატიული ქვეტექსტი შეიძლება მითითებული და შექმნილი იქნას არა უშუალოდ არსებითი სახელის, არამედ ზმნითაც, ბოლომდე გასაგები და ყურადსაღები ხდება მხოლოდ მაშინ, როცა სისტემატიზირებული სახით ხდება არავერბალური კომუნიკაციის საშუალებათა კონცეპტუალიზაცია. მაგრამ იმდენად, რამდენადაც წინა პარაგრაფში ხაზგასმულ იქნა კვლევის ამ ორ ეტაპს შორის მემკვიდრეობითობის შენარჩუნების აუცილებლობა, უნდა დავსვათ კითხვა: როგორ უნდა იქნას იგი შენარჩუნებული? რა უნდა მივიჩნიოთ პირველ რიგში ამ მემკვიდრეობითობის შენარჩუნების ძირითად კონცეპტუალურ საშუალებად? სანამ შევეცდებით ამ კითხვაზე პასუხის გაცემას, საჭიროდ მიგვაჩნია მივუთითოთ მისი (ამ კითხვის) დასმის მეთოდოლოგიურ ასპექტს. ხსენებული მეთოდოლოგიური ასპექტი კი გასაგები გახდება, თუ გავიხსენებთ და გავითვალისწინებთ შემდეგს: ჩვენი

ინტერდისციპლინარული მეთოდოლოგია ცენტრირებულია ლინგვისტურად. რა თქმა უნდა, ეს უკანასკნელი მომენტი ვერ იგულისხმებს იმას, რომ შესაძლებელი იყოს კვლევის ლინგვისტური ასპექტის მკვეთრად გამოყოფა ინტერდისციპლინარული კომპლექსიდან, რადგან მსგავს შემთხვევაში მთლიანად დაიკარგებოდა ინტერდისციპლინარულობის მომენტი. შესაბამისად, როცა ვლაპარაკობთ ლინგვისტურ ცენტრირებულობაზე უნდა ვიგულისხმოთ მხოლოდ ის ლოგიკურ-თემატური აქცენტი, რომელიც ისეთი სახით იქნება ორიენტირებული პირველ რიგში ლინგვისტიკაზე, რომ ამავე დროს ასევე ლოგიკურად და თემატურად იგულისხმებდა ინტერდისციპლინარულობით „შეესებას“.

ამ მოკლე თეორიული კომენტარის ფონზე შეგვიძლია უფრო კონკრეტული პასუხი გავცეთ ზემოთ დასმულ კითხვაზე – რა უნდა იქნეს მიჩნეული ძირითად კონცეპტუალურ საშუალებად იმისთვის, რომ შენარჩუნებულ იქნას მემკვიდრეობითობა ქვეტექსტზე ორიენტირებული სემიოტიკურ-სიმბოლოლოგიური კვლევის ზემოთ ხსენებულ ორ ეტაპს შორის? ვფიქრობთ, რომ ამ კითხვაზე რეალურად კონკრეტული პასუხის გაცემისას უნდა დავუბრუნდეთ პირველ თავში უკვე ნახსენებ შემდეგ კონცეპტებს – სიმბოლური ნომინაცია და სიმბოლურ-ნომინაციური ველის კონცეპტებს. იქედან გამომდინარე, რომ როგორც გვახსოვს, ორივე ეს კონცეპტი პრობლემურად აღიქმება და თანმიმდევრულად გამოიყენება ე. ჩიგოგიძის იმ სადისერტაციო ნაშრომში, რომლის ფარგლებში ხდება ვერბალურ სემიოტიკაზე დაფუძნებული ნარატოლოგიური კვლევა, დავუბრუნდეთ ე. ჩიგოგიძის უკვე ციტირებულ ნაშრომს, მაგრამ უკვე რამდენადმე ჩვენს მიერ განახლებულ კონტექსტში: სიმბოლური ნომინაციისა და სიმბოლურ-ნომინაციური ველის კონცეპტები ხელახლა უნდა იქნას აქტუალიზირებული იმ მიზნით, რომ მათ ასევე შესძლონ მითითება არავერბალური კომუნიუკაციური საშუალებებით შექმნილ ქვეტექსტზე, როგორც ეს ხდებოდა ნარატიული ქვეტექსტის კვლევის უკვე ხსენებულ წინა ეტაპზე. სხვანაირად რომ ვთქვათ, ჩვენს მიზანს უნდა წარმოადგენდეს ისეთი გამოყენება, რომ რეალიზებულ იქნას ის შინაარსობრივ-თემატური მემკვიდრეობა, რომელიც, როგორც უკვე იქნა ჩვენს მიერ ხაზგასმული, უნდა იქნას შენარჩუნებული ქვეტექსტის კვლევის ამ ორ ეტაპს შორის. რადგან, როგორც ითქვა, პირველ თავში

უკვე გვექონდა საუბარი ხსენებულ ნაშრომში გამოყენებულ თეორიულ და მეთოდოლოგიურ პრინციპებზე, ამიტომ საკმარისი იქნება, თუ შემოვიფარგლებით ორი შემდეგი კითხვის დასმის:

- 1) როგორც ვიცით, ე.ჩიგოგოდის ნაშრომში ვერბალური სიმბოლო ფიგურირებს არსებითი სახელის სახით, რადგან სწორედ არსებითი სახელის სემანტიკური ტრანსფორმაცია „სიტყვა – დეტალი – სიმბოლო“ აქცევს მას სიმბოლოდ. მაგრამ, რამდენად უნდა იყოს შესაძლებელი კვლავ ვილაპარაკოთ სიმბოლურ ნომინაციაზე იმ შემთხვევაში, თუ ქვეტექსტზე სიმბოლური მითითების ფუნქციას „თავის თავზე“ იღებენ არა არსებითი სახელები, არამედ ზმნები: როგორც უკვე ითქვა, ამ ფუნქციით ზმნების მიერ არსებით სახელთა ჩანაცვლება გარდუვალიც უნდა იყოს იმ შემთხვევაში, როცა საქმე გვაქვს ქვეტექსტურობის შემქმნელ არავერბალურ კომუნიკაციასთან. ვფიქრობთ, დადებითად უნდა ვუპასუხოთ ზემოთ დასმულ კითხვაზე. მართალია, თვით ტერმინი „ნომინაცია“ თავისი სემანტიკური სტრუქტურით უნდა გულისხმობდეს იმას, რომ სწორედ არსებითი სახელი უნდა იყოს სახელდების ფუნქციის მატარებელი. მაგრამ უკვე კარგადაა ცნობილი შემდეგი ფაქტიც: თანამედროვე ლინგვისტიკაში ტერმინ „ნომინაციის“ მნიშვნელობა გაიგება ბევრად უფრო ფართოდ და, შესაბამისად, მიესადაგება არა მხოლოდ არსებით სახელს, არამედ ნებისმიერ სრულმნიშვნელოვან სიტყვას და, რა თქმა უნდა, ზმნასაც. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩვენც შეგვიძლია სიმბოლურობის ახალ კონტექსტში ზმნასაც მივანიჭოთ სიმბოლური ნომინაციის და, შესაბამისად, ქვეტექსტურ სემანტიკაზე მითითების ფუნქცია. (ეს კი იმას უნდა ნიშნავდეს, რომ ფორმულა „სიტყვა – დეტალი – სიმბოლო“ ისევე შეიძლება გამოყენებულ იქნას ზმნის შემთხვევაში, როგორც არსებითი სახელის ან სხვა კატეგორიის სიტყვის შემთხვევაში). როგორ უნდა გამოიყურებოდეს ამ შემთხვევაში ამა თუ იმ კონკრეტული ზმნის მიერ განხორციელებული სიმბოლური ნომინაცია და როგორ უნდა იქნეს აგებული ამგვარი (ანუ ზმნურ) სიმბოლურ ნომინაციათა ტიპოლოგია? ეს ის კითხვებია, რომელზეც პასუხი უნდა გაეცეს კონკრეტული კონტექსტუალური კვლევის შედეგად.

2) მაგრამ, რა თქმა უნდა, ასევე მნიშვნელოვანია ე. ჩიგოგიძის ხსენებულ ნაშრომში თამნიმდევრულად გამოყენებული მეორე კონცეპტი – სიმბოლური ნომინაციის ველი. თუ ამ შემთხვევაშიც დავეფუძნებით მემკვიდრეობის შენარჩუნების პრინციპს, მაშინ აუცილებელი იქნება არა მხოლოდ იმ ზმნათა კონტექსტუალური ტიპოლოგიის აგება, რომლებიც ასრულებენ სიმბოლური ნომინაციის ფუნქციას, არამედ შესაბამის ზმნათა ლექსიკურ-სემანტიკური ველის აგებაც. ბუნებრივია მივიჩნიოთ, რომ: ა) ამ ველს უნდა ჰქონდეს კონტექსტიდან გამომდინარე სტრუქტურა; ბ) უნდა ჰქონდეს როგორც თავისი ცენტრი, ისე პერიფერია. შემდგომ თავში, როცა საქმე გვექნება სიმბოლური ნომინაციისა და ქვეტექსტური სემანტიკის ანალიტიკასთან, მოგვიხდება ამგვარი ველის აგება.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ჩვენი კვლევისთვის ციკლორობაზე და მასთან დაკავშირებული მეტათემის კონცეპტზე დაფუძნების შესაძლებლობა. ამ შემთხვევაშიც შეგვიძლია გავიმეოროთ ყოველივე ის, რაც უკვე ითქვა ჩიგოგიძისეულ კონტექსტთან დაკავშირებით: კვლევის ამ ეტაპზე აუცილებელი ხდება ციკლორობისა და მეტათემის კონცეპტთა არა უბრალოდ ახალ კონტექსტში გამოყენება, არამედ მათი დაკავშირება სიმბოლური ნომინაციისა და სიმბოლურ-ნომინაციური ველის ზემოთ განხილულ კონცეპტებთან. როგორ იქმნება სელინჯერისეული ციკლის ის ქვეტექსტური სემანტიკა, რომელიც ამავე დროს არის ამ ციკლის მეტათემა, თუ ეს ხდება არავერბალური კომუნიკაციის მიმნიშნებელი სიმბოლური ნომინაციის მეშვეობით და თუ, შესაბამისად, იქმნება ამგვარ ზმნათა კონტექსტუალური ველი? ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ, რაკი საქმე გვაქვს ციკლთან და ამ ციკლის მეტათემასთან, ვთვლით სიმბოლურ-ნომინაციურმა ველმა უნდა შეცვალოს თავისი შიდა სახე. როგორი უნდა იყოს ეს შიდა სახე ამ შემთხვევაში? ამ კითხვაზე, რა თქმა უნდა, პასუხი უნდა გაცეს კონკრეტულმა კვლევამ, თუმცა წინსწრებით შეგვიძლია მივუთითოთ შემდეგზე: ამგვარი ველი უნდა ატარებდეს დინამიურ ხასიათს და, ამავე დროს, ინარჩუნებდეს ველის როგორც ფენომენის ზემოთ მითითებულ სტრუქტურას.

II თავის დასკვნები

1. ნარატიული ქვეტექსტის კვლევა უნდა დაეფუძნოს ისეთ ინტერდისციპლინარულ მეთოდოლოგიას, რომელიც გულისხმობს ქვეტექსტის კვლევაში ისეთ დისციპლინათა მონაწილეობას, როგორცაა ლინგვისტიკა, სემიოტიკა, სიმბოლოლოგია, ნარატოლოგია, ესთეტიკა, კულტურის თეორია და ისტორია. მაგრამ, ამავე დროს, ინტერდისციპლინარული კვლევა უნდა იყოს ამა თუ იმ დისციპლინაზე დაყრდნობით ცენტრირებული. იმ შემთხვევაში, თუ ნარატიული ქვეტექსტის ინტერდისციპლინარული კვლევა იქნება ლინგვისტურად ცენტრირებული, მაშინ ცენტრალური პრობლემური კონცეპტის როლს ამგვარი კვლევის ფარგლებში შეასრულებს სიმბოლური ნომინაციის კონცეპტი;
2. ნარატიული ქვეტექსტის ინტერდისციპლინარული კვლევის თვალსაზრისით მნიშვნელოვნად უნდა მივიჩნიოთ დასავლური კულტურის ისტორიასთან დაკავშირებული ისეთ ფაქტების ურთიერთმიმართების დადგენა, როგორცაა, ერთის მხრივ, მოდერნისტული ნარატივის ფარგლებში ქვეტექსტის, როგორც ტექსტობრივი ფენომენის „ხვედრითი წონის მატება“, მეორეს მხრივ კი ზოგადი სემიოტიკის ფარგლებში არავერბალური სემიოტიკის სისტემატური სახით გამოყოფა და აქცენტირება. შეიძლება ითქვას, რომ ამ ორი ისტორიული ფაქტის ერთდროულად გათვალისწინების შედეგად ისმის კითხვა, რომელიც ერთნაირად მნიშვნელოვანია როგორც თეორიული, ისე ანალიტიკური თვალსაზრისით: ესაა კითხვა იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა დაუკავშირდეს ერთმანეთს ქვეტექსტის კვლევის თვალსაზრისით ისეთი ორი კონცეპტი, როგორცაა ერთის მხრივ სიმბოლური ნომინაცია, მეორეს მხრივ კი, არავერბალური კომუნიკაცია;
3. ნარატიული ქვეტექსტის ისეთი ინტერდისციპლინარული კვლევის შემთხვევაში, როცა მიზნად ისახება სიმბოლური ნომინაციისა და არავერბალური კომუნიკაციის კონცეპტთა ურთიერთმიმართების დადგენა,

ასევე გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს შემდეგი პრობლემა: რაკი სიმბოლური ნომინაციის გამომხატველ ფორმულად მიჩნეულია ფორმულა „სიტყვა - დეტალი - სიმბოლო“, ისმის კითხვა იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა იქნას მიღწეული ერთდროულად ამ ფორმულასთან დაკავშირებული ორი მიზანი: ერთის მხრივ, აუცილებელი ხდება ამ ფორმულით ნაგულისხმევი ტექსტობრივ-სემანტიკური დინამიკის შინაგანი ტრანსფორმაცია არავერბალური კომუნიკაციის წინა პლანზე წამოწევის შედეგად, მეორეს მხრივ კი, ასევე აუცილებელი ხდება თვით ამ ფორმულის შენარჩუნება იმდენად, რამდენადაც გვსურს არ დაიკარგოს შინაარსობრივი მემკვიდრეობითობა ნარატიული ქვეტექსტის კვლევის პროცესში;

4. ზემოთ დასახელებულ მიზანთა კომპლექსი შეიძლება მიღწეულ იქნას მხოლოდ ინტერდისციპლინარული გზით, მაგრამ ამ ინტერდისციპლინარულობის ფარგლებში ლინგვისტიკის ცენტრალური სტატუსი მიიღწევა მხოლოდ შემდეგი კითხვის დასმით: როგორ „ნაწილდება“ განსხვავებულ ენობრივ ერთეულთა შორის როლი ქვეტექსტის სიმბოლური ნომინაციის თვალსაზრისით, თუ ამგვარი ნომინაციის ობიექტად იქცევა პირველ რიგში ნარატივის პერსონაჟთა არაკომუნიკაციური ქმედება? თუ გავითვალისწინებთ არავერბალური კომუნიკაციის დღეისთვის არსებულ ტიპოლოგიას, მაშინ უნდა გამოითქვას შემდეგი კვლევითი ჰიპოთეზა: კვლევის ამ ეტაპზე სიმბოლური ნომინაციის „ლექსიკურ აგენტად“ უნდა მივიჩნიოთ პირველ რიგში ზმნა და არა არსებითი სახელი;
5. მაგრამ, მიუხედავად ზმნის, როგორც სიმბოლური ნომინაციის „ლექსიკური აგენტის“ როლის ამგვარი აქცენტირებისა, მნიშვნელოვნად რჩება შემდეგი პრობლემა: როგორ უნდა იქნას გააზრებული საბოლოო ანგარიშში სახელისა და ზმნის ურთიერთმიმართება ნარატიული ქვეტექსტის ფორმირებისა და მისი შემაჯამებელი სემანტიკის გამოხატვის თვალსაზრისით? უნდა ვიგულისხმოთ, რომ ამ კითხვაზე პასუხის გაცემისას კვლავ აუცილებელი ხდება კვლევის ინტერდისციპლინარული კონტექსტის აქტუალიზაცია;
6. იქედან გამომდინარე, რომ ნაშრომის III თავში უნდა მოხდეს თეორიულ-მეთოდოლოგიური მსჯელობიდან უშუალოდ ანალიტიკურ კვლევაზე

გადასვლა, აუცილებელია ერთის მხრივ იმ ნარატიული კონტექსტის ტიპოლოგიური სპეციფიკის გათვალისწინება, რომლის ანალიტიკაც უნდა განხორციელდეს, მეორეს მხრივ კი, ისეთი კონცეპტუალური კომპლექსის დასახელება და განსაზღვრა, რომელმაც შესაძლებელი უნდა გახადოს ხსენებულ ანალიტიკაზე გადასვლა. იმის გათვალისწინებით, რომ ანალიზის ობიექტად უნდა იქცეს ჯ.დ.სელინჯერის ნარატიული ციკლის ფრაგმენტი, აუცილებელი ხდება ისეთ კონცეპტთა კვლევითი „გააქტიურება“, როგორცაა სიმბოლური ნომინაციის ველი და ციკლური მეტათემა; მაგრამ იმდენად, რამდენადაც საქმე ეხება მოდერნისტული ნარატივის როგორც კულტურულ-ისტორიული ფაქტის კვლევას, ინტერდისციპლინარული თვალსაზრისით ასევე აუცილებელი ხდება ისეთი კონცეპტუალური კომპლექსის წინა პლანზე წამოწევა, რომელმაც უნდა მოიცვას ეგზისტენციის, ნარატიული სიუჟეტის და რეცეფციული ესთეტიკის კონცეპტები. ანალიტიკურ კვლევაზე გადასვლის წინაპირობად უნდა მიჩნეულ იქნას ამ ორი კონცეპტუალური კომპლექსის სინთეზი.

თავი III

არავერბალური კომუნიკაცია და ქვეტექსტური სიუჟეტი ჯ.დ.

სელინჯერის ნარატიულ ციკლში

§1. სელინჯერის ნარატიული ციკლის ქვეტექსტი და მისი კვლევის ინტერდისციპლინარული მეთოდოლოგია: ამ მეთოდოლოგიის სინთეზური ხედვა

ჩვენი კვლევის დასაწყისშივე ითქვა - და არაერთხელ განმეორდა - რომ ჩვენი კვლევის ინტერდისციპლინარული მეთოდოლოგია მოიცავს ორ დისციპლინარულ განზომილებას, რაც ნიშნავს შემდეგს:

ა) ისეთი ფენომენის კვლევა, როგორცაა მოდერნისტული ნარატივის ქვეტექსტური სემანტიკა, გარდუვალად უნდა გულისხმობდეს ისეთ დისციპლინათა კომპლექსზე დაყრდნობას, როგორცაა სემიოტიკა (როგორც ვერბალური ისე არავერბალური გაგებით), ლინგვისტიკა, ნარატოლოგია, სიმბოლოლოგია, ესთეტიკა (როგორც კრეატიული, ისე რეცეფციული გაგებით) და ა.შ;

ბ) ამავე დროს ხაზგასმით აღინიშნებოდა, რომ ეს ინტერდისციპლინარული კვლევა უნდა ყოფილიყო ლინგვისტურად ცენტრირებული. როგორც წინა თავში ჩატარებულმა კვლევამ გვიჩვენა, უკვე ვიცით, რომ კვლევის ლინგვისტურად ცენტრირებულობა მოცემულ შემთხვევაში გულისხმობს შემდეგს: უნდა იქნას დადგენილი, თუ როგორ შინაგან ტრანსფორმაციას განიცდის ნარატიული ქვეტექსტის წარმომქმნელი ფორმულა „სიტყვა - დეტალი - სიმბოლო" იმ შემთხვევაში, როცა საბოლოო ანგარიშში სიმბოლური ნომინაციის ფუნქციას თავის თავზე იღებს არავერბალური კომუნიკაციის მიმნიშნებელი ვერბალური კომპლექსი, მაგრამ ჩვენი აზრით, ჩვენი მეთოდოლოგიური პოზიცია გულისხმობს არა მხოლოდ ინტერდისციპლინარულობის იმ სტრუქტურას, რომელიც ზემოთ იქნა კიდევ ერთხელ ხაზგასმული, არამედ ამ სტრუქტურით გამოვლენილი ორივე დისციპლინარული განზომილების უწყვეტ სინთეზს. რა თქმა უნდა, ჩვენს მიერ უკვე არაერთხელ იყო მინიშნებული და ხაზგასმულიც ხსენებული სინთეზის კვლევითი

მომენტები, მაგრამ ამავე დროს მიგვაჩნია, რომ შემდეგი სინთეზის ხსენებული უწყვეტობა კი არ გამორიცხავს, არამედ, პირიქით, გარდუვალად უნდა გულისხმობდეს ჩვენი კვლევითი კონტექსტისთვის მნიშვნელოვან საბოლოო შედეგს და ამავე დროს, ბუნებრივია მივიჩნიოთ ისიც, რომ ამ საბოლოო შედეგის თეორიულ-მეთოდოლოგიური კონტურები გააზრებულ უნდა იქნას მოცემული თავის დასაწყისშივე, ანუ იმ კვლევით მომენტამდე, როცა უშუალოდ შევუდგებით სელინჯერისეული ნარატივის ქვეტექსტზე ორიენტირებულ კვლევას. შესაბამისად, ისმის კითხვა: როგორ უნდა გამოიყურებოდნენ ზემოთ ხსენებული კონტურები და როგორ უნდა აისახოს მათი სტრუქტურა იმ ემპირიული სინამდვილის ჩვენეულ კვლევაში, რომელსაც წარმოადგენს სელინჯერისეული ქვეტექსტი? ვფიქრობთ ზემოთ ხსენებული საბოლოო სინთეზი უნდა განხორციელდეს – როგორც თეორიულ-მეთოდოლოგიური წინსწრებით, ისე თვით კვლევის ანალიტიკურ ასპექტში ორ ეტაპად (თუმცა მოცემულ შემთხვევაში ეტაპთა ურთიერთმიმართება გულისხმობს არა იმდენად მათ ლინეალურად გაგებულ თანმიმდევრობას, არამედ ისეთ შინაგან ერთიანობას, რომელიც მიუხედავად ამგვარი შინაგანობისა, მაინც გულისხმობს განსხვავების დანახვის აუცილებლობას). გავითვალისწინოთ ნათქვამი და შესაბამისად, გამოვყოთ ხსენებული ეტაპები – რა თქმა უნდა, მათი ურთიერთმიმართების იმ თავისებურების გათვალისწინებით, რომლის შესახებ ზემოთ იყო ნათქვამი:

- 1) თუ კიდევ ერთხელ შევეცდებით დავინახოთ ჩვენს ინტერდისციპლინარულ მეთოდოლოგიაში ამ მეთოდოლოგიის საკუთრივ ინტერდისციპლინარული კომპლექსისა და „ლინგვისტური ბირთვის” სინთეზის აუცილებლობა, მაშინ საჭირო იქნება პირველ ეტაპზე გამოვყოთ ის კონცეპტუალურ – პრობლემური კომპლექსი, რომლის არსებობა უშუალოდ უკავშირდება ხსენებულ დისციპლინარულ კომპლექსს. სხვანაირად რომ ვთქვათ, უნდა გამოვყოთ ის კონცეპტუალურ-პრობლემური კომპლექსი, რომელიც ანალიზის პროცესში უშუალოდ დაუკავშირდება ჩვენს მიერ წინა თავში გამოყოფილ და ჩვენი კვლევისთვის რელევანტურ საკუთრივ ლინგვისტურ კომპლექსს. ვფიქრობთ, ეს კონცეპტუალურ-პრობლემური კომპლექსი უნდა გულისხმობდეს სამი შემდეგი კონცეპტის პრობლემურად დანახულ ურთიერთმიმართებას. ეს კონცეპტებია:

ა) სიმბოლური ნომინაციის ის ტრანსფორმირებული სახით წარმოდგენილი კონცეპტი, რომელიც იქმნება სიმბოლოლოგიის, რეცეფციული ესთეტიკის და არავერბალური კომუნიკაციის თანამედროვე თეორიის „შეხვედრისა“ და ურთიერთზემოქმედების შედეგად;

ბ) მეორე ასეთ კონცეპტად უნდა ვიგულისხმოთ ტრანსფორმაციის შედეგი, რომელიც უნდა განიცადოს ნარატიული პერსონაჟის ეგზისტენციალურმა განზომილებამ იმ შემთხვევაში, როცა ეს განზომილება ქვეტექსტურად მინიშნებულია უკვე არავერბალური კომუნიკაციის ნომინაციური ველით. როგორ „გამოიყურება“ ამ შემთხვევაში ეს ეგზისტენციალური განზომილება? და ბოლოს: იქედან გამომდინარე, რომ, საბოლოო ანგარიშში, როგორც ჩვენი მეთოდოლოგიის ლინგვისტური, ისე არალინგვისტური კომპონენტიც უკავშირდება ნარატიულ კონტექსტს.

გ) მესამე ამგვარ კონცეპტად უნდა წარმოვიდგინოთ ქვეტექსტური სიუჟეტი იმ სახით, რომელსაც იგი იღებს მოდერნისტული ნარატივის ქვეტექსტური სემანტიკის კონსტიტუირებისას. ვფიქრობთ, ქვეტექსტური სიუჟეტის ამგვარად გააზრებულმა კონცეპტმა შეიძლება მოახდინოს წინა ორი კონცეპტის თავის თავში ინტეგრირება;

2. მეორე ეტაპად კი უნდა ვიგულისხმოთ თეორიულად უკვე გააზრებული ორი კონცეპტუალურ-პრობლემური კომპლექსის იმ უწყვეტი ურთიერთზემოქმედების განხორციელება, რომლებიც რომლებიც გამოიკვეთა ჩვენი კვლევის შედეგად როგორც ლინგვისტური, ისე საკუთრივ ინტერდისციპლინარულ ასპექტში.

§2. მეთოდოლოგიური სინთეზის პირველი ეტაპი: სელინჯერისეული ქვეტექსტის ანალიტიკური კვლევისთვის აუცილებელი კონცეპტუალურ-პრობლემური კომპლექსი

წინა პარაგრაფში კიდევ ერთხელ იქნა ხაზგასმულ უნდა იქნას ჩვენი კვლევითი მეთოდოლოგიის ის შინაგანი არსი, რომელიც ყველაზე უფრო ადეკვატურად გამოიხატება ტერმინით „სინთეზი“ და, ამავე დროს, ითქვა ისიც, რომ მოცემულ შემთხვევაში სინთეზის ეს მეთოდოლოგიური გაგება კონკრეტდება ორი შემდგომი ნიშნის შერწყმით: ა) სინთეზი გულისხმობს იმ ინტერდისციპლინარულ კომპლექსზე დაყრდნობას, რომლის სტრუქტურა ერთდროულად განისაზღვრება როგორც ზოგადკუმანიტარულ, ისე ლინგვისტურ დონეზე განხორციელებული პარადიგმული

დინამიკით და ბ)მეორე მხრივ, იმის გათვალისწინებით,თუ როგორ უნდა იქნას რეალიზებული ზემოთ ნახსენები ინტერდისციპლინარული სინთეზის შედეგები იმ ნარატიული მხატვრული ტექსტის ანალიზის პროცესში, რომლის სტრუქტურაში შერწყმული სახით მოცემულია ჩვენი კვლევითი მიზნებისთვის რელევანტური შემდეგი სამი მომენტი: 1) ამ ნარატივისთვის საზრისობრივად და სტრუქტურულად მნიშვნელოვანი უნდა იყოს იმ ფუნქციურ სტრუქტურული ტრიადის გამჭოლი სახით „მოქმედება“, რომლის მეთოდოლოგიურ მნიშვნელობაზეც ლაპარაკი გვქონდა წინა თავებში (სიტყვა - დეტალი - სიმბოლო); 2) მაგრამ, ამავე დროს, თვით ამ ფორმულის შიდა სტრუქტურაში უნდა იგულისხმებოდეს შემდეგი არსებითი ცვლილება: სიმბოლურ ნომინაციას ნარატიულ ქვეტექსტის მაკონსტიტუირებელ ფაქტორს საფუძვლად უნდა ედოს არავერბალური კომუნიკაცია; 3) მაგრამ იმის გათვალისწინებითაც, რომ ჩვენი ინტერდისციპლინარული მეთოდოლოგიის ვერტიკალურ განზომილებაში წარმართველი როლი ეკისრება კულტუროლოგიას (ანუ კულტურის თეორიას და ისტორიას), აუცილებელი იყო დასავლური მხატვრული ნარატივის მიერ განვლილი ისტორიული გზის იმ სეგმენტის გამოყოფა, რომლისთვისაც ერთნაირად მნიშვნელოვანი იქნებოდა ზემოთ ნახსენები ორივე ნარატიული ასპექტი, ასეთ მხატვრულ ნარატივად მივიჩნიეთ სელინჯერისეული „მცირე პრიზა“ წარმოდგენილი ციკლით „Nine Stories“.

მაგრამ წინა პარაგრაფში ლაპარაკი გვქონდა ჩვენი მეთოდოლოგიური სინთეზის იმ ასპექტზეც, რომელიც გულისხმობს მეთოდოლოგიის ამგვარად ფორმულირებული სტრუქტურის კონკრეტულ ანალიტიკურ პროცედურად ტრანსფორმირებას. შესაბამისად, ისმის კითხვა: როგორ უნდა მოხდეს ჩვენს მიერ უკვე ჩამოყალიბებული მეთოდოლოგიის ამგვარი ტრანსფორმირება, ანუ, სხვანაირად რომ ვთქვათ, მეთოდოლოგიის კონკრეტულ ანალიზში „გადასვლა“? მიგვაჩნია, რომ ამ კითხვის დასმა აუცილებელია შემდეგი მოსაზრებების გამო: ა) როგორც უკვე ითქვა, ჩვენი ინტერდისციპლინარული მეთოდოლოგიის ვერტიკალურ განზომილებაში წამყვანი სტატუსი უკავია კულტურას, როგორც ამ ტერმინის თეორიული, ისე ისტორიული გაგებით. მაგრამ სწორედ ჩვენი ლინგვოკულტუროლოგიური კვლევის ამგვარი კონცეფცია აუცილებელს ხდის შემდეგი გარემოების გათვალისწინებას. თუ კულტურას აღვიქვამთ არა

აბსტრაქტულად, არამედ მისი ისტორიული დინამიკის სრული გათვალისწინებით, მაშინ შეუძლებელი იქნება არ იქნას მხედველობაში მიღებული თანამედროვე, ანუ მეოცე საუკუნის დასავლური კულტურის ის ორი კონცეპტი, რომლებსაც ერთნაირად გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს გასაანალიზებელი ემპირიული სინამდვილისთვის, ანუ მოდერნისტული ნარატივის სელინჯერისეული ეტაპისთვის. ვფიქრობთ, ხსენებული კონცეპტუალური წყვილი უნდა იქნას წარმოადგენილი ისეთი კონცეპტებით, როგორცაა, ერთის მხრივ, *ეგზისტენციის*, მეორეს მხრივ კი, *რეცეფციული ესთეტიკის* კონცეპტებით. რა თქმა უნდა, ქვემოთ მოგვიხდება ამ კონცეპტთა შინაარსობრივ სპეციფიკაზე ყურადღების შეჩერება, მაგრამ უკვე მოცემულ ეტაპზეც შეიძლება, ალბათ, ითქვას: მხატვრული ნარატივი, როგორც ცნობილია მუდამ წარმოადგენს ადამიანთან დაკავშირებულ ესთეტიკურ ფენომენს, ხოლო სწორედ მეოცე საუკუნისთვის, უფრო კონკრეტულად კი, მეოცე საუკუნის კულტურისთვის - დამახასიათებელია ადამიანის ხედვა ეგზისტენციის ცნებაზე დაყრდნობით. ამიტომ ბუნებრივად უნდა მივიჩნიოთ თუ სელინჯერისეული ნარატივის ქვეტექსტსაც აღვიქვამთ ისე, როგორც ნაგულისხმებია ეგზისტენციის კონცეპტით, ანუ აღვიქვამთ ეგზისტენციალურად. ვფიქრობთ, სხვანაირად შეუძლებელი იქნებოდა იმის განსაზღვრა, თუ რა წარმოადგენს ხსენებული ქვეტექსტის შინაარსობრივ სპეციფიკას;

ბ) მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანი უნდა იყოს, ჩვენი აზრით, თანამედროვე კულტურის იმ ასპექტის გათვალისწინებაც, რომელსაც პირდაპირი და უშუალო კავშირი აქვს არა მხოლოდ მხატვრული ნარატივის, არამედ ზოგადად მხატვრული შემოქმედების აღქმასთან და გააზრებასთან - ვგულისხმობთ, რა თქმა უნდა, მეოცე საუკუნოვან ესთეტიკას. მაგრამ, სწორედ თანამედროვე ესთეტიკისთვის მახასიათებელია შემდეგი მისი სპეციფიკა: მისი ყურადღების ცენტრში, როგორც ცნობილია, მოექცა შემოქმედების არა მხოლოდ კრეატიული (ავტორისეული), არამედ რეცეფციული ესთეტიკის მკითხველისეული (ვერბალურ ნარატივში), ანუ რეციპიენტისეული, ამ ტერმინის ზოგადი გაგებით. ეს კი იმასაც ნიშნავს, რომ ჩვენეული ანალიზისთვის მნიშვნელოვანი ეს ორი კონცეპტი (ანუ ეგზისტენციისა და რეცეფციის კონცეპტები) ანალიზის პროცესში უნდა იქნან უშუალოდ და ორგანულად ერთმანეთთან დაკავშირებული;

გ) მაგრამ, ამავე დროს, სწორედ თანამედროვე კულტურის შინაგან დინამიკას და, შესაბამისად, უკვე ზემოთ განხილულ კონცეპტუალურ წყვილს იმპლიციტურად (ქვეტექსტურად) უნდა დავუკავშიროთ არავერბალური კომუნიკაციის თეორიის, როგორც სემიოტიკური კონცეფციის დღეისთვის განვითარებული სტადია.

იქიდან გამომდინარე, რომ ნაშრომის წინა თავებში ზოგადად, მაგრამ მაინც განვიხილეთ ზემოთ ხსენებული სამივე ტერმინი - *ეგზისტენცია*, *რეცეფციული ესთეტიკა* და *არავერბალური კომუნიკაცია* და, რაც მთავარია, გვქონდა მსჯელობა ამ ტერმინთა კონცეპტუალურ მნიშვნელობაზე შეგვიძლია ჩვენი ანალიტიკური პროცედურის უშუალოდ დაწყების წინ ხაზი გავუსვათ ამ კონცეპტთა იმ ასპექტსაც, რომლის შესახებ ჯერ არ გვქონია მსჯელობა და, რომელსაც, საბოლოო ანგარიშში, გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება ჩასატარებელი ანალიტიკური პროცედურისთვის. ვგულისხმობთ შინაგან კავშირს ხსენებულ სამ კონცეპტს შორის და ამ შინაგანი კავშირის კულტუროლოგიურ რელევანტურობას. სხვანაირად რომ ვთქვათ: თუ ჩვენი ინტერდისციპლინარული მეთოდოლოგიის ფარგლებში გასაანალიზებელ ნარატიულ რეალობას, წარმოდგენილს სელინჯერის შემოქმედებით, აღვიქვამთ - როგორც ზემოთ უკვე ითქვა - არა აბსტრაქტულად, არამედ კონკრეტულად, ანუ მეოცესაუკუნოვანი დასავლური კულტურის ისტორიის გათვალისწინებით, მაშინ უნდა არსებობდეს შინაგანი კავშირი ერთის მხრივ ამ ნარატიული რეალობის სიუჟეტურ ასპექტსა და ხსენებულ კონცეპტუალურ ტრიადას (*ეგზისტენცია*, *რეცეფციული ესთეტიკა* და *არავერბ.კომუნიკაცია*) შორის. შესაბამისად, გვსურს გამოვთქვათ შემდეგი ჰიპოთეტური მოსაზრება: რა თქმა უნდა, კვლავაც უნდა გაესვას ხაზი ჩვენი ინტერდისციპლინარული მეთოდოლოგიის ლინგვისტურად ცენტრირებულობას, მაგრამ, ამავე დროს, თვით კვლევის ამგვარი ცენტრირებულობა უნდა გაგებულ იქნას ისე, როგორც ამას მოთხოვს თანამედროვე ჰუმანიტარული კულტუროცენტრიზმი: სელინჯერისეული ნარატივის ენობრივი განზომილება უნდა იქნას ინტერპრეტირებული კულტუროცენტრისტულად, რითაც ხაზი გაესმის ლინგვოკულტუროლოგიის როგორც ლინგვისტური კვლევითი პარადიგმის გენტიკურ და ფუნქციურ არსსაც. ლინგვოკულტუროლოგია წარმოადგენს ზოგადჰუმანიტარული კულტუროცენტრიზმის ერთ-ერთ გამოვლინებას. სხვანაირად რომ ვთქვათ, ჩვენს კვლევით კონსტექსტში ჰარმონიულად უნდა იქნას შერწყმული

შემდეგი ორი მომენტი - კულტუროცენტრიზმი როგორც ჰუმანიტარული აზროვნების ცენტრირებულობა კულტურაზე (კულტურის ფენომენზე და კონცეპტზე) და ჩვენი ინდივიდუალური კვლევის - როგორც ლინგვისტური კვლევის - ცენტრირებულობა გასაანალიზებელი ნარატივის ენობრივ განზომილებაზე, რადგან ეს ენობრივი განზომილება აღიქმება ლინგვოკულტუროლოგიური პარადიგმის საფუძველზე.

ზემოთ განვითარებული თეორიულ-მეთოდოლოგიური მსჯელობის შემდეგ აუცილებლად მიგვაჩნია დავსვათ კითხვა იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა გამოიყურებოდეს ჩვენი ანალიტიკური პროცედურა უკვე გასაანალიზებელი ნარატიული რეალობის ტექსტუალური სტრუქტურის გათვალისწინებით: როგორც უკვე ითქვა, ხსენებული ნარატიული რეალობა ცნობილია იმ კრებულის სახით, რომელსაც ეწოდება „Nine Stories” სანამ შევეხებით ჩვენი ანალიზის ტექსტუალურ ასპექტს და ხაზს გავუსვამთ იმ გარემოებასაც, რომ სელინჯერის „ცხრა მოთხრობას” განვიხილავთ არა როგორც უბრალოდ მოთხრობათა კრებულს, არამედ როგორც ციკლს. გავითვალისწინებთ რა ციკლორობასთან დაკავშირებულ კვლევის მომენტებს, გვსურს გამოვთქვათ ანალიზთან დაკავშირებული შემდეგი პრაგმატული მოსაზრება: ჩვენი ნაშრომის ფორმატი არ იძლევა იმის საშუალებას, რომ განვახორციელოთ მთელი სელინჯერისეული ციკლის ისეთი ინტერდისციპლინარული კვლევა, როგორც უკვე ნაგულისხმევია ჩვენი თეორიულ-მეთოდოლოგიური პოზიციით. ამავე დროს კი, გამოვთქვამთ ვარაუდს: ის შინაგანი კავშირი ნარატივის ენობრივ და კულტურულ განზომილებათა შორის, რომელიც იგულისხმება ჩვენი კვლევითი პოზიციით, ზოგადი ტენდენციის სახით უკვე იქნას გამოვლენილი სელინჯერისეული ციკლის პირველი ორი ტექსტის იმ სიღრმისეულ-შინაარსობრივი ერთიანობის გათვალისწინებით, რომელსაც ჩვენ „მეტათემა” უწოდებთ. ვფიქრობთ სწორედ ამ მეტათემის და, რაც ჩვენთვის მთავარია, მისი ენობრივი განზომილების გამოვლენა უნდა მივიჩნიოთ კვლევის ცენტრალურ მიზნად. მაგრამ, ამავე დროს, თავიდანვე უნდა იქნას გათვალისწინებული ციკლორობასთან შინაგანად დაკავშირებული მეორე კვლევითი მომენტიც - ნებისმიერი ჭეშმარიტი ციკლისთვის ერთნაირად დამახასიათებელია ორი, ერთი შეხედვით, ურთიერთდაპირისპირებული მომენტი: ერთის მხრივ, ციკლში შემავალ

ყველა ტექსტს გამჭოლი სახით უნდა აერთიანებდეს ერთი და იგივე მეტათემა, მაგრამ, მეორეს მხრივ, ციკლში შემავალი თითოეული ტექსტი, ამავე დროს, უნდა წარმოადგენდეს დამოუკიდებელ ტექსტობრივ „ერთეულს“. იმისთვის, რომ შედგეს ციკლის ფენომენი, ერთნაირად აუცილებელია ორივე ეს მომენტი. რას უნდა ნიშნავდეს ზემოთ ნათქვამი ანალიტიკური პროცედურის განხორციელების თვალსაზრისით? ვფიქრობთ, უნდა ნიშნავდეს შემდეგს: ჯერ გავაანალიზებთ ზემოთ ხსენებულ „მიკროციკლში“ შემავალ ორივე ტექსტს ჩვენი მეთოდოლოგიის ნაგულისხმევი ყველა მომენტის გათვალისწინებით, შემდეგ კი მოვახდენთ ამ მომენტთა მეტათემატურ სინთეზს. მიგვაჩნია, რომ ამგვარი ანალიტიკური მეთოდის გამოყენებით შევძლებთ შევუთავსოთ ერთმანეთს ანალიზის ლინეალური და სიდრმისეული ასპექტები.

როგორი უნდა იყოს ზემოთ ნათქვამიდან გამომდინარე ჩვენი შემდგომი კვლევითი ნაბიჯები, თუ, რა თქმა უნდა, გვსურს ამ ნაბიჯთა ერთობლიობაში მაქსიმალური სისავსით აისახოს მოცემული თავის წინა პარაგრაფში დეკლარირებული მეთოდოლოგიური და მეთოდური პოზიციები? ვფიქრობთ, შემდგომი კვლევის ანალიტიკურ-მეთოდური ასპექტი უნდა მოიცავდეს ოთხ კვლევით ნაბიჯს. ხსენებული ნაბიჯები კი უნდა დაკონკრეტდეს შემდეგნაირად: სამი ნაბიჯი უნდა ნიშნავდეს ჩვენს მიერ გამოყოფილ „მიკროციკლში“ ორი ტექსტის ისეთ ანალიზს, რომლის ფარგლებში ყოველი ტექსტი წარმოდგენილი იქნება როგორც დამოუკიდებელი ტექსტობრივი ერთეული, თუმცა მათთვის ამავე დროს საერთო იქნება ყოველივე ის, რაც იგულისხმევა ჩვენი კვლევითი მეთოდოლოგიით და რაც წინა პარაგრაფში იქნა წარმოდგენილი კონცეპტუალური სინთეზის სახით. ტექსტთა ამგვარ „დამოუკიდებლობას“ უნდა ჰქონდეს, რა თქმა უნდა, ორი ასპექტი - „პოზიტიური“ და „ნეგატიური“. „პოზიტიური“ ასპექტად უნდა მივიჩნიოთ ის, რაც უკვე ითქვა მოცემულ აბზაცში - ანალიზის ერთიანი მეთოდოლოგია, „ნეგატიურ“ ასპექტად კი შემდეგი მომენტი: ამგვარი ანალიზის პროცესში ხსენებული ანალიზი თავისუფალი უნდა იყოს იმ მეტათემატური სინთეზისაგან, რომლის განხორციელება უნდა წარმოადგენდეს ჩვენს საბოლოო მიზანს. შესაბამისად, ჩვენი მეოთხე ნაბიჯი უნდა ნიშნავდეს ამ მეტათემატურ სინთეზს, ანუ ხსენებული სამი ნაბიჯის სინთეზს მეტათემაზე როგორც კონცეპტზე დაყრდნობა.

§3. ფოკალიზაცია როგორც ნარატოლოგიური პრინციპი და როგორც მეტათემატური სინთეზის მეთოდური საფუძველი

წინა პარაგრაფში გამოვყავით კვლევის მოცემული ეტაპის სტრუქტურა ორი შემდეგი გაგებით: ა) იმის გათვალისწინებით, თუ რას უნდა გულისხმობდეს ეს სტრუქტურა ზოგადმეთოდოლოგიური თვალსაზრისით და ბ) რას უნდა გულისხმობდეს იგი კონკრეტულ ანალიტიკურ-მეთოდური ნაბიჯების გადადგმის თვალსაზრისით. როგორც გვახსოვს, პირველი თვალსაზრისით ფუძემდებელი იყო კონცეპტუალური ტრიადა ეგზისტენციის, რეცეფციული ესთეტიკისა და არავერბალური კომუნიკაციის სახით, მეორე თვალსაზრისით კი გადამწყვეტი იყო სელინჯერისეული იმ სემენტის ლინეალური სტრუქტურა, რომელსაც ჩვენ - მთელი ამგვარი ნომინაციის პირობითობის გათვალისწინებით - „მიკრო ციკლი“ ვუწოდეთ. რა თქმა უნდა, მთლინად შევინარჩუნებთ კვლევის მოცემული ეტაპის ამგვარად განსაზღვრულ სტრუქტურას, მაგრამ, ამავე დროს, საჭიროდ მიგვაჩნია ამგვარად შენარჩუნებული სტრუქტურის ისეთი ასპექტის დასახელებაც, რომელსაც თანამედროვე ნარატოლოგიაზე დაყრდნობით „ფოკალიზაციური“ შეიძლება ვუწოდოთ. შეიძლება ითქვას, რომ უკვე ხსენებული ორი ეტაპისგან განსხვავებით ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს არა ცალკეულ ეტაპთან, არამედ კვლევის იმ ასპექტთან, რომელიც უნდა წარმოადგენდეს ჩვენს მიერ უკვე ნახსენები და განსაზღვრული მეტათემატური სინთეზის მეთოდურ საფუძველს. ბუნებრივია, ისმის კითხვა: რატომ გახდა აუცილებელი ფოკალიზაციის როგორც კვლევითი პრინციპის ამგვარად გამოყოფა და დასახელება, როცა უკვე იქნა გამოყოფილი ერთის მხრივ ზემოთხსენებული კონცეპტუალური ტრიადა, მეორეს მხრივ კი ასევე იქნა განსაზღვრული ანალიტიკური ნაბიჯები? დასმულ კითხვაზე პასუხი უნდა ჟღერდეს შემდეგნაირად: როცა ვმსჯელობდით არავერბალურ კომუნიკაციაზე (და, შესაბამისად, არავერბალურ სემიოტიკაზე), კონკრეტულად კი ხსენებული თეორიის კოცოლინოსეულ მოდელზე, ხაზი გაესვა იმ გარემოებასაც, რომ სწორედ ნარატოლოგიური კვლევის სფერო უნდა იქცეს არავერბალური კომუნიკაციის თეორიის და მოდელის გამოყენების ძირითად სფეროდ. შესაბამისად, ჩვენც მივიჩნიეთ, რა თქმა უნდა, ზოგადჰუმანიტარული კულტუროცენტრისტული

პოზიციიდან გამომდინარე, რომ სწორედ ზოგადად ნარატივის კონკრეტულად კი სელინჯერისეული ნარატივის ანალიზი უნდა დაუკავშირდეს არავერბალური კომუნიკაციის თეორიას. ამ ორი ხსენებული სფეროს-ნარატიულ და არავერბალურ კომუნიკაციურ სფეროთა - ამგვარი ურთიერთდაკავშირება კი თავისთავად უნდა გულისხმობდეს პრობლემისადმი ნარატოლოგიურ მიდგომას. მაგრამ, შესაბამისად, ისმის შემდეგი კითხვაც - რას უნდა ნიშნავდეს, პირველ რიგში და ხაზგასმით ნარატოლოგიური მიდგომა ყოველივე იმის ფონზე, რაც უკვე მივიჩნიეთ კვლევის მეთოდოლოგიურ და მეთოდურ ასპექტებად? ვფიქრობთ, ეს უნდა ნიშნავდეს იმ ნარატოლოგიურ კატეგორიაზე გამჭოლი სახით დაყრდნობას, რომელსაც „ფოკალიზაცია“ ეწოდება. როგორც ვ.შმიდი აღნიშნავს, სწორედ ფოკალიზაცია წარმოადგენს „ნარატოლოგიის ცენტრალურ კატეგორიას“ (შმიდი 2008: 203), თუმცა ამავე დროს, ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტსაც, ციტირებული ავტორის აზრით ისეთი ცნებები, როგორცაა „point of view“, „პერსპექტივა“ და „ფოკალიზაცია“ სინონიმებად უნდა მივიჩნიოთ (შმიდი 2008: 104). არ ვაპირებთ, რა თქმა უნდა, ყოველივე იმის ისტორიულ პლანში განხილვას, რამაც განაპირობა ხსენებულ ცნებათა ეს სინონიმურობა, რადგან ამგვარი ამოცანა სცილდება ჩვენს კვლევით მიზნებს. მაგრამ, სამაგიეროდ მოვახდენთ ფოკალიზაციის შმიდის მიერ გამოყოფილ პლან-ფაქტორთა სქემატური სახით ციტირებას შემდეგი ორი ფაქტის გათვალისწინებით:

ა) თვით ავტორს მიაჩნია, რომ ნებისმიერი ნარატივის განხილვისას სწორედ ამ პლან-ფაქტორთა ერთობლიობა გულისხმობს ფოკალიზაციას და ბ) როგორც თვით ამ პლან-ფაქტორთა დასახელება გვიჩვენებს სწორედ მათი ერთობლიობა - წმინდა ნარატოლოგიური თვალსაზრისით - უნდა დაედოს საფუძვლად ჩვენს მეტათემატურ სინთეზს. ხსენებული ავტორი გამოყოფს შემდეგ ხუთ ფოკალიზაციურ პლან-ფაქტორს:

1. პერცეფციული პლან-ფაქტორი;
2. იდეოლოგიური პლან-ფაქტორი;
3. სივრცითი პლან-ფაქტორი;
4. დროითი პლან-ფაქტორი;
5. ენობრივი პლან-ფაქტორი;

მიგვაჩნია, რომ ორიოდ სიტყვით მაინც საჭიროა შევუთანხმოთ (ტერმინოლოგიურად და კონცეპტუალურად) ეს შმიდისეული ფოკალიზაციური ფაქტორები ჩვენს პრობლემასთან დაკავშირებულ იმ მსჯელობას, რომელიც მოცემული იყო წინა თავებში და პარაგრაფებში. ამგვარი შეთანხმების მიხედვით:

1. პერცეფციული პლან-ფაქტორი გულისხმობს იმას, რომ ნარატივში განვითარებული სიუჟეტი აღქმული და შეფასებული უნდა იყოს პირველ რიგში რეცეფციულ ესთეტიკაზე დაყრდნობით, რადგან როგორც იქნა ჩვენს მიერ ხაზგასმული ხსენებული სიუჟეტი ვითარდება ქვეტექსტურად;
2. იდეოლოგიური პლან-ფაქტორი კი ჩვენს კვლევით კონტექსტში უნდა აღქმულ იქნას როგორც მოდერნისტული კულტურის ის ასახვა, რომელიც განხორციელებულია სელინჯერისეულ ნარატივში და, რომელიც, როგორც ანლიზი გვიჩვენებს, გულისხმობს პირველ რიგში ადამიანთა შორის შინაგანი, ანუ ეგზისტენციალური კომუნიკაციის იმ არ არსებობას, რომლის ნარატიულ ასახვას ემსახურება სწორედ არავერბალური კომუნიკაციის ძირითად ასპექტზე დაყრდნობა;
3. სივრცითი პლან-ფაქტორი ჩვენს კვლევით კონტექსტში გაგებულ უნდა იქნას, რა თქმა უნდა, არა ფიზიკურად, არამედ კულტურულად, ანუ როგორც ის კულტურული სივრცე რომლის ფარგლებში თავს იჩენს არაკომუნიკაბელურობის სელინჯერისეული ხედვა;
4. დროითი პლან-ფაქტორი უნდა გაგებულ იქნას ისე, როგორც ამას მოითხოვს ნარატივი ანუ სიუჟეტურად. იქედან გამომდინარე, რომ თავად სიუჟეტი ამგვარი ტიპის ნარატივში ვითარდება ძირითადად ქვეტექსტურად, თავად სიუჟეტური დრო უნდა აღვიქვათ სილმისეულად, ანუ ეგზისტენციალურად;
5. ენობრივი პლან-ფაქტორი, მიუხედავად იმისა, რომ მას ბოლო ადგილი უკავია პლან-ფაქტორთა შმიდისეულ ჩამოთვლაში, ჩვენი კვლევითი კონტექსტისთვის საბოლოო ანგარიშში უნდა იყოს გადამწყვეტი, რადგან, როგორც უკვე ვიცით, ჩვენი კვლევა ცენტრირებულია ლინგვისტურად. სწორედ ენობრივი პლანის განხილვისას მოგვიხდება იმ ენობრივ საშუალებათა, პირველ რიგში კი, როგორც ამას გულისხმობს ჩვენს მიერ უკვე ფორმულირებული ჰიპოთეზა -

ზმნათა სიმბოლური ინტერპრეტაცია და ამ თვალსაზრისით მათი ტიპოლოგიზაცია.

§4. მოთხრობა “A Perfect Day for Bananafish”

არავერბალური კომუნიკაციის და ქვეტექსტური სიუჟეტის თვალსაზრისით.

როგორც უკვე იქნა ჩვენს მიერ აღნიშნული ზემოთ დასახელებული სელინჯერისეული მოთხრობა უკვე იყო გაანალიზებული თანამედროვე ქართული ლინგვისტიკის ინტერდისციპლინარულად ორიენტირებულ სეგმენტში. აღნიშნულ იქნა ისიც, რომ ჩვენი კვლევითი პოზიცია ორიენტირებულია ამ ანალიზის როგორც თემატურ-მეთოდოლოგიურ გაფართოებაზე, ისე გაღრმავებაზე. ხსენებული გაფართოება და გაღრმავება უნდა ხდებოდეს შემდეგი ძირითადი ორი მიმართულებით:

- 1) თ. უსანეთაშვილის ხსენებულ სტატიაში ლაპარაკია სიმბოლური ნომინაციის იმ ფუნქციაზე, რომელიც გულისხმობს ქვეტექსტური სიუჟეტის შექმნას, მაგრამ არაფერია ნათქვამი ამ სიმბოლური ნომინაციის სრულიად ახალ შინაგან თვისობრიობაზე, რომელიც მდგომრეობს არავერბალური კომუნიკაციის გადამწყვეტ სიმბოლურ როლში;
- 2) ხსენებული სტატიის ავტორი სელინჯერის ამ მოთხრობას განიხილავს როგორც ავტონომიურად არსებულ ნარატიულ ერთეულს და არა როგორც სელინჯერისეული ნარატიული ციკლის კომპონენტს. ამგვარი მიდგომა, რა თქმა უნდა, შეიცავს იმ პოზიტიურ მომენტს, რომლის შესახებ გვქონდა მსჯელობა წინა პარაგრაფში, მაგრამ მეორეს მხრივ, თუ გვსურს ნარატოლოგიური ანალიზის გაფართოება და გაღრმავება, საჭიროა არა მხოლოდ მივიჩნიოთ ხსენებული მოთხრობა ციკლის კომპონენტად, არამედ - და ეს მომენტი გადამწყვეტი უნდა იყოს - შევძლოთ დავაკავშიროთ მისი ქვეტექსტური სიუჟეტი სელინჯერისეულ ქვეთემას, თვით ქვეთემა კი აღვიქვათ როგორც ციკლური მეტათემის ორგანულ კომპონენტად.

სანამ უშუალოდ შევუდგებით ანალიზის ჩვენეული პროგრამის ზემოთ ზემოთ განსაზღვრულ მომენტთა განხორციელებას ადვინშნოთ ციტირებული სტატიის ორი ის შინაარსობრივი სეგმენტი, რომლებსაც ჩვენ, ერთის მხრივ, დავეყრდნობით, მეორეს მხრივ კი, სწორედ ამ სეგმენტებს მივიჩნევთ ანალიტიკური გაფართოვებისა და გაღმავების ობიექტად. ეს სეგმენტებია:

ა) ჩვენთვის სავსებით მისაღებია ის პოლემიკური პოზიცია, რომელიც სტატიის ავტორს უკავია სელინჯერისეული ნარატივის იმ ინტერპრეტატორთა მიმართ, რომელთა აზრით ეს ნარატივი მოკლებულია ნებისმიერ ნარატივისთვის აუცილებელ იმ აუცილებელ ატრიბუტს როგორცაა სიუჟეტი. ასე, მაგალითად, ერთი ასეთი ინტერპრეტაციის ავტორი ამბობს: „ყველა ტრადიციულ პროზულ ტექსტს გააჩნია სავსებით გამართლებული სიუჟეტი“. (უსანეთაშვილი 2006: 175)

იმის საპასუხოდ, რომ ხსენებული ციტატის ავტორი არ ხედავს სელინჯერთან არავითარ სიუჟეტს, თ.უსანეთაშვილი ამბობს: „როგორც ვხედავთ, ვიმყოფებით ისეთი დილემის წინაშე, რომელსაც შეიძლება ჰქონდეს პრინციპული მნიშვნელობა არა მხოლოდ სელინჯერისეული პროზის, არამედ, იქნებ მთელი მოდერნისტული ლიტერატურის ადეკვატური აღქმის თვალსაზრისით: ანუ ეს მოთხრობა არ ეკუთვნის ეპიკურ გვარს, ანუ არ არის ნარატივი ამ ტერმინის ტრადიციული მნიშვნელობით, ან ეს სიუჟეტი სინამდვილეში არსებობს და მთელი თავისი მოცულობითაც კი, მაგრამ იგი არსებობს არა ტექსტის უშუალოდ აღსაქმელ, ანუ ლინეალურად რეალიზებულ სრუქტურაში, არამედ მის სიღრმისეულ სტრუქტურაში, ანუ, სხვანაირად რომ ვთქვათ, არა ტექსტში, არამედ ქვეტექსტში“ (უსანეთაშვილი 2006: 176)

მთლიანად ვიღებთ რა თ.უსანეთაშვილის ამ პოზიციას, ჩვენც მივიჩნევთ, რომ მოცემულ შემთხვევაში საქმე გვაქვს ქვეტექსტურ სიუჟეტთან - თუმცა, როგორც უკვე ვთქვით, ეს ქვეტექსტური სიუჟეტი უნდა ინტერპრეტირებულ იქნას ახლებურად, სახელდობრ კი, არავერბალური კომუნიკაციის თეორიაზე დაყრდნობით.

ეჭვგარეშეა, რომ ეს არის ნარატივი, ანუ, ტრადიციული ლიტერატურათმცოდნეობის ენით რომ ვთქვათ, ეპიკური გვარის ნაწარმოები; მაგრამ, მეორეს მხრივ, ამ მოთხრობის ტექსტი არ შეიცავს სიუჟეტის ისეთ ტრადიციულად აღიარებულ სტრუქტურულ ელემენტებს, როგორცაა ექსპოზიცია, კვანძის შეკვრა და კვანძის გახსნა. ამ ელემენტებიდან

ექსპლიციტური სახით გვაქვს ტექსტის ის შინაარსობრივი მომენტი, როგორცაა კვანძის გახსნა და ეს მომენტი ემთხვევა მოთხრობის ფინალს (მთავარი პერსონაჟი თავს იკლავს). ეს ის თავისებურებაა, რომელიც ხაზგასმით აღინიშნება სელინჯერისადმი მიძღვნილ ლიტერატურულ კრიტიკაში. ასე, მაგალითად, ა. ჩვენ კარგად გვახსოვს, რომ ყველა ტრადიციულ პროზაულ ტექსტს გააჩნია სავსებით გამართლებული სტრუქტურა - დასაწყისი, შუაგული, დასასრული. ამ სტრუქტურაში აუცილებლად არსებობს სიუჟეტი, ამას გარდა კი ჩვენი ცნობიერებისთვის ჩვეულ ტექსტებში იქმნება საკმაოდ მკაფიოდ გამოკვეთილი მოქმედებათა პანორამა, კონტექსტი, სიტუაცია, რომელშიც პერსონაჟი იმყოფება. რაც შეეხება პერსონაჟებს, ავტორი მათ, როგორც წესი, დაწვრილებით აგვიღწერს ხოლმე. ჩვენ შევიტყობთ ხოლმე, ვინ არიან ისინი, რითი არიან დაკავებულნი, რა სურთ მათ. პატარა მოთხრობებშიც კი აღწერილი სიტუაცია ან ეპიზოდი შერწყმულია რომელიღაც ფონთან, სივრცესთან.

ჩვენი აზრით, აუცილებელია დავსვათ კითხვა: თუ ჩვენს წინ არის ეპიკური გვარის მხტვრული ტექსტი, როგორ შეიძლება არ არსებობდეს მასში სიუჟეტი (თუ, რასაკვირველია, არ ჩავთვლით სიუჟეტად მოთხრობის ხსენებულ ფინალს, რომელიც ჩვენ მივიჩნით შესაძლო სიუჟეტის ვირტუალურ ელემენტად)? როგორც ვხედავთ, ვიმყოფებით ისეთი დილემის წინაშე, რომელსაც შეიძლება ჰქონდეს პრინციპული მნიშვნელობა არა მხოლოდ სელინჯერისეული პროზის, არამედ, იქნებ მთელი მოდერნისტული ლიტერატურის ადეკვატური აღქმის თვალსაზრისით: ან ეს მოთხრობა არ ეკუთვნის ეპიკურ გვარს, ანუ არ არის ნარატივი ამ ტერმინის ტრადიციული მნიშვნელობით, ან ეს სიუჟეტი სინამდვილეში არსებობს და მთელი თავისი მოცულობითაც კი, მაგრამ იგი არსებობს არა ტექსტის უშუალო აღსაქმელ, ანუ ლინეალურად რეალიზებულ სტრუქტურაში, არამედ მის სიღრმისეულ სტრუქტურაში, ანუ, სხვანაირად რომ ვთქვათ, არა ტექსტში, არამედ ქვეტექსტში.

ჩვენთვის მისაღებია ამგვარად ფორმულირებული დილემის გადაჭრის ის ვარიანტი, რომელიც მოცემულია მის მეორე ნაწილში: სელინჯერისეულ ტექსტს აქვს სიუჟეტი ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, რადგან სხვანაირად შეუძლებელი იქნებოდა ჩვენს მიერ უკვე აღნიშნული ფინალი, მაგრამ იგი უნდა

ვემოთ მოთხრობის სიღრმისეულ განზომილებაში, ანუ მის ქვეტექსტში. და თუ ჩვენ გავიმეორებთ კარგად ცნობილ მეტაფორას, რომელიც ქვეტექსტს აისბერგს ადარებს, მაშინ მოთხრობის ფინალი წარმოგვიდგება აისბერგის იმ მწვერვალად, რომელიც ჩანს ტექსტის ზედაპირზე და, შესაბამისად, მოითხოვს ჩვენის მხრივ ადეკვატურ ინტერპრეტაციას. ადეკვატური ინტერპრეტაცია კი გულისხმობს კვლევის იმ მეთოდოლოგიას, რომელიც მიმართულია ქვეტექსტური სემანტიკის გამოვლენაზე – ექსპლიციტური სახით მის კონცეპტუალიზაციაზე.

როგორც ვხედავთ, სწორედ *ქვეტექსტი* როგორც მოდერნისტული პროზისთვის კატეგორიალური მნიშვნელობის მქონე ფენომენი, უნდა იქცეს ზემოთ ფორმულირებული დილემის გადაჭრის საშუალებად. ამიტომ, სანამ შევუდგებით იმის უფრო საფუძვლიან განხილვას, თუ რა წარმოადგენს სელინჯერისეული ქვეტექსტის ძირითად თავისებურებას, გავიხსენოთ ის, თუ როგორ არის გაგებული შესაბამის მეცნიერულ ლიტერატურაში ქვეტექსტის ფენომენი. ამ მიზნით ჩვენ მოვიყვანთ ისეთ სამ ციტატას შესაბამისი მეცნიერული ლიტერატურიდან, რომელიც, ჩვენის აზრით, არა მარტო იძლევა ხსენებული ფენომენის ამოსავალ დეფინიციას, არამედ ეტაპობრივად აკონკრეტებს კიდევ მას.

ქვეტექსტი არის სწორედ ის ნამდვილი საზრისი გამონათქვამისა , რომელიც მთლიანად შეიძლება არ იყოს გამოხატული ტექსტის ქსოვილში, მაგრამ რომელსაც იგი ატარებს თავის თავში და რომლის გახსნაც შესაძლებელი იქნება, თუ მივმართავთ მის კონკრეტულ ანალიზს, მთლიანი ურთიერთობის სიტუაციურ და სტრუქტურულ ანალიზს.

ქვეტექსტი იძენს სპეციფიკურ ორფენოვან სტრუქტურას და ეს ორფენოვნობა მდგომარეობს შემდეგში: იმ უშუალოდ აღქმულ ინფორმაციას, რომელსაც შეიცავს უშუალოდ აღქმული ობიექტი, ემატება სხვაგვარი სახის ინფორმაცია, რომლის წყაროა მოცემული ობიექტის მოდელი. ქვეტექსტს როგორც დამატებით ინფორმაციას, რომელიც იბადება მკითხველის მიერ ლინეალური და სუპრალინეალური ინფორმაციათა შერწყმის შედეგს.

ზემოთ მივუთითეთ ხსენებული დილემის გადაჭრის იმ საშუალებაზე, რომელსაც წარმოადგენს ქვეტექსტის კონცეპტი. მაგრამ, როგორც ამას ქვემოთ

განხორციელებული ანალიზი გვიჩვენებს, სელინჯერისეული ქვეტექსტი პრინციპულად განსხვავდება იმ ქვეტექსტისგან, რომელიც, როგორც ტექსტობრივი ფენომენი, დამახასიათებელი იყო მოდერნისტული პროზის საწყისი ეტაპისთვის და რომლის ფუნქციური არსი კლასიკური სახით გამოვლინდა ე. ჰემინგუის შემოქმედებაში. და აღსანიშნავია, რომ სწორედ ჰემინგუისეული ქვეტექსტის ზოგად დახასიათებას იძლევა ნ. მატარაძე თავის სადისერტაციო ნაშრომში, სადაც ამ ფენომენის სიღრმისეული ანალიზის განხორციელებისას იგი ეყრდნობა ვერბალური სიმბოლოს ცნებას. ჩვენ დავეყრდნობით ვერბალური სიმბოლოს მის მიერ შემუშავებულ მოდელს, შემდეგ კი მოვახდენთ ამ მოდელის ისეთ ტრანსფორმაციას, როგორსაც მოითხოვს არავერბალური სემიოტიკისა და მასზე დაფუძნებული არავერბალური კომუნიკაციის როგორც ტექსტობრივი ფენომენის ქვეტექსტური ინტერპრეტაცია. მიგვაჩნია, რომ ამ გზით შესაძლებელი იქნება მივალწიოთ ერთდროულად ორ ურთიერთდაკავშირებულ მიზანს – ა) თეორიულს - იმდენად, რამდენადაც დავინახავთ, თუ რა შინაგან ტრანსფორმაციას განიცდის ქვეტექსტური სემანტიკა იმ შემთხვევაში, როცა ვერბალური სემანტიკა იძენს არავერბალურ განზომილებას; ბ) ამავე დროს შევეცდებით იმის ჩვენებასაც, თუ კვლევის ინტერდისციპლინარულ მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით როგორ შეიძლება დახასიათდეს მოდერნისტული პროზის XX საუკუნოვანი დინამიკის ის ეტაპი, რომელიც წარმოდგენილია სელინჯერის შემოქმედებით, კერძოდ კი განსახილველი ნარატიული ტექსტით. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თვით ჩვენი კვლევაც შეიძენს თავისებურ ანალიტიკურ ქვეტექსტს მოდერნისტული ქვეტექსტის ტიპოლოგიური კვლევის სახით.

როგორც ვხედავთ, ნ. მატარაძის მიერ წარმოდგენილი მოდელი იძლევა ინტერდისციპლინარული კვლევის ნიმუშს იმ გაგებით, რომ მასში შერწყმულია მხატვრული ნარატიული ტექსტის ლინგვისტური და ლიტერატურათმცოდნეობითი ასპექტები – ლინგვისტური იმდენად, რამდენადაც ლინგვოსემიოტიკური თვალსაზრისით ნაჩვენებია სიტყვის როგორც ნიშნობრივი ერთეულის შიდატექსტობრივი ფუნქციურ-სემანტიკური ტრანსფორმაცია და ლიტერატურათმცოდნეობითი - იმდენად, რამდენადაც სიტყვის ხსენებული

ტრანსფორმაციული გზის ჩვენება ემსახურება ლიტერატურული პერსონაჟის ეგზისტენციალურ სიღრმეში მომხდარი ცვლილების სიმბოლურ გამოხატვას.

ჩვენი მიზანია არა მხოლოდ გავაღრმავოთ ქვეტექსტური სემანტიკის, როგორც მოდერნისტული მხატვრული ნარატივის კატეგორიალური ნიშნის კვლევა არავერბალურ სემიოტიკაზე დაყრდნობით, არამედ დავინახოთ კიდევ ის ტიპოლოგიური განსხვავებაც, რომელიც სწორედ ეგზისტენციალური ქვეტექსტის თვალსაზრისით არსებობს ისეთ ავტორებს შორის, როგორცაა ჯ.დ. სელინჯერი და ე. ჰემინგუეი. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი კვლევა შეიძენს შედარებით („შეპირისპირებით“) ლიტერატურათმცოდნეობით განზომილებასაც – თუმცა, რა თქმა უნდა, ხსენებული განზომილება მთლიანად დაეყრდნობა ტექსტის ლინგვისტიკისა და არავერბალური კომუნიკაციის თეორიის მონაცემთა სინთეზს.

შევეცდებით წარმოვადგინოთ ხსენებული კვლევა არა მთელი მისი ექსტენსიურად გაგებული სიფართოვით, არამედ იმის პრინციპული ჩვენებით, თუ რას იძლევა ნარატიული ქვეტექსტური სემანტიკის ისეთი კვლევა, რომელშიც სინთეზირებულია ვერბალური სიმბოლიკის და არავერბალური სემიოტიკის თეორიათა მონაცემები. სწორედ ამ თვალსაზრისით აუცილებლად მიგვაჩნია გავაანალიზოთ სელინჯერისეული ნარატივის სამი ისეთი ფრაგმენტი, რომელთა ერთობლიობა შინაარსობრივად - და სწორედ ქვეტექსტურად - არეკლავს სამი პერსონაჟი - სიმორ გლასის, მისი ცოლის და იმ პატარა გოგონას ურთიერთობას, რომელსაც ნარატივის პროტაგონისტი ხვდება ზღვის ნაპირზე:

„There were ninety-seven New York advertising men in the hotel, and, the way they were monopolizing the long-distance lines, the girl in 507 had to wait from noon till almost two-thirty to get her call through. She used the time, though. She read an article in a women’s pocket-size magazine, called “Sex Is Fun or Hell”. She washed the button on her comb and brush. She took the spot out of the skirt of her beige suit. She moved the button on her Saks blouse. She tweezed out two freshly surfaced hairs in her mole. When the operator finally rang her room, she was sitting on the window seat and had almost finished putting lacquer on the nails on her left hand.”

ამას მოსდევს ამ ახალგაზრდა ქალის სატელეფონო საუბარი დედამისთან. სწორედ ამ საუბარში იკვეთება ის გარემოება, რომ ამ გოგონას მეუღლეს, ანუ სიმორ გლასს, მისი მშობლები მიიჩნევენ ფსიქიურად დაავადებულად.

“Well, they swam into a hole where there are a lot of bananas. They are very ordinary-looking fish when they swim in. But once they get in, they behave like pigs. Why, I have known some bananafish to swim into a banana hole and eat as many as seventy-eight bananas” He edged the float and its passenger a foot closer to the horizon. “Naturally, after that they are so fat they cannot get out of the hole again. Can’t fit through the door.”

“He got off the fifth floor, walked down the hall, and let himself into 507. The room smelled of new calfskin luggage and nail-lacquer remover.

He glanced at the girl lying asleep on one of the twin beds. Then he went over to one of the pieces of luggage, opened it, and from under a pile of shorts and undershirts he took out an Ortgies caliber 7.65 automatic. He released the magazine, looked at it. Then reinserted it. He cocked the piece. Then he went over and sat down on the unoccupied twin bed, looked at the girl, aimed the pistol, and fired a bullet through his temple.”

შეიძლება ითქვას, რომ ამ ფრაგმენტთა სიღრმისეული (ქვეტექსტური) და, ამავე დროს, სიუჟეტური ურთიერთკავშირი გამოხატულია იმ ენობრივი საშუალებებით, რომლებიც, ერთის მხრივ, წარმოადგენენ გარკვეულ ნარატიულ ჯაჭვს, მეორეს მხრივ კი შეიცავენ იმ თითქოსდა მეორედ, მაგრამ ამავე დროს ისეთ სიმბოლურ მნიშვნელობებს, რომელთა ერთობლიობას მივყავართ ფინალამდე. სქემატურად ქვეტექსტური სიუჟეტის ამგვარი მსვლელობის არსი შეიძლება გამოიხატოს შემდეგნაირად: პირველი ფრაგმენტი შეიცავს ახალგაზრდა ქალის ისეთ ქმედებათა თანამიმდევრობას, რომელსაც თითქოს არ უნდა ჰქონდეთ არავითარი სიუჟეტური დანიშნულება, მაგრამ რომელთა სიღრმისეული კავშირი ნარატიულ ფინალთან მჟღავნდება სწორედ იმ მომენტში, რომელიც უშუალოდ მოსდევს ხსენებულ თანამიმდევრობას, სახელდობრ, დედასთან ტელეფონით საუბარში: ვხედავთ, რომ ერთი შეხედვით უმნიშვნელო ქმედებებით იფარებოდა ქალის მიერ ქმართან ურთიერთობის მისთვის საბედისწერო უაზრობის განცდა; შესაბამისად, ამგვარ ქმედებათა აღმნიშვნელი სიტყვები ფუნქციონირებენ როგორც ვერბალურ სიმბოლოებად ქცეული დეტალები: ისინი მიუთითებენ იმ დრამაზე, რომელსაც ადგილი აქვს პერსონაჟის ეგზისტენციალურ სიღრმეში; მეორე ფრაგმენტში მოცემულ ქმედებათა თანამიმდევრობა კი ასევე ქვეტექსტურად მიუთითებენ უკვე სიმორ გლასის ეგზისტენციალურ სიღრმეში მიმდინარე დრამაზე: მან იცის (ხვდება), რომ მის მიერ განცდილი ცხოვრებისეული ეგზისტენციალური სიცარიელე ცოლის მიერ აღქმულია

როგორც ფსიქიური ავადმყოფობა და გამოსავალს - რა თქმა უნდა, უშედეგოდ - ემებს პატარა გოგონასთან ურთიერთობაში. როგორც ვხედავთ, ორივე ეს ფრაგმენტი შეიძლება და, ალბათ, უნდა აღვიქვათ კიდევ როგორც იმ სიუჟეტური კვანძის შეკვრა, რომლის გახსნასაც წარმოადგენს ფინალი: ქვეტექსტური სიუჟეტი სწორედ არავერბალურ ლინგვოსემიოტიკურ საშუალებათა გამოყენებით გვამცნობს იმ ადამიანური დრამის ტრაგიზმს, რომელსაც *არაკომუნიკაბელობა ანუ ეგზისტენციალური კომუნიკაციის არარსებობა* წარმოადგენს; *მესამე* ფრაგმენტი კი გვიჩვენებს ფინალს.

როგორც ვნახავთ, სელინჯერისეული მოთხრობის ქვეტექსტური სიუჟეტის ანალიზისას გათვალისწინებულია ქვეტექსტის, როგორც ფენომენის ნიშან-თვისებათა მთელი ეს ერთობლიობა. თუმცა, ამავე დროს, ჩვენი აზრით, ჩვენი კვლევითი კონტექსტი თუ ამ კონტექსტს სინთეზურად აღვიქვამთ - მოითხოვს ქვეტექსტის ხსენებულ ნიშან-თვისებათა არა მხოლოდ გათვალისწინებას, არამედ ტრანსფორმაციასაც. მიგვაჩნია, რომ ამგვარი ტრანსფორმაციის არა მხოლოდ შესაძლებლობა, არამედ აუცილებლობასაც ბადებს ჩვენი საკვლევი თემისა და პრობლემის ორი შემდეგი ასპექტი: ა) ქვეტექსტის ზემოთ ხსენებულ ნიშან-თვისებათა ერთობლიობა გულისხმობს ქვეტექსტის ფენომენს ზოგადად და არ ითვალისწინებს იმ დინამიკას ისტორიულ დროში, განსაკუთრებით კი ამ ისტორიული დროის მოდერნისტულ სეგმენტში, როცა ქვეტექსტი არა უბრალოდ არსებობდა როგორც ნარატიული ფენომენი, არამედ განიცდიდა უაღრესად მნიშვნელოვან ისეთ შინაგან ტრანსფორმაციას, რომლის ვექტორიც უკვე მინიშნებული გვაქვს წინა პარაგრაფში: ნარატიულ კონტექსტში ქვეტექსტი თავის თავზე იღებს იმ ეგზისტენციალური ჩიხის გამოხატვის ფუნქციას რომელიც - და ამის შესახებაც გვქონდა მსჯელობა - იქცა სელინჯერისეული შემოქმედების თემად; ბ) მაგრამ გარდა წინა პუნქტში ხსენებული ისტორიული კონტექსტის იგივე თვალსაზრისით, ანუ ქვეტექსტის ფენომენის დინამიური ხედვის თვალსაზრისით, უნდა აღვიქვათ ჩვენი კვლევის საკუთრივ ლინგვისტური ასპექტი. ჩვენს მიერ უკვე განხორციელებული კვლევა გვიქმნის ქვეტექსტის დინამიური ხედვის საფუძველს შემდეგ ორ მოსაზრებაზე დაყრდნობით: 1) ქვეტექსტის გამოხატვის ფუნქციას თავის თავზე იღებს არავერბალური კომუნიკაცია და 2) თავად არავერბალური კომუნიკაციის ცენტრალურ საშუალებად

იქცევა ზმნა. მაგრამ სწორედ ზმნასთან დაკავშირებით უნდა დაისვას კითხვა: რომელია - ან სხვანაირად რომ ვთქვათ როგორი დიაპაზონის მქონეა - ზმნური სემანტიკის ის სემენტი, რომელიც არა მხოლოდ „იღებს თავის თავზე“ ზემოთ ხსენებული ეგზისტენციალური ჩიხის ქვეტექსტურად გამოხატვას, არამედ, თუ შეიძლება ასე ითქვას, ლოგიკურ ბოლომდე მიჰყავს ეს გამოხატვა და თუ გავითვალისწინებთ მოცემულ აზრად ნახსენებ ორივე მომენტს, შესაძლებელიც და აუცილებელიც გახდება ქვეტექსტის არსებული კონცეფციის არა მხოლოდ გათვალისწინება, არამედ მისი შინაგანი ტრანსფორმაცია და ამ ტრანსფორმაციის შემდეგნაირად გაგებაც: ქვეტექსტი იძენს შინაგან დინამიკურ ვექტორს და ამ გზით მისწრაფვის ეგზისტენციალური ჩიხის ენობრივი საშუალებით გამოხატვისკენ.

ყოველივე ზემოთ ნათქვამიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებითაც, რაც უკვე ითქვა როგორც ნაშრომის წინა თავებში, ისე მოცემული თავის წინა პარაგრაფშიც, უკვე შეგვიძლია გადავიყვანოთ ჩვენი თეორიული მსჯელობა სელინჯერის ხსენებული მოთხრობის კონკრეტულ ანალიზში. ამავე დროს კი, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს მოთხრობა, მიუხედავად მისი შინაგანი საზრისობრივი დასრულებულობისა, მაინც წარმოადგენს ნარატიული ციკლის (ჩვენი წმინდა მეთოდური გადაწყვეტილებით - „მიკროციკლის“) შემადგენელ ნაწილს, თუმცა, ამავე დროს, რაკი ამ მოთხრობით იწყება თვით ციკლი, იგი თავის თავზე უნდა იღებდეს ციკლური მეტათემის ინიცირებასაც.

მივიჩნევთ რა, რომ მოთხრობა შინაარსობრივად ცნობილი უნდა იყოს არა მხოლოდ ჩვენთვის, არამედ ჩვენი ანალიზის კრიტიკულად შემფასებლისთვისაც, ჩვენი ყურადღების კონცენტრირებას მოვახდენთ სელინჯერისეული ნარატივის იმ სემენტებზე, რომელთა სტრუქტურა მთელი სიცხადით წარმოაჩენს არავერბალური კომუნიკაციის ქვეტექსტურ ფუნქციას. იმის გათვალისწინებით კი, თუ როგორია – ასევე სტრუქტურული გაგებით – ნარატივის პერსონაჟისეული სისტემა, შესაბამის გასანალიზებელ სემენტთა ერთობლიობას დავყოფთ ორ შედარებით ავტონომიურ სემენტად. ეს სემენტებია: 1) არავერბალურ-კომუნიკაციური სემენტი უშუალოდ დაკავშირებული საიმორ გლასის ცოლთან და 2) უშუალოდ დაკავშირებული თვით სიმორ გლასთან. შესაბამისად, ჯერ მოვახდენთ ხსენებულ სემენტთა ციტირებას, შემდეგ კი შევეცდებით მათ გაანალიზებას.

4.1. არავერბალურ-კომუნიკაციური სეგმენტი, უშუალოდ დაკავშირებული სიმორ გლასის ცოლთან

ხსნებულ სეგმენტს, რომლითაც წმინდა ლინეალური თვალსაზრისით იწყება ჯ.დ. სელინჯერის მოთხრობა, შიდაეტაპობრივად ვყოფთ ორ ნაწილად (ქვესეგმენტად). ჯერ მოვახდინოთ ამ ორი ქვესეგმენტის თანმიმდევრული ციტირება, შემდეგ კი განვმარტოთ ის, თუ რას ვგულისხმობთ ხსენებული შიდაეტაპობრიობით.

1) პირველი ქვესეგმენტი: "She washed her comb and brush. She took the spot out of the skirt of her beige suit. She moved the button on her Saks blouse. She tweezed out two freshly surfaced hairs in her mole."

ზემოთ ციტირებული და ქვემოთ მოყვანილ სეგმენტებს ერთმანეთთან აკავშირებს წმინდა სიუჟეტური ფუნქციის მქონე ტექსტობრივი სეგმენტი, რომელსაც, ჩვენი აზრით, უნდა ჰქონდეს გარკვეული მნიშვნელობა მოცემული ნარატიული ტექსტის „ზედაპირისა“ და „სიღრმის“ (ქვეტექსტის) ურთიერთმიმართების თვალსაზრისით. "She was a girl who for a ringing phone dropped exactly nothing. She looked as if her phone had been ringing continually ever since she had reached puberty."

2) მეორე ქვესეგმენტი: "With her little lacquer brush, while the phone was ringing, she went over the nail of her little finger, accentuating the line of the moon. She then replaced the cap on the bottle of lacquer and, standing up, passed her left – the wet – hand back and forth through the air. With her dry hand, she picked up a congested ashtray from the window seat and carried it with her over to the night table, on which the phone stood. She sat down on one of the made-up twin beds and – it was the fifth or sixth ring – picked up the phone."

მიუხედავად ამ პერსონაჟ ქალთან დაკავშირებული არავერბალური კომუნიკაციური ტექსტის ორ ქვესეგმენტად გამიჯვნისა, აუცილებელია, პირველ რიგში, მიეთითოს მათ შინაარსობრივ ერთიანობაზე. ამ ერთიანობის განმსაზღვრელ საფუძველს წარმოადგენს – და სწორედ ამაზე მიუთითებს გასაანალიზებელი მოთხრობა მთელი თავისი ტექსტურ-ქვეტექსტური შინაარსით – კომუნიკაციის ის უქონლობა, რომელიც დამახასიათებელია გლასის ცოლსა და მის დედას შორის. ეს

არის, თუ შეძლება ასე ითქვას, „კომუნიკაცია კომუნიკაციის“ გარეშე, ანუ ისეთი კომუნიკაცია მხოლოდ და მხოლოდ ყოფით დონეზე, რომელიც გამორიცხავს კომუნიკაციას პიროვნებათა შიდა განზომილების, ანუ იმ სიღრმისეული განზომილების დონეზე, რომელსაც გულისხმობს ეგზისტენციის ჩვენს მიერ უკვე განმარტებული ცნება. საბოლოო ანგარიშში კი, უკვე სელინჯერისეული ნარატივის საწყის ეპიზოდში, ერთის მხრივ, თავს იჩენს ის, რასაც ჩვენ უკვე „ეგზისტენციალური ჩიხი“ ვუწოდეთ, მეორეს მხრივ კი, ცხადი ხდება ამ „ჩიხის“ როგორც მიზეზობრივი, ისე შედეგობრივი ასპექტი მათ ერთიანობაში: „ეგზისტენციალური ჩიხის“ მიზეზსა და შედეგს ერთდროულად წარმოადგენს ეგზისტენციალური კომუნიკაციის არ არსებობა. მაგრამ, რა თქმა უნდა, ეგზისტენციალური კომუნიკაციის ამ არ არსებობას ქვეტექსტურად გამოხატავს არა მხოლოდ ნარატიული ტექსტის ლინეალური განზომილება, ანუ ის ფაქტი, რომ ამაზე მეტყველებს ჯერ პირველი ეპიზოდი, ხოლო შემდეგ ეპიზოდთა თანმიმდევრობა – გადამწყვეტია ის, რომ ამგვარი გამოხატვის ხსენებული ლინეალურობა გადადის გამოხატვათა სიღრმისეულ ერთიანობაში. ზემოთ განხორციელებული ჩვენი მსჯელობით შევეცადეთ იმის თქმას, რის თემატურ და კონცეპტუალურ საყრდენს იძლევა ჩვენი მეთოდოლოგიის ინტერდისციპლინარული ასპექტი – ეგზისტენციის ფილოსოფიური კონცეპტიდან ეპოქის მოდერნისტული სტილის დახასიათებამდე. მაგრამ მიუხედავად მთელი ამ ინტერდისციპლინარული კონტექსტის ფუნდამენტური მნიშვნელობისა, ამ კონტექსტის ჩვენთვის აუცილებელ ასპექტად უნდა მივიჩნიოთ ანალიზის ლინგვისტური ასპექტი – უფრო ზუსტად კი ის ასპექტი, რომლის ფარგლებში არავერბალური კომუნიკაციის მიმნიშნებელი შინაარსობრივი მომენტები „გამოიხატებიან“ ენობრივი საშუალებებით. როგორც უკვე ითქვა, ამ ფუნქციას თავის თავზე იღებს ზმნა, მაგრამ როგორ გამოიყურება კონკრეტულად ამ ორი ასპექტის – არავერბალური კომუნიკაციის მიმნიშნებელ მომენტთა და მათ ენობრივ ეკვივალენტთა – ხსენებული ურთიერთმიმართება? ამ კითხვაზე პასუხის გაცემისას ერთდროულად უნდა დავეყრდნოთ როგორც არავერბალური კომუნიკაციის თანამედროვე თეორიას, ისე ზმნური სემანტიკის ლინგვისტურ ტიპოლოგიას. თუმცა ანალიზის ხსენებული ასპექტის განხორციელება, მიუხედავად მთელი მისი მნიშვნელობისა, მაინც მოითხოვს იმის ხაზგასმას, თუ როგორი სიუჟეტური მომენტი

განსაზღვრავს მის ერთობლივ სემანტიკას, როგორც ზოგადსემიოტიკური, ისე ლინგვისტური გაგებით. ამ სიუჟეტურ მომენტად უნდა მივიჩნიოთ ის ფაქტი, რომ ის ახალგაზრდა ქალი, მთავარი პერსონაჟის ცოლი დამაბული ელოდება დედასთან (გლასის სიდედრთან) სატელეფონო საუბარს. შესაბამისად, დამაბული მოლოდინი, როგორც სიუჟეტურად განპირობებული თემატური კომპლექსი, მოითხოვს ენობრივ და ტექსტობრივ გამოხატვას. ჩვენი ზოგადი მეთოდოლოგიური პრინციპის დადასტურების ნიშნად, რომელიც გულისხმობდა ნარატიული ტექსტის ლინეალურ და სიღრმისეულ შინაარსობრივ განზომილებათა ერთიანობას, მივყვეთ ჯერ ხსენებულ ქვესეგმენტაგან პირველის ლინეალურ ასპექტს, შემდეგ კი გავიაზროთ ეს ლინეალურობა უკვე სიღრმისეულად.

4.2. პერსონაჟ მიურიელთან დაკავშირებული ტექსტობრივი ფრაგმენტის (პირველი „ქვესეგმენტის“) კომუნიკაციურ-ლინგვისტური ლინეარული ანალიზი

ზემოთ უკვე მის მთლიანობაში ციტირებული ტექსტობრივი სეგმენტის ლინეალური ასპექტის კონკრეტული „მიკროსეგმენტები“ და ანალიზის ლინეალურობა გამოვხატოდ შესაბამისი ისრებით:

She washed her comb and brush.

↓

She took the spot out of the skirt of her beige suit.

↓

She moved the button on her Saks blouse.

↓

She tweezed out two freshly surfaced hairs in her mole.

როგორც ვხედავთ, აქ მოყვანილ ტექსტობრივ მიკროსეგმენტებს თითქოს არ უნდა ჰქონდეს არავითარი შინაარსობრივი დატვირთვა სიუჟეტის ტრადიციული გაგებით. მაგრამ, თუ ჩვენი მეთოდოლოგიური პოზიციის თანახმად ვახდენთ იმის პოსტულირებას, რომ ტრადიციულად გაგებული სიუჟეტის გარდა შესაძლებელია (მოდერნიზმის ეპოქაში კი აუცილებელიც ხდება) ქვეტექსტური სიუჟეტიც, მაშინ საინტერესო უნდა იყოს შინაგანი ქვეტექსტური კავშირის ექსპლიცირება, რომელიც

უნდა არსებობდეს ჩვენს მიერ გამოყოფილ მიკროსეგმენტთა ზოგადსემიოტიკურ (ანუ, ამ შემთხვევაში, არავერბალურ-კომუნიკაციურ) და საკუთრივ ლინგვისტურ ასპექტებს შორის.

როცა ვლაპარაკობთ მოდერნისტული ქვეტექსტური სიუჟეტის კვლევის საკუთრივ ლინგვისტურ ასპექტზე, აუცილებელი ხდება, ჩვენი აზრით, ამ ასპექტის შემდეგი დაკონკრეტება: რა თქმა უნდა, ენის თეორიული აღქმის თანამედროვე ლინგვისტური პარადიგმა ნიშნავს ენის, როგორც ნიშნობრივი ფენომენის, ანუ სემიოტიკურად აღქმულ ფენომენად ხედვას. მაგრამ, როგორც უკვე ვიცით, თვით სემიოტიკა დღეისთვის იმყოფება თავისი ისტორიული დინამიკის იმ ეტაპზე, როცა წინა პლანზე გამოდის არავერბალური სემიოტიკა, ანუ არავერბალური კომუნიკაციის ფუნქციის მქონე სემიოტიკა. ჩვენ უკვე გვქონდა იმის შესაძლებლობა, რომ არა მხოლოდ გავცნობოდით არავერბალური კომუნიკაციის სახეობათა ტიპოლოგიას მ.კოცოლინოს მონოგრაფიაში, არამედ დავრწმუნებულებიყავით იმაში, რომ ავტორი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ამ ფენომენის, ანუ არავერბალური კომუნიკაციის ნარატიულ ფუნქციას, მაგრამ ასევე აღსანიშნავია ის ფაქტი, თუ როგორ უნდა იქნას ინტერპრეტირებული არავერბალური კომუნიკაცია ვერბალურ ტექსტში, ანუ ისეთ ტექსტში, რომელიც თავისი ძირითადი ნიშან-თვისებით, ანუ ვერბალურობით, თითქოსდა, ერთი შეხედვით, უპირისპირდება თავად არავერბალურობას. ჩვენი კვლევის წინა ეტაპებზე ჩვენ შევეცადეთ გაგვეცა - რა თქმა უნდა, ჯერ მხოლოდ თეორიული ჰიპოთეზის დონეზე - პასუხი ზემოთ დასმულ კითხვაზე და ეს პასუხი ეფუძნებოდა შემდეგ ორ კვლევით პოსტულატს:

1) ინტერდისციპლინარული თვალსაზრისიდან გამომდინარე მივიჩნიეთ, რომ არავერბალური კომუნიკაციის ნარატიული ფუნქცია უნდა დავუკავშიროთ რეცეფციული ესთეტიკის ფენომენს: იმ შემთხვევაში, როცა იგულისხმება არავერბალური კომუნიკაცია პერსონაჟებს შორის, ამგვარი კომუნიკაციის გამომხატველი არავერბალური საშუალებები მეორე პერსონაჟის მიერ უნდა აღიქმებოდეს უშუალოდ, ხოლო ნარატორის მხრიდან საკმარისია ვერბალური გზით იყოს მათ შესახებ ნათქვამი. მაგრამ იმ შემთხვევაში, როცა სახეზეა ის, რასაც ზემოთ ჩვენ არაკომუნიკაბელურობიდან გამომდინარე „ეგზისტენციალური ჩიხი“ ვუწოდეთ,

პერსონაჟს ნარატორის ჩანაფიქრის მიხედვით „დარჩენია“ მხოლოდ ის, რომ მიმართოს ნარატივის რეციპიენტს;

2) ამავე დროს, და უკვე საკუთრივ ლინგვისტურ მოსაზრებაზე დაყრდნობით, გამოვთქვით ჰიპოთეტური მოსაზრება, რომ რეცეფციული ესთეტიკის ზემოთ ფორმულირებული პრინციპის ვერბალური რეალიზაციის ფუნქციას მხატვრულ ნარატივში „თავის თავზე იღებს“ ზმნა.

წინა აბზაცში განხორციელებული თეორიული ექსკურსის შემდეგ დავადგინოთ, თუ როგორ ხდება მოცემულ ნარატიულ ფრაგმენტში ზმნის მიერ ნარატივის ქვეტექსტური სიუჟეტით ნაგულისხმევი ფუნქციის შესრულება. როგორც ვიცით, მ.კოცოლინო გამოჰყოფს არავერბალური კომუნიკაციის ისეთ სახეობებს, როგორცაა მიმიკა, მზერათა ენა, სხეულის ენა, ჟესტების ენა და სხეული ინტერპერსონალურ სივრცეში მისი მდგომარეობის მიხედვით. მაგრამ საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ ავტორი ნაკლებად ეხება (ან სულ არ ეხება) პრობლემას, რომელსაც, ჩვენი აზრით, განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს არავერბალური კომუნიკაციის ნარატოლოგიური ინტერპრეტაციის დროს - ვგულისხმობთ ამ სახეობათა შორის არსებულ შესაძლო იერარქიას. ამ თვალსაზრისით საინტერესო უნდა იყოს ჟესტის, როგორც არავერბალური კომუნიკაციის სახეობის ავტორიესული დეფინიცია: „ჟესტი არის ისეთი ქმედება ან სხეულებრივი მოძრაობა, რომლის საშუალებით ადამიანი მიანიშნებს მეორე ადამიანს თავისი აქ ყოფნის და სხვა ობიექტთა მიმართ თავის ზრახვათა შესახებ.“ (კოცოლინო 2009: 123) მიგვაჩნია, რომ ამ დეფინიციის თანახმად სწორედ ჟესტს, ჩვენი აზრით, უნდა მიენიჭოს ცენტრალური სტატუსი არავერბალური კომუნიკაციის ზემოთ ნახსენებ სახეობათა შორის და ვფიქრობთ, რომ ამ თეზისის ადეკვატურობის საფუძველს იძლევა თავად ზემოთ მოყვანილი დეფინიცია: აქ ლაპარაკია, ერთის მხრივ, იმაზე, რომ ჟესტის საშუალებით ერთი ადამიანი მეორეს ამცნობს თავის აქ ყოფნას, მეორეს მხრივ კი, ასევე ჟესტით მიანიშნებს მას იმის შესახებ, თუ როგორია მისი ზრახვები ობიექტების მიმართ. და სწორედ იმიტომ, რომ ჟესტი მიმართულია როგორც მეორე სუბიექტისკენ, ისე ობიექტებისაკენ, იგი, ჩვენი აზრით, მაქსიმალური დატვირთვით გამოხატავს ზოგადად არავერბალური კომუნიკაციის ფუნქციურ არსს.

იმისათვის, რომ ჩვენ შევძლოთ სელინჯერისეული ქვეტექსტის ადეკვატური ინტერპრეტაცია, ე.ი. დავუკავშიროთ ეს ქვეტექსტი, ერთის მხრივ, რეცეფციულ ესთეტიკას, მეორეს მხრივ კი, ზმნას და მის სემანტიკურ ტიპოლოგიას, მივმართავთ ჟესტის ფუნქციათა იმ კლასიფიკაციას, რომელსაც იძლევა მ.კოცოლინო. ეს ფუნქციებია:

- ჟესტის, როგორც ერთი და ერთადერთი მოძრაობითი საშუალებით ადამიანს შეუძლია ინფორმაციის ისეთი რაოდენობის გადაცემა, რომლის გადასაცემად მას არ ეყოფოდა ერთი სიტყვა და მოუხდებოდა სიტყვათა დიდი რიგის გამოყენება;
- ჟესტის მოსამზადებლად ადამიანი ხარჯავს ბევრად ნაკლებ დროსა და კოგნიტიურ ძალისხმევას, ვიდრე დახარჯავდა შესაბამისი ვერბალური გამოთქმის მომზადებაზე;
- ჟესტი წარმოადგენს ისეთ ჩუმ ქმედებას, რომელიც არ წყვეტს მეტყველებას და არ უშლის მას ხელს;
- ჟესტის საშუალებით შეიძლება გამოუხატო გზავნილის ადრესანტს გარკვეული უკუკავშირი ისე, რომ არ გააწყვეტინო მას მეტყველება და არც გამოთქვა იმის პრეტენზია, რომ გასურს რაღაცის თქმა;
- ჟესტს შეუძლია ნათელი გახადოს გამონათქვამის პოტენციური არაერთმნიშვნელოვნობა და განმარტოს ის, თუ რაზეა ლაპარაკი;
- ჟესტი შეიძლება გამოყენებულ იქნას ისეთ სიტუაციაში, როცა ვერბალური ურთიერთზემოქმედება შეუძლებელია;
- ჟესტის საშუალებით შეიძლება გამოხატულ იქნას გამოცდილების ან განცდის ისეთი ელემენტები, რომლებიც ძნელად თუ გამოიხატება ვერბალური გზით;
- ჟესტი უზრუნველყოფს კომუნიკაციის საგანთან უშუალო კავშირს, ჟესტი უფრო ადვილად აღიქმება და ასევე ადვილად შეიძლება მისი გახსენება.”

(კოცოლინო 2009: 114-115)

ბუნებრივია, არ ვაპირებთ ჟესტის ირგვლივ განვითარებული მთელი იმ მსჯელობის სიღრმეში შესვლას, რომელიც მოცემულია მ.კოცოლინოს მონოგრაფიაში, რადგან ჩვენი კვლევითი მიზანი არსებითად განსხვავდება მისი მიზნისაგან: იგი იკვლევს ჟესტის სემანტიკასა და ფუნქციას არავერბალური კომუნიკაციის ზოგადი

თეორიის ფარგლებში, ჩვენ კი გვსურს ამ თეორიაზე დაყრდნობით და როგორც ინტერდისციპლინარულ, ისე საკუთრივ ლინგვისტურ თვალსაზრისზე დაფუძნებით ვიკვლიოთ ქვეტექსტის ფენომენი მოდერნისტული ნარატივის ფარგლებში. აქედან გამომდინარე გავანალიზოთ როგორც ზემოთ განხილული ფრაგმენტი, ისე შემდგომი ფრაგმენტებიც ძირითადად ჟესტის, როგორც კომუნიკაციის არავერბალური საშუალების გათვალისწინებით.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ძირითადი პერსონაჟის, სიმორ გლასის ცოლთან დაკავშირებული პირველი ფრაგმენტი (ტელეფონით საუბრამდე) სრულიად მიესადაგება ჟესტის, როგორც ფენომენის, კოცოლინოსეულ დეფინიციას იმის გათვალისწინებით, რომ პერსონაჟის თითოეული ქმედება აღნიშნავს ოთახში არსებულ ობიექტებთან მის ურთიერთობას. ეს ობიექტებია: სავარცხელი და ჯაგრისი, მისი კაბა, მისი კოფტის ღილი, ხალზე ამოსული თმა... მაგრამ, ბუნებრივია, ისმის კითხვა, რომელზე პასუხსაც ვერ მოგვცემს ვერც არავერბალური კომუნიკაციის თეორია, ვერც მხოლოდ კრეაციულობაზე ორიენტირებული (ე.ი. არარეცეფციულად ორიენტირებული) ესთეტიკა და, ალბათ, ვერ მოგვცემს პასუხს თვით ქვეტექსტის ის ტრადიციული კონცეფციაც კი, რომლის შესახებ გვექონდა მსჯელობა წინა პარაგრაფში. ჩვენს უფრო ფორმულირებულ კვლევით მეთოდოლოგიაზე დაფუძნებული როგორც კითხვა, ისე მასზე პასუხიც მდგომარეობს შემდგომში: პერსონაჟის ყოველი დასახელებული ქმედება წარმოადგენს ჟესტს, რომლის საშუალებით იგი ვერავითარ მეორე პერსონაჟს ვერავითარ გზავნილს ვერ გაუგზავნის, თუნდაც იმიტომ, რომ იგი მარტოა ოთახში, მაგრამ ის ფაქტი, რომ ავტორი ასე დეტალურად და საფუძვლიანად გვამცნობს ამ ქმედებათა მთელ თანმიმდევრობას გარდუვალად უნდა მეტყველებდეს ერთის მხრივ მათ სიუჟეტურ დანიშნულებაზე, მეორეს მხრივ კი, მათ კომუნიკაციურ ვექტორზე: სიუჟეტური თვალსაზრისით ჟესტთა ეს თანმიმდევრობა მიუთითებს იმ ქვეტექსტური სიუჟეტის არსებობაზე, რომლის გარეშე აზრი ეკარგება მთელ სელინჯერისეულ ნარატივს, კომუნიკაციური თვალსაზრისით კი ადრესატის სახით იგულისხმება ნარატივის რეციპიენტი – მისი მკითხველი.

ყოველივე იქიდან გამომდინარე, რაც უკვე ითქვა, ერთის მხრივ, ჟესტზე, როგორც არავერბალური კომუნიკაციის ძირითად და დომინანტურ საშუალებაზე, მეორეს

მხრივ კი, რაც ითქვა იმ ეგზისტენციალურ სიტუაციაზე, რომელსაც ჩვენ „ეგზისტენციალური ჩიხი“ ვიწოდეთ, შეგვიძლია განვახორციელოთ ამ ორი მომენტის ერთგვარი სინთეზი და ვილაპარაკოთ ეგზისტენციალურ ჟესტზე, როგორც სელინჯერისეული (და, იქნებ, ზოგადად გვიანდელი მოდერნისტული ნარატივისთვის დამახასიათებელი) ქვეტექსტური სიუჟეტის გამომხატველ ელემენტზე. ჩვენი აზრით, ამ ტერმინის კონცეპტუალური შინაარსი აერთიანებს თავის თავში ჟესტის, როგორც არავერბალური ნიშნის ყველა იმ ნიშან-თვისებას, რომლებიც ჩამოთვლილია კოცოლინოსეულ ზემოთ ციტირებულ ფრაგმენტში (ინფორმაციის დიდი რაოდენობის თავის თავში დატევა; მოსამზადებლად აუცილებელი ნაკლები დროისა და კოგნიტიური ძალისხმევის საჭიროება; ადრესატის მხრიდან კავშირის გულისხმობა; არაერთმნიშვნელოვნობა; ამ სიტუაციაში ვერბალური ურთიერთზემოქმედების შეუძლებლობა, ა.შ.) და, ამავე დროს, „ეგზისტენციალურ ჩიხთან“ დაკავშირებულ სიტუაციასაც. თუმცა, აიცილებლად მიგვაჩნია აღვნიშნოთ შემდეგიც: ჟესტის ზემოთ დასახელებულ ნიშან-თვისებათა ერთობლიობა თავისთავად სავსებით ნეიტრალურია იმ სიტუაციის მიმართ, რომელშიც სუბიექტი იმყოფება ეგზისტენციალური თვალსაზრისით. ამ თვალსაზრისით კი, როგორც უკვე ვიცით, შესაძლებელია ორი პოლუსი – ეგზისტენციალური კომუნიკაციისა და ეგზისტენციალური ჩიხის. მაგრამ, როცა ჟესტის ამ ნიშან-თვისებათა ერთობლიობას ამგვარად, ანუ ეგზისტენციალური თვალსაზრისით ბიპოლარულად (ორპოლუსოვნად) აღვიქვამთ, ამგვარი აღქმა უნდა ნიშნავდეს ორ ჩვენი ანალიზისთვის მნიშვნელოვან რამეს – ა) სადაც არის პოლუსები, უნდა ვიგულისხმოთ მათ შორის მოძრაობის შესაძლებლობაც, ე.ი. სუბიექტი, როგორც პოტენციური კომუნიკანტი ან მიემართება კომუნიკაციის პოლუსიდან ჩიხის პოლუსისკენ, ან, პირიქით, ჩიხიდან კომუნიკაციისკენ, თუმცა, რა თქმა უნდა, პრინციპულად შესაძლებელია შუალედური „პოზიციებიც“. ყოველივე ეს კი გულისხმობს უკვე ნახსენები ერთობლიობის დინამიზაციას, ხოლო თვით დინამიზაცია კი გულისხმობს იმას, რომ ეგზისტენციის გარკვეულ მომენტში სუბიექტისთვის დომინანტური სტატუსი ექნება ამ ორმხრივად მიმართული ვექტორის გარკვეულ სეგმენტს; ბ) მაგრამ, თუ იგივე ვითარებას შევხედავთ სელინჯერისეული ნარატივის ქვეტექსტური სიუჟეტის „თვალთ“ და პერსონაჟთა

შორის აღვნიშნავთ, პირველ რიგში, ეგზისტენციალურ ჩიხს, მაშინ წმინდა ნარატოლოგიური თვალსაზრისით ცენტრალური სტატუსი უნდა მიენიჭოს ჟესტიტ ნაგულისხმევ „უკუკავშირს“ და ითქვას, რაკი ამგვარი უკუკავშირი შეუძლებელი ხდება პერსონაჟთა დონეზე, იგი აუცილებლად იქცევა კრეატორსა და რეციპიენტს შორის კომუნიკაციის დონეზე, ანუ იმ დონეზე, რომელიც იგულისხმება რეცეფციული ესთეტიკით.

მაგრამ ჩვენი კვლევის მეთოდოლოგიის თანახმად გვსურს დავინახოთ და კონცეპტუალურად გავიაზროთ ყოველივე ზემოთ ნათქვამის საკუთრივ ლინგვისტური ასპექტი. წინა პარაგრაფში სწორედ ამ ასპექტის გათვალისწინებით გამოვთქვით ჰიპოთეზა, რომ არავერბალური კომუნიკაციის სიუჟეტურად რეალიზაციის ფუნქციას თავის თავზე ძირითადად იღებს ზმნა, მაგრამ, როგორც ცნობილია, ყოველი ჰიპოთეზა საჭიროებს, ერთის მხრივ, დასაბუთებას და იმასაც, რომ ეს დასაბუთება ატარებდეს კონკრეტულ ხასიათს.

როგორ ზმნებთან გვაქვს საქმე ჩვენი პირველი ტექსტობრივი ფრაგმენტის გაანალიზებისას? იქედან გამომდინარე, რომ პასუხს ამ კითხვაზე უნდა მიენიჭოს პრინციპული მნიშვნელობა, ჩვენი მეთოდოლოგიის ლინგვისტურად ცენტრირებულობის საფუძველზე მოვახდინოთ მოცემულ ზმნათა საკუთრივ ლინგვისტური კვალიფიკაცია და, ამავე დროს, გავიაზროთ ამგვარი კვალიფიკაციის ქვეტექსტურ-სიუჟეტური ასპექტი. დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ საკუთრივ ლინგვისტური თვალსაზრისით ყველა ეს ზმნა წარმოადგენს ორვალენტოვან, ანუ სხვანაირად რომ ვთქვათ, გარდამავალ ზმნას; მაგრამ ხსენებული ორვალენტოვნობა და გარდამავლობა კონკრეტდება და ზუსტდება სიტუაციური კონტექსტით: ყოველი ეს ზმნა თავისი გარდამავლობით მიუთითებს ადამიანის როგორც სუბიექტის დინამიურ ქნედით მიმართებაზე საგნებთან და არა სხვა (მეორე) სუბიექტთან. და თუ მოვახდენთ ამ გრამატიკული მნიშვნელობის გადატანას, ანუ ტრანსპოზიციას ეგზისტენციალურ კონტექსტში, მაშინ მივიღებთ გრამატიკულ და ეგზისტენციალურ მნიშვნელობათა შემდეგ სინთეზს: ადამიანი მომწყვდეულია არტეფაქტთა გარემოში და ვერ გასულა ამ ჩიხად ქცეული გარემოდან, ვერც სხვა ადამიანისკენ და ვერც ბუნებისკენ.

რაც შეეხება მეორე ქვესეგმენტს: შეიძლება ითქვას, რომ მეორე ქვესეგმენტი ძირითადად განაგრძობს ეგზისტენციალური ჟესტის იმ ფუნქციის გამოვლენას, რომლის შესახებ ზემოთ გვქონდა მსჯელობა, მაგრამ ერთი განსხვავებით: ფართოვდება, თუ შეიძლება ასე ითქვას, ამ ჟესტის „ფუნქციურ დატვირთვათა სპექტრი“: ერთის მხრივ, ზემოთ ჩვენ უკვე გვქონდა ციტირებული ეს სეგმენტი მის მთლიანობაში, ახლა კი გამოვყოფთ მის „მიკროსეგმენტებსაც მათი ფუნქციური დატვირთვის თვალსაზრისით. ამ „მიკროსეგმენტების“ მიხედვით ქალი კვლავ ასრულებს მოძრაობებს, დაკავშირებულს თავის საკუთარ პიროვნებასთან (ძირითადად სხეულთან), მეორეს მხრივ კი, ფართოვდება ამ მოძრაობათა ვექტორი - ისინი მოიცავენ სასტუმროს ოთახის სხვადასხვა სექტორს. მოვახდინოთ ეგზისტენციალური ჟესტის ამ ორი რეალიზაციის ციტირება, შემდეგ კი განვახორციელოთ მათი ანალიზი: 1) როგორც ვხედავთ, პერსონაჟის მოძრაობათა ერთობლიობა ამ შემთხვევაში კვლავ არ სცდება მის პიროვნულ „სივრცეს“, მაგრამ, ამავე დროს, 2) მეორე მიკროსეგმენტი გვიჩვენებს „გაფართოებას“ ზემოთ ნაგულისხმევი მნიშვნელობით. ”With her dry hand , she picked up a congested ashtray from the window seat and carried it with her over to the night table, on which the phone stood.” წინა „მიკროსეგმენტისგან“ განსხვავებით, ორივე ეს მოძრაობა თავისი ვექტორით ვრცელდება არა საგნებზე, ამ სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით, არამედ გლასების მიერ დაკავებული სასტუმროს ნომრის სტრუქტურულ ასპექტებზე, როგორცაა ფანჯარა და მაგიდა. თუ ამ მოძრაობათა შესაძლო სემანტიკას საკუთრივ გაფართოების თვალსაზრისით აღვიქვამთ, მაშინ საქმე გვექნება სწორედ გაფართოებასთან ამ სიტყვის ფიზიკურ-სივრცითი თვალსაზრისით, მაგრამ გასაანალიზებელი სეგმენტის მესამე ელემენტი არა მხოლოდ გვიჩვენებს ამ თითქოს და მხოლოდ გაფართოების განსხვავებულ ასპექტებს, არამედ მის სიღრმისეულ ვექტორსაც: ”She sat down on one of the made up twin beds and – it was the fifth or sixth ring – picked up the phone.” აქ თითქოს და გრძელდება ოთახის სივრცის წმინდა ასპექტუალური თვალსაზრისით გაფართოება და ზემოთ ხსენებულ ფანჯარას და მაგიდას უერთდება საწოლი, მაგრამ ვხედავთ იმასაც, რომ ბოლო „მიკროსეგმენტს“ ბოლომდე მიჰყავს პერსონაჟის მიერ დემონსტრირებულ ჟესტთა მთელი ერთობლიობის სემანტიკური ვექტორი. ეს ვექტორი გულისხმობს

ეგზისტენციალური ჩიხის შინაგან ინტენსიფიკაციას: მიურელი იღებს ტელეფონს და ამ მოძრაობით თითქოს გრძელდება საგნობრივ არტეფაქტებთან მისი ზემოთ ნაჩვენები ურთიერთობა, მაგრამ სახეზეა მნიშვნელოვანი განხვავებაც: ზემოთ დასახელებული საგნებისგან - lacquer brush, the cap on the bottle და ა.შ., ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ტელეფონთან, ანუ ისეთ არტეფაქტულ საგანთან, რომლის დანიშნულებაც ადამიანთა შორის ურთიერთობის დამყარება და - ძალიან ზოგადად თუ ვიტყვით - იქნებ ეგზისტენციალური ჩიხიდან მათი გამოყვანაც კი. მაგრამ როგორც მიურელის დედასთან საუბარი, ისე ნარატივის მთელი სიუჟეტი გვიჩვენებს შემდეგს: სწორედ იმიტომ, რომ თითქოს ასეთია ტელეფონის ფუნქციური დანიშნულება, სწორედ იგი იქცევა, საბოლოო ანგარიშში, იმ ეგზისტენციალური ჩიხის სიმბოლურ გამოხატულებად, რომლის შესახებაც ვსაუბრობდით ზემოთ. თუ გავიხსენებთ ქვეტექსტის თეორიასთან დაკავშირებულ ტერმინოლოგიურ ტრიადას, მაშინ შეგვეძლება ვთქვათ, რომ მოცემულ შემთხვევაში სწორედ ტელეფონი წარმოადგენს ქვეტექსტზე მიმთითებელ იმ სიტყვა-სიმბოლოს, რომელსაც განვლილი აქვს კონტექსტით განპირობებული ამგვარი გზა.

ზემოთ ჩვენ შევეცადეთ გაგვეანალიზებინა სელინჯერისეული ნარატივის ის სეგმენტი, რომელიც სინთეზურად გვიჩვენებს ქვეტექსტის შემქმნელი ნარატიული კომპლექსის ელემენტთა ურთიერთზემოქმედებას. ეს ელემენტებია: ა) პერსონაჟის ისეთი მოძრაობები, რომლებსაც ვერ მივიჩნევთ სიუჟეტურ ეპიზოდად, ამ ტერმინის ტრადიციული გაგებით; ბ) ვნახეთ, თუ როგორ ხდება მოძრაობათა მიერ ჟესტის, უფრო ზუსტად კი, ეგზისტენციალური ჟესტის ფუნქციის შექმნა და ამ ფუნქციის წყალობით ქვეტექსტის, უფრო ზუსტად კი, ქვეტექსტური სიუჟეტის ფორმირება; გ) ვნახეთ, თუ როგორ ხდება იმ ეგზისტენციალური ჟესტის შინაგანი ნიუანსირება, რომალსაც, საბოლოო ანგარიშში, მივყავართ არავერბალური კომუნიკაციის არა უბრალოდ ქვეტექსტურ, არამედ ქვეტექსტის ეგზისტენციალურ გაგებამდე; დ) ვნახეთ ისიც, თუ, საბოლოო ანგარიშში, როგორ „იღებს თავის თავზე“ ზმნა ქვეტექსტურ მნიშვნელობათა მთელი ხსენებული კომპლექსის გამოხატვას. მაგრამ, ამავე დროს, ვნახეთ შემდეგიც: მართალია, ეგზისტენციალური ქვეტექსტი გვიჩვენებს ნარატივის პერსონაჟთა შორის ეგზისტენციალური კომუნიკაციის არ არსებობას და, შესაბამისად, ეგზისტენციალური ჩიხის არსებობას. მაგრამ ასევე ცხადი გახდა ისიც,

რომ ნარატივის ავტორის ჩანაფიქრი გულისხმობს ეგზისტენციალური კომუნიკაციის შესაძლებლობას სხვა დონეზე, ეს სხვა დონე კი გულისხმობს კომუნიკაციას უკვე რეცეფციულ დონეზე.

თუმცა ჩვენს მიერ ჩატარებულმა ანალიზმა უნდა გვიჩვენოს შემდეგი: სინამდვილეში ზემოთ ხსნებული ეგზისტენციალური კომუნიკაცია ნარატორსა (კრეატორს) და მკითხველს (რეციპიენტს) შორის ნარატიულ ტექსტში სიმბოლიზებულია უფრო სიღრმისეულად, ვიდრე შეიძლება ამის ჩვენება ტექსტის სემანტთა წმინდა ლინეალური სახის გამოყოფით. ნათქვამის დასადასტურებლად საკმარისია მიუთითოთ ბოლო მიკროსეგმენტის ისეთ დეტალზე, რომელიც გამოხატულია შემდეგნაირად: "She sat down on one of the made-up twin beds..." ზემოთ ჩვენ გამოვყავით პერსონაჟის გარემოცვის ორი ისეთი არტეფაქტული ასპექტი, როგორცაა, ერთის მხრივ, „საგანი“ ამ სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით, მეორეს მხრივ კი, „ასპექტი“ იმ გაგებით, რომ, მიუხედავად ცხადი არტეფაქტული წარმოშობისა, ამ შემთხვევაში ვერ ვიგულისხმებთ მეტად თუ ნაკლებად მანიპულირებად საგნებს. მაგრამ ისმის კითხვა: როგორ უნდა იქნას იგივე თვალსაზრისით კვალიფიცირებული ისეთი არტეფაქტული რეალობა, როგორცაა „made-up twin beds“? ვფიქრობთ, რომ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს არტეფაქტულობის სინთეზურ გამოხატულებასთან: ერთის მხრივ, საწოლი თითქოს და ისევე წარმოადგენს ნებისმიერი ბინის თუ ოთახის ასპექტუალურ (არა ვიწრო საგნობრივ) დეტალს, როგორც ფანჯარა და მაგიდა, მაგრამ ფანჯარასა და მაგიდისგან განსხვავებით იგი ნათლად (თუმცა, ამავე დროს, ქვეტექსტურად) მიუთითებს მის გარკვეულ ფუნქციურ სიახლოვეზე ტელეფონთან: როგორც ტელეფონი, ისე „twin beds“ მოწოდებულია დაამყაროს ადამიანთა შორის ეგზისტენციალური კავშირი, მაგრამ, როგორც ტელეფონის შემთხვევაშიც, აქაც ვხედავთ: არტეფაქტული რეალობა, რომლის ფუნქცია თითქოს და არის ადამიანთა შორის ეგზისტენციალური კომუნიკაციის დამყარება, სინამდვილეში ასრულებს საპირისპირო ფუნქციას - იქცევა ეგზისტენციალური ჩიხის შექმნის ფაქტორად.

როგორც ვხედავთ, მიურიელის როგორც პერსონაჟის „კომუნიკაციური სივრცე“ ზემოთ ციტირებული ფრაგმენტების მიხედვით ატარებს „დიქტომიურ ხასიათს“. ეს „სივრცე“ დაიყვანება მის კომუნიკაციაზე ა) საკუთარ თავთან და ბ)დედასთან.

მაგრამ საქმე სწორედ ისაა, რომ ორივე შემთხვევაში ტექსტუალურად მანიფესტირებული კომუნიკაცია სინამდვილეში წარმოადგენს კომუნიკაციის არ არსებობას - კომუნიკაციურ ჩიხს. შესაბამისად, იქმნება ის მიმართებაც ტექსტსა და ქვეტექსტს შორის, რომელიც ზოგადად დამახასიათებელია მოდერნისტული ნარატივისთვის, ხოლო თავის მაქსიმალურ რაელიზაციას კი აღწევს სელინჯერთან: ნარატივის ჭეშმარიტი სიუჟეტი ვითარდება არა ტექსტის, არამედ ქვეტექსტის დონეზე. შესაბამისად, იმისთვის, რომ ქვეტექსტური სიუჟეტის ანალიზი ატარებდეს სრულ ხასიათს, აუცილებელი ხდება მეტი მნიშვნელობა მიენიჭოს ისეთი ორი ნარატოლოგიური კატეგორიის ურთიერთმიმართებას, როგორცაა ქვეტექსტი და სიუჟეტი. ნაშრომის წინა მონაკვეთებში საკმარისად იქნა განხილული ქვეტექსტის ცნება როგორც ზოგადად, ისე მოდერნისტულ ნარატივთან დაკავშირებული გაგებით, მაგრამ, რაც შეეხება სიუჟეტის ცნებას, იგი, ვფიქრობთ, საჭიროებს უფრო საფუძვლიან განმარტებას სწორედ იქიდან გამომდინარე, რომ ჩვენი ანალიზის ფარგლებში იგი უკავშირდება არა უბრალოდ ქვეტექსტს ამ ტერმინის ტრადიციული გაგებით, არამედ ეგზისტენციალური გაგებითაც. სწორედ აქედან გამომდინარე შევეცდებით გავაღრმავოთ სიუჟეტის ცნება იმ დასავლურ ტრადიციაზე დაყრდნობით, რომლის მიხედვითაც სიუჟეტი განიხილება არა მხოლოდ საკუთრივ ნარატიული, არამედ დრამატული თვალსაზრისითაც. ეს კი იმას ნიშნავს, რომ, ჩვენი აზრით, არ არის საკმარისი აღვიქვათ მოდერნისტული ნარატივის მიერ განვლილი გზა (პირობითად თუ ვიტყვით: „გზა ჰემუნგუეიდან სელინჯერამდე“) არა მხოლოდ მასში ქვეტექსტის როლის გაძლიერების თვალსაზრისით - ასევე მნიშვნელოვანი ხდება, როგორც ჩანს, შიდა ჟანრობრივი, ტრანსფორმაციის ის ფაქტიც, რომლის შესახებ მეტყველებს სელინჯერისეული ნარატივის ქვეტექსტური განზომილება. რას ვგულისხმობთ შიდაჟანრობრივი ტრანსფორმაციით როგორც კატეგორიალური მნიშვნელობის მქონე ტერმინით? ვგულისხმობთ შემდეგს: სელინჯერისეული ნარატივის კონტექსტში, ერთის მხრივ, ქვეტექსტის ფუნქციური დატვირთვის გაძლიერებას, მეორეს მხრივ კი, მის მიერ ეგზისტენციალური ჩიხის გამოხატვის შედეგად ხორციელდება ნარატივის (ამ ტერმინის კლასიკური, ანუ ეპიკური გაგებით) დრამად გარდაქმნა. რა თქმა უნდა, ყოველივე ზემოთ ნათქვამის საუბრეზე შეიძლება ითქვას, რომ ამ შემთხვევაში საქმე გვექნება არა უბრალოდ დრამასთან, არამედ მის ისეთ სახეობასთან, როგორცაა

ტრაგედია. მაგრამ ამის, ანუ სელინჯერისეული ნარატივის ქვეტექსტურად გამოხატულ შინაგან ტრაგიზმზე ვილაპარაკებთ ჩვენი ანალიტიკური კვლევის დასკვნის ეტაპზე. მოცემულ ეტაპზე კი გვსურს ზემოთ ნათქვამის საფუძველზე განვიხილოთ სიუჟეტის დრამატული ტიპის ის ვარიანტი, რომელსაც ეფუძნებიან თანამედროვე ავტორები კრ. ბარტოლომიუ და მ. გოხინი მონოგრაფიაში „The Drama of Sculpture“. ხსენებული ავტორები გამოყოფენ დრამატული სიუჟეტის შემდეგ ხუთ სემენტს: 1) „პირველ მოქმედებაში ვიძენთ წინასწარ ცნობებს და ვეცნობით ძირითად მოქმედ პირებს. ჩვენს წინაშეა სტაბილური სიტუაცია, რომელსაც ელის რღვევა; 2) უკვე პირველ სურათში ვხდებით იმ კონფლიქტის მოწმენი, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ექნება სიუჟეტის განვითარებისთვის; 3) პიესის შუაგულში კი ვითარდება ყველა ძირითადი მოვცლენა, წარმოშობილი კონფლიქტი მწვავედება და რთულდება, რის შედეგადაც 4) მიაღწევს კულმინაციას, ანუ დაძაბულობის იმ უმაღლეს წერტილს, რომლის შემდეგ კონფლიქტი უნდა იქნეს ასე თუ ისე გადაჭრილი. კულმინაციის შემდეგ კი გვაქვს 5) კვანძის გახსნა.“ (ბარტოლომიუ 200: 65)

რაზე მიუთითებს ის, რაც ზემოთ ითქვა ქვეტექსტისა და სიუჟეტის ცნებათა ურთიერთმიმართების შესახებ? მიუთითებს იმაზე, თუ როგორი შეიძლება იყოს ქვეტექსტის როგორც ნარატიული ფენომენის საკუთრივ ნარატიული ფუნქცია. თუ შევეცდებით გავცეთ ამ კითხვაზე პასუხი იმის გათვალისწინებით, რაც: ა) უკვე ითქვა ეგზისტენციალური ჩიხის თაობაზე მოდერნისტულ ნარატივში, ხოლო ბ) რაც ამავე დროს ითქვა იმის თაობაზეც, თუ რა როლს ასრულებს არავერბალური კომუნიკაციის ფაქტი ამ ჩიხის გამოხატვის თვალსაზრისით, შეიძლება ითქვას: არავერბალური კომუნიკაცია თავისი სიმბოლური მნიშვნელობის წყალობით თავის თავზე იღებს იმის გამოხატვას, რასაც ზემოთ ვუწოდეთ მხატვრული ტექსტის შიდაჯანრობრივი ტრანსფორმაცია. თუ დავეყრდნობით სელინჯერისეული ნარატივის (ამ შემთხვევაში მხედველობაშია მოთხრობა „A Perfect Day for Bananafish“) იმ ცოდნას, რომელიც გულისხმობს ტექსტის და ქვეტექსტის ერთობლივი მნიშვნელობის გათვალისწინებას, მაშინ უნდა მივიჩნიოთ, რომ არავერბალური კომუნიკაციის გამოყენების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა იმ ტრაგიკული ფინალით ნარატივის

დასრულება, რომელიც მოცემულია უკვე არა ქვეტექსტში, არამედ თვითონ ტექსტის ზედაპირში, ე. ი. მის უშუალო ლინეალურ სტრუქტურაში.

მაგრამ, როცა ვლაპარაკობთ ქვეტექსტურ სიუჟეტზე და, ამავე დროს, ვგულისხმობთ, რომ ამგვარი სიუჟეტი შეუძლებელი იქნებოდა არავერბალურ კომუნიკაციაზე დაყრდნობის გარეშე აუცილებელი ხდება, ერთის მხრივ, სიუჟეტის კონცეპტუალური შინაარსის შენარჩუნება, მეორეს მხრივ კი, იმის ჩვენება და განსაზღვრაც, თუ რა შეესაბამება სელინჯერისეული ნარატივის მთლიანურად გაგებულ სიუჟეტში დრამატული სიუჟეტის ზემოთ განხილულ კონცეფციას. ამასთან, ხაზგასმით უნდა ითქვას შემდეგიც: როცა ვლაპარაკობთ ქვეტექსტურ სიუჟეტზე, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ამით „ვაუქმებთ“ სიუჟეტს, ამ ტერმინის „ჩვეულებრივი“, ანუ ლინეალურ-ტექსტობრივი გაგებით. პირიქით: ქვეტექსტურ სიუჟეტზე ვერ ვილაპარაკებდით, რომ არ არსებობდეს სიუჟეტი პირველი გაგებით. მაგრამ ამ შემთხვევაში, ბუნებრივია, ისმის კითხვა: როგორ უნდა იქნას გაგებული სელინჯერისეული ნარატივის სიუჟეტი სინთეზურად, ანუ როგორც სიუჟეტის ზემოთ ხსენებული ორი ტიპის შერწყმის შედეგი?

სწორედ ზემოთ დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემისას უნდა დავეყრდნოთ დრამატული სიუჟეტის ზემოთ წარმოდგენილ კონცეფციას და ვიგულისხმოთ შემდეგი: მოთხრობის პროტაგონისტის, ანუ სიმორ გლასის ურთიერთობა სიბილასთან უნდა გაგებულ იქნას როგორც მისი მცდელობა აღადგინოს ეგზისტენციალური სტაბილურობა იმ სახით, როგორც იგი (ეს სტაბილურობა), არსებობდა მის ოცნებაში მანამ, სანამ მისი ურთიერთობა ცოლთან არ იქცეოდა ეგზისტენციალურ ჩიხად.

სიმორის საუბარი სიბილასთან მეტყველებს სწორედ იმაზე, რომ მას სურს დაამყაროს გოგონასთან ეგზისტენციალური კომუნიკაცია და ამ მიზნით ელაპარაკება მას ბანანათევზზე, ანუ იმ არსებაზე, რომელიც მისთვის იძენს სიმბოლურ მნიშვნელობას, იმ მნიშვნელობას, რომელიც მის წარმოდგენაში განასახიერებს არაკომუნიკაციურ არსებობას. მაგრამ ვხედავთ იმასაც, რომ მისი ეს მცდელობა, საბოლოო ანგარიშით, მარცხით მთავრდება. შეიძლება ითქვას, რომ მოთხრობის ფინალი წარმოადგენს სწორედ იმ სინთეზურად გაგებული სიუჟეტის გამოხატვას, რომლის შესახებ ზემოთ გვქონდა საუბარი. ”He glanced at the girl lying asleep on one of

the twin beds. Then he went over to one of the pieces of luggage, opened it, and from under a pile of shorts and undershirts he took out an Ortgies caliber 7.65 automatic. He released the magazine, looked at it, then reinserted it. He cocked the piece. Then he went over and sat down on the unoccupied twin bed, looked at the girl, aimed the pistol, and fired a bullet through his right temple.”

ფინალი სინთეზურია სწორედ იმ გაგებით, რომ იგი „შეკუმშული“ სახით შეიცავს ყოველივე იმას, რასაც შეიცავდა სელინჯერისეული ნარატივი, როგორც სიუჟეტის საკუთრივ ტექსტობრივ, ისე ქვეტექსტობრივ განზომილებაში. ამ თვალსაზრისით ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომ ფინალის ფარგლებში სახეზეა ორი სიმბოლური სიუჟეტური ფიგურის - ორი დაწყვილებული საწოლის და მძინარე გოგონას ერთ სიმბოლურ კონტექსტში ურთიერთზემოქმედება. როგორც გვახსოვს, მიურიელის სასტუმროს ნომერში არტეფაქტულ გარემოცვასთან ურთიერთობის ანალიზის პროცესში მოგვიხდა დაგვეკავშირებინა ერთმანეთთან ორი ისეთი საგანი, როგორცაა ტელეფონი და twin-beds და ამ ფაქტთან დაკავშირებით გვეთქვა შემდეგი: როგორც ტელეფონი, ისე დაწყვილებული საწოლები განსაკუთრებული სიმძაფრით მიუთითებენ ეგზისტენციალურ ჩიხზე სწორედ იმიტომ, რომ პირველადი დანიშნულების თანახმად მათ უნდა შეესრულებინათ საპირისპირო ფუნქცია. მძინარე გოგონა კი აღიქმება სწორედ იმის სიმბოლურ გამოხატვად, რომ მოთხრობის პროტაგონისტის არ არსებობს ეგზისტენციალური ჩიხის გადალახვის და, შესაბამისად, ეგზისტენციალური კომუნიკაციის დამყარების პერსპექტივა.

§5. მოთხრობა „Uncle Wiggily in Connecticut“ : ეგზისტენციალური კომუნიკაცია

რეცეფციულ დონეზე და მისი ენობრივი განზომილება

წინა პარაგრაფებში ჩამოყალიბებული მეთოდოლოგიის თანახმად აუცილებელია, რა თქმა უნდა, ასევე განვახორციელოთ სელინჯერისეულ ციკლში შემავალი მეორე მოთხრობის „Uncle Wiggily in Connecticut“ ანალიზის მიზნებად კი მივიჩნიოთ ქვეტექსტის ფენომენტთან დაკავშირებული შემდეგი ნარატიული მომენტების გამოვლენა:

1) როგორც უკვე ითქვა, წმინდა პრაგმატულ-ანალიტიკური მოსაზრებებიდან გამომდინარე ხსენებული ციკლის ორ პირველ ტექსტს მივანიჭეთ „მცირე ციკლის“

სტატუსი და ვიგულისხმეთ, რომ ამგვარმა „მცირე ციკლმა“ უნდა გამოავლინოს ჩვენი კვლევითი კონტექსტის მნიშვნელოვანი ანალიტიკური მომენტები. კიდევ ერთხელ გვსურს ხაზი გავუსვათ „მცირე ციკლის“ ჩვენეული იდეით ნაგულისხმევ შემდეგ მომენტს: ჩვენ ვიკვლევთ სელინჯერისეულ ნარატივს არა იმ ადგილისა და მნიშვნელობის სრული გათვალისწინებით, რომელიც საყოველთაო აღიარებით უკავია მას ზოგადად ნარატიული კულტურის, უფრო კონკრეტულად კი, მოდერნისტული ნარატიული კულტურის ისტორიაში. რა თქმა უნდა, ხსენებული ნარატივისადმი ჩვენი მეთოდოლოგიური მიდგომა ხაზგასმით ინტერდისციპლინირებულია, მაგრამ, როგორც არა ერთხელ იქნა აღნიშნული, იგი ამავე დროს ლინგვისტურად უნდა იყოს ცენტრირებული. კვლევითი მიზნის ამგვარი განსაზღვრა კი ერთდროულად გულისხმობს ამ მიზნის როგორც შევიწროვებას, ისე გაღრმავებასაც - შევიწროვებას კულტუროლოგიურ-ესთეტიკური თვალსაზრისით, მაგრამ გაღრმავებას ლინგვისტური თვალსაზრისით. როგორია არავერბალურ კომუნიკაციაზე დაფუძნებული ქვეტექსტის საკუთრივ ენობრივი განზომილება? ეს არის ის ცენტრალური კითხვა, რომელსაც ჩვენ ვსვამთ ჩვენი კვლევის ფარგლებში და, რომელზეც ვცდილობთ პასუხის გაცემას. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი სადისერტაციო ნაშრომის მთელი განვლილი მონაკვეთი მიეძღვნა სწორედ იმის განსაზღვრას, თუ როგორ უნდა იქნას დანახული ეს ენობრივი განზომილება და როგორ უნდა იქნას გააზრებული მისი კავშირი ჰუმანიტარული აზროვნების ისეთ ასპექტებთან, როგორიცაა კულტუროლოგიური, სიმბოლოლოგიური და კომუნიკაციის თეორიასთან დაკავშირებული ასპექტები. და რაკი მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ ჩვენთვის მნიშვნელოვანი და ამგვარად გაგებული ენობრივი განზომილება გამოვლენილ უნდა იქნას უკვე ხსენებული „მცირე ციკლის“ დონეზე, აუცილებელია გავიხსენოთ, ერთის მხრივ, წინა ტექსტის ანალიზის შედეგად გამოვლენილი ძირითადი ანალიტიკური შედეგები, მეორეს მხრივ კი, გავიაზროთ ეს შედეგები მეტათემატურ-ციკლურ დონეზე. მაგრამ, რა თქმა უნდა, ამგვარად ფორმულირებული მიზანი გულისხმობს იმის გამოვლენასაც, თუ რას იძლევა მეორე სელინჯერისეული ტექსტის ანალიზი სწორედ ხსენებული მეტათემატური თვალსაზრისით. აქედან გამომდინარე, ჯერ დავასახელოთ უკვე ჩვენს განკარგულებაში არსებული ანალიტიკური შედეგები, შემდეგ კი განვახორციელოთ -

ბუნებრივია, ამ უკვე არსებული შედეგების გათვალისწინებით - მეორე ტექსტის ანალიზიც.

რაც შეეხება უკვე არსებულ ანალიტიკურ შედეგებს: ჩვენი მეთოდოლოგიური ვექტორის გათვალისწინებით ხსენებული შედეგი უნდა აღქმულ იქნას როგორც ინტერდისციპლინარული, ისე საკუთრივ ლინგვისტური თვალსაზრისით. შესაბამისად, შეიძლება ვთქვათ: ანალიზის ინტერდისციპლინარული ასპექტის მიხედვით, გამოვლინდა, ერთის მხრივ, ის ეგზისტენციალური ჩიხი, რომლითაც ხასიათდება სელინჯერისეულ პერსონაჟთა ურთიერთობა (შეიძლება ითქვას, ურთიერთობა ურთიერთობის გარეშე), რაც ქმნის იმის გარდუვალ აუცილებლობას, რომ ეგზისტენციალური ჩიხის, ერთის მხრივ, გააზრება, მეორეს მხრივ კი, გადალახვა უნდა ხდებოდეს არა საკუთრივ სიუჟეტურ, არამედ რეცეფციულ დონეზე. სხვანაირად რომ ვთქვათ, ჩატარებული ანალიზი კულტუროლოგიურ-ნარატოლოგიური თვალსაზრისით ნიშნავს სწორედ რეცეფციულ-ესთეტიკური მომენტის აქცენტირებას. მაგრამ, რა თქმა უნდა, ჩვენთვის კიდევ უფრო მნიშვნელოვანია იმ საკუთრივ ენობრივი განზომილების ფუნქციური არსი და სტრუქტურა, რომლის საშუალებით ვლინდება როგორც ხსენებული ეგზისტენციალური ჩიხი, ისე რეცეფციულ-ესთეტიკური მომენტის დომინანტურობა. ამ თვალსაზრისით ხაზი უნდა გაესვას შემდეგი ორი ანალიტიკური მომენტის ურთიერთკავშირს: ა) არავერბალური კომუნიკაცია როგორც კომუნიკაციის მოდუსი ნარატიულ ტექსტში შესაძლებელი ხდება და ვლინდება ვერბალური საშუალებებით. ვერბალურ საშუალებათა ამგვარი, ანუ ერთი შეხედვით, პარადოქსული ფუნქცია შინაგანად უკავშირდება ნარატიული ქვეტექსტის შექმნისა და სტრუქტურირების ინვარიუნტული ფორმულის შინაგან ტრანსფორმაციას. ამ ტრანსფორმაციის მიხედვით კი ერთმანეთს უკავშირდება შემდეგი სამი ენობრივი მოვლენა:

1) ნარატიული თვალსაზრისით წინა პლანზე გამოდიან და ქვეტექსტური სიუჟეტის ფორმირებას ახდენენ ის ენობრივი ელემენტები, რომელთა საშუალებით გამოიხატება არა პერსონაჟთა შორის ეგზისტენციალურ-სიღრმისეული კომუნიკაცია, ანუ მათ შორის დიალოგური კონტაქტი, არამედ პერსონაჟთა კონტაქტი არტეფაქტულ სამყაროსთან;

2) მეორეს მხრივ კი, ვლინდება ის, რაც ლინგვისტური თვალსაზრისით აკონკრეტებს ენის ხსენებულ პარადოქსულ ფუნქციას: ამ ფუნქციის განხორციელებას თავის თავზე იღებს, როგორც წესი, ზმნა, კონკრეტულად კი , ორვალენტოვანი ანუ გარდამავალი ზმნა;

3) მაგრამ, რა თქმა უნდა, ასევე აღსანიშნავია ლინგვისტური თვალსაზრისით ის მნიშვნელოვანი ფაქტი, რომ ზმნა ზემოთ ხსენებული ფუნქციური გაგებით არა მხოლოდ იძენს ქვეტექსტის მაკონსტიტუირებელ სიმბოლურ ფუნქციას, არამედ, საბოლოო ანგარიშში, ახორციელებს ნარატიული ტექსტის როგორც მთლიანის სიმბოლურ ტრანსფორმაციასაც, რაც გამოიხატება ძირითადად შემდეგში: ნაკლებად რელევანტური ხდება (ან საერთოდ რედუცირდება ან იკარგება) ნარატიული ტექსტის ის სივრცით-დროითი განზომილება, რომელიც ტრადიციულად თამაშობდა გადამწყვეტ როლს ნარატიული სიუჟეტის ფორმირების პროცესში. ამგვარი სიუჟეტის ნაცვლად წინა პლანზე გამოდის ქვეტექსტური სიუჟეტი, რომლის დომინანტურ განზომილებად კი ფიგურირებს პერსონაჟთა ეგზისტენცია, სახელდობრ კი, ეგზისტენციალური ჩიხი.

როგორ გამოიყურება ზემოთ ხსენებულ თვალსაზრისთა ერთობლიობიდან გამომდინარე ჩვენი „მიკროციკლის“ მეორე კომპონენტი - მოთხრობა “ Uncle Wiggily in Connecticut” თამამად შეიძლება ითქვას, რომ ხსენებული ნარატივი, ერთის მხრივ, ინარჩუნებს ეგზისტენციალური ჩიხის უკვე გამოვლენილ თემას და, შესაბამისად, ანიჭებს მას მეტათემის სტატუსს, მეორეს მხრივ კი, სიღრმისა და ინტენციურობის ახალ მომენტებს ანიჭებს მას. შესაბამისად, ისმის კითხვა: რა წარმოადგენს ამ ნარატიული ტექსტის იმ სტრუქტურულ თავისებურებას, რომლის წყალობით ამგვარად „მკვიდრდება“ ეგზისტენციალური ჩიხის მეტათემური სტატუსი? ჩვენი აზრით, ეს თავისებურება უნდა დავინახოთ სწორედ იმ მიკროციკლის სტრუქტურის ფარგლებში, რომელიც იქცა ჩვენი კონკრეტული ანალიზის ობიექტად, ანუ უნდა დავინახოთ ამ ტექსტის პირველ ტექსტთან შეპირისპირების გზით. რას გვეუბნება ეს შეპირისპირება? როგორც უკვე ითქვა, ჩვენმა ანალიზმა გამოავლინა სელინჯერისეული ნარატივის შემდეგი ფუნქციური არსი: ამ ნარატივის ფარგლებში რელევანტურობას კარგავს ტრადიციული სიუჟეტი თავისი დროით-სივრცითი სტრუქტურით, ხოლო წინა პლანზე გამოდის ქვეტექსტური სიუჟეტი, რომელიც

მოგვითხრობს ეგზისტენციალური ჩიხის არსებობისა და გაღრმავების შესახებ. მაგრამ, პირველი, უკვე ჩვენს მიერ გაანალიზებული ნარატივი სწორედ დროით-სივრცითი, ანუ ტრადიციული სიუჟეტური თვალსაზრისით ხასიათდება შემდეგი თავისებურებით: მისი სიუჟეტი ტრადიციული გაგებით მთლიანად ვითარდებოდა აწმყოში და სწორედ აწმყოში, ანუ დროის წმინდა ჰორიზონტალურ განზომილებაში ვითარდებოდა ის ქვეტექსტური სიუჟეტი, რომლის ფარგლებში რეალობად იქცეოდა ტრაგიკული ფინალი.

შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი „მიკროციკლის“ პირველი ტექსტის ანალიზმა უკვე მოგვცა, ერთის მხრივ, იმის საშუალება, რომ გაგვეხორციელებინა ჩვენს მიერ ჩამოყალიბებული თეორიულ-მეთოდოლოგიური პოზიციისა და ტექსტისადმი ანალიტიკური მიდგომის სინთეზი, მეორეს მხრივ კი, სწორედ ამგვარი სინთეზის განხორციელების შედეგად გამოყოფილ იქნა კონცეპტუალური კომპლექსი შემდეგი ორი ასპექტით: ა) პირველი ასპექტი პირდაპირ უკავშირდება სელინჯერისეულ ნარატიულ ქვეტექსტს და გვიჩვენებს, თუ როგორ ხდება ამ ნარატივში ტრადიციულად გაგებული სიუჟეტის ფუნქციური რედუცირება ქვეტექსტური სიუჟეტის წინა პლანზე „გამოსვლის“ გზით; ამავე დროს კი გამოვლინდა, ერთის მხრივ, ის ეგზისტენციალური ჩიხი, რომელსაც წარმოაჩენს ქვეტექსტური სიუჟეტი, მეორეს მხრივ კი, ამ ჩიხის გადალახვის არატრადიციული, საკუთრივ სელინჯერისეული და გვიანდელი მოდერნისტული ნარატივისთვის დამახასიათებელი მცდელობა იმისა, თუ როგორ უნდა იქნას გადალახული ეს ეგზისტენციალური ჩიხი. პერსონაჟთა დონეზე არსებული არაკომუნიკაბელურობა (ე.ი. სწორედ ეგზისტენციალურ-კომუნიკაციური ჩიხი) გადაილახება (ყოველ შემთხვევაში, ასეთია ავტორ-კრეატორის ნარატიული ინტენცია) რეცეფციულ დონეზე, ანუ ავტორ-კრეატორსა და რეციპიენტ-მკითხველს შორის დიალოგის გზით; ბ) მაგრამ ჩვენმა ანალიზმა გამოავლინა სელინჯერისეულ ქვეტექსტთან დაკავშირებული ეგზისტენციალურ-კომუნიკაციური პრობლემატიკის ენობრივი ასპექტიც, რომელიც მგომარეობს შემდეგში: სელინჯერისეული ქვეტექსტის ფორმირება ხდება ორი ისეთი ენობრივ-ნიშნობრივი (ანუ ლინგვოსემიოტიკურად აღქმული) პროცესის შეხვედრა-სინთეზის საშუალებით, როგორცაა, ერთის მხრივ, ქვეტექსტური სიუჟეტის შემქმნელი ფორმულის (სიტყვა -- დეტალი -- სიმბოლო)

შინაგანი ტრანსფორმირება, მეორეს მხრივ კი, ის როლი, რომელსაც ასრულებს ზმნა ამ ტრანსფორმირების პროცესში. და იქედან გამომდინარე, რომ მიუხედავად ჩვენს მიერ გამოყენებული ინტერდისკლინარული მეთოდოლოგიისა, ჩვენი კვლევითი შედეგები უნდა იყოს ლინგვისტურად ცენტრირებული, აუცილებლად მიგვაჩნია უფრო ხაზგასმით შევჩერდეთ ანალიზის ხსენებულ ლინგვოსემიოტიკურ ასპექტზე. ამ შემთხვევაშიც საჭიროა გამოიყოს მიღებულ შედეგთა ორი ასპექტი: ა) ჩვენი ტრადიციული სიუჟეტის მქონე „ფორმულის“ ტრანსფორმირება მდგომარეობდა იმაში, რომ არავერბალური კომუნიკაციის ვერბალურმა საშუალებებმა არა მხოლოდ „აიღო თავის თავზე“ იმ სამი ფუნქციის შესრულება, რომლებიც ნ. მატარაძის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად უნდა ახასიათებდეს ვერბალურ სიმბოლოს (ვგულისხმობთ ანთროპოცენტრისტულობის, შინაგანი მისწრაფულობისა და დაუსრულებლობის ფუნქციებს), არამედ მოახდინა კიდევ მათი ისეთი ინტენსიფიკაცია, რომლის გარეშე ვერ გამოიხატებოდა ზემოთ ხსენებული ეგზისტენციალური ჩიხი; ბ) მაგრამ ამავე დროს და ასევე ლინგვოსემიოტიკური თვალსაზრისით აღსანიშნავია ის როლი, რომელსაც ასრულებს ზმნა ხსენებული ინტენსიფიკაციის პროცესში. ხდება არა მხოლოდ ის, რაც ჩვენს მიერ უკვე იქნა არა ერთხელ ხაზგასმული, ანუ ქვეტექსტის შემქმნელი სიმბოლური ფუნქციის სახელიდან ზმნაზე გადატანა, არამედ დაკონკრეტდა კიდევ ზმნის ის სემანტიკური ტიპი, რომელიც თანმიმდევრულად ახორციელებს ეგზისტენციალურ ჩიხზე მითითებას: ეს არის ორვალენტოვანი (ანუ გარდამავალი ზმნა). მაგრამ, ამავე დროს, ასევე თანმიმდევრულად ხდება ზმნის ხსენებული კლასის შემდგომი სიღრმისეული დაკონკრეტებაც: სელინჯერისეულ ნარატივში ეგზისტენციალური ჩიხის ქვეტექსტურ სიუჟეტზე მიუთითებენ, როგორც წესი, ისეთი გარდამავალი ზმნები, რომლებიც გამოხატავენ პერსონაჟთა „ურთიერთობას“ არა ერთმანეთთან, არამედ არტეფაქტულ სამყაროსთან.

ყოველივე ზემოთ ნათქვამის ფონზე ისმის, რა თქმა უნდა, კითხვა: თუ მივიჩნევთ, რომ სელინჯერისეული ნარატიული ციკლის მეტათემას გამოხატავს ის ეგზისტენციალურ-კომუნიკაციური ჩიხი, რომელიც უკვე გამოვლინდა პირველი ტექსტის ანალიზისას, მაშინ როგორი უნდა იყოს „მიკროციკლის“ მეორე ტექსტის (“Uncle Wiggily in Connecticut”) ფუნქცია ამ მეტათემის შემდგომი გაღრმავების

თვალსაზრისით? ამ კითხვაზე პასუხის გაცემისას უნდა გავიხსენოთ ყოველივე ის, რაც უკვე გამოავლინა პირველი ტექსტის ჩვენეულმა ანალიზმა: მართალია, ხსენებულ ტექსტში ხდებოდა ტრადიციულად გაგებული სიუჟეტის სტრუქტურული რედუცირება ქვეტექსტური სიუჟეტის სემანტიკური ინტენსიფიკაციის გზით, მაგრამ, ამავე დროს, ნარატივის ფინალი თავისი ტრაგიკული შინაარსით არ მხოლოდ ახორციელებს „-ზე“ და „-ქვეტექსტურ“ სიუჟეტთა სინთეზს, არამედ ახდენს კიდევ ტრადიციულად გაგებული სიუჟეტის (ზესიუჟეტის) ტემპორლურ დაკონკრეტებას: ეს სიუჟეტი ვითარდება აწმყოში და სწორედ აწმყო იღებს თავის თავზე ნარატივში გამოხატული ეგზისტენციალური ჩიხის ტრაგიკული განვითარების ჩვენების ფუნქციას. თამამად შეიძლება ითქვას, რომ „მიკროციკლის“ მეორე ტექსტი არა მხოლოდ აგრძელებს და აღრმავებს ეგზისტენციალური ჩიხის იმ თემას, რომელიც ვითარდებოდა პირველი ტექსტის ქვეტექსტში, არამედ ანიჭებს კიდევ მას ქვეტექსტურ სტატუსს იმდენად, რამდენადაც ამ ტექსტში მთლიანად შენარჩუნებულია, ერთის მხრივ, ქვეტექსტურობის ის ეგზისტენციალური ფაქტურა, რომლის შექმნა შეეძლო მხოლოდ არაკომუნიკაბელურობის არავერბალურ კომუნიკაციურ გამოხატვას, არამედ შენარჩუნებულია ამგვარი ქვეტექსტური სიუჟეტის საკუთრივ ენობრივი ასპექტიც: როგორც წინა ტექსტში, აქაც ამ ქვეტექსტს ქმნის ზმნათა ისეთი ერთობლიობა, რომლის მიზანია გვიჩვენოს პერსონაჟთა „ურთიერთობა“ ძირითადად არტეფაქტულ გარემოცვასთან. მაგრამ, ბუნებრივია, ამ შემთხვევაში ისმის კითხვა, რომელიც მნიშვნელოვანია არა იმდენად თემატური, არამედ მეტათემატური თვალსაზრისით: რა იქცევა ეგზისტენციალური ჩიხის როგორც თემის მეტათემად ტრანსფორმირების და, შესაბამისად, რა იძლევა ეგზისტენციალური კომუნიკაციის რეცეფციულ დონეზე გადატანის შესაძლებლობას, თუ, როგორც ითქვა, ძირითადად შენარჩუნებულია პირველ ტექსტში ჩვენს მიერ გამოვლენილი ქვეტექსტურობის ფაქტურა? ამ კითხვაზე პასუხის საშუალებას გვაძლევს სელინჯერისეული ნარატივის ის სტრუქტურული კომპონენტი, რომლის შესახებ უკვე გვქონდა მსჯელობა წინა ტექსტთან დაკავშირებით: ვგულისხმობთ ნარატიული სიუჟეტის „ზე“ და „ქვე“ განზომილებათა იმ დინამიურ უერთიერთობას, რომელსაც აღმოაჩნდა შემდეგი ვექტორი:

ზეტექსტური სიუჟეტი (ანუ სიუჟეტი ტრადიციული აგებით)



ქვეტექსტური სიუჟეტი



ზეტექსტური სიუჟეტი

როგორც უკვე ითქვა, მეორე ტექსტში შენარჩუნებულია ზე-ტექსტურ და ქვე-ტექსტურ სიუჟეტთა ეს სელინჯერისეული სინთეზი, მაგრამ შემდეგი პრინციპული განსხვავებით: თუ პირველ ტექსტში ზე-ტექსტური სიუჟეტი ვითარდებოდა, შეიძლება ითქვას, თითქმის მთლიანად აწმყო დროში (წარსულის მხოლოდ ირიბი საშუალებებით მინიმუმების ფონზე) და, ამავე დროს, პოვებდა თავის დასრულებას, რომელიც ძნელად თუ შეძლება მივიჩნიოთ მომავლად (ვგულისხმობთ ტრაგიკულ ფინალს), მეორე ტექსტში ფიგურირებს არა მხოლოდ აწმყო, არამედ წარსულიც, უფრო სწორად კი, სწორედ წარსული იღებს თავის თავზე ეგზისტენციალური ჩიხის როგორც ნარატიული თემის სტრუქტურირების ფუნქციას. მკითხველი ხედავს, თუ როგორ ხდება ორი „დაქალის“ მოგონებებში წარსულ ეპიზოდთა ისეთი ამოტივტივება, რომელიც არ ტრანსფორმირდება კომუნიკაციად არც წარსულში მოქმედ პერსონაჟებთან, არც ერთი მეორესთან. იქმნება შთაბეჭდილება, რომ წარსულში „მოგზაურობის“ ეს მრავალეპიზოდიანი სიუჟეტური ხაზი მთლიანად თითქოს და „გამოკიდულია“ ჰაერში და არაფერს არ იძლევა კომუნიკაციური ეგზისტენციალური თვალსაზრისით. მაგრამ, ამავე დროს, აღსანიშნავია ისიც, რომ პერსონაჟთა ქვეტექსტურ ქმედებაში მეორდება ის, რაც გვქონდა პირველ ტექსტში: გრძელდება პერსონაჟთა ისეთი ურთიერთობა არტეფაქტულ სამყაროსთან, რომელიც არ ტრანსფორმირდება პერსონაჟთა შორის ურთიერთობად. მთლიანობაში კი შეიძლება ითქვას, რომ მეორე ტექსტის ფარგლებში სახეზეა ნარატივის ტემპორალური სტრუქტურის პარადოქსულად დინამიური სტრუქტურა: აწმყო გადადის წარსულში, მაგრამ ეს წარსული იმდენად არარეალურია (ეფემერულია), რომ არ ქმნის აწმყოსა და წარსულის ისეთი შერწყმის შესაძლებლობას, რომელიც მოგვცემდა მომავლის თუნდაც იმ ტრაგიკულ ფორმა-შინაარსით განხორციელების საშუალებას, რომლის მოწმეებიც ვიყავით პირველ ტექსტში. შეიძლება ითქვას, რომ „მცირე ციკლის“ მეორე ტექსტში პარადოქსულად შერწყმულია ნარატიულ დროსთან დაკავშირებული ორი, თითქოს და ურთიერთგამომრიცხავი ფაქტი - ერთის მახრივ,

ამ დროის გამთლიანება, მეორეს მხრივ კი, მისი ეგზისტენციალური ნიშნით „გაუქმება“. როგორც ჩანს, ავტორისეული ჩანაფიქრის მიხედვით შეუძლებელია ადამიანური არსებობის ჭეშმარიტი გამთლიანება მომავლის გარეშე - თუნდაც იმ გაგებით, რომ მომავალს შეიძლება ჰქონდეს ტრაგიკული შინაარსი. მაგრამ მიუხედავად ეგზისტენციალური ქვეტექსტის იმ მნიშვნელობისა, რომლის გარეშე ჩვენთვის ლინგვოსემიოტიკურად რელევანტური არავერბალური კომუნიკაცია დაკარგავდა თავის აქტუალურობას, ჩვენთვის მაინც აუცილებელი უნდა იყოს ის როლი, რომელსაც სელინჯერისეული ნარატივის ფარგლებში ასრულებს მისი ენობრივი განზომილება და, რომლის სტრუქტურა ზემოთ უკვე იქნა ჩვენს მიერ რეზუმირებული. შესაბამისად, ნათქვამის დასადასტურებლად, ჩვენის აზრით, საკმარისი იქნება მოვიყვანოთ მეორე ტექსტიდან ის ფრაგმენტები, რომლებიც ადასტურებენ ზემოთ ხსენებული ენობრივი განზომილების როლს და მნიშვნელობას ეგზისტენციალური ჩიხის ქვეტექსტური „ეფექტის“ შექმნის თვალსაზრისით. როგორც უკვე ვიცით, ხსენებულ ნარატივში ფიგურირებს ძირითადად ორი პერსონაჟი - მერი ჯეინი და ელოიზი. აი როგორ არის წარმოდგენილი ერთ-ერთი მათგანის, სახელდობრ, მერი ჯეინის ის „ურთიერთობა“ არტეფაქტულ სამყაროსთან, რომლის დანიშნულებაცაა ჭეშმარიტი ეგზისტენციალური ურთიერთობის კომპენსირება: "With little or no wherewithal for being left alone in a room, Mary Jane stood up and walked over to the window. She drew aside the curtain and leaned her wrist on one of the crosspieces between panes, but, geeling grit, she removed it, rubbed it clean with her other hand, and stood up more erectly. Outside, the filthy slush was visibly turning to ice. Mary Jane let go the curtain and wandered back to the blue chair, passing two heavily stocked bookcases without glancing at any of the titles. Seated, she opened her handbag and used the mirror to look at her teeth. She closed her lips and ran her tongue hard over her upper front teeth, then took another look." როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაში მეორდება ამგვარი ურთიერთობის ის სტრუქტურა, რომელიც „დაფიქსირებული“ იქნა წინა ტექსტში: ერთის მხრივ, გვაქვს ზმნური გამოხატულება საგნებთან ურთიერთობისა (საგნებთან - ამ სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით), მეორეს მხრივ კი, „ურთიერთობა“ ოთახის საგნობრივ სტრუქტურულ ასპექტებთან.

ასევე შეიძლება დახასიათდეს მეორე პერსონაჟის, ანუ ელოიზის ურთიერთობა არტეფაქტულ სამყაროსთან: "Eloise struck a light. ... Without sitting up, Eloise reached for a

stack of ashtrays on the far side of the cigarette table. She successfully lifted off the top one and set it down on her stomach. “What I need is a cocker spaniel or something,” she said. “Somebody that looks like me.”

და ბოლოს: შეიძლება ითქვას, რომ სელინჯერისეული ნარატიული ციკლის იმ კომპონენტის ანალიზმა, რომელსაც ჩვენ პირობითად „მიკროციკლი“ ვუწოდეთ, მთლიანად დაადასტურა ის ჰიპოთეტური მოსაზრება, რომელიც, როგორც უკვე ვიცით, გამოთქმული აქვს არავერბალური კომუნიკაციის თანამედროვე თეორიის ისეთ ავტორს, როგორცაა მ. კოცოლინო: არავერბალური კომუნიკაციის როგორც ფენომენის ფუნქციური არსი და სტრუქტურა მთელი სისრულით შეიძლება გამოვლენილ იქნას სწორედ ნარატოლოგიური ანალიზის პროცესში. ჩვენ კი, ჩვენი აზრით, გვაქვს უფლება არა მხოლოდ დავადასტუროთ ამ ჰიპოთეზის მართებულობა, არამედ ჩვენი ინტერდისციპლინარული და, ამავე დროს, ლინგვისტურად ცენტრირებული ანალიზის წყალობით დადასტურებულად მივიჩნიოთ შემდეგი უეჭველი ფაქტიც - არავერბალური კომუნიკაცია მთელი თავისი ჭეშმარიტი არსით, ფუნქციით და სტრუქტურით ავლენს თავის ნარატიულ დანიშნულებას ეგზისტენციალური მიმართულების მქონე ისეთ მოდერნისტულ ნარატივში, რომლის ერთ-ერთ წარმომადგენლად უნდა მივიჩნიოთ ჯ. დ. სელინჯერი.

დასკვნები

1. კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიური ასპექტიდან ანალიტიკურ ასპექტზე გადასვლის წინაპირობად მიჩნეულ უნდა იქნას ჩვენს მიერ განსახორციელებელი პარადიგმული სინთეზის შემდეგი სამი დონის გამოყოფა და ურთიერთდაკავშირება:

ა) პირველ დონედ უნდა მივიჩნიოთ კულტუროცენტრიზმი როგორც ზოგადჰუმანიტარული კვლევითი მეთოდოლოგია;

ბ) მეორე დონედ უნდა მივიჩნიოთ თანამედროვე ლინგვისტიკისთვის დამახასიათებელი პარადიგმული სიტუაცია, რომლის ფარგლებში დომინირებს ლინგვოკულტუროლოგიური პარადიგმა;

გ) მესამე დონედ კი მიჩნეულ უნდა იქნას გასაანალიზებელი ნარატივის ის საკუთრივ ენობრივი განზომილება, რომლის გამოყოფისა და ფუნქციურ-სტრუქტურული დახასიათების თეორიულ-მეთოდოლოგიურ წინაპირობას უნდა წარმოადგენდეს პასუხი კითხვაზე: რამდენად აისახება ამ ენობრივი განზომილების სტრუქტურაში წინა ორი დონის, ანუ ზოგადჰუმანიტარული კულტუროცენტრიზმისა და ლინგვოკულტუროლოგიური პარადიგმის სინთეზი?

2) ზემოხსენებული ორი პარადიგმული დონის - ზოგადჰუმანიტარული კულტუროცენტრიზმისა და ლინგვისტური კულტუროცენტრიზმის (ანუ ლინგვოკულტუროლოგიური პარადიგმის) შერწყმული სახით რეალიზაციის სფეროდ მიჩნეულ უნდა იქნას ნარატიული სინამდვილე, ხოლო ამ სინამდვილის უშუალოდ ამსახველ ჰუმანიტარულ დისციპლინად - თანამედროვე ნარატოლოგია. ამავე დროს, იმ მოდერნისტული ნარატივის განხილვისას, რომელიც წარმოდგენილია ჯ. დ. სელინჯერის პროზით და რომლის ინტერდისციპლინარულად წარმართულმა ანალიზმა უნდა დაგვანახოს არავერბალური კომუნიკაციის ფუნქციური სპეციფიკა, თანმიმდევრულად და შერწყმულად უნდა იქნას გათვალისწინებული ორი შემდეგი თეორიული წინაპირობა:

ა) უნდა დავეფუძნოთ არავერბალური კომუნიკაციის თეორიის ფარგლებში გამოთქმულ ჰიპოთეზას, რომლის მიხედვით სწორედ ნარატივი უნდა იქნას მიჩნეული ხსენებული ფენომენის, ანუ არავერბალური კომუნიკაციის ფუნქციური რელევანტურობის წარმომჩენ სფეროდ;

ბ) უნდა დაისვას კითხვა იმის თაობაზე, თუ რითი განსხვავდება სელინჯერისეული ნარატივის ქვეტექსტი იმ ქვეტექსტისაგან, რომლის წარმოშობა და ფუნქციონირება არ ეფუძნებოდა არავერბალური კომუნიკაციის ფენომენს. ამ ორ კითხვაზე ერთობლივი პასუხის გაცემა კი უნდა ნიშნავდეს შემდეგ კითხვაზე პასუხის გაცემას: თუ ნარატიული ქვეტექსტის გენეზისსა და ფუნქციონირების წარმომჩენ „ფორმულად“ მივიჩნევთ სტრუქტურულ კომპლექსს (სიტყვა - დეტალი -- სიმბოლო), მაშინ აუცილებელი ხდება იმის დადგენა, თუ რა სახის ტრანსფორმაციას უნდა განიცდიდეს ეს ფორმულა იმ შემთხვევაში, როცა ქვეტექსტის გენეზისისა და სტრუქტურირების წინაპირობად გვევლინება არავერბალური კომუნიკაცია?

3) იქედან გამომდინარე, რომ სელინჯერისეული ნარატიული ციკლი შეიცავს ამ ციკლის მეტათემის გამომხატველ ცხრა ტექსტს და მთელი ციკლის (ანუ მასში შემავალ ტექსტთა ერთობლიობის) ქვეტექსტური ანალიზი გასცილდებოდა ჩვენი კვლევითი კონტექსტის ამოცანებს, საჭიროდ იქნა მიჩნეული ციკლის პირველი ორი ტექსტის ისეთი მეტათემური განხილვა, რომელსაც უნდა წარმოეჩინა ჩვენი თეორიულ-მეთოდოლოგიური პოზიციით ნაგულისხმევ შედეგთა ერთობლიობა. ამ წმინდა ანალიტიკური გადაწყვეტილების შესაბამისად ციკლის პირველი ორი ტექსტის ერთობლიობას ეწოდა - რა თქმა უნდა, პირობითად - „მცირე ციკლი“ და, შესაბამისად,გამოთქმულ იქნა ჰიპოთეზა: ამ მცირე ციკლის ნარატოლოგიურმა ანალიზმა უნდა წარმოაჩინოს სელინჯერისეული ქვეტექსტის ყველა ის ძირითადი ასპექტი, რომელთა არსებობა და ფუნქციონირება ნაგულისხმევი იყო ჩვენი კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიურ პრინციპთა ერთობლიობით. წმინდა ნარატოლოგიური თვალსაზრისით კი ნაგულისხმევი იქნა, რომ შესაბამისმა ანალიზმა უნდა დაგვანახოს ნარატიული ფოკალიზაციის ის მომენტები, რომლებიც უკავშირდებიან, ერთის მხრივ, ქვეტექსტური სიუჟეტის ტექსტობრივ გენეზისს, მეოერს მხრივ კი, გვიჩვენებენ ტრადიციულად გაგებული სიუჟეტისა და ქვეტექსტური სიუჟეტის ურთიერთმიმართებას;

4) სელინჯერისეული პროზით წარმოდგენილი „მცირე“ ნარატიული ციკლის ანალიზმა გვიჩვენა შედეგთა შემდეგი ერთობლიობა:

ა) ინტერდისციპლინარული თვალსაზრისით შეიძლება ითქვას, რომ არავერბალური კომუნიკაციით განპირობებული ქვეტექსტური სიუჟეტი წარმოაჩენს ამგვარი

სიუჟეტის იმ სტრუქტურულ ბირთვს, რომელსაც უნდა ვუწოდოთ „ეგზისტენციალური ჩიხი“, ანუ ეგზისტენციალური კომუნიკაციის გარდუვალი არარსებობა მოდერნისტული კულტურის იმ ფონზე, რომელსაც წარმოგვიჩენს სელინჯერისეული ნარატივი. თუ გავითვალისწინებთ ზოგადად მოდერნისტული ქვეტექსტის წინა კვლევის ფარგლებში წარმოჩენილ ფუნქციურ და სტრუქტურულ ასპექტებს, მაშინ არავერბალური კომუნიკაციით განპირობებული ქვეტექსტის ტიპოლოგიურ ნიშნად უნდა მივიჩნიოთ შემდეგი ფაქტი: სწორედ ეგზისტენციალური ჩიხის კონსტიტუირება, ხოლო ზოგადესთეტიკურ პლანში იმ ფაქტის წარმოჩენა, რომ მხატვრული დისკურსის ფუნქციონირებისას ეგზისტენციალური კომუნიკაცია, რომელიც შეუძლებელი ხდება პერსონაჟთა დონეზე, სრულდება რეცეფციულ დონეზე, ანუ იძენს ამგვარი კომუნიკაციის სტატუსს ავტორსა და მკითხველს შორის. სწორედ აქედან გამომდინარე არავერბალური კომუნიკაციის ნარატიულ სინამდვილეში ამგვარი, ანუ ქვეტექსტის შექმნის ფუნქციით არსებობა განაპირობებს - რა თქმა უნდა, ნარატიული თვალსაზრისით - რეცეფციული ესთეტიკის დომინირებას კულტუროლოგიურ-ესთეტიკური თვალსაზრისით;

ბ) წმინდა ნარატოლოგიური თვალსაზრისით კი შეიძლება ითქვას, რომ არავერბალური კომუნიკაციით განპირობებული ქვეტექსტური სიუჟეტის არსებობა და ფუნქციონირება ახლებურად წარმოაჩენს იმ პრობლემას, რომელიც მუდამ არსებობდა მოდერნისტული მხატვრულ-ესთეტიკური სინამდვილის ფარგლებში, ანუ პრობლემას იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა იქნას აღქმული ურთიერთმიმართება ტრადიციულად გაგებულ სიუჟეტსა და ქვეტექსტურ სიუჟეტს შორის. შეიძლება ითქვას, რომ სელინჯერისეული ნარატივის მეტათემური ანალიზი გვიჩვენებს ზემოთ დასახელებული ურთიერთმიმართების შემდეგ სტრუქტურულ დინამიკას: თუ პირველ ტექსტში სახეზეა სიუჟეტის სიუჟეტის ხსენებულ ტიპთა ურთიერთმიმართების დინამიური სქემა - **ზეტექსტური** (ანუ ტრადიციული)

↓

ქვეტექსტური

↓

ზეტექსტური

მეორე ტექსტში, ერთის მხრივ, შენარჩუნდება ზემოთ ხსენებული დინამიკა, მეორეს მხრივ კი, წარმოჩნდება შემდეგი ცვლილება: პირველ შემთხვევაში, სიუჟეტი

ვითარდება ხაზგასმით გამოყოფილ აწმყოში, მეორე შემთხვევაში კი სიუჟეტური დრო მოიცავს წარსულსაც, მაგრამ ორივე ვარიანტისთვის უცვლელია შემდეგი სიუჟეტური მომენტი: როგორც არ უნდა იყოს ნარატივის ტემპორალური სტრუქტურა, ეს სტრუქტურა არ გულისხმობს მომავალს ამ სიტყვის ეგზისტენციალურ-კომუნიკაციური გაგებით, რადგან უცვლელი რჩება ეგზისტენციალური ჩიხი როგორც ქვეტექსტის ინვარიანტული ასპექტი;

5) რაც შეეხება ანალიზის საკუთრივ ლინგვისტურ ასპექტს, იგი შეიცავს შემდეგ მომენტებს:

ა) არავერბალური კომუნიკაციით განპირობებული ქვეტექსტის ანალიზისას ცხადი ხდება, ერთის მხრივ, ტრიადული სტრუქტურის მქონე ფორმულის ინვარიანტული ფუნქციონირება, მეორეს მხრივ კი, ის ცვლილება, რომელიც ხსენებულ შემთხვევაში განიცდის ფორმულის მესამე წევრის, ანუ სიმბოლოს საკუთრივ სემანტიკურ-დენოტაციური ასპექტი: ანთროპოცენტრისტულობა, შინაგანი მისწრაფულობა და დაუსრულებლობა, როგორც ქვეტექსტური ვექტორები იძენენ ისეთ ინტენსიფიკაციას, რომლებიც აუცილებელია ეგზისტენციალური ჩიხის წარმოჩენისთვის;

ბ) არავერბალური კომუნიკაციის წარმომჩენ ენობრივ ფაქტორად გვევლინება არა სახელი, რომელიც ფუნქციური დატვირთვით გვევლინებოდა მოდერნისტული ქვეტექსტის ქინა წინა სტადიებზე, არამედ ზმნა, რაც აიხსნება შემდეგი გარემოებით: თვით არავერბალური კომუნიკაციის სტრუქტურულ ცენტრად უნდა მივიჩნიოთ ჟესტი, ხოლო ჟესტის დინამიურობის წარმოჩენა ძალუმს სწორედ ზმნას;

გ) ზმნის ზემოთ ხსენებული როლის წარმომჩენად გვევლინება ძირითადად ორვალენტოვანი (ანუ გარდამავალი) ზმნა, რომლის ფინქციაც ქვეტექსტური სიუჟეტის ფარგლებში ხასიათდება შემდეგნაირად: იგი გვიჩვენებს პერსონაჟთა არტეფაქტულ სამყაროთა შორის იმ ფსევდოურთიერთობას, რომლის საშუალებითაც ხდება ეგზისტენციალური ურთიერთობის არარსებობის კომპენსირება.

ბიბლიოგრაფია

1. არნოლდი 1982 - Арнольд И. В. (1982). *Импликация как прием построения текста и предмет филологического изучения*. «Вопросы языкознания», №4.
2. არუტიონოვა 1972 - Арутюнова Н. Д. (1976). *Предложение и его смысл: Логико-семантические проблемы*. Москва: Высшая школа.
3. ახმანოვა 1966 - Ахманова (1966). О. С. *Словарь лингвистических терминов*. Москва: Советская энциклопедия, 1966.
4. ბაბენკო 2004 - Бабенко Л.Г. (2004). *Лингвистический анализ художественного текста*. Москва: изд. Московского университета.
5. ბარტოლომეუ, გოხინი 2000 – Bartholomew C., Goheen M. (2004). “The Drama of Scripture”. Redeemer University College, Canada.
6. ბარხუდაროვი, შტელინგი 1973 - Бархударов Л.С., Штелинг, Д.А.(1973). *Грамматика английского языка*. Москва: Высшая школа.
7. ბარხუდაროვი 1973 - Бархударов Л. С. (1973). *К вопросу о поверхностной и глубинной структуре предложения*. Москва: Вопросы языкознания №3.
8. ბარხუდაროვი 2004 - Бархударов Л. С (2004). *Общая лингвистика. Уровни лингвистического анализа*. in: "Лингвистика XX века Система и структура языка" Часть I, Москва: "Прогресс".
9. ბახტინი 1979 - Бахтин М.М. (1979). *Проблемы текста в лингвистике, филологии и других гуманитарных науках*. Москва: Высшая школа.
10. ბერი, სიგალი 2002 – Berry J. W., Seagall H. (2002). “*Cross-Cultural Psychology*”. Research and Applications. Cambridge: University Press
11. ბენვენისტი 1965 - Бенвенист Э. (1965). *Уровни лингвистического анализа*. В кн: Новое в лингвистике. Москва: "Прогресс".
12. ბოინი 1990 - Beun, R.(1990). *The Recognition of Pragmatics*.Oxford: Oxford University Press.
13. ბლოხი 1969 - Блох М. Я. (1969). *Дихотомия "язык – речь" и теория трансформационной грамматики// Вопросы грамматики английского языка*. Москва: изд. МГПИ.
14. ბლოხი 1971 - Блох М. Я. (1971). *Ядерный уровень в парадигматическом синтаксисе (к проблеме понятия)// Синтаксические исследования по английскому языку*. Москва: изд. МГПИ.
15. ბლოხი 1983 - Блох М. Я. (1983). *Теоретическая грамматика английского языка*. Москва: ИЯШ.
16. ბლოხი 1986 - Блох М. Я. (1986). *Теоретические основы грамматики*. Москва: "Высшая Школа".
17. ბლოხი 1942 - Bloch V.(1942). *Outline of Linguistic Analysis*. Baltimore: Linguistic Soc. of America.
18. ბლუმფილდი 1977 - Bloomfield, L.(1977). *Sentence and Word*. New York: Henry Holt.
19. ბოლინჯერი 1977 - Bolinger, D. (1977). *Meaning and form*. Ldn. and N.Y.: Longman.
20. ბონდარენკო 1971 - Бондарко А.В. (1971). *Грамматическая категория и контекст*. Ленинград: "Наука".
21. გალპერინი 1981 - Гальперин И. А. (1981). *Текст как объект лингвистического исследования*. Москва: "Наука".
22. გვენცაძე 1986 - Гвенцадзе М. А. (1986). *Коммуникативная англистика и типология текста*. Москва: "Прогрес"

23. გარდინერი 1951 - Gardiner A. (1951). *The Theory of Speech and Language*. Oxford: Clarendon Press.
24. გრიგორიევა 1998 – Григорьева Л. (1998). *Словарь Русских Жестов*. Москва.
25. გლისონი 1966 - Gleason H. (1966). *An Introduction to Descriptive Linguistics*. New York: Doubleday&Co.
26. გრინი 1989 - Green G. (1989). *Pragmatics and Natural Language Understanding*. Hillsdale, N.J.: Erlbaum Associates.
27. გრაისი 1965 – Grice H. (1965). *Meaning*. New York: Doubleday&Co.
28. გრუტი 1957 – Groot A. (1957). *Classification of Word Groups*. New York: Henry Holt.
29. დოლინინი 1985 - Долинин Н. (1985). *Интерпретация текста*. Москва: "Просвещение".
30. დომაშნევი 1989 - Домашнев А. И., Шишкина И.П., Гончарова Е.А. *Интерпретация художественного текста*. Москва:"Просвещение".
31. დრესლერი 1981 - Dressler, W.U. (1981). *Introduction to Text Linguistics*. Oxford: Oxford University Press.
32. ელისონი 200 - Alison, L. *Culture and Text: Discourse and Methodology in social research and Cultural Studies*.Cambridge: Allen&Unwin.
33. ელისი 1966 - Ellis, J. *On Contextual Meaning*. London: Longman, 1966.
34. ვალგინა 2003 - Валгина Н. С. (2003). *Теория текста*. Москва: "Менеджер".
35. ვეჯბიცკაია 1985 - Вежбицкая А.(1985). *Речевые акты*. В кн: Новое в зарубежной лингвистике. Вып. XVI. Москва: "Прогресс".
36. ვუდი 2006 – Wood J. (2006). *An Introduction to the Field of communication*. Wadsworth.
37. ზარუბინა 1981 - Зарубина Н.Д.(1981). *Текст: Лингвистический и методический аспекты*. Москва: "Русский Язык".
38. თევდორაძე 2010 - თევდორაძე ნ. (2010). *ტექსტის ლინგვისტიკა*. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
39. ილინი 2001 – Ильин И. П. (2001). *Нарратология*. Москва: «Интелвак»
40. კოლშანსკი 1965 - Колшанский Г.В. (1965). *Логика и структура языка*. Москва: "Высшая школа".
41. კორტე 1997 – Korte V. (1997). *Body Language in Literature*. Canada University of Toronto.
42. კოსერიუ 1977 - Косериу Э. (1977). *Современное положение в лингвистике*. Москва: "Серия литературы и языка".
43. კოცოლინო 2009 – Коцолинно М. (2009). «Невербальная Коммуникация». Харьков.
44. კრეიდლინი 2002 – Крейдлин Г. (2002). *Невербальная Семиотика*. Москва: НЛО
45. კრისტალი 1987 - Crystal, D. (1987). *The Cambridge Encyclopedia of Language*. Cambridge. Cambridge University Press.
46. კრუზი 1986 - Cruse, D.(1986). *Lexical Semantics*. Cambridge: Cambridge University Press.
47. კუხარენკო 1970 - Кухаренко В.А. (1970). *Интерпретация текста*. Ленинград: изд. Ленингр. ун-та.
48. ლაიონსი 1978 - Ляйонз Дж. (1978). *Введение в теоретическую лингвистику*. Москва: "Наука".
49. ლაიონსი 1968 - Lyons J. (1968). *Introduction to Theoretical Linguistics*. Oxford: Oxford University Press.
50. ლეზანძე 1998 - ლეზანძე გ. (1998). *ანთროპოცენტრიზმი და კომუნიკაციური ლინგვისტიკა*. თბილისი: თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის დასავლურ

ენათა და კულტურათა სახელმწიფო ინსტიტუტის გამომცემლობა «ენა და კულტურა».

53. ლებანიძე 2004 - ლებანიძე გ. (2004). *კომუნიკაციური ლინგვისტიკა*. თბილისი: თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, «ენა და კულტურა».

54. ლებანიძე 2009 - ლებანიძე გ. (2009). «*შესავალი ფილოლოგიაში: ლექციები 1-4*». წახნაგი. ფილოლოგიის კვლევათა წელიწადული 1. თბილისი: გამომცემლობა «მემკვიდრეობა».

55. ლევისონი 1983 - Levinson, S. (1983). *Pragmatics*. Cambridge: Cambridge University Press.

56. ლეიკოფი 1992 - Lakoff G. (1992). *Pragmatics, implicature, and presupposition*. New York: Oxford University Press.

57. ლეიკოფი 1977 - Lakoff G (1977). *Semantics*. Cambridge: Cambridge University Press.

58. ლეიკოფი 1964 - Lakoff G (1964). *Structural Semantics*. Oxford: Oxford University Press.

59. მარტინიჩი 1984 - Martinich A.(1984). *Communication and Reference*. Berlin and New York: Walter de Gruyter.

60. ლიჩი 1983 - Leech G. (1983). *Principles of Pragmatics*. London: Longman.

61. ლიჩი 1989 - Leech G. (1989). Review of relevance. Cambridge: Cambridge University Press.

62. ლოტმანი 1970 - Лотман Ю. М.(1970). *Структура художественного текста*. Москва.

63. ლონგაკრე 1960 - Longacre, R.(1960). *String Constituent Analysis*. Cambridge: Cambridge University Press.

64. მატარაძე 2005 - მატარაძე ნ. (2005). *მხატვრული დეტალი როგორც ენობრივ-კულტურული ფენომენი და ქვეტექსტური სემანტიკა მეოცესაუკუნოვან მხატვრულ ციკლში*. დისერტაცია, თბილისი: დისერტაცია, თბილისი: ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

65. მუირი 1979 - Muir, J. A (1979). *Modern Approach to English Grammar: An Introduction to Systemic Grammar*. Ldn.: Batsford.

66. ნებიერიძე 2003 - ნებიერიძე გ. (2003). *ენათმეცნიერების შესავალი*. თბილისი: გამომცემლობა «ნეკერი».

67. ნიკოლაევა 1980 - Николаева Т.М. (1980). *Современное состояние и перспективы in: Новое в зарубежный лингвистике*. Москва: Прогресс.

68. პალმერი 1965 - Palmer, F. A. (1965). *Linguistic Study of the English Verb*. Lnd.: Longman.

69. პალმერი 1977 - Palmer, F. A. (1977). *Semantics: A new Outline*. Cambridge: Cambridge University Press.

70. პოიეტოსი 2002 - Poiats F. (2002). *Nonverbal communication across Disciplines*. University of New Brunswick.

72. პორტერი 2006 – Porter E. (2006). *Communication between Cultures*. Wadsworth.

73. ჟულია 2000 - Жулия Д. (2000.) *Философский Словарь*. Москва

74. რედფორდი 2000 - Radford, A.(2000). *Linguistics*. Cambridge: Cambridge University Press.

75. სელინჯერი 1958 – Salinger J. D. (1958) *Nine Short Stories*. New York

76. სერგია 1989 - სერგია ვ. (1989). *ტექსტის ლინგვისტიკა*. თბილისი: გამომცემლობა «განათლება».

77. სოლნცევი 1979 - Солнцев В.М.(1979). *Язык как системно-структурное образование*. Москва: "Наука".
77. სლედდი 1958 - Sledd J.A (1958). *Short Introduction to English Grammar*. Chicago: University of Chicago Press.
78. სოსიური 1977 - Соссюр Ф. (1977). *Труды на языкознанию*. Москва: "Прогресс".
79. სტეპანოვი 1975 - Степанов Ю.С.(1975). *Методы и принципы современной лингвистики*. Москва: Высшая школа.
80. სტრანგი 1974 - Strang, B. (1974). *Modern English Structure*. Ldn.: Arnold.
81. სუპრუნი 1977 - Супрун, А. (1977). *Грамматика и семантика простого предложения*. Москва: изд. "Наука".
82. ტურაევა 1986 - Тураева З.Я. (1986). *Лингвистика текста*. Москва: "Просвещение".
83. უსანეთაშვილი 2006 - უსანეთაშვილი თ (2006). სიმბოლიკის ორი პოლუსი და ქვეტექსტური სემანტიკა. in ენა და კულტურა, №3. თბილისი.
84. ფილიპოვი 2003 - Филиппов К.А. (2003). *Лингвистика текста*. Петербург: Издательство Петербургского университета.
85. ფრასი 1963 - Fries, C. (1963). *The Structure of English: An Introduction to the Construction of English Sentences*. London: Longmans.
86. ფრასი 1952 - Fries, C.(1952). *The Structure of English*. New York: Harcourt, Brace and Co.
87. ქეითსი 1980 - Kates, C.(1980). *Pragmatics and Semantics*. Ithaca, New York: Cornell University Press.
88. ქეტსტალი 1965 - Katztal, P. (1965). *An Integrated Theory of Linguistic Discriptions*. Cambridge: Cambridge University Press.
89. შარაშენიძე 1972 - შარაშენიძე თ. (1972). *თანამედროვე ენათმეცნიერების თეორიული საკითხები*. თბილისი: გამომცემლობა «მეცნიერება».
90. შენგელაია 2004 - შენგელაია ნ. (2004). *არასრული სიტყვები და ტექსტის სემანტიკური მთლიანობა*. თბილისი: გამომცემლობა «დიოგენე».
91. შევჩენკო 2003 - Шевченко Н.В. (2003). *Основы лингвистики текста*. Москва: "Менеджер".
92. შმიდი 2008 – Шмид В. (2008). *Нарратология*. Москва: Языки Словянской Культуры.
93. შმიდტი 1978 - Шмидт Э.И. (1978). *"Текст" и "история" как базовые категории*. Москва: Новое в зарубежной лингвистике. Вып. VIII.
94. ჩეიფი 1975 - Чейф У.И.(1975). *Значение и структура языка*. Москва: "Наука".
95. ჩიგოგიძე 2005 - ჩიგოგიძე ე. (2005). *მხატვრული სიმბოლური ნომინაცია როგორც ენობრივ-კულტურული ფენომენი და სიმბოლური სემანტიკური ველი მხატვრულ ნარატიულ ტექსტში*. დისერტაცია, თბილისი: ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
96. ხოკეჩი 1970 - Хоккеч Ч. (1970). *Проблема языковых универсалий*. in: Новое в лингвистике. Вып. 5. Москва: "Прогресс".
97. ჰარისი 1952 – Harris Z.(1952). *Discourse Analysis// Language*. The Hague: Mouton.
98. ჰარისი 1962 - Harris Z. (1962). *String Analysis of Sentence Structure*. The Hague: Mouton.
99. ჰელიდაი 1961 – Halliday M. (1961). *Categories of the Theory of Grammar*. Ldn.: Longman.
100. ჰელიდაი 1964 - Halliday M (1964). *The Linguistic Study of Literary Texts*. Proceedings of the IX-th International Congress of Linguistics. The Hague: Mouton.

